# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 15 თებერვალი 2008 №4(56)

1516
2008



სუფრის საუბრები ტომას ელიოტთან

დორის ლესინგის ნობელის სიტყვა

მონარქია თუ გლობალიზაცია?

რეზო ესაძის ახალი ლექსები

ქარაგმად: 28 აგვისტო

შურისძიება ტკბილია

ეროვნული ბიბლიოთეკა



19 თებერვალი
ლეო ქიაჩელის დღე

# „კავკასიური სახლი“ გთავაზობთ

















მისამართი: გალაკტიონ ტაბიძის 20 ტელეფონი: 93 62 93

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | როსტომ ჩხეიძე ქარაგმად: 28 აგვისტო |
| | 5 | პაატა ჩხეიძე გამოწვევა |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 8 | ლიტერატურა, რომელიც ცხოვრებასავით რთულია (საუბარი თამაზ ვასაძესთან) |
| პროზა | 10 | ზურაბ ლავრელაშვილი მღვიძარება |
| პოეზია | 24 | რეზო ესაძე და მზე დაადგეს სულის ალაზანს |
| პირველი შთაბეჭდილება | 25 | მაკა ჯოხაძე ტკივილზე ჩაძინებული გული |
| პოეზია | 26 | შოთა ბოსტანაშვილი წყალმა წაიღოს ავი ზმანება |
| ესეისტიკა | 29 | დორის ლესინგი არა ნობელის პრემიის მიღების გამო |
| მოგონებათა სკივრი | 35 | ემზარ კვიტაიშვილი ორი დიდი შემოქმედის შეხვედრა |
| | 35 | იგორ სტრავინსკი სუფრის საუბრები ტომას სტერნზ ელიოტთან |
| დაუვიწყარი სახელები | 39 | ნესტან ფიფია სულის პურისათვის (ოთარ ჩხეიძის შეუფარავი რეალიზმი) |
| ილიას გზით | 43 | ივანე ამირხანაშვილი მომავალი წარსულის მასალით შენდება |
| ტალანტები და თაყვანისმცემლები | 46 | იოსებ ჭუმბურიძე ან – სიმართლე, ან – არაფერი (რეჟისორის პორტრეტი დიალოგით და ინტერმედიებით) |
| პარადოქსები | 50 | გუსტავ ფლობერი საყოველთაოდ მიღებული აზრების ლექსიკონი |
| კრიტიკა | 53 | რიტა ბაინდურაშვილი მისი და ჩვენი... მიხეილ თუმანიშვილი |
| რეპორტაჟი | 54 | ეკა ბუჯიაშვილი „კრიტიკა" კრიტიკის ზღვარზე |
| დეტექტივი | 57 | კორნელია ჰაიზე-ერნსტი შურისძიება ტკბილია |
| მოზაიკა | 63 | თქვენი რაა, რომ ამშვენებთ |



დამფუძნებელი „ილიონი"
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ზიმბაბვე, ვიქტორია
თემურ ჩხეიძე, ირაკლი ბლუიშვილის ფოტოეტიუდი

დაიბეჭდა სტამბა „ომეგა ტეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერი გამოვა 29 თებერვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# ქარაგმად: 28 აგვისტო

რომანისათვის „არმაზის მსხვრევა" ვასილ ბარნოვს დამთავრების თარიღად მიუწერია: „1925 წ. მარიამ. 28".

მაინცდამაინც ღვთისმშობლის დაბადების დღეს დაემთხვა უკანასკნელი ფრაზა?

რა გასაკვირია, ასეც რომ ყოფილიყო.

და თუ ცოტა ადრე დაასრულა ან ცოტა გვიან და მაინც 28 აგვისტო მიაწერა, ამასაც თავისი მხატვრული დანიშნულება აქვს – ღვთისმშობლის დაბადების დღე მოხდენილად აგვირგვინებს რომანს, რომლის სიუჟეტური ქარგაც მირიან მეფის ეპოქის ანუ წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლის ირგვლივაა გაშლილი და საქართველოში ქრისტეს რჯულის დამკვიდრებით ბოლოვდება.

ამზაილის, ქურუმთუხუცესის ვაჟისა და უბრო რაინდის, ტრაგიკული აღსასრული ხელშესახებად ადასტურებს, რომ წმინდა ნინოს ქადაგებას ველარაფერი გადაელობება და არმაზის კერპის ნამსხვრევებზე ამოიმართება ჯვარცმული ღმერთის ხატება.

ისედაც ჩაუჯდებოდა ვასილ ბარნოვი ქართლის მოქცევის ქრონიკებს, ისედაც შეისწავლიდა მეცნიერის სიბეჯითით სხვადასხვა ვერსიებს და ამ უმნიშვნელოვანესი ჟამის სურათებისა და განწყობილებათა აღდგენას შეეცდებოდა, მაგრამ ამჯერად იმასაც აეფორიაქებინა და გადადებასაც ალარ აცლიდა, რომ თვალწინ დატრიალებული ტრაგედიის გამოსახატადაც ყველაზე უკეთ IV საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჭიდილი გამოადგებოდა.

ჩეკისტური კრიტიკა ადვილად ველარ ნაედავებოდა... არადა, გულიც ხომ უნდა მოეოხებინა 1921 წლის 25 თებერვლისა და 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის სასოწარმკვეთი დღეების შემყურეს, და ისტორიულ სახელებსა და არმაზ-ციმუბ-ქრისტეს სიმბოლიკაში გაჰხვევდა ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრებას საქართველოში.

1965 წელს გამოცემულ ბიოგრაფიულ რომანში ვასილ ბარნოვზე ოთარ ჩხეიძე გამჭვირვალედ მიანიშნებდა, რომ „არმაზის მსხვრევა" მართლა მირიანის ეპოქასა და წმინდა ნინოს სამოციქულო მისიას კი არ გაიაზრებდა, არამედ მწერლის თვალწინ დატრიალებული რბევა-სისხლისღვრა ეფარებოდა მხატვრულ საბურველს:

„ეს გახლდათ ისტორია ერისა და იმისი დროის საჭირბოროტო საკითხავიცა. „არმაზის მსხვრევას" მხოლოდ IV საუკუნის მოვლენად არ წარმოსახავდა, არც „ხაზართა სასძლო" მიაჩნდა მხოლოდ მეფის ასულის მოთქმადა. ანმყო ეხატებოდა წარსულის სურათებში, ერის ბედი კვლავ ამოსახსნელი ეგონა" („რომანი და ისტორია").

80-90-იანი წლების მიჯნაზე აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერების" გაგრძელებად რომ ჩაიფიქრებდა მონოგრაფიას „გადარჩენა" და მასალების მოკრება-დალაგებას მოჰკიდებდა ხელს, ცალკე თავად განიზრახავდა „არმაზის მსხვრევის" ანალიზს პოლიტიკური თვალთახედვით. და ცალკეული ფრაგმენტები, რაც რომანიდან ამოუწერია, და ორიოდე კომენტარი მკაფიოდ გამოკვეთს კრიტიკოსის კონცეფციას – „არმაზის მსხვრევა" 1924 წლის აჯანყების უშუალო გამოძახილია და რომანის ქარგაში თანადროულობის სავალალო ყოფაა გაშიშვლებული.

აგერ რომის კეისრის მიზანი:

„შაბურისა და მის მომხრეთა სახელმწიფო აღგვილ იქნეს პირისაგან ქვეყნისა. მხოლოდ ერთი სახელმწიფო მთელ დუნიაზედ – ბიზანტიისა და ერთი სჯული – ბიზანტიური!"

და აკაკი ბაქრაძის მინაწერი:

– ეს სუფთა კომუნისტური მოთხოვნაა.

კომენტარებიც აღარ სჭირდება, როდესაც რომანის სულისკვეთება ამოცნობილია და ძალდაუტანებლად შეგიძლია თვითონაც სწორად წაიკითხო ტექსტი. ისტორიის ლაბირინთებში კი არ გადავარდე, არამედ 20-იანი წლების საზარლობას მიადევნო მზერა, სიკეთის, კეთილშობილების, ხსნის, ღირსების ნილაბს ამოფარებულ სამხედრო ექსპანსიას, ძალმომრეობას, სულიერ რღვევას, საკუთარი რჯულისა და თვითმყოფადობის დავიწყების ზღვარზე დგომას.

აგერ კიდევ:

„დარწმუნებული ვარ, რომაელთ დაწვრილებით იციან ეხლა აქაური ამბები: ჯამუშებზედ უანგაროდ ჰხარჯავენ, ყველგან ქსელი აქვთ გაბმული!"

ან კიდევ:

„ორი სახე ჰქონდა დასავლეთით მოვლენილ ქრისტეს: გარედან რომ სითავმდაბლობის ძაძა ემოსა, ქვეშ ბექთარი ჩაეღილნა ქაჯთა ნაკერი. იმის ხის ჯვარში დაშნა იდვა ურჩთ ცეცხლის მდები, მშვიდობის სახე, ბაიას რტო ნიში იყო ხმაჩაწყვეტილთ მორჩილებისა".

ანდა ვეზირი შაბურს რომ შეაგონებს: როგორ? შენ გინდა აღადგინო თვითარსებობა მცირე ერების, რომელნი რომმა დაიმონა და გარდაქმნა რომაელებადო! – ის კი პასუხად:

„მხოლოდ დაიმონა! ვერ წაართვა მათ სახე მათი, ვერც სიყვარული თავის მამულის. მათი ღელვა არ სცხრება. ვერც დაწყნარდება: გაიხსენე ამბოხებანი კართაგენში, მისრეთში, პალესტინაში, პაისტანში, პონტში და სხვაგან ყველგან..."

და ამ ჩამონათვალსა და ფრაზის რიტმულ ექსპრესიას ძალდაუტანებლად მიადევნებს მკითხველის ფიქრი: და ქაქუცა ჩოლოყაშვილის.

ან აგერ ეს:

„მდაბიო ხალხი და მონები აღტაცებულნი: დაკნინებულთ მფარველობდა სჯული ქრისტესი. იტყოდა ძმობას, თავისუფლებას, ერთობას თუ თანასწორობას. უარჰყოფდა წარჩინებას შთამომავლობით. კაცადკაცადს გაარჩევდა პირად ქმედებით. ჰგმობდა ქონების უსწორობით განაწილებას".

ასე ხელშესახებად ამოჩნდება იაკობინიზმის ლოზუნგი, ბოლშევიკთა მიერ განმეორებული, ასე ამოჰყოფს თავს

თხრობაში ჟან-ჟაკ რუსოს იდეები, კარლ მარქსის მიერ ხელახლა გადმოსროლილი.

ასე დგება ამ ლოზუნგითა და მონოდებით ღმერთდაკარგული სამყარო კატასტროფის წინაშე, რისი თავიდათავიც სულიერ ღირებულებათა სრული გადაფასებაა. და ცხადდება სიცრუე სიმართლედ, სიყალბე ჭეშმარიტებად, უზნეობა ზნეობად, თვალთმაქცობა სიწრფელედ, უკეთურობა სათნოებად, ბოროტება სიკეთედ, ბუნდოვანი აბსტრაქციები ცხად რეალობად.

და კიდეც ინთქმევა ადამიანი ტრაგიზმის, უსასოობის, იმედგაცრუების მორევში.

ძმობა, ერთობა, თანასწორობაო...

ამ მონოდების გარეგნულ მომხიბვლელობას დაელუპა მალემრწმენი კაცობრიობა და ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი იაკობინიზმის მარწუხებისაგან. მოშვებულა, მოფომფლოვებულა, მაგრამ მარწუხი მაინც მარწუხად ითქმის.

ეს რუსოისტულ-იაკობინური ლოზუნგი მხოლოდ ერთხელ არ გაიელვებს რომანში.



ვასილ ბარნოვი

გიმეორებს ვასილ ბარნოვი, გიჩიჩინებს, რომ აქეთ, აქეთ მოაპყრო გულისყური, მართლა ქრისტიანობად კი არ გაიგო პერსონაჟთა ლაპარაკში ხსენებული ეს რჯული, არამედ ბოლშევიზმის ალეგორიად, იაკობინელებს შთამომავლებად, ყველაზე თავგამოდებულ მიმდევრებად რომ გამოუჩნდნენ.

„არმაზის მსხვრევა" პოლიტიკური პამფლეტიცაა და, როგორც პოლიტიკური პამფლეტი, დაურიდებლად და მთელი სიმწვავით გადაგიშლის, რაც დაგმართნია, და თავის მოტყუება საბოლოოდ გაგწირავს, თორემ უკეთესს ნურას მოელი:

„– მაშ ქრისტიან ბიზანტიაში ხელმწიფობა აღარ არის და ბატონობა? განა იქ კაცი მხოლოდ თავის უნარით ფასობს? ჩამომავლობას ძალა არა აქვს? იქნებ დამყარდა ქონებათა თანასწორობა?

– ჯერ არაო. როცა ყველა ხალხი მოიქცევა ქრისტეს სჯულისკენ, მაშინ იქნება ძმობა, ერთობა, თანასწორობა, კაცთა შორის მშვიდობა და სათნოებაო.

– დაიჯერე! შეუგნებელნი ვგონივართ; გვაცთუნებენ საკვირველი თქმით და ჯადოსნობით. სულ სხვა უნდათ, სხვას ესწრაფვიან.

– რა მოჰსურვებიათ?

– თავიანთ სჯულის ჩვენში შემოტანა, შემოტყუება და დაპყრობა ჩვენი მიწა-წყლის, დამონება ჩვენის ხალხისა.

– სიბრძნე გაუბნებს!

– თუ ძმობა უნდათ, ძალა რად მოაქვთ?"

ჯერ იმთავითვე არა სჯეროდა ვასილ ბარნოვს ბოლშევიკური ქადაგებებისა, რა ძმობა, ერთობა და თანასწორობაც იაკობინელებს მოეტანათ მდინარედ ადინებული სისხლით, იმ სამოთხეს ბოლშევიკები დაამკვიდრებდნენ... და თვალწინ ჩნდებოდა უღმერთო ჟლეტის, განუკითხაობის სურათები, როგორც სამწუხარო დადასტურება გონიერ კაცთა წინასწარჭვრეტის.

იქ კი, რომანის სივრცეში:

სეფექალები აჰყოლიან მოციქულთასწორის ქადაგებას, მაგრამ ვაჟკაცნი ვერ მიუზიდავს მოჩვენებითი კეთილდღეობის დაპირებას.

ეცინებათ: ძმობაო, მონობისა და ხელქვეითობის მოსპობაო. მარტო ლამაზი სიტყვებია, მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო?!

და ირონიულ განსჯას ეს საბუთიც თავისთავად მოჰყვება:

„ხელზედ რომ ხუთი თითი გაქვს, ისინიც თანასწორნი არ არიან; კაცთა შორის თანასწორობა როგორ დამყარდეს?!"

რაო – ხუთი თითიო?

ისინიც თანასწორნი არ არიანო?

ილია ჭავჭავაძის სახელი ხომ არ წამოგიტივტივდათ?

უნებურად არა, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, რადგანაც ადვილად მოძებნით „კაცია-ადამიანსაც" და ლუარსაბ თათქარიძისა და მისი მოურავის საუბრის სცენასაც.

– დიდი და პატარობა სად არ არის? – მოურავს შეაგონებს ლუარსაბი, – აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს ეგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

ცბიერმა დათომ მაშინვე კვერი უნდა დაუკრას:

– განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან.

გულუბრყვილო, მიმნდობ ლუარსაბს დათანხმება ძალიან გაახალისებს:

– მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია?

მოურავი კი ალტაცებულია, თავი ადვილად რომ მოუქონა ბატონს:

– ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა – ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

„არმაზის მსხვრევაში" უშუალოდ ამ დიალოგის გამოძახილია.

„კაცია-ადამიანი?!" სატირული ქმნილებაა და ხუთი თითის უთანასწორობის იდეა იუმორითაა შეფერილი, „არმაზის მსხვრევა" დრამატული თხზულებაა და იქ ამიტომაცაა პირწმინდად რეალისტური იერის, მაგრამ მთავარი თვით შეხედულებაა, რომელიც თავდაყირა აყენებს რუსო-მარ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსის გულმოდგინედ ნაკონინებ შენობას, სიცრუის ფესვზე ამომართულს.

გიორგი შატბერაშვილი პოეტურ შემლერებად მოიხსენიებდა უშუალო გამოძახილს, შეხმიანებასა თუ რემინისცენციებს, სრულიად სხვადასხვა მხატვრულ ქმნილებებში ხელშესახებად რომ ჩნდებოდა. საამისო მაგალითებსაც საკმაოდ მოუყრიდა თავს ქართული ლიტერატურიდან და ამ მიმართულებით ძიებას სხვებს გადაულოცავდა.

გნებავთ მის მიერ მოხმობილ საგულისხმო ნიმუშებს ესეც მივუმატოთ – ვასილ ბარნოვის გადაძახილი ილია ჭავჭავაძესთან.

გნებავთ ასე ცალკე ჩავუკვირდეთ.

ნეტა უნებურად გაჩენილა ეს პასაჟი ისტორიულ რომანში თუ შეგნებულად მიახედებს მწერალი მკითხველს „კაცია-ადამიანისაკენ"?

შესაძლოა თხრობისას იმ კლასიკური მოთხრობის ასოციაცია რომ გაუჩნდა, ალარ დაერიდა და მებატონე-მოურავის დიალოგის ეს მთავარი საყრდენი თავის რომანში გადმოიტანა.

მაგრამ ის უფრო შესაძლებელია, რომ საგანგებოდ მოენდომებინა მკითხველის ცნობიერებაში ილია ჭავჭავაძის ხატის გაცოცხლება – პიროვნების, ვინც ყველაზე მკვეთრად და თანმიმდევრულად, შეუპოვრად და თავგანწირვით დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკური ორგანიზაციის ჩასახვა-მომძლავრებასა და მარქსიზმის ექსპანსიას საქართველოში.

რაკილა ისტორიის საბურველში თანადროულობის უმწვავესი პოლიტიკური მოვლენები გახვეულა, მინიშნებანი ყოველმხრივ გამჭვირვალე უნდა შეექნას და, რაკილა აუცილებელი გამხდარა, ილია ჭავჭავაძემაც კი ამოჰყოს თავი... მეფე მირიანის ეპოქაში.

ამიტომაც წარმოგვიდგება პერსონაჟთა დიალოგები პოლიტიკურ დისპუტებად და, რალა გასაკვირია, IV საუკუნის ადამიანებმა რუსოც რომ იციან, მარქსიც და... ლუარსაბ თათქარიძეც... და თუ რაიმე სძულთ, ბოლშევიზმი და მხოლოდ ბოლშევიზმი!..

არ ენდობიან მის ლაქარდიანობასა და თვალთმაქცობას.

მაგრამ ითრევთ ულმობელი რეალობა, შთანთქავთ და... ღვთის განაჩენს მიანდობს მათ ბედს, სისხლის მორევზე ატივტივებულს.

ამზაილის აღსასრული მოასწავებდა ახალი რელიგიის დამკვიდრებას. და თუმც მარცხისათვის განწირულა გმირი, ვასილ ბარნოვი საკაცობრიო იდეალის – არსება სრულის – სიმბოლოდ დასახავდა. რასაც ეძიებდა წლების მანძილზე და ვერა და ვერ შეესხა ხორცი შესაფერისად, ყოველ შემთხვევაში, თვითონ როგორც ეოცნებებოდა, იმ მიზნისათვის ვერ მიელწია, ამზაილის სახეში ჰპოვებდა ამდენი ხნის ნალოლიავებს, სწორედ ამზაილის, რასაც ხელშესახებად ათვალსაჩინოებს ოთარ ჩხეიძის ანალიტიკური განსჯა...

ეგაა ბიოგრაფიულ რომანში მხოლოდ ნაგულისხმევია და დაბეჯითებული ანალიზი ალარ წვდება ამზაილის პროტოტიპის დადგენას.

არადა, როდესაც მსჯელობა სრულიად შეუბორკავია და ცენზურა ცეცხლითა და მახვილით არ დასდევს ისტორიული სინამდვილის აღდგენას ისე, როგორც მომხდარა, აღარც „არმაზის მსხვრევის" მთავარი გმირის რეალური პროტოტიპია ძნელი გამოსარკვევი – ის ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ვის დამარცხებასთან ერთადაც ველარაფერმა შეაჩერა ბოლშევიზმის რეჟიმისა და იდეოლოგიის გაბატონება.

ჯერ ამზაილის სახეს ამოეფარება 1924 წლის აჯანყების მთავარი გმირი, ვიდრე არსენა ოძელაშვილად მოევლინებოდეს მკითხველს მიხეილ ჯავახიშვილის რომანის („არსენა მარაბდელი") ფურცლებიდან, მერე კი დიდი განთიადის, ერის გამოხსნის მოლოდინს მისი სახელი შეერწყმოდეს გიორგი შატბერაშვილის ლექსში „დასაწყისი განთიადისა"...

ეს გახლდათ ისტორია ერისა და ვასილ ბარნოვის დროის საჭირბოროტო საკითხავიცაო...

და გამჭვირვალე მინიშნებათა, ადვილად გასაშიფრ ქარაგმათა შორისაა რომანის დაწერის თარილიც, რელიგიური შეფერილობა პოლიტიკურ ქვეტექსტსა და მუხტს რომ მოარიდებს ცერბერთა გაფაციცებულ მზერას და ნამდვილ მკითხველთა გუმანს მიანდობს.

მიხეილ ჯავახიშვილსაც რელიგიურად შეეფერა გამჭვირვალე ქარაგმა „ჯაყოს ხიზნების" ფინალში – არა თარილი, არამედ რომანის უკანასკნელი ფრაზა, შიო მღვიმელის სახელს რომ ახსენებდა, ვითომდა ასურელი მამანი მოჰგონებოდეს თეიმურაზ ხევისთავს, სინამდვილეში კი აჯანყების მოთავეთა შეპყრობას გულისხმობდა მწერალი შიომღვიმის მონასტრის შემოგარენში.

ქარაგმაც ეს იყო და გარკვეული გზასავალიც „ჯაყოს ხიზნების" სწორად ნასაკითხად და პოლიტიკური სულისკვეთების ამოსატანად მხატვრული სცენებიდან და სურათებიდან.

მიიკარგებოდა ეს გამჭვირვალე მინიშნება და ხელახლა ალმოსაჩენი გაგვიხდებოდა.

„არმაზის მსხვრევის" დამთავრების თარილსაც აკი დაეკარგა სიმბოლური შინაარსი და ლამის ჩვეულებრივ დოკუმენტურ ცნობად ალიქმებოდა.

ღვთისმშობლის შობის დღე დადგენილიყო საყოველთაო აჯანყების თარილად.

28 აგვისტოს მთელი საქართველო უნდა ალმდგარიყო იარალით ხელში.

ღვთისმშობლისათვის მიეძლვნათ თავისუფლების ზარების რეკვა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოგება.

ხელისუფლების მიერ დაგებული ხაფანგი არევ-დარევდა ყველაფერს და 27 აგვისტოს ის ნაადრევი გამოსვლა ჭიათურაში საბედისწეროდ გადაექცეოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც, ყველა მეამბოხესაც და კიდევ უამრავ ადამიანს, ვინც თანაგრძნობით თანაუგრძნობდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, მაგრამ აჯანყების უშუალო მონაწილე არა ყოფილა.

სისხლი შეღებავდა აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დამდეგს ლიხს აქეთაც და ლიხს იქითაც.

სასოწარკვეთაში ჩაინთქმოდა ქვეყანა.

ხალხის გამხნევება მოენდომებინა ვასილ ბარნოვს, სულიერ ძალთა აღდგენა დამარცხებული ქვეყნისათვის, ეროვნული ენერგიის რწმენის დაბრუნება, ისტორიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარტეხილიდან კიდევ ერთხელ თავდაღწევის იმედის ჩანერგვა.

„არმაზის მსხვრევა" პოლიტიკური პამფლეტის იერით ამიტომაც წარმოდგებოდა.

და ტრაგედიის წლისთავი ამ რომანის დაწერითაც აღინიშნებოდა.

შესაძლოა მართლაც დაემთხვა რომანის დამამთავრებელი ფრაზა 28 აგვისტოს.

შესაძლოა ცოტა ადრე ან ცოტა გვიანაც დასრულებულიყოს „არმაზის მსხვრევა", მაგრამ თარილი დოკუმენტურ ჩვენებაზე მეტად მხატვრული დანიშნულებისაა და გლოვასა და იმედოვნებას ერთდროულად ითავსებს.

ვასილ ბარნოვი რომანს ამთავრებდა და ალბათ ისიც გრძნობდა, მიხეილ ჯავახიშვილისა არ იყოს, როგორ ედებოდა გულზე ცეცხლი, ხოლო სული იმ დროს სისხლში ჰქონდა ამოვლებული.

იმისთვის თუ „ჯაყოს ხიზნები" გადაქცეულიყო სულის გმინვად, ამისთვის – „არმაზის მსხვრევა".

1925 ნლის 28 მარიამობა, ვითომდა სასხვათაშორისოდ მინერილი – რომანის სრულუფლებიან დეტალად აღიბეჭდებოდა ეს თარილი, რომელიც ნირვად და... ნლის პანაშვიდად აღინიშნებოდა ბაკურიანში.

– ასი ოჯახი მაინც იქნებოდა, რომელთაც ნათესავები დაუხვრიტეს, მაგრამ პანაშვიდს ორიოდე მოხუცი და ხუთიოდე ბავშვი დაესწრო, – ჩაინიშნავდა მიხეილ ჯავახიშვილი „უბის ნიგნაკში" და გულშეძრული განაზოგადებდა:

– ამ ამბავის სიღრმე და მნიშვნელობა განუზომელია. ამავე დღეებში ჩვეულებრივი სიმღერა. დუდუკი. ზურნა.

მაგრამ ხომ მაინც რჩებოდა ზნეობრივ აქტად ბაკურიანის ის დღე, მართლაც განუზომელი სიღრმისა და მნიშვნელობის მოვლენად, ტრაგედიის ხსოვნად, თვითრწმენის განმტკიცებად და მომავლის ნუგეშად, რომელსაც ვერ ამოძირკვავდა ჩვეულებრივი სიმღერა, დუდუკი და ზურნა. ის ორიოდე მოხუცი და ხუთიოდე ბავშვი კი ღრმა სიმბოლიკას შეერეოდა პანაშვიდის მისტერიაში მონაწილეობით.

... თანასწორობის ყალბი, მაცთური ლოზუნგისა ვერაფერი გაეგო ლუარსაბ თათქარიძეს, მაგრამ რომ არ მინდობოდა, ამას კი უგრძნობდა გული, და თითებიც ამასვე უდასტურებდნენ: დიდი და პატარა ყველგან უნდა იყოსო.

ეგაა, არსება სრულის ხატად ვერ გამოდგებოდა ჩვენი კეთილი ლუარსაბი.

ამზაილი ხომ ივარგებსო, – თავის ოცნებას გაჰყვებოდა ვასილ ბარნოვი და... გმირის გამოჩენას დაელოდებოდა. არა რაღაც ბუნდოვანის, შორეულის, არამედ ერთი წლის წინათ სულაც აქ მყოფის, ხელახლა რომ აპირებდა სახელმწიფოებრიობის აღდგენას – და ან ძლევამოსილი მოევლინებოდა აქაურობას, ანდა ზეზეურად ჩამოინგრეოდა...

# გამოწვევა



ამ ცოტა ხნის ნინათ, ერთი დიდი თანამდებობის პირი პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში მომუშავე მეცნიერებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის დროს მან, სრულიად უადგილოდ, კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო მოდელის ნინააღმდეგ გაილაშქრა და ამგვარ ინიციატივას ინფანტილიზმი უნოდა. მას მიუთითეს, რომ კათალიკოს-პატრიარქის ეპისტოლეში გამოთქმული აზრის ინფანტილიზმად მონათვლა თუ მკრეხელობად არა, უტაქტობად მაინც ჩაითვლებოდა, რაზეც უპასუხა, პატრიარქს კი არა, პოლიტიკურ პარტიებს ვგულისხმობო. ეს ადამიანი ნიჭიერი და თავის საქმეში ნარმატებული კაცია და სხვა შემთხვევაში ამ თემას არც კი შეეხებოდა, მაგრამ პოლიტიკურმა კონიუნქტურამ აიძულა, სხვათა შორის, ამ საკითხსაც გამოხმაურებოდა.

საარჩევნო კამპანიის დროს სრულიად ბუნებრივია მონინააღმდეგეთა გაკენნვლა, მაგრამ, როგორც ჩანს, მონარქიზმის იდეა სერიოზულად აშფოთებს სახელისუფლებო პოლიტისტებლიშმენტის ნაწილს, რადგან მათმა ერთ-ერთმა ნარმომადგენელმა, ჩემთვის საპატივცემლო პირმა, არჩევნების შემდგომაც არ დაიზარა და საგაზეთო ინტერვიუში მნარ-მნარე მათრახები უცხუნა მონარქიზმის მომხრეებს და თვით იდეას; იდეას „კურიოზი", „სისულელე" და „ანაქრონიზმი" უნოდა, მის მომხრეებს კი „იდიოტები". რა თქმა უნდა ინტერვიუში მხოლოდ ლანძღვა-გინება არა ტრიალებდა და ორიოდე გაკვრითი, საგაზეთო ინტერვიუს შესაფერისი არგუმენტიც იყო მოტანილი.

რადგან, როგორც მონარქიზმის ერთ-ერთი მომხრე, არც ლანძღვაში გაჯიბრებას ვაპირებ და არც ჩემი პატივისცემა იცვლება რესპონდენტის მიმართ, ბარემ დავასახელებ და პირადად მივმართავ: გაზეთი „რეზონანსი", 2008 ნლის 10 იანვარი, ხუთშაბათი, სააგენტო „მედიანიუსისათვის" მიცემული ინტერვიუ, გიორგი გაჩეჩილაძე, „თბილისელები არჩევანში მეორეჯერ შეცდნენ".

ბატონო გიორგი, ინტერვიუში ყველაზე მეტად ერთმა განცხადებამ გამაოცა; თქვენ ამბობთ, ვერც ზვიად გამსახურდიამ და ვერც მიხეილ სააკაშვილმა ვერ გაიმარჯვეს თბილისშიო. ჯერ ერთი, ზვიად გამსახურდია არჩევნებში არ დამარცხებულა; მეორე, მახინჯი და საბედისწერო ცენტრალიზებული პოლიტიკის გამო, რაც კომუნისტურ რეჟიმში ჩაისახა, განვითარდა და, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება, თბილისშია თავმოყრილი საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი და, როცა ამომრჩეველთა ნახევარი ხმას არ გაძლევს, პოლიტიკური ელიტის დაფიქრება ვერაფერს შეცვლის, მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის ცვალებადობა თუ გამოასწორებს.

ბატონო გიორგი, მე სწორედ იმ ნაწილს მივეკუთვნები საქართველოს მოსახლეობისა, ვისაც ლანძღავთ, მაგრამ რაკი ვიმედოვნებ, რომ პირადად საგინებლად არ გამიმეტებდით, სხვა მკვახე სიტყვებს დავივიწყებ და მხოლოდ „ანაქრონიზმსა" და „ისტორიულ გამოწვევებზე" გიპასუხებთ.

სიტყვა „გამოწვევა" ინგლისური Challenge-ის ქართული თარგმანი გახლავთ. ამ სიტყვას ხშირად გაიგონებთ ამერიკულ სამეცნიერო თუ ბიზნესწრეებში; ჩვენც ხალისით ვებაძებით და ვიმეორებთ, ისე ვიმეორებთ თითქოს განსაცდელი, რაც საქართველოს ემუქრება, ერთი რიგითი მოწინააღმდეგე იყოს და მის დასამარცხებლად რაინდივით ალჭურვა და ასპარეზზე გასვლა კმაროდეს. ის, რაც ამერიკისათვის „გამოწვევაა", ჩვენთვის საბედისწერო საფრთხეა, სასიკვდილო მუქარაა, თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროებაა.

გლობალიზაცია მეოთხე საფრთხეა ერებისათვის იაკობინიზმისა და მისგან წარმოშობილი კომუნიზმისა და ფაშიზმის შემდგომ. ნუ მოგვატყუებს ლიბერალური დემოკრატიის ფერადი ფასადი, სწორედ მასშია ხიფათი ჩამალული. ყველა ხალისით იმეორებს პოპულარულ „სიბრძნეს": კარი კი არ უნდა ჩავუკეტოთ გლობალიზაციას, არამედ უნდა გავუღოთ და შევეგებოთო. ჰე, გავაღოთ კარი, შიშველ-ტიტველნი გავვარდეთ გარეთ და, რასაც გადავეყრებით, იმასაც ვნახავთ!

სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავ კონსტიტუციური მონარქიის იდეის საჭიროებას საქართველოსათვის. კონსტიტუციური მონარქია სწორედ იდეაა, ისევე როგორც კონსტიტუციაა იდეა (კოლრიჯი) და სახელმწიფოა იდეა (პლატონი).

კონსტიტუციური მონარქიის საკითხი მართლაც არ გახლავთ პატრიარქის „ინიციატივა". ეს არის ბრძნული დარიგება, დამოძღვრა, გზის ჩვენება, თვალის ახელა მაჟორიტარული დემოკრატიის მიერ მოტანილ უბედურებათაგან თავის დასაღწევად.

მაჟორიტარული დემოკრატია რუსოისტული „ხალხის" ანუ უმრავლესობის ნებისა და ძალაუფლების საშოში გამოჩეკილი ურჩხულია, ჯერ იაკობინური ტერორი რომ დაატრიალა საფრანგეთში და მერე მთელ მსოფლიოს მოედო. მაჟორიტარული დემოკრატიის ვირუსმა დაასნეულა ქართული პოლიტიკური აზროვნება მეოცე საუკუნის დასაწყისსა და ბოლოში. მაჟორიტარულმა დემოკრატიამ ასაზრდოვა ქუჩის აქციები და ორი პრეზიდენტის ჩამოგდება, ამას მოყოლილი უბედურებანი და პრობლემები, მესამის გადადგომა და ჯერაც დაუსრულებელი პოლიტიკური კატაკლიზმები მოგვიტანა. ყოველივე ამაზე მრავალჯერ მიგვანიშნა ღმერთმა და ბოლოს დარიგებაც გამოგვიგზავნა პატრიარქის პირით და მეტი რაღა სასწაული უნდა მოახდინოს, რომ თვალი ავახილოთ, დავინახოთ და ვირწმუნოთ.

დემოკრატია ცუდ მმართველობით ფორმად მიაჩნდათ პლატონსა და არისტოტელეს და მას შემდგომ მრავალ დიდ მოაზროვნეს, ვინც პოლიტიკაზე წერდა. დემოკრატიას არ ენდობოდნენ ედმუნდ ბერკი, სემუელ ტეილორ კოლრიჯი, ჟოზეფ დე მესტრი, გოეთე, ბალზაკი, მეტერნიხი, დონოზო კორტესი, ტომას სტერნზ ელიოტი, ამერიკის დამფუძნებელი მამები: ჯონ ადამსი, ელიგზანდერ ჰამილტონი, ჯეიმზ მედისონი და სხვანი. სწორედ ამიტომაც შექმნეს კონსტიტუცია, რომელიც დღემდე „უმცირესობის კონსტიტუციად" იწოდება და რომელშიც სახელმწიფო მმართველობის პრინციპად checks and balances, შემოწმება და წონასწორობაა დადებული.

მსოფლიოს ქვეყნებს არ ჩამოვთვლი და ევროპის დიდსა და პატარა ქვეყნებს ვიკმარებ: დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, შვედეთი, დანია, ჰოლანდია, ბელგია, ესპანეთი... პოლიტოლოგმა შეუძლებელია არ იცოდეს, რომ ამ ქვეყნებში მონარქია დეკორაციის როლს არ ასრულებს; გავიხსენოთ რა როლი შეასრულა მონარქმა ესპანეთში არცთუ ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა ქვეყანას არეულობის საფრთხე დაემუქრა. გააუქმეთ მონარქია დიდ ბრიტანეთში და არა მარტო თანამეგობრობა დაიშლება, არამედ სასწრაფოდ ცალკე გავლენ შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია... იგივე მოხდება ბელგიაში. ამრიგად, მონარქია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მრავალ ქვეყანაში და მომავალშიც არ დაკარგავს მნიშვნელობას.

კონსტიტუციური მონარქი ანუ „მეფე, რომელიც მეფობს და არ მართავს", არის არა ფუფუნება არამედ ჩვენი სახელმწიფოს გადარჩენისა და განმტკიცების საუკეთესო გზა. ეს იცის პატრიარქმა და ეს უნდა აღიაროს პოლიტიკურმა მოაზროვნემ.

რაკი მონარქია რეალურ ქრონოსში, ჩვენს დროში, არსებობს და შენარჩუნებული აქვს ფუნქცია, შეუძლებელია იყოს ანაქრონული.

სახელმწიფო ეს მე ვარო, ლუი მეთოთხმეტემ გარკვეულ დროსა და გარკვეულ ისტორიულ გარემოში თქვა, მაგრამ მონარქია საფრანგეთისათვის იქ კი არა, არამედ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს შეწყდა და მეცხრამეტე საუკუნეში „დამთავრდა" (ეგებ განახლდეს კიდეც) ლუი მეთოთხმეტეს მემკვიდრეებსა და ქვეშევრდომებთან; მემკვიდრეებს ძალა არ ეყოთ (მეფეც შეიძლება იყოს სუსტიც და ძლიერიც, პრეზიდენტივით) განემტკიცებინათ მისი ნათქვამი, „როგორც პასუხი ისტორიულ გამოწვევებზე", ხოლო სულმოკლე ქვეშევრდომები კი რუსოსი და განმანათლებელ „ფილაფოზთა" ბანგით იყვნენ გაბრუებულნი და გაშმაგებულნი.

რა მოჰყვა ამას? – ის რომ , არა ხალხმა არამედ მასების უმრავლესობამ განაცხადა „სახელმწიფო ეს მე ვარო" და რუსოს დარიგების მიხედვით შემოიგლიჯა ათასწლოვანი ტრადიციის „ბორკილები". მერე იყო იაკობინური ტერორი, რევოლუციათა წყება და სხვადასხვა ჯურის ტერორები. მერამდენე რესპუბლიკაა და მერამდენე კონსტიტუცია დღეს საფრანგეთში?

მეზობელ ინგლისში კი ერთი და უძველესი კონსტიტუცია აქვთ, რითაც სამართლიანად ამაყობენ. მათი კონსტიტუცია არის იდეა ერისა და სახელმწიფოსი (კოლრიჯი) ან თუ გნებავთ „სამოქალაქო ხელშეკრულება", ანუ კავშირი გარდაცვლილთა, ცოცხალთა და ჯერ არ დაბადებულთა შორის (ბერკი).

საქართველოს დამოუკიდებლობა მონარქიას არ დაუკარგავს. საქართველოს დამოუკიდებლობა დაიკარგა მონარქის არყოლის გამო. მაშინ რომ რუსულ აგენტურას არ აჰყოლოდნენ და მეფე დროულად დაესვათ ტახტზე, ერი და ბერი გაერთიანდებოდა მის გარშემო და რუსეთის იმპერატორი ველარ გაბედავდა უბოდიშო და უტიფარ მოქმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას. რუსეთმა მაშინ სწორედ მეფის, ეკლესიის მიერ ნაკურთხი გვირგვინოსანის არყოფნით ისარგებლა და ქართველებმაც ჯიუტი წინააღმდეგობა იმიტომ ვერ გაწიეს, რომ ღვთივკურთხეული საერო წინამძღოლი არ ჰყავდათ.

შუა საუკუნეთა დროსა და სივრცეში დაბრუნება ადამიანისათვის შეუძლებელია. მაგრამ რატომ იქნებოდა ცუდი, რომ აღორძინდეს შუასაუკუნეებრივი ზნეობა, რწმენა, შემართება, თავისუფლება, იერარქია?! ისევ საბჭოურ ხანაში ხომ არა ვართ, შუა საუკუნეებს ბნელეთს რომ უწოდებდნენ?!

მონარქიამ უნდა გააცოცხლოს და გაამთლიანოს ჩვენი ისტორიული მეხსიერება და ყოფიერება. მონარქიამ უნდა განამტკიცოს კანონიერება და დაიცვას კონსტიტუცია. მონარქია უნდა გახდეს შემწე ეკლესიისა ქართული ზნეობის დაცვის საქმეში. ქართული ზნეობის, როგორც უნიკალური ეთიკური და ტრადიციული ნორმების, ადათ-წესების ერთობლიობის გადარჩენა ქართული მწერლობის ნაწილმა იტვირთა მაშინ, როცა ეკლესია დევნა-შევიწროებას განიცდიდა. დღეს ეკლესია აღმავლობის გზაზეა და ქართული მწერლობის ნაწილი, თვითმყოფადობის გადარჩენაზე ზრუნვის ნაცვლად, გლობალიზაციის სიკეთეში არწმუნებს ხალხს.

გლობალიზაცია იაკობინიზმისა და კომუნიზმის მემკვიდრეა. მისი დევიზი კვლავაც „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობაა". ამ ლოზუნგით „გათავისუფლებულმა" და „გათანასწორებულმა" ბრბომ თავი მოჰკვეთა მეფეს, გააჩაღა ძმათა მკვლელი ომი, საძირკველი ანუ კერძო საკუთრება და ზნეობა გამოაცალა თავისუფლებას, საფუძვლები შეურყია ღვთის რწმენას და დააქცია ეკლესია-მონასტრები.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, თავისი მსოფლმხედველობის მარცხში დარწმუნებულმა ამერიკელმა მარქსისტებმა ტყავი გამოიცვალეს და ლიბერალებად იქცნენ. მერე ნეოკონსერვატორებიც დაირქვეს სახელად და განაცხადეს, რომ უკვე მიგნებულია საბოლოო ჭეშმარიტება, მისი სახელია ლიბერალური დემოკრატია და რომ ამერიკის ღვთითბოძებული მისიაა ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება, ნებით იქნება თუ ძალით, მთელ მსოფლიოში. ამ მისიის შესრულებას მოჰყვება სამოთხის დაბრუნება დედამიწაზე. ასეთი გახლავთ გლობალიზაციის აბსტრაქტული პოლიტიკური სახე; ეკონომიკური არსი კიდევ უფრო აბსტრაქტულია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც იაკობინიზმსა და კომუნიზმს წააგავს.

ეს „ისტორიული გამოწვევა" საფრთხეს უქმნის ერების თვითმყოფადობას და რატომ უნდა ავყვეთ თვალდახუჭულები ამ პროცესს, დავთმოთ მამული, მათ ენაზე ავლაპარაკდეთ და მათსავე აბსტრაქტულ რწმენაზე გადავიდეთ?

ლიბერალი ილია ალტაცებული იყო „ძმობა, ერთობა, თავისუფლების" ილუზიით, კონსერვატორმა ილიამ კი „მამული, ენა, სარწმუნოება" დაუსახა გზად თავის ერს. სხვათა შორის, სწორედ ამიტომაც გაიმეტეს ლიბერალებმა, სოციალისტებმა და კომუნისტებმა.

თქვენ მართალს ბრძანებთ, ბატონო გიორგი, მონარქიის აღდგენაზე 1990 წლიდან დაიწყო საუბარი. ზოგმა ეს თემა პოლიტიკური იმიჯისათვის გამოიყენა, მაგრამ იყვნენ და არიან ისეთებიც, ვისაც გულით სწამს ამ იდეისა.

1990 წელს, ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე დაიწერა და გამოქვეყნდა ოთარ ჩხეიძის პოლიტიკური ესეი, „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის". არც ეს იყო ინიციატივა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის პროექტის მონახაზი გახლდათ.

თქვენ აფასებდით ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას და პირადადაც მეგობრობდით მასთან. სწორედ ამიტომ გთხოვთ, გადაიკითხეთ ეს წერილი, კრიტიკულად განიხილეთ და დაბეჭდეთ თქვენეული ანალიზი. ჩემი აზრით, ასეთი საქციელი შეშვენის გიორგი გაჩეჩილაძეს. თორემ, აბა, რა ვიცი, მართლა გვლანძღავდით მონარქიის მომხრეებს, თუ ჟურნალისტმა ჩაამატა მკვეთრი ფრაზები სახელდახელო ინტერვიუში.

გულწრფელად,
თქვენი პატივისმცემელი

**პაატა ჩხეიძე**

### ფრანგი პოეტი ივ ბონფუა კაფკას პრემიით დაჯილდოვდა

84 წლის ფრანგი პოეტი ივ ბონფუა 2007 წლის 30 ოქტომბერს პრაღაში ფრანც კაფკას სახელობის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა. ომისშემდგომი ეპოქის ერთ-ერთი გავლენიანი ფრანგი ლიტერატორი და შექსპირის გამოჩენილი მთარგმნელი ამ ჯილდოს მეშვიდე მფლობელი გახდა. გაზეთი „გარდიანი" აღნიშნავს, რომ კაფკას პრემიის 2000 და 2005 წლის ლაურეატები ელფრიდა ელინეკი და ჰაროლდ პინტერი შემდგომ ნობელის პრემიის მფლობელებიც გახდნენ.

ჩეხური პრემია, რომელიც ბონფუას მიენიჭა, ორი ნაწილისაგან შედგება – მოქანდაკე იაროსლავ რონის შექმნილი ფრანც კაფკას პატარა ქანდაკი და 10 000 აშშ დოლარიანი ფულადი ჯილდო.

ფრანც კაფკას საზოგადოება აჯილდოებს გამოჩენილ თანამედროვე ავტორებს, რომელთა ნაწარმოებები, განურჩევლად წარმოშობისა, ეროვნებისა და კულტურისა, ახლოა მკითხველთან.

ივ ბონფუა სწავლობდა მათემატიკასა და ხელოვნების ისტორიას პუატიესა და სორბონაში. თავის მასწავლებლებად ასახელებს ანდრე ბრეტონს, გასტონ ბაშლიარს, შარლ ბოდლერსა და არტურ რემბოს. 1953 წლიდან გამოაქვეყნა შექსპირისა და იეიტსის თარგმანები, მონოგრაფიები საფრანგეთის ხელოვნებაზე და ათობით პოეტური წიგნი, რომელთათვისაც მიენიჭა მრავალი პრემია, მათ შორის, გონკურის, მონტენის, ფრანგული აკადემიის ჯილდოები.

2006 წელს კაფკას პრემია იაპონელ მწერალ ჰარუკი მურაკამის მიენიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურა, რომელიც ცხოვრებასავით რთულია

•

საუბარი
თამაზ ვასაძესთან

**– ახალი წიგნი, თანაც ჩინებულად გამოცემული თანამედროვე კულტურული ცხოვრების მოვლენად უნდა იქცეს. „ქართული მოთხრობის ანთოლოგია“ XX საუკუნის აღიარებულ პროზაიკოსებს იკრებს. როგორც შემდგენელი და პასუხისმგებელიც ამ საუნჯის ერთად თავმოყრისა, რას ეტყვი „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს. როგორ გაჩნდა იდეა ამ წიგნის არსებობისა?**

– რამდენიმე წლის წინათ შევადგინე პროზის ანთოლოგია, რომელიც „დიოგენემ“ გამოსცა. ამ ანთოლოგიის შექმნის იდეა თავის დროზე გია ქარჩხაძეს გავუზიარე და „დიოგენესთან“ მან დამაკავშირა. შემდეგ მე და გიამ ჩავთვალეთ, რომ შეიძლება უფრო ფუნდამენტური, უფრო სრული ანთოლოგიის შედგენა და გამოცემა. გია ქარჩხაძემ კარგად იცის ლიტერატურის ფასი, ამიტომ მასთან თანამშრომლობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. საერთოდ, საგამომცემლო საქმეს სწორედ ასეთი კულტურული ადამიანები უნდა ჰკიდებდნენ ხელს.

**– როგორ შედგა არჩევანი? ხანგრძლივი ფიქრის შედეგად თუ ერთბაშად გადაწყდა ნაწარმოებთა თავმოყრა. ალბათ, ვერ უგულებელყოფ, რომ მკითხველმა ამ წიგნში მოისაკლისოს თავისი მწერალი, გულს დააკლდეს თავისი მოთხრობა.**

– ამ ტიპის წიგნზე ბევრი მაქვს ნაფიქრი და შედგენის პროცესი ხანგრძლივი არ ყოფილა, მხოლოდ ზოგიერთი მომენტის დაზუსტება იყო საჭირო. აქ მინდა ვთქვა, რას ნიშნავს ჩემთვის ანთოლოგია და რატომ მიზიდავს ამგვარი გამოცემები. მიმაჩნია, რომ ანთოლოგიური პრინციპი შეესატყვისება თვით მწერლის ღრმა მოთხოვნილებას, შექმნას სრულყოფილებას მიახლოებული ნაწარმოები. ჩვენთვისაც ხომ ყველაზე საინტერესო ასეთი ნაწარმოებებია, საბოლოო ანგარიშით, ისინი ამართლებენ ლიტერატურის არსებობას. რომელიმე პერიოდში, ეპოქაში შექმნილი გამძლე ფასეულობების ერთად თავმოყრა ამ დროის ლიტერატურის ბუნებაში ჩაწვდომის, მისი არსის გააზრების თავისებური საშუალებაა.

რაც შეეხება იმას, რომ მკითხველი ვერ იპოვის ანთოლოგიაში ყველაფერს, რასაც მოელის, ეს, მე მგონია, ბუნებრივია და საგანგაშო არ არის.

**– ლიტერატურის ისტორიაში არცთუ ცოტა შემთხვევაა, ავტორს თავის რჩეულ ნაწარმოებად ერთი მიუჩნევია, მაგრამ ამ ეპითეტით შემორჩენილა სულ სხვა მისი ქმნილება.**



– რასაც ამბობ, მართალია, თუმცა ჩვენ ხშირად არ ვიცით, თავის რომელ ნაწარმოებს მიიჩნევს მწერალი საუკეთესოდ და კიდეც რომ ვიცოდეთ, ეს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი კრიტერიუმი ვერ იქნება. ანთოლოგიის შედგენისას ვითვალისწინებდი კრიტიკაში გამოკვეთილ აზრს მწერლის და მისი შემოქმედების შესახებ, თუმცა მას, რა თქმა უნდა, მექანიკურად არ ვეთანხმებოდი. ამავე დროს ჩემი მიზანი არ ყოფილა მკითხველის გაოგნება რაღაც არგაგონილით და არნახულით. მაგრამ სიახლეები წიგნში, ალბათ, არის, განსაკუთრებით დღევანდელი ახალგაზრდა მკითხველისთვის. მაგალითად, თავის დროზე გახმაურებული, აჟიოტაჟის გამომწვევი იყო მერაბ აბაშიძის, გიორგი ბაქანიძის, ჯემალ თოფურიძის მოთხრობები – ადრე საზოგადოებას ლიტერატურის მიმართ უფრო ძლიერი ინტერესი ჰქონდა. ახლა რომ გადავიკითხე ეს მოთხრობები, აღმოჩნდა, რომ მათ ღირებულება არ მოკლებიათ, შეიძლება აქტუალობა შეემატათ კიდეც.

**– ცოტა არ იყოს რისკის გაწევაა შემდგენელის მხრიდან, როცა აღიარებული მწერლის აღიარებული ნაწარმოების მაგივრად მკითხველს ნაკლებად ცნობილს შესთავაზებ.**

– კლასიკოსად აღიარებული მწერალი ზარალდება, როცა მის შემოქმედებაზე სტერეოტიპული წარმოდგენა მკვიდრდება. შეიძლება ამგვარი სტერეოტიპის მიღმა ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებები დარჩეს. ამიტომ ვამჯობინე ზოგიერთი ცნობილი მწერლის ჩრდილში აღმოჩენილი ნაწარმოები შემეთავაზებინა მკითხველისთვის. ვთქვათ, ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილ, ქრესტომათიულ ნაწარმოებს ვარჩიე „საბა“, ნაკლებად დაფასებული, მაგრამ, ჩემი აზრით, ბრწყინვალე მოთხრობა. ასევე ნაკლებად პოპულარულია დავით კლდიაშვილის გამორჩეულად ღრმა მოთხრობა „მიქელა“, რომელიც ანთოლოგიაშია წარმოდგენილი. ზოგჯერ ესა თუ ის ნაწარმოები, კლასიკურად მიჩნეული, „ცვდება“. ასე მოუვიდა, მაგალითად, „სოლომან მორბელაძეს“...

**– გაცვდაო... რას გულისხმობ, უფრო ზუსტად განმარტე.**

– ამ მოთხრობის ღირებულებას კი არ უარვყოფ, უბრალოდ, ზედმეტად შევეჩვიეთ, ავტომატიზებულად აღვიქვამთ. ამიტომ ხდება საჭირო სხვა ნაწარმოების წინ წამოწევა, რომელიც შეუჩვეველი რაკურსით ავლენს მწერლის შესაძლებლობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**– უნდა ვიფიქროთ, რომ ანთოლოგია მაინც სუბიექტურია.**

– დიახ, თუმცა ვცდილობდი მაქსიმალური ობიექტური ვყოფილიყავი, ჩემი სუბიექტურობა ობიექტურობის „გამტარად" მექცია. ლიტერატურის შეფასების ობიექტურობა სუბიექტური საწყისის ჩახშობით ვერ მიიღწევა, ის მხოლოდ სუბიექტის მედიუმობით შეიძლება იყოს მიღწეული. არსებობს შეფასების საკმაოდ მყარი და სანდო კრიტერიუმები, მაგრამ ეს კრიტერიუმები მხოლოდ შემფასებლის სუბიექტურ ცნობიერებაში ცოცხლდებიან, აქ იძენენ ქმედითობას.



**– ანთოლოგიებს, როგორც წესი, წინათ ავტორთა ჯგუფი ადგენდა ხოლმე. როგორ ფიქრობ, პასუხისმგებლობის განაწილება აზარალებდა საქმეს თუ პირიქით, სძენდა ავტორიტეტს.**

– ადრე, საბჭოთა დროს, ანთოლოგიები სახელმწიფოს მიერ იყო ნაკურთხი, სახელმწიფოს პოზიციას გამოხატავდა. ამიტომ ანთოლოგიის შედგენას ერთ ადამიანს არ ანდობდნენ. ახლა სხვა დროა, არც ერთი ანთოლოგია „კანონიკური" არ შეიძლება იყოს. სხვა სხვანაირ ანთოლოგიას შეადგენს. საზოგადოებას არჩევანი მუდამ ექნება. ესეც არის იმის ერთ-ერთი გამოხატულება, რომ ნელ-ნელა დემოკრატიული ცხოვრების წესს ვეჩვევით.

**– ანთოლოგიის შედგენისას რაიმე კანონზომიერებას ექვემდებარებოდი? გვერდიგვერდ დაბეჭდილ მწერლებს იდეური და სულიერი ნათესაობა უნდა აკავშირებდეთ.**

– ვცდილობდი მოთხრობების თანმიმდევრობა, განლაგება, ქრონოლოგიური რიგის გათვალისწინებით, გარკვეული აზრის შემცველი ყოფილიყო, წიგნს ჰქონოდა ეპოქის ერთგვარი მხატვრული მატიანის თვისება, მასში წარმოჩენილიყო ქართული ცნობიერების, საზოგადოების, მორალის ბედი, მისი დროში ერთმანეთის მონაცვლე შრეებით.

წიგნში მწერლები და მათი ნაწარმოებები ერთმანეთს „ემეზობლებიან" თემატური, კონცეპტუალური ან ესთეტიკური ნიშნით. ვთქვათ, გვერდიგვერდაა დაბეჭდილი ლეო ქიაჩელის და გრიგოლ რობაქიძის მოთხრობები, რომლებსაც აახლოებს ინტერესი არქაული კულტურის მიმართ, ნეორომანტიკული პათოსი. კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, ბასილ მელიქიშვილის მოთხრობებში, რომლებიც ასევე გვერდიგვერდაა წარმოდგენილი, ჩანს ბოლშევიკური რეჟიმის პირისპირ აღმოჩენილი ადამიანის ბედი... მოგვიანებით ლიტერატურაში ძლიერდება სწრაფვა პიროვნების ინტიმური, სოციალური სფეროს მიღმა განფენილი სამყაროს წვდომისკენ და ამის მანიშნებელია ოთარ ჩხეიძის, არჩილ სულაკაურის, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები. გურამ გეგეშიძე ისტორიულ მოთხრობაში „ჟამი" ეძებს იმის ფესვებს, რაც მეოცე საუკუნეში დაგვემართა და ამიტომ მოთხრობა წინ უსწრებს ნაწარმოებებს, რომლებშიც გახსნილია „ჰომო სოვეტიკუსის" ბუნება და ასე შემდეგ.

**– ანთოლოგიაში ძირითადად ქართული თემატიკაა, თუ არ გამოვყოფთ „პროხორისა" და „მტარვალს", სადაც იხატება საბჭოთა რუსი, ძალიან უბედური, პირქუში ყოფის ბინადარი.**

– ამ მოთხრობებში უფრო მეტად აქცენტირებულია არა იმდენად პერსონაჟთა ეროვნული კუთვნილება, არამედ პიროვნების საბჭოური არსი და ეს ავტორების აზროვნების სიფაქიზეზე მეტყველებს. „პროხორის" და „მტარვალის" პერსონაჟები ტიპიური საბჭოელის ზუსტად გააზრებული და შთამბეჭდავი სახეებია. გასაგებია, რომ ეს ნაწარმოებები მხოლოდ საბჭოთა პერიოდის მიწურულში გამოქვეყნდა. ჩვენი ლიტერატურის მაღალი დონის მოწმობაა ის, რომ ქართველი მწერლები ახერხებენ ღრმად ჩაწვდნენ ჩვენგან ბევრი რამით ძალიან განსხვავებულს, „სხვას", „უცხოს".

**– რა დასანანი და ტრაგიკულია, ბედისწერაცაა ალბათ, თითო-ოროლა მოთხრობით ან ლექსით ლიტერატურის ისტორიაში შემორჩენა. რა არის ხოლმე ამის მიზეზი (აქ არ ვგულისხმობ ძველ ტექსტებს), რას დააბრალებდი ამას, ნიჭის გამოლევას?**

– ეს მართლაც ძალიან დასანანია, ბოლომდე გამოუმჟღავნებელ, დაუხარჯავ ნიჭზე უფრო დასანანი შეიძლება არაფერი არ იყოს ამქვეყნად. იმის მიზეზი, რომ მწერალი სრულად ვერ ახდენს თავის შესაძლებლობათა რეალიზებას, ზოგჯერ შეიძლება იყოს მისი განსაკუთრებული მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ, რომელიც უფლებას არ აძლევს, „ჩვეულებრივი" ნაწარმოებებით დაკმაყოფილდეს და მხოლოდ უმაღლესი რანგის ნაწარმოებების შექმნა სურს; მიზეზი შეიძლება იყოს მწერლის ბედი, ხასიათის თვისებები, ანდა დროსთან, ეპოქასთან მისი შინაგანი შეუთავსებლობა... მაგრამ ლიტერატურის, კულტურის ისტორია უფრო სამართლიანია, ვიდრე ცხოვრება, ის ნამდვილ ღირებულებებს არ კარგავს, იმის განურჩევლად, მათ შემქმნელს უფრო მეტის შექმნაც შეეძლო თუ არა.

**– რა მიგაჩნია ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების ძირითად საზომად?**

– ჩემთვის არ არის საინტერესო და სრულფასოვანი ლიტერატურა, რომელიც არ ცდილობს ცხოვრების, სამყაროს სირთულე, სიმკაცრე და წინააღმდეგობრიობა რამდენადმე მაინც გამოხატოს. თუ ის, რასაც მწერალი გვიჩვენებს, შეუდარებლად უფრო მარტივი და უმნიშვნელოა, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ცხოვრებაში ვეხებით, უნდა დავასკვნათ, რომ ღირებულ ლიტერატურასთან არა გვაქვს საქმე. ლიტერატურული ნაწარმოების ღირსების მთავარ საზომად მივიჩნევ იმას, არის თუ არა მასში გამოვლენილი, მხატვრულად ხორცშესხმული სიმართლე, რომელსაც ამ ნაწარმოების გარეშე ასე ვერ დავინახავდი და ჩავწვდებოდი.

მე მგონია, რომ შემოქმედებითი ნიჭი სწორედ სიმართლის, ჭეშმარიტების აღმოჩენის, წვდომის და მძაფრად გამოხატვის ძალაა. ნიჭი გარდაუვალად დაკავშირებულია ჭეშმარიტებასთან.

ესაუბრა
**ნინო დეკანოიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლავრელაშვილი

# მღვიძარება

* * *

იმავე საღამოს მრეწველი ვინახულე. სიეზმანს უკვე სცოდნოდა მომხდარი ამბავი, ამიტომ ზედმეტი ცერემონიულობისა და თავაზის გარეშე მოკლედ მომიჭრა:

– იმედია, დღევანდელი ფაქტი ჩემს ძმისშვილს ჭკუას ასწავლის, ექიმო. იქ იყავით?

– ვიყავი, მაგრამ ფრედი არ მინახავს, – ვიცრუე.

– გორის პოლიცია მალე ამ ამბის ძიებას დაიწყებს. არ მინდა, მაინცდამაინც ფრედი გამოდგეს ბრალეული. ჩვენი შეთანხმება გახსოვთ?

– რა თქმა უნდა, ავგუსტ იაგორის ძევ!

– მაშინ კეთილი ინებეთ, გეთაყვა, და ეგ საქმე დააჩქარეთ.

მრეწველს თავი დავუკარი.

– მზად ვარ, მაგრამ უნდა ვიცოდე, ფრედი სად გადამალეს მისმა მომხრეებმა.

სიეზმანი ქუსლებზე შემობრუნდა.

– ვფიქრობ, ამის გარკვევა არ გაგიჭირდებათ. მიხვდით, რას მიგანიშნებთ? თქვენი არხებით იმოქმედეთ.

ვიგრძენი, როგორ ვწითლდებოდი.

– გასაგებია, – ვთქვი და ენა დამება, სიეზმანმა ცერემონიულად დამიხარა თავი და ხელჯოხის ბაკუნით ოთახიდან გავიდა.

* * *

მთვარე ამოცურდა ცაზე, სხივები დაღვარა. თრიალეთის ქედები ბნელში იყო ჩაძირული, მარტო ღამის მნათობით შუქმოფენილი მთის ნვერი მოჩანდა თვალსაწიერზე. ერთი ისეთი ღამე იყო, როცა სინყნარე და სიმშვიდე გულს განსაკუთრებით ესალბუნება.

ჩემს ოთახში ვიჯექი, ტფილისიდან ნამოღებულ ანალიზური ფსიქოლოგიის რომელიღაც ნაშრომს ვკითხულობდი.

ქვემოდან ხმაური მომესმა: თითქოს კარი გაიღო და დაიხურა.

მერე კიბის ჭრიალი გავიგონე.

კარი გამოვაღე და კიბეს ჩავხედე.

– არ გძინავთ, ექიმო? – კიბის ბაქანზე კეკე იდგა, ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა – ბარათია, შვილო.

კიბე ჩავირბინე და ბარათი გამოვართვი.

– გმადლობთ, დეიდა კეკე!

ბარათი ხელს მწვავდა.

გავშალე და თვალთ დამიბნელდა.

მარია!

„სასწრაფოდ მოდით. ბარაკებთან დაგელოდებით". – ეწერა ბარათში.

გიჟივით ავვარდი ოთახში, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ისევ ძირს დავეშვი.

– მიდიხართ, ექიმო? – კეკე ახლა დერეფანში იდგა,– დაბრუნდებით?

– ბარათი ვინ მოიტანა?

– მარიას უმცროსი ძმა იყო, ბრიანსკის შვილი. კარი ღია იქნება. ძაღლსაც დავაბამ.

დიასახლისს შუბლზე ვაკოცე და გარეთ გამოვვარდი. დღე რომ ყოფილიყო, თავპირის მტვრევით გავიქცეოდი, მაგრამ მთვარის შუქზე სწრაფად ვერ ვიღლიდი. მეგონა, საუკუნე გავიდა, სანამ მუშათა ქოხმახებს მივადგებოდი.

მარია! მარია!

შორიდანვე გავარჩიე თეთრი ლანდი.

– გამარჯობათ, ექიმო!

აი, ეს იყო! მეტი არაფერი,

– მარია, ნუთუ...

არც კოცნა, არც მოხვევნა!

– ერთი მაინც გეკოცნა ჩემთვის,– ამოვილუღლუღე.

– რა დროს ეგ არის, ექიმო, ფრედი უგონოდაა.

– ჰო, მაგრამ აქ ვერ ვილაპარაკებთ. დაგვინახავენ. – უცებ გონება გამინათდა,– ნამომყევი, მე ვიცი, სადაც პირისპირ ისე ვისაუბრებთ, ხელს ვერავინ შეგვიშლის!

მარიას ხელში ხელი ჩავავლე და გავიყოლე.

მისი თბილი ხელისგული საოცარ ფლუიდებს აგზავნიდა ჩემს ძარღვებში. თავს ძლივს ვიკავებდი, მარიას არ დავძგერებოდი და იქვე რიყეზე არ მიმენვინა – ამდენი ხნის ნამარხულევი მამაკაცური ჟინი გონებას მაკარგვინებდა.

მარია საოცრად აღმაგზნებს.

ასე არც ერთ ქალს არ ავუღელვებივარ.

მასთან მთლად ჟინი ვარ, მამრი, პირუტყვი.

ნეტავ, რა ანდამატი აქვს ამ გოგოს!

ნამდვილი ეშმაკეულია და ეგაა!

მორნმუნე რომ ვიყო, პირჯვარს გარდავისახავდი, გადავაფურთხებდი და მარიას ას ნაბიჯზეც არ მივუახლოვდებოდი, როგორც ალქაჯს ან გრძნეულს, რათა არ მოვეჯადოებინე.

ჰო, ამას ვიზამდი, მორნმუნე რომ ვიყო.

რადგან თეთრად და შავად ქვეყნიერების გაყოფა იოლია.

იოლია ასე ცხოვრება.

როცა ყველაფერი დადგენილი, განსაზღვრული, რეგლამენტებულია...

მაგრამ ცივილიზებული ადამიანის გონება ასეთ მარტივ ნესრიგს ძნელად იყაბულებს.

ლომოური მართალია: კაენის შთამომავლები ვართ, რომლის გვარშიც ყოველი მეხუთე კაცი ცოდვილია...

უპირველესი ცოდვა კი შემეცნების დაუოკებელი ნყურვილია.

მინდა ჯურღმულში შევიხედო.

ადამიანის სულის ჯურღმულში.

ასე ყმანვილი იხედება ხოლმე კლდის ნაპრალში, სადაც გველგესლა ბუდობს, თუმცა ყმანვილმა ეს როდი იცის.

განსხვავება მოზარდსა და მამაკაცს შორის ცნობისმოყვარეობის ინტენსივობაა.

---

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა" №1, 2, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობ, როგორ გავბავშვდი.

ესეც ცივილიზებული ადამიანის სენია – უეცარი ხელოვნური გაყმაწვილება.

ჭეშმარიტი შემეცნების ნაცვლად ბავშვური ცნობისმოყვარეობა.

რადგან სიმართლე რუხი და უფერულია.

ამიტომაც ვიგონებთ ათასნაირ თამაშს თუ გასართობს.

სქესთა შორის ჭიდილიც ამნაირი თავშესაქცევია.

თანამედროვე ადამიანს სხვა სათამაშო აღარ შერჩა – ტექნიკურმა პროგრესმა მას შრომა გაუიოლა; ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება მისი გაზულუქებული ტვინისთვის მეტისმეტად ძნელი მოსანელებელია, ამიტომაც ასე ხალისით ეძლევა ადამიანი სქესობრივ ლაღობას.

შემეცნება ხალისს კლავს, ქალ-კაცური ტრფიალი კი ძალზე ხელმისაწვდომია.

თანამედროვეობამ ესეც გართობად აქცია.

ქალის სიყვარული ადვილად იშოვება, როგორც ფუნთუშა ან თუნდაც ფოჩიანი კამფეტი.

მაგრამ მე მეტი მსურს: მინდა მარიას ვუყვარდე!

ათასნაირი ქალი შემხვედრია, თუმცა არავინ ყოფილა მისებრ ბუნებრივი.

ყველას რალაც ბინი ეცხო, ცივილიზაციის ლაქა,– აღზრდის, ზნეობის, შთამომავლობითი ხინჯი, რაც ქცევასა თუ მოქმედებას უბორკავდათ.

მარია ყველანაირი პირობითობისაგან შეუზღუდავია.

ის ქარია, რომელსაც ვერ დაიჭერ, ან წყალი, თითებშორის რომ გაგეპარება.

მარია ძველ წარმართულ ქალღმერთებს მაგონებს – ორპირებს, ბოროტთ, შურისმაძიებლებს, დედალი ობობასავით ჯერ რომ მამრს დაარწყულებენ და მერე ცოცხლად შესანსლავენ.

მარია მთლად ატავიზმია, ბუნების პირველყოფილი სტიქია.

მე კი სასაცილო მიზანი ამომიჭრია გულში: თითქოს ამ სტიქიას დავიმორჩილებ.

* * *

ბაღს უკანა მხრიდან მივადექით. დავიხარე და გამომტვრეულ ლობეში გავძვერი. მერე მარიასაც ვუშველე.

– სადა ვართ? – მკითხა.

– ნუ გეშინია, ვერავინ მოგვაგნებს,– დავაიმედე და ქოხის კარი შევაღე. ვიცოდი, ინსპექტორი კარს არასოდეს კეტავდა,– შემოდი, მარია.

სიბნელეში ხელის ფათურით გამოჩორკნილ მაგიდას გვერდი ავუქციე და ხმელ ტახტზე დავჯექი, მარიაც დაჯდა.

ისევ მისი ხელი მოვძებნე, ჩავბლუჯე. მარია განზე გაიწია.

– მებუტები?

– ფრედი ცუდადაა, შენ კი... – საყვედურით მითხრა.

კბილები გავალრჭიალე. ის ბიჭი აქაც არ მასვენებდა, ჩემსა და მარიას შუა აჩრდილივით იდგა.

– რა ვუშველო, თუკი ჭკუა არ ჰყოფნის,– ვთქვი გაბრაზებით,– რამდენი ვეჩიჩინე, რომ იმ ტურტლიან მუშებს მოშორებოდა.

– რა ეშველება, ექიმო? – მარია უცებ მხარზე მომეკრო შეშინებულივით. ველარ მოვითმინე და ხელი მოვხვიე. მარია ისევ განზე გაიწია.

მეწყინა.

ეს გოგო მათამაშებდა, ძალზე ტლანქად მათამაშებდა!

ამ ღამით პირველად მივხვდი, რომ მარია ერთი უბირი სოფლელი გოგო იყო, მაგრამ მისი ტანის სიმხურვალე ჩემს მიხვედრას აქარწყლებდა.

როგორ მინდოდა ეს მწარე ნაზავი შემესვა – მათრობელა ბანგი.

ჯან-ღონით ავივსები-მეთქი, ვფიქრობდი.

მაგრამ მარია ისევ გამირბოდა.

ღლაბუცისა და ჯგვლემის შემდეგ, როგორც იქნა, თავი ავილაგმე (მევცდი!) და მარიას ზემორე ამბები მოვაყოლე, თუ როგორ დაიყოლია ფრედი ატენში ჩამოსულიყო.

არ გამიმხელია, რაც მის შესახებ ვიცი.

ჯაშუში რომ მგონია.

მარია ჯერ მძიმედ ლაპარაკობდა, მერე აჩქარდა, მდუმარედ ვუსმენდი. თურმე ყველაფერი ისე მომხდარა, როგორც მოვილაპარაკეთ: მარია იმდენს ეჩიჩინა ფრედის, დაიყოლია ბიძამისს შეხვედროდა, მაგრამ ბოლო წუთას, უკვე ატენში, ფრედის დანაპირები გადაუთქვამს და მუშებთან მისულა.

დანარჩენი მეც ვიცი.

– შენ სად იყავი, მარიამ, იმ დროს, როცა ფრედი გლეხებმა სცემეს? რატომ არ გამაფრთხილე?

– ვერ მოვახერხე. მამაჩემმა ჩამკეტა სარდაფში.

უსიტყვოდ ვუსმენდი.

სარდაფიდან უმცროს ძმას დაუხსნია, ვისაც ჩემთან ბარათი გამოატანა.

– ახლა რალა ვქნათ? – მკითხა და ისევ მხრით მომეკრო.

– ფრედის გადაეცი აქაურობას მოშორდეს, დღეს-ხვალ გამომძიებლები ამოვლენ გორიდან და კარგი დღე არ დაადგება. სიარული შეუძლია?

– საკაცით წავიყვანთ. ოღონდ სად?

– ატენს ზემოთ პატარა გამოქვაბულებია, სადაც სოფლელები სიცხეში სურსათს გრილად ინახავენ. იქ ეჭვს არავინ აილებს. თუნდაც ვინმემ დაინახოს, არა მგონია გასცენ. ყოველ შემთხვევაში, ორი-სამი დღე როგორმე გასძლებს, მერე კი რალაცას მოვახერხებთ.

– გმადლობ, ექიმო! – მარიას სუნთქვა უკვე ყურისძირში მელამუნებოდა. მერე მისი თითები შემომაცოცდა მხარზე. მე ისევ გარეგნულ სიმტკიცეს ვინარჩუნებდი. მარია მომეკრო, მომეხვია, კოცნა დამიწყო. მისი მოცილება მინდოდა, მაგრამ კოცნის სეტყვისაგან თავი ველარ დავიხსენი.

– ხვალაც მოხვალ? –ისლა ვკითხე, სანამ ლაპარაკი შემეძლო ვნებაგახელებულს, მაგრამ მარიას აღარაფერი უპასუხია და აღარც მე გამიმეორებია კითხვა, რადგან ამის დრო და ადგილი აღარ იყო – მარია ტახტისკენ მეზიდებოდა და მეც მივყევი, დავემორჩილე მდედრის მოწოდებას, რაკილა ჩვენს შორის ფრედის აჩრდილი აღარ იდგა.

* * *

მომდევნო დღეებში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა, თუკი ლომოურის ბაღში მარიასთან ჩემს ღამეულ შეხვედრებსა და სიეზმანთან რამდენიმე ვიზიტს არ ჩავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლით – მრეწველის ვარაუდი გამართლდა; გორიდან ორი გამომძიებელი ამოვიდა და დემონსტრაციის მონაწილე მუშები დაჰკითხეს. სამუშაო კაბინეტად რატომღაც მაიერის დუქნის უკანა ოთახი შეურჩევიათ, ალბათ იმის იმედით, რომ დუქნის მუშტრებისაგან რამეს შეიტყობდნენ. მორიგი შეხვედრისას მარია წვრილად მომიყვა, როგორ დაიბარეს ისიც დაკითხვაზე.

– რა გითხრეს?

– არაფერი, ძალიან თავაზიანად მექცეოდნენ.

– ფრედის შესახებ ხომ არაფერი უკითხავთ?

– მგონი, არც იციან, აქ რომ არის.

– გამოქვაბულში უცხო ხომ არ შეგიმჩნევიათ?

– არა.

– ფრედი როგორ არის, გამომჯობინდა?

– ალბათ ფეხით სიარულს შესძლებს.

– უთხარი, რომ მალე ვინახულებ. უნდა ველაპარაკო.

– როდის?

– როცა გამომძიებლები წავლენ.

ამ საუბრიდან მეორე საღამოს ატენში ლომოური გამოჩნდა და ჩემს განცხრომასაც ბოლო მოეღო. ინსპექტორი ჯერ მრეწველთან ვნახე, მაგრამ დალაპარაკება ვერ მოვახერხე, თუმცა მოგვიანებით შინ თავად მომაკითხა და დუქანში მიმიპატიჟა.

– რამდენი ხანია ერთად აღარ გვინადიმია, ექიმო! თქვენთან საუბარი მომენატრა. წამოდით, მამა-პაპურ ღვინოს ჩავუსხდეთ.

– სად მეპატიჟებით?

– დუქანში. განა არ იცით, რომ აქ ბინა არა მაქვს?

– თუ ეგრეა, ღვინო აქ გადმოვიტანოთ და...

– არა, არა! – ინსპექტორმა ხელმკლავი გამომდო,– იმან ხომ არ შეგაშინათ, დუქანში გამომძიებლები რომ სხედან?

– ვითომ რატომ უნდა მეშინოდეს?

– მართალი ხართ. თქვენ ხომ მხოლოდ საკუთარი სინდისი გაშინებთ.

– ვხედავ, მართლა მოგნატრებიათ საუბრები. კარგი, წავიდეთ.

დუქანში დიდხანს არ გავჩერებულვართ. თითო ხელადა ატენური დავლიეთ და მდინარის ნაპირას გამოვედით. სასიამოვნო, გრილი ღამე იყო.

– არაფერს მეტყვით, ექიმო? – ლომოური ტანასთან შედგა და ხელჯოხს დაეყრდნო,– როგორ ფიქრობთ, იმ ბიჭს გადარჩენის რა შანსი აქვს?

– რახან ყველაფერი წინასწარ იცით, ეგეც გეცოდინებათ. მე რატომღა მეკითხებით?

ინსპექტორმა გაიცინა და ხელჯოხი ქვას გაჰკრა.

– იქ იყავით?

– სად?

– აი იქ,– მან ხელჯოხი ტაძრისკენ გაიშვირა.

– მერედა, რა?

– არაფერი, ვფიქრობ, სწორად მოიქეცით.

– რას გულისხმობთ?

ლომოურმა წუთით იყუჩა, მერე ხელმკლავი გამომდო და ყურში ჩამჩურჩულა:

– როგორ გგონიათ, გამომძიებლებმა არ იციან, ფრედი რომ დემონსტრანტებთან იყო?

– არა მგონია. რატომ მეკითხებით?

– სიეზმანს ალბათ გვარიანი თანხის გაღება მოუხდება მათ გასაჩუმებლად, რათა ფრედის უტყუარი ალიბი შეუთხზან, თუმცა, ვფიქრობ, საბრალო ბიჭს ეს ვერ უშველის.

– ვერ გამიგია, რის შეტყობას ცდილობთ, ინსპექტორო.

ლომოურმა ხელი მიშვა და განზე გადგა.

– მალე აქ დიდი წმენდა დაიწყება,– თქვა მერე,– ფრთხილად იყავით.

– ეგ საიდანღა იცით?

– აკი გითხარით, ერთგული ჩიტი მყავს-მეთქი.

– მახსოვს, გაცნობასაც დამპირდით.

– ჯერ ადრეა, ექიმო. ჩემი გაფრთხილება კი გაითვალისწინეთ.

– ტყუილად მიშობთ, ინსპექტორო, თითქოს რამე ხიფათი მემუქრებოდეს. ყოველ შემთხვევაში, კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია.

როგორც სჩვეოდა, ინსპექტორმა უეცრად გაიცინა.

– თქვენ რა, მხოლოდ ადამიანურ კანონებს სცნობთ?

– ისევ თქვენებური დაიწყეთ?

– მე გაგაფრთხილეთ, ექიმო. ახლა თქვენ იცით. კარგად ბრძანდებოდეთ.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ლომოური სიბნელეში ჩაიკარგა, თითქოს არც არსებულიყოს.

* * *

დილით ტატომ შემომიარა. სიეზმანთან წავყევი. სასტუმროში ამჯერად გამომძიებლები დამხვდნენ, მრეწველმა კი, როგორც წინა შეხვედრაზე, გვერდითა ოთახის კარი შემილო.

– ვხედავ, მართლმსაჯულებას თქვენამდეც მოუღწევია, ავგუსტ იაგორის ძევ?

– ვიღაცამ ფრედი დააბეზღა. უნდა ვიჩქაროთ. სად დამალეთ?

ვუთხარი, სადაც იყო.

– დიდხანს იქ ვერ დავტოვებთ,– სიეზმანმა ოთახში გაიარ-გამოიარა და ფანჯარასთან შეჩერდა, -უნდა დამეხმაროთ, ექიმო! მე, რა თქმა უნდა, ვეცდები გამომძიებლები როგორმე დავიყოლიო, რომ ფრედის სახელი საქმიდან ამოიღონ, მაგრამ ამის შანსი არც ისე დიდია – ტფილისიდან ამბავი მომივიდა, რომ რევოლუციონერთა გამოაშკარავებით პეტერბურგში დიდად არიან დაინტერესებულნი; ასე რომ, ფრედი აქაურობას უნდა მოვაშოროთ. როგორც შევთანხმდით, თქვენ საბუთები გაამზადეთ, მე კი შეგატყობინებთ, როდის გავიყვანოთ ფრედი ატენიდან.

– თუ საიდუმლო არ არის, საით?

– ჯერ გორში, მერე კი, როცა ვითარება ცოტა ჩაცხრება, უცხოეთში,– სიეზმანი მომიახლოვდა და უეცრად ორივე ხელი მხრებში წამავლო,– ერთი რამ მინდა გთხოვოთ!

– ბრძანეთ. გისმენთ!

– ფრედის თან უნდა წაჰყვეთ.

– ვერ მიგიხვდით.

– იმ ბიჭს გვერდით სანდო და ერთგული ადამიანი სჭირდება,– სიეზმანს ხმა უთრთოდა,– თანაც თქვენ ექი-

მი ხართ, რომელ კლინიკაშიც უნდა მივიდეს, თქვენს სიტყვას ფასი ექნება. ხარჯზე ნუ იფიქრებთ. ყველაფერს მე ვიკისრებ.

– გასაგებია, მაგრამ მაინც რა ხანს გასტანს ჩემი მოგზაურობა?

– აკი გითხარით, როგორც უნდა მოვიქცეთ. ფრედის ჯერ გორში დავმალავთ, მერე ევროპაში გავიყვანთ. იქ კი რომელიმე პრესტიჟულ კლინიკაში დავუცდით სიტუაციის ცვლილებებს, სანამ დაჭერების ტალღა გადაივლის და ფრედის ისევ შეეძლება ატენში დაბრუნება, ან იქნებ ჩემს სამშობლოშიც გავგზავნო. იქ უფრო უხიფათოდ იქნება.

– გამოდის, ფრედის კომპანიონობას მთავაზობთ?

– რაც გნებავთ, ის უწოდეთ, ექიმო: კომპანიონი, უფროსი მეგობარი, მასწავლებელი თუ მხსნელი.

– კარგით, თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით!

– რა პირობით? – მრეწველმა ხელი მიშვა და უკან დაიწია.

– ფრედის სანდო ადგილას დავაბინავებთ თუ არა, მე თავისუფალი ვარ.

– დიახ, რა თქმა უნდა,– წაიბუტბუტა მასპინძელმა.

– მის გიჟად ცნობაზეც უარი უნდა ვთქვათ.

– ჰო? – მრეწველმა თავი გადახარა და გვერდულად მომაჩერდა,– არგუმენტი?

– ეს ფრედის ფსიქიკას შეარყევს. ცოდოა.

– ეგრე იყოს. კიდევ?

– ჰონორარს არ გამოგართმევთ.

სიეზმანმა თავი აილო და პირისპირ შემომხედა.

– ალტრუისტი ხართ? თქვენ ხომ დრო და ენერგია უნდა დაკარგოთ, სანამ ფრედის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ევროპაში ეს მიღებული არ არის.

– ქართველებს ასე გვჩვევია, ავგუსტ იაგორის ძევ! მართალია, კავკასია ჩამორჩენილი მხარეა, მაგრამ მეგობრობას ფულზე არ ვყიდით.

– თქვენ ფრედის მეგობარი ხართ?

– მან მე მიმილო და მენდო. ამიტომ ვერ ვუღალატებ.

– გასაკვირია,– მრეწველი ისევ პირისპირ მედგა, – როგორც გენებოთ, ექიმო!

– გორში რა საშუალებით წავიყვანთ?

– მემანქანე ბრიანსკის ვეტყვი, ღამით ორთქლმავალი მზად ჰქონდეს. სანდო კაცია. არ გვიღალატებს.

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, მომავლის გეგმა დავაზუსტეთ და მრეწველს გამოვეთხოვე. ისე იყო, თითქოს კანი მევიწროებოდა და სხეულში ვერ ვეტეოდი. რას მიმზადებს ხვალინდელი დღე?! ვხვდები, რაღაც უნდა მოხდეს, რაც ჩემს ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლის, და ეს ცვლილება ფრედის უკავშირდება – შემთხვევით თუ ჩემთვის უცნობი განგების ნებით, მე ფრედის გვერდით უნდა ვიყო. მსურს კი ეს? ბუნდოვანი, გაუცნობიერებელი მიხვედრა მკარნახობდა, რომ გზაჯვარედინზე მდგარს არჩევანი უნდა მომეხდინა, საით წავსულიყავი, მაგრამ იყო კი ეს ჩემი არჩევანი? თუ აქეთკენ ვილაცის ნებას მივყავდი? ფრედის და ჩემი გზები უცნაურად გადაიკვეთა და ამაზე ფიქრი არ მაწყენდა, თუმცა ამის დრო არ იყო – უნდა მეჩქარა.

* * *

მარიას ველარ ვხვდები – ლომოური ქოხში ზის და ფეხს არ იცვლის, სხვაგან შეხვედრა კი უაზრობაა, რადგან ატენი პოლიციელებით და გადაცმული ჟანდარმებით გაივსო. ამის გამო ფრედი ერთხელაც ვერ ვინახულე, თუმცა რამდენჯერმე ამ მიზნით სოფელი გავიარე და გამოქვაბულებისკენ ავილე გეზი, მაგრამ იქამდე თითქმის მისული უკან ვბრუნდებოდი, არა მარტო იმის შიშით, რომ მითვალთვალებდნენ, არამედ იმის გამოც, რომ ფრედისთან შესახვედრად მზად არ ვიყავი.

მართლაც, რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის?

ფრედი სხვა სამყაროში ცხოვრობს, მე სხვაში.

ეს ორი სამყარო ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდება.

მაშ, რატომღა ავიჩემე, რომ ჩემი და ფრედის ურთიერთობა ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაზე მეტია?

არ ვიცი, ოღონდ ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობა მეტია, ვიდრე ამას პროფესიული დამოკიდებულება იტევს.

ადამიანი უნდა დაინახო.

მე კი მხოლოდ ექიმის მოვალეობას ვასრულებდი აქამდე.

ადამიანი ჩემთვის კვლევის ობიექტი იყო.

დღეს კი პირველად მივხვდი, რომ ის, უპირველესად, ადამიანია – სუსტი, უმწეო, ცხოვრებისაგან გასრესილი და ხსნის მაძიებელი.

ყველანი ერთნი ვართ.

შესაძლოა, ზოგს ისე ეჩვენება, თითქოს სხვა ადამიანი უცხოა, მაგრამ ერთნი ვართ.

რა გვიშლის ხელს, ეს დავინახოთ?

იქნებ ის, რომ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენც სუსტნი, უმწეონი, ცხოვრებისაგან გასრესილნი და შვების მაძიებელნი ვართ.

ამიტომ აღმართულა ჩვენს შორის უნდობლობის კედელი.

ვერ ვიტყვი, რომ ამას ფრედიმ მიმახვედრა – ის დამეხმარა, მივმხვდარიყავი, როცა ჩვენი სავალი უცნაურად გადაიკვეთა.

ფრედის ადგილას შესაძლოა სხვა ყოფილიყო – უფრო ჭკვიანი ან უფრო სულელი; გულმართალი ან ტლუ, კაცი ან ქალი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქართველი თუ რუსი, ან თუნდაც ჩინელი ან ავსტრალიელი აბორიგენი.

ვინმე ადამიანი.

იქნებ ადამიანიც არა – ვისაც თვალი აქვს, დაინახავს და ვისაც ყური აქვს, გაიგონებს.

ხე, ქვა, ჩიტი, ღრუბელი და ვარსკვლავებიც ჩვენი მასწავლებლები არიან.

ეს ვიცოდი.

ოღონდ გადამავიწყდა და ვერ შევნიშნე, რომ გადამავიწყდა.

უნდა გავიხსენო.

ქვეყნიერებასა და ჩემს შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გაიდოს.

აქამდე მეგონა, ხიდი მარია იყო, ახლა ვიცი – ფრედიც ხიდია.

ათასი და ათიათასი ძაფით ვუკავშირდებით სამყაროს.

ერთიც რომ გაწყდეს, დავილუპებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ არის აპოკალიპსური შიში – ეს ფაქტია.

და დღეს მე ამ ფაქტს ისე ცხადად და მკაფიოდ ვხვდები, როგორც არასოდეს.

* * *

ზოგჯერ ლომოურს შევუვლი ბაღში, ძველებურად ვსაუბრობთ თუ ვკინკლაობთ, თუმცა ინსპექტორი შეცვლილი მეჩვენება, თითქოს დადარაჯებულია და რაღაცას აყურადებსო. უწინდებურად რიხით აღარ ისვრის ტირადებს, ვარაუდებშიც უფრო ფრთხილი და მოზომილია; როგორც სჩვევია, თავსაც აღარ მესხმის. ცინიკოსის ნესტარი გადააგდო თუ დამალა, და დიალოგიც უფრო გვიადვილდება; ლამის არის, მისი კეთილმოსურნეობა საბოლოოდ დავიჯერო.

– აბა, ექიმო, როგორ არის საქმე, მზად ხართ ცვლილებებისათვის?– მეკითხება და თან თავის განუყრელ ჭიგოებს თლის ნალდით პომიდვრებისათვის,– აქ კიდევ დიდხანს დარჩებით?

– თავი მოგაბეზრეთ, თუ საკამათოდ ვინმე სხვა იშოვეთ, ინსპექტორო?

ლომოური გაიღრიჯა.

– ეე, ექიმო, ხუმრობა დაგვინყებიათ და ეგ არი! ვერ მიხვდით, რომ თქვენი მდგომარეობის უცნაურობაზე მიგანიშნებთ?

– ვითომ რატომ არის ჩემი მდგომარეობა უცნაური?

ინსპექტორმა ნალდი გადააგდო და მუხლებიდან ბურბუშელა გადაიბერტყა.

– ფრედი სად გადამალეთ? – მკითხა უცებ.

– გადავმალე? რა იცით, რომ ფრედი აქ იყო?

– მთელი ატენი ამაზე ჭორაობს. ფრთხილად იყავით.

– საფრთხილო რა მაქვს, როცა ფრედი არ მინახავს.

– გამოტყდით, ექიმო, რომ არ მენდობით! მე კი დანამდვილებით ვიცი, რომ ფრედი თქვენ გადამალეთ.

– ეს ამბავი ასე რად გაინტერესებთ?

– მეც მეხება და იმიტომ.

– ნუ მაცინებთ, ინსპექტორო! თქვენ რაღა შუაში ხართ! თუ რევოლუციონერებს თქვენც თანაუგრძნობთ?

– როცა დიდი ცვლილებების ჟამია, განზე ვერავინ დარჩება. ასე რომ, ტყუილად გგონიათ, თითქოს ვინმე, მათ შორის თქვენც და მეც, გულგრილი მაყურებლები ვიყოთ.

– რა ცვლილებებს გულისხმობთ? ხომ არ დაბერდით, ინსპექტორო? ასაკმა სენტიმენტალობა იცის,– ვცდილობ, ღიმილი შევიკავო, რათა მასპინძელი არ გავანაწყენო.

– მიჯნას მივადექით, ექიმო. უნდა გადავწყვიტოთ, საითკენ წავიდეთ! თუ თქვენ ეს უმნიშვნელო რამ გგონიათ?

– არ მგონია, ოღონდ, გეთაყვა, ხომ არ დამიზუსტებთ, რისი თქმა გნადიათ?

– სიამოვნებით! – ინსპექტორმა ხელისგულები შარვალზე შეიწმინდა და სქელი კისერი ჩემკენ მოღრიჯა,– დღემდე არსებული ყველა საზოგადოებრივი ფორმაცია თუ სახელმწიფო წყობა მოძველდა და უვარგისია. თუ გადარჩენა გვინდა, რამე უნდა ვიღონოთ.

– არა, ნამდვილად რევოლუციონერი გამხდარხართ! – სიცილით შევაწყვეტინე, მაგრამ ინსპექტორს ჩემი შენიშვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

– გეუბნებით, ახალი კაცობრიობა უნდა შევქმნათ-მეთქი.

– ფრედი ხომ არ გყავთ ნიმუშად? თუ კომუნიზმი უფრო გესალბუნებათ?

– არც ერთი და არც მეორე. პირველი უკვე წარსულს ეკუთვნის, მეორეს კი მომავალი არა აქვს.

– იქნებ დაწვრილებით ამიხსნათ.

– ღმერთის რწმენასა და თეოლოგიაზე დამყარებული ადამიანთა ერთობა, მართალია, სხვა ფორმაციაზე მეტ ხანს სძლებს, მაგრამ ადამიანს აკნინებს,– ადუდღუნდა ინსპექტორი,– ღმერთის იდეას ვერ მივიღებ. ეს ჩემს ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება, რადგან თავისუფლებას მიზღუდავს. ის ფაქტი, რომ ღმერთი შესაძლოა მოწყალე იყოს, შეურაცხმყოფს.

– კარგით, ამას მოვეშვათ, მაგრამ კომუნიზმს რაღას უწუნებთ?

– ეჰ, ექიმო, კუჭის გაძღომაზე გადაგებული ადამიანი რას ემგვანება, თუ იცით? თანაც, ვთქვათ, და ესეც ავისრულეთ და დედამიწაზე მშიერი აღარავინ დარჩა, რა გგონიათ, ამით ადამიანის ბუნება შეიცვლება? ერთისგან მეორის ჩაგვრა, ტაცება, ექსპლუატაცია მოისპობა?

– მარქსისტებს აკი ამის იმედი აქვთ.

– ადამიანის მხეცურ ბუნებას არ იცნობენ და იმიტომ. აგრესია ადამიანთა სახეობას გადაშენებით ემუქრება. როგორ გინდათ, ეს ჭირი მოვკვეთოთ?

– თქვენი აზრით, რა უნდა ვქნათ, ინსპექტორო? საშველი არ არის?

ლომოურს თვალის კილოები დაუვიწროვდა და ეგრე შემომაჩერდა.

– მე კი მეგონა, თქვენ მეტყოდით ამას,– თქვა და თვალები აახამხამა,– მეგონა, იცოდით, ექიმო!

– რა შემატყვეთ? საიდან უნდა მცოდნოდა?

– მაშ, იმ ბიჭს რისთვის დასდევთ უკან? ფულის გამო? რომ მრეწველს ბევრი ჰონორარი დააყრევინოთ?

– აკი ადრეც გითხარით, პროფესიულ მოვალეობას ვასრულებ-მეთქი.

– სულ ეგ არის? – ლომოურს იმედგაცრუება აესახა წარბებზე,– არ მჯერა, რომ თქვენებრ გონიერი კაცი ამ ამბიდან სხვებისთვის საინტერესო დასკვნას არ გამოიტანს.

– რას ელოდებით, ინსპექტორო! ფრედი ხომ ჭკუასუსტ და შერეკილ ვინმედ მიგაჩნიათ? რაღა იმედი გაქვთ?

– სამაგიეროდ, თქვენ ხართ ჯანსაღი,– თქვა ლომოურმა და მზერა მომაცილა,– ჩვენი შეთანხმება დაგავიწყდათ? ხომ დავთქვით, რომ ერთმანეთს ვენდობით?!

– მე მგონია, პირობა არ დამირღვევია.

– მაშ, რატომ არ მიმხელთ, რა გაქვთ განზრახული?

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ მიგიხვდით.

ლომოური შეინძრა და გაიცინა.

– სიეზმანზე თქვენ უკვე იმხელა გავლენა გაქვთ, რომ იმას გააკეთებს, რასაც ეტყვით. რატომ არ იყენებთ ამ ზეგავლენას?

– როგორ, რანაირად? რისთვის?

– ადამიანთა ახალი თემის შესაქმნელად,– ინსპექტორი კვლავ მზერადახრილი იჯდა და უცებ შემეშინდა, ისე-

თი მუქარა იგრძნობოდა მის უზარმაზარ ფიგურაში, თითქოს რომელიღაც პრეისტორიული ცხოველი ამეტყველებულიყოს,– მე და თქვენ შეგვეძლო, ექიმო, აქ პატარა ექსპერიმენტი მოგვეწყო.

– თქვენ რაო, მეხუმრებით, ინსპექტორო?

– სრულებითაც არა. თქვენ მომენტის სიმწვავეს ვერ გრძნობთ,– ლომოური თანდათან ღიზიანდებოდა,– გაიხედეთ რა ხდება ევროპაში, რა ხოცვა-ჟლეტა და ნადგურისცემა გვიახლოვდება. მსოფლიო მმართველობის სადავეები ქრისტიანმა ხალხებმა ჩაიგდეს ხელთ. ჰოდა, ევროპული ბურჟუაზია ამოგვჭამს.

– მე თუ მკითხავთ, ევროპა არც როდის ყოფილა ქრისტიანული, ისევე როგორც ჩვენ – ქართველები თუ კავკასიის სხვა ხალხები, ან თუნდაც რუსები.

– მეც მანდა ვარ, ექიმო! აკი გითხარით, თეოლოგიური საზოგადოება დედამიწის ჭირია-მეთქი. ევროპა იმდენს იზამს, აპოკალიპსს მართლა მოიახლოვებს.

– მაშ, გამოდის აღმოსავლეთს უნდა მივეკედლოთ?

– აღმოსავლეთიც ისეთივე გულქვა და ხარბია, როგორც ევროპა, თანაც უფრო ბნელი. გაიგეთ, ექიმო, რომ ერთ რომელიმე ნაციაზე ან ხალხთა ჯგუფზე ყურადღების შეჩერება დამღუპველი შეცდომაა, რადგან ახალ პურს ძველი ფქვილისგან ვერ მოზილავ. ახალი ადამიანი გვჭირდება.

– მერედა სად იპოვით ამ ახალ ადამიანს, ინსპექტორო? ჰომონკულუსივით სინჯარაში ხომ არ გამოიყვანთ?

– გეტყვით, ექიმო! პრობლემა ადამიანის ბიოლოგიური ან ფსიქიკური ცვლილება როდია, მთავარია, ჩვენი მახსოვრობა წაიშალოს და ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ.

– როგორ?

– ისტორია დღემდე შეცდომით ვიდოდა. ჩვენ ეს უნდა გამოვასწოროთ და წარსულისგან განვთავისუფლდეთ, თორემ კეთილისა და ბოროტის გარჩევის მაცდუნებელ კამათში გავიხლართებით და ქაოსი ისევ გარდაუვალია.

– კეთილი! დავუშვათ, მართალი ხართ, მაგრამ პრაქტიკულად ეს როგორ წარმოგიდგენიათ?

– არ ვიცი,– დაღვრემით მომიგო ლომოურმა,– მე თქვენი იმედი მქონდა, თქვენ კი, როგორც ჩანს, ამ საკითხზე არ გიფიქრიათ. სანყენია, ძალიან სანყენი!

მართლაც უცნაური ვინმეა ეს ინსპექტორი!

დღეს ისიც სხვა მხრიდან დავინახე.

ნუთუ ინსპექტორიც ხიდია?!

ამაზე არასოდეს მიფიქრია.

არადა, არ მაწყენდა.

* * *

ბარათი მოკლე იყო, მაგრამ მეტყველი:

„ბარაკებთან მოდი, მივდივართ".

ვიცვამ და მივდივარ.

იმაზე არ მიფიქრია, თუ ვინ შეატყობინა მარიას ჩვენი ნასვლის ამბავი.

ალბათ უფროსმა ბრიანსკიმ.

დამავიწყდა, თუ ვცდილობ დავივიწყო, მარია ჯაშუში რომ მგონია.

ჩემი ვარაუდი ასეთია: სიეზმანმა მემანქანე გააფრთხილა, იმანაც მარიას უთხრა – ამჯერად სარდაფში არ ჩაუმწყვდევია.

ბარათი მარიას უმცროსმა ძმამ მომიტანა.

მეკითხა მაინც, მართლა დაამწყვდია თუ არა მემანქანემ გოგო?!

არა, არ ივარგებს.

ასე ყველაფერი გამოაშკარავდება.

თანაც ჩემი ეჭვიანობაც გამჟღავნდება.

ნუთუ ვეჭვიანობ?

მაშ, გული ასე რატომ მიხტის და ფეხიც უკან მრჩება?!

ფრედისთან შეხვედრას ვაყოვნებ.

რას მეტყვის ან რას ვეტყვი?

ბნელში მივიკვლევ სავალს.

როგორც იქნა, ბარაკებთან გავედი.

მარია იქ მელოდება.

სიტყვის უთქმელად ვცდილობ მოვეხვიო, მაგრამ გოგომ მომიცილა.

სოფლიდან გავდივართ.

მთვარე არ ჩანს და ხელის ცეცებით გვიხდება სიარული. მარიას ნავთის ლამპა ნამოულია. როგორც კი ატენს გავცდით, აანთო და წინ მიმიძღვის.

აღმართზე მივიწევთ.

გრილი ღამეა, რალაც სუსხიც კი დაჰკრავს, ისე როგორც ჩემსა და მარიას შორის განოლილ მდუმარებას.

თითქმის უბრად მივდივართ.

მარტო უმნიშვნელო ნვრილმანებზე თუ დაველაპარაკებით ერთმანეთს.

ფრედი როგორ არის-მეთქი, ვეკითხები. სიარული თუ შეუძლია?

–ჩვენ დავეხმარებით,– იყო პასუხი.

ალარაფერი მითქვამს.

მარია ლარტაფში დაეშვა და გამოქვაბულს მივადექით.

– გამოიყვანე, მე აქ დაგიცდი! – ვუთხარი მარიას.

ვცდილობ, შეხვედრა გადავავადო.

– თქვენც უნდა მომეხმაროთ, ექიმო! – ჯიუტობს მარია.

მაინც არ შევყევი.

ნეტავ, რას მეტყვის ფრედი?

ნუთუ იქ, ტაძართან, დამინახა?

დამინახა, რომ არ მივეშველე?!

სულმოკლეობა გამოვიჩინე.

მრცხვენია.

მერე ლომოური მახსენდება და სირცხვილს უკუვიყრი: ბოლოსდაბოლოს, ყველა კაცს თავისი გზა აქვს. ყველას ვერ დაეხმარები, მით უმეტეს, თუ მის ცხოვრებისეულ კრედოს არ იზიარებ.

მაგრამ მე ხომ ფიცი მაქვს დადებული.

ჰიპოკრატეს ფიცი.

პროფესიული მოვალეობა დავივიწყე.

თუმცა მე აღარა ვარ ექიმი, ან, უფრო სწორად ,მარტო ექიმი აღარა ვარ.

მე ადამიანი ვარ – სუსტი, უმნეო, ცხოვრებისაგან გასრესილი და ხსნის მაძიებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ ეს მამართლებს?!

ლომოური მართალია: დღემდე კეთილისა და ბოროტის მაცდუნებელ რჩევაში ვართ და ეს ხელ-ფეხს გვიბორკავს.

რომ შემეძლოს, ყველაფერს თავიდან დავიწყებდი.

როგორც მან მითხრა.

იქნებ არც ახლაა გვიან?

იქნებ ექსპერიმენტი ჩემგან დაიწყო?

მით უმეტეს, რომ ფრედი აქვეა და მე მონანიების შანსი მეძლევა.

აკი მრეწველსაც დავპირდი, ფრედის ვუერთგულებ-მეთქი.

რა უცნაური სიტყვაა „მონანიება?"

არ ვიცი, ვის წინაშე უნდა მოვინანიო.

ან რა?

მგონი, ეს არც არავინ იცის.

ამ წუთას მხოლოდ ის ვიცი, რომ ფრედი ხე-ტყის სანყობებამდე უნდა ჩავიყვანო და მერე ორთქლმავლით გორში ჩავაღწიოთ.

იქიდან ჩემი ცხოვრება შეიცვლება.

უკეთესისკენ თუ უარესისკენ?

არც ეგ ვიცი.

ცვლილება მწყურია.

ამ შეხუთულ გარემოში ველარ ვეტევი: უნდა გავიჭრა, ვიმოძრაო, სულ ერთია, საით და როდემდე, თორემ დავხავსდები და დავკნინდები.

ძალას ვგრძნობ.

უნდა გავიჭრა.

როგორც მთიდან დაგორებული ლოდი, რადგან ქვათა გაბნევის ჟამი დამდგარა.

პერიპეტია!

ანტიკურ ტრაგედიაში ასე ჰქვია მომენტს, როცა გმირი ხვდება, რომ მთელი მისი ცოდნა ამიერიდან უსარგებლოა.

უნდა გავიჭრა.

თუ ეს ჩემი მორიგი გაქცევაა?!

მთვარემ გამოანათა ღრუბლებიდან და მის შუქზე გამოქვაბულიდან გამოსული ფრედი დავინახე: არამიწიერ ლანდს ჰგავს, თითქოს გამაღლებულა.

თუ ნაჩრდილი აძლევს ასეთ სიმაღლეს?!

ერთმანეთს ხელი უბრად ჩამოვართვით.

მერე მარია ისევ წინ გაგვიძღვა ლამპით ხელში, მე კი ფრედის შევუდექი მხარში.

ღარტაფიდან ნელა ამოვედით.

არ ვიცი მარიამ რა უთხრა ისეთი, რომ ფრედი ასე უცებ დაიყოლია.

იქნებ ბიჭი სიეზმანმა შეამზადა წინასწარ?

არ მინდა ვიცოდე.

კარგი იქნება, თუ ფრედი საერთოდ არაფერს მკითხავს.

ასე უკეთესია.

აღარც ფრედი განამდება ეჭვებით და მეც მონანიება გამიიოლდება.

რაც მთავარია, მარია ვერაფერს გაიგებს.

ჩემს სულმოკლეობას ვერ შეიტყობს.

მე კი ის მეგონა ჯაშუში.

ნელა ვეშვებით სოფლისაკენ.

სახლებში შუქი დამქრალია; მარტო ტაძრიდან გამოდის სანთლების ალი.

ფრედი ჩუმადაა.

ნეტავ, ხმა არც გაილოს!

– გმადლობთ, ექიმო,– ამბობს მაინც.

მემადლიერება, რომ ვეხმარები.

შენთან ვარ-მეთქი, ვპასუხობ.

– მართალი იყავით, ექიმო,– აგრძელებს ფრედი,– ადამიანს ხშირად ვერ ენდობი. ვიცოდი, ვილაც მაინც გამცემდა.

მე რატომღა მენდე-მეთქი, ვეკითხები.

– თქვენ ხომ ჩემი გესმით,– ამბობს რწმენით,– მიხვდით, რომ სიმართლეს ვემსახურები. ვფიქრობ, ამიტომაც ხართ აქ.

რა ვუპასუხო?!

ბედად, მარიამ მიხსნა: ლამპა ჩააქრო და მოგვიახლოვდა.

– აქედან უშუქოდ უნდა ვიაროთ,– თქვა და ისიც ფრედის შეუდგა მხარში.

ვეშვებით.

დროდადრო ფრედის მხარზე ხელს გადავხვევ და მარიას მკლავს ვნვდები, ვითომ შემთხვევით ველამუნები.

რა უცნაურად შეგვყარა ბედმა თუ შემთხვევითობამ?

ორი მამაკაცი და ერთი ქალი...

რიგითი სასიყვარულო სამკუთხედი.

მძულს ბანალური სიტუაციები.

მაგრამ ამ ღამეს რაღაც დამემართა.

სიძულვილი და ეჭვიანობა გამიქრა.

ვიცი, ფსიქოლოგიის ენაზე ამას რაც ჰქვია.

მაგრამ ამის დრო არ არის.

ამაზე ხვალ ვიფიქრებ.

ამაღამ კი ფრედი უნდა მივიყვანო ხე-ტყის სანყობებამდე.

აქ უნდა შევჩერდეთ, სანამ მემანქანე ორთქლმავალს აამუშავებს.

კარი სიეზმანისაგან მოცემული გასაღებით გავაღე და ფრედი სანყობში შევიყვანეთ.

მერე მარია მემანქანესთან გაიქცა.

მე ფრედისთან დავრჩი ფარდულში.

ღამე უგზო-უკვლოდ სიარულმა მოქანცა ბიჭი. ნახერხზე ჩემი სერთუკი დავუფინე და ფრედი დავაწვინე – სანამ მარია გამოჩნდება, ცოტა დაისვენოს.

– აქ იყავი, ფრედი, ნუ გეშინია. მე გარეთ გავალ, გიყარაულებ,– ვუთხარი და სანყობიდან გამოვედი. ცას ავხედე.

მართლა უცნაური იყო ეს ღამე.

იქ, შიგნით, ფარდულში იწვა ბიჭი, რომელიც არარაობიდან გამომეცხადა.

ის მიხმობს.

უცხო, შეუცნობელი ჰორიზონტებისაკენ.

თუ ჩემი ორეული მეძახის და მეწევა იქითკენ?

ჯერ კიდევ მაქვს დრო და ხანი, დავფიქრდე.

დაპირება დაუფიქრებლად გავეცი.

რაღაცამ ამამჩატა.

ეგეც არ იყოს, რა შეიცვლება მას შემდეგ, ფრედის რომ გავყვები?

მხოლოდ ჩემი ფინანსური მდგომარეობა.

რადგან მრეწველი ფულით ამავსებს. თუ ცოტა ფხასაც გამოვიჩენ, შესაძლოა საქმეშიც შემიყვანოს პარტნიორად – ფრედის მეტი ხომ ნათესავი არ ჰყავს, ბიჭს კი პრაქტიკული ჭკუა აკლია.

ასე, რომ, წარმატებული კარიერა მელის.

ევროპაში სამედიცინო ოლიმპისკენ გზას გავიკვალავ.

იქ იოლია სამეცნიერო ხარისხის მოპოვება.

სიეზმანს უამრავი ნაცნობი ჰყავს, არისტოკრატიულ სალონებში მომიხდება ტრიალი, ლაღ, უპრობლემო გარემოში, ფუფუნებითა და კომფორტით განვისვენებ.

თეორიულ მედიცინაშიც ვიმუშავებ და პრაქტიკულშიც.

როგორც მომესურვება.

აი, რა გზა მელის!

მაშ, რაღად ვაყოვნებ, რაღად ვჭმუნავ?

ფრედი მეუცხოვება.

ესეც და მარიაც.

ჩვენ სხვადასხვანი ვართ.

ამ ღამით პირველად ვიგრძენი, რა ძნელია ადამიანს გაუგო.

ჩვენ უცხონი ვართ.

იქნებ ეს არც გვინდოდეს, მაგრამ გაუცხოების თესლი ღრმად არის ჩავარდნილი ჩვენს სულში...

ახლა ამ თესლმა იხარა...

გაღივდა...

მთვარე ისევ შეიმალა ღრუბლებში და ბნელი ჩამოწვა. წინ და უკან დავდიოდი ფარდულის სიახლოვეს, მარიას ველოდი.

ნეტავ, არ მოვიდოდეს!

მზერა ისევ ცას დავატაკე და უცებ ამ აზრმა გამიელვა: უნდა წავიდე, მოვცილდე აქაურობას!

პირობა შევასრულე, ან სანახევროდ შევასრულე – ფრედის ხიფათი აღარ ემუქრება. ბნელი ღამე იფარავს ჟანდარმერიის თუ პოლიციის კლანჭებისაგან. სადაცაა მარია მოვა. ფრედის იმდენი მაინც შეუძლია, ორთქლმავლამდე მიაღწიოს.

მერე ველარავინ მიეწევა.

სიეზმანმა მითხრა, გვერდით ერთგული და სანდო კაცი სჭირდებაო.

ეგონა, რომ მე ვიყავი ეს კაცი.

მე კი ფრედის ერთხელ უკვე ვუღალატე.

რა გასაკვირია: მე ხომ ჩემივე თავსაც ხშირად ვღალატობ!

ამიტომ ვერ გამოვდგები ეტიკად.

უნდა წავიდე.

სხვა ცხოვრება მეძახის – იქნებ უფრო მწირი და უფერული, ვიდრე ფრედისთან ერთად მელოდა, მაგრამ ჩემი, საკუთარი.

მეყო სირბილი და აქეთ-იქით ხეტიალი.

მიწაზე მყარად უნდა დავდგე.

უნდა წავიდე.

საით?!

ჯერ არ ვიცი, მაგრამ აქაურობას უნდა მოვშორდე – ახლავე, ამ წუთას.

თითქმის სირბილით მოვცილდი ფარდულს, რომ აღარავის შევეჩერებინე. მეგონა, ვინმე გამომიდგებოდა და კალთაზე დამწევდა, მაგრამ ადამიანური ყოფის ტრაგიზმიც ეგაა – როცა გადამწყვეტი ჟამი დგება, ჩვენი სინდისი დუმს.

სინდისი?

ლომოური კიდევ ერთხელ მართალია: სიკეთისა და ბოროტების მაცდუნებელ რჩევაში არ უნდა გავიხლართოთ.

სინდისიც მირაჟია – ხელ-ფეხს გვიბორკავს.



მხატვარი აიჟენგო ჭელიძე

იმ ღამით ქვეყნიერებასთან დამაკავშირებელი ერთი ძაფი განყდა, მაგრამ არ შემიმჩნევია.

უკანმოუხედავად ვილტვოდი ფარდულისგან, სადაც ფრედი იწვა და ასე ვირბენდი ქვეყნის კიდემდე, რაღაც ხმაურს რომ არ შევეყენებინე.

ადამიანის ნაბიჯების ხმაა.

ალბათ მარია დაბრუნდა.

მაგრამ არა – ერთი კი არა, მრავალი ადამიანის ფეხის ჩქამი ისმის.

ლითონის წკრიალიც.

ფარდულს გავხედე.

ვიღაცის ლანდები გარს ერტყმიან საწყობს. სწორედ ამ დროს მთვარემაც გამოანათა და პოლიციის სამოსლიანი ხალხი დავინახე.

26020

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ?!

ნელში მოხრილი ვუახლოვდები ფარდულს, მინდა ვიყვირო და ფრედი გავაფრთხილო, მაგრამ ცხვირწინ ლანდები ირევა და ვდუმდები. სანყობის წინ თანდათან მეტი პოლიციელი იყრის თავს. მთვარის შუქზე ელავს მათი ხმლების ქარქაშები და ისმის ჩექმების ბაგუნი. ბოლოს, ღამეში მოკლე ბრძანება გაისმა და რამდენიმე პოლიციელი კარს ეკვეთა.

კარი შეზანზარდა.

ალბათ, ფრედიმ ხმაური გაიგონა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

პოლიციელები მხრით აწვებიან კარს, უნდათ შელეწონ, მაგრამ კარი არ ნებდება.

ნეტავ, მარია არ მოვიდეს!

გულუბრყვილო იმედი მიჭიატებს ჩემი გონების ბნელ კუნჭულშიც; იქნებ ფრედიმ მოახერხოს უკანა ფანჯრიდან გადაძრომა და თავს უშველოს.

ამაო იმედია, რადგან სანყობი უფანჯროა.

პოლიციელებს ვილაც კაცი მიუახლოვდა. როგორც ჩანს, მათი წინამძღოლი და შეაჩერა ისინი.

ეპოლეტები ბრჭყვინავს შორიდან.

კაცმა ხმლის ყუით კარს დაუკაკუნა და რალაც შესძახა ფრედის.

სიჩუმე ჩამოვარდა.

წინამძღოლმა შეიცადა და ისევ დააკაკუნა ხმლის ყუით კარზე.

ისევ დუმილი.

კაცი უკუდგა და პოლიციელებს ანიშნა, კარი შელეწეთო.

კარის წირთხლებზე დაცემული ქუსლების ბაგუნი არღვევს ღამის მყუდროებას და მეჩვენება, რომ ეს ერთხელ უკვე მოხდა, რომ რალაც განმეორდა თუ გასამდა, და რომ არაერთხელ შევსწრებივარ ამგვარ ამბავს – დევნილისა და მდევრის შეჯიბრს. მე კი ყოველთვის შორიდან ვუცქერდი ნადირობას.

კარი ზანზარებს.

ნეტავ, მარია არ მოვიდეს!

ის მაინც გადარჩეს!

ანჯამები ჭრიალებს, სადაცაა კარი დამორჩილდება უხეშ ძალას და გაიღება.

რადგან ამქვეყნად ყოველი კარი იღება და ყოველი საიდუმლო იხსნება.

ჩქარა მაინც მოხდეს, რაც მოსახდენია!

ბოლოსდაბოლოს, ფრედის არც იმდენად მკაცრი სასჯელი ელის – ის ხომ არც ბუნტისთავია და არც რევოლუციონერი, ბიძამისის ყოვლისშემძლეობა და სიმდიდრე კი კანონის სიმკაცრისაგან დაიხსნის.

ვინ იცის, იქნებ ეს უკეთესიცაა – ბიჭი გამოფხიზლდება, ცხოვრებას რეალურად შეხედავს, უფრო დაჭკვიანდება და საზოგადოების სასარგებლო წევრიც გახდება.

ასე ვიმშვიდებდი თავს.

არ გამხსენებია, რომ ფრედისნაირი ხალხი არასოდეს წყნარდება.

ისინი ასოციალურნი არიან.

როგორც ბაყაყს ვერ გადააქცევ არწივად, ისე მაგნაირებს საზოგადოების უღელში ვერ შეაბამ.

ბიურგერად ვერ აქცევ.

ეგრე გარე-გარე უნდა იწანწალონ, ტყე-ტყე, მინდორველად – შინ ვერ დააბამ, ვერ გააჩერებ. რალაცნაირი პირველყოფილი სიველურე მოსდევთ, როცა ადამიანი ჯერაც ცხოველი იყო და დიდ მანძილს გადიოდა საკვების საძებნელად.

ახლა რისთვის დადის ეს ხალხი, გაუგებარია.

მგონი, თავადაც არ იციან.

ინსტინქტი ერეკებათ.

ჩვენ კი, შინ მსხდომნი, ნატვრით შევყურებთ და მათი წანწალი თავისუფალი ქცევის გამოვლენად გვეჩვენება.

ეს მართალი არ არის – თავისუფლება სხვა რამაა.

ოლონდ ჯერ არ ვიცი.

ვეჭვობ, ვინმემ იცოდეს.

ამაზე ხვალ ვიფიქრებ.

ჯერ კი უნდა ვნახო, რით გათავდება კიდევ ერთი ფარსი დედამიწაზე.

მეჩვენება, რომ მთვარე და ღრუბლები, აგრეთვე სიბნელეც, რომელილაც წარმოდგენის რეკვიზიტებია.

თითქოს სპექტაკლს ვესწრები.

ფინალი ახლოვდება.

ოლონდ არ ვიცი, წარმოდგენა რა ჟანრს მიეკუთვნება: დრამას, ფარსს თუ ტრაგიკომედიას?

კარი ჭრიალებს, მაგრამ უძლებს.

ფინალი ახლოვდება.

ჰა, მთვარემაც კიდევ ერთხელ მიაშუქა ფარდულს, როცა კარი მოულოდნელად გაიღო და პოლიციელები ადგილზე გაშეშდნენ.

ღია კარში ფრედი დგას. ხელში ლამპა უჭირავს.

პოლიციელებს წინამძღოლი გამოეყო, ფრედის მიუახლოვდა, მათ რალაც უთხრეს ერთმანეთს, მერე ფრედიმ ლამპა ასწია და ხელი უშვა.

რამდენიმე წამი – იქნებ წამის მეასედიც, სანყობის შესასვლელი დაბნელდა, სანამ ამ სიბნელეში ცეცხლი იფეთქებდა.

ფარდული ხანძრის ალში გაეხვია.

პოლიციელებმა უკან დაიხიეს. ატყდა ყვირილი და ბრაგაბრუგი. რამდენიმე კაცი ფარდულში შესვლას შეეცადა, მაგრამ ცეცხლი სწორედ კარის წირთხლებს ეკიდა.

მერელა გავიგეთ, რომ ფრედის ნავთი მოექცია ნახერხზე და ცეცხლი იმას გაუჩინა.

რა იფიქრა, არავინ იცის.

ალბათ ეგონა, პოლიციელები დაფრთხებოდნენ და თავად შეუმჩნევლად გასხლტომას მოახერხებდა.

ან დროს იხელთებდა და სადმე საძრომს მიაგნებდა ცეცხლის შუქზე.

ვინ იცის!

მისნაირი ხალხი ყოველთვის იმპულსურად იქცევა. ამიტომ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რა ჰქონდა განზრახული, როცა სანყობს ცეცხლი წაუკიდა.

თავგანწირვა, სიცოცხლის არად ჩაგდება?

ესეც მათი ნიშანია – უგუნური სიმამაცე.

თუ წამებულისა და გმირის შარავანდედის წყურვილი...

ისინი არ ნებდებიან...

მათ ვერ დაიჭერ, ოთახში თუ საპატიმროში ვერ გამოკეტავ.

ჰოდა, ფრედიმ ვერც ფარდულში გაძლო.

ეს იყო მისი ხვედრი.

თუ არჩევანი?

სანყობი კვარივით ინვოდა. პოლიციელები დამნკრივდნენ და ტანადან ნყლის ზიდვა დაინყეს, მათ თანდათან გალვიძებული სოფლელები უერთდებოდნენ, თუმცა მე ახლო მისვლა მაინც ვერ გავბედე, შორიდან ვუყურებდი, როგორ ცდილობდა ხალხი, ის გადაერჩინა, რისი გადარჩენაც შეუძლებელი იყო.

გავხევდი, გული გამიქვავდა.

ხანძარს უძრავად შევყურებდი.

და მხოლოდ ნამით შემიტოკდა საფეთქელი, როცა ცეცხლის შუქზე ნაცნობი სილუეტი დავინახე – თმაგაშლილი მარია, ჩემსავით უძრავად რომ მისჩერებოდა სტიქიის მძვინვარებას.

• • •

მადამ კატერინე ლოგინად იყო, თავს საკვირაო სკოლის შეგირდები ადგნენ. სიეზმანის დავალებით ტატო გორში გაემგზავრა, რათა მრენველის ცოლისთვის ექიმი ჩამოეყვანა და დაკრძალვის ცერემონიალისთვისაც საჭირო ნივთები ჩამოეტანა. მართალია, ფარდულში ფრედის გვამი ვერ იპოვნეს, რაკი ცეცხლს მთლიანად ფერფლად ექცია ბიჭი, მაგრამ სიეზმანმა მაინც გადანყვიტა, ძმისშვილი – უკეთ მისი ფერფლი, დიდი ამბით დაესაფლავებინა.

– თქვენ არ დაესნრებით დაკრძალვას? – მკითხა გამოთხოვებისას, როცა სამძიმარზე მივედი და თან ვაცნობე, განზრახული მაქვს დღესვე ტფილისს დავბრუნდემეთქი.

– მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია.

– ჰო, მესმის თქვენი! – მრენველმა ხელი გამომინოდა,– გმადლობთ!

ევროპული აღზრდა სიმნრის ნუთებშიც კი არ ავინყებდა თავაზიანობას.

მით უმეტეს, გასაკვირი იყო მისი თავდაჭერა ჩემდამი, რადგან გულისგულში ალბათ ფრედის დაღუპვის მიზეზად მე მთვლიდა.

– აი, ეს გამომართვით. – ბანკის ჩეკი იყო, სიეზმანმა რომ გამომინოდა,– თუ გეცოტავებათ, მითხარით, ნუ მოგერიდებათ.

– ავგუსტ იაგორის ძევ, აკი შევთანხმდით...

– არა, არა, ჩემო კეთილო, თქვენ ეს დაიმსახურეთ.

რაღა მეთქვა?

ჩეკი გამოვართვი და თავი დავუკარი.

სიეზმანმაც მძიმედ, კვლავ ევროპული თავაზით დამიქნია თავი და მიბრუნდა.

ამ ნუთიდან მისთვის აღარ ვარსებობდი.

ესეც ევროპული აღზრდის ნიმუში იყო – რაკი ანგარიში გამისნორა, აღარაფერს ნარმოვადგენდი.

კიბე ჩავიარე და ეზოში გამოვედი.

ჯებისაშვილის სახლში მცირე ბარგი მელოდებოდა – პატარა საკვოიაჟი, რომელშიც ჰიგიენის ნივთები და ნიგნები მენყო.

ცაზე თეთრი, ფუმფულა ღრუბლები მიცურავდნენ.

არც ისე დიდი ხანია, რაც ატენში ჩამოვედი.

მაშინაც ეს ღრუბლები მიმოდიოდნენ ლაჟვარდ ცაზე.

თითქოს არაფერი შეცვლილა.

სადღაც კვლავ ჰყივის გაუნაფავი ყვინჩილა, ყეფენ ძაღლები, მდინარის პირას ტლაპოში ღორები ნვანან, მაიერის სახელოსნოდან კი გრდემლის ხმა ისმის-

დაუღალავი გერმანელი შეუსვენებლივ მუშაობს, მიუხედავად იმისა, გარშემო რაც ხდება.

ორიოდე საათში ხე-ტყეს ვაგონში ჩატვირთავენ და ორთქლმავალი გორში ჩამიყვანს.

ტანას ნაპირს გავუყევი.

მინდოდა არ მეფიქრა. ალალბედზე მივდიოდი და ასე მეგონა, ნარსულს ვცილდები-მეთქი. აქ, ატენში რომ მრჩებოდა.

არაფერზე ვფიქრობდი.

არც მარიაზე.

ხანძრის შემდეგ მარია აღარ მინახავს, თუმცა იმის მერე ორი დღე გავიდა.

მე კი მეგონა, მომაკითხავდა.

იქნებ იმასაც დამნაშავე მე ვგონივარ?

მარიას უნახავად ნასვლა მიჭირდა, მაგრამ ნებისყოფა მოვიკრიბე და სურვილი დავიოკე.

ბოლოსდაბოლოს, ვინ იყო მარია?

შემთხვევითი ფანტომი, მოულოდნელად რომ შემომეყარა ცხოვრების გრძელ გზაზე...

თვალისმომჭრელი, დამაბრმავებელი ნათება...

როგორც იმ ხანძრის ალი, ფარდულს რომ ეკიდა.

მისი ანაშუქი ნარსულს ანათებს. ამიტომ მარიაც ნარსულია.

გამოცარიელებული და უსურვილო მივდივარ აქედან.

საით, მეც არ ვიცი.

ერთი ეგ არი, მინდა დაუსრულებლად ვიარო...

მინდა სულ გზად ვიყო.

ვიცი, ეგ რასაც ნიშნავს.

ფანტომივით აქეთ-იქით სრბოლა...

მეც ხომ ფანტომი ვარ – სუსტი, უმნეო, ნავსაყუდელის მაძიებელი...

მზე ანათებს და რატომღაც ეს მიხარია.

ტანას ნაპირს მივუყვები და უნებურად ლომოურის ბაღს მივადექი.

ახლაღა მახსენდება, რომ ინსპექტორიც დამეკარგა – არც ის მინახავს ხანძრის შემდეგ.

ლომოურს მაინც გამოვემშვიდობები, თუ, რა თქმა უნდა, ქოხშია.

მტრები არ ვყოფილვართ, მაგრამ არც მოკეთეებად დავრჩით.

მისი ფუჭი, უსაგნო ლაქლაქი გულს არ ეცხება.

მგონი, ეს თავადაც კარგად იცის – ადამიანთა შეკავშირება რომ არ შეუძლია.

ამიტომაც ტყუილად ოცნებობს ახალ ოქროს ხანაზე.

საამისოდ მეტისმეტად ტლანქი და პრიმიტიულია.

ბაღში შევედი და ნაცნობ ადგილას ჩამოვჯექი.

ცოტა ხანს ასე უძრავად ვიჯექი.

მერე ზურგსუკან ნაბიჯების ხმა გავიგონე.

უკანმოუხედავად ვხვდები, ინსპექტორი მიახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გამარჯობათ, ექიმო! – ლომოური ჩემს გვერდით ჯდება, ხელს არ მართმევს.

უბრად ვსხედვართ.

– მიდიხართ? – მეკითხება ბოლოს.

თავი დავუქნიე.

– სად?

– არ ვიცი.

– კარგი იქნებოდა, ცოტა ხანს მაინც დარჩენილიყავით,– ამბობს დუნედ, თითქოს ლაპარაკი ეზარებაო.

– რისთვის?

– გგონიათ, თქვენი თავგადასავალი დასრულდა? ბევრ რამეს კიდევ შეიტყობდით.

– უკვე ყველაფერი ვნახე და გამოვცადე, რისი გაგებაც აქ შეიძლებოდა.

– ნუთუ? – ინსპექტორი გამოცოცხლდა,– რა თავდაჯერებული ყოფილხართ! არ გიფიქრიათ, რომ ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგიძლიათ?!

– გეყოფათ, ინსპექტორო! მშვენივრად ვიცი თქვენი ქარაგმების ფასი. ამიტომ ჭკუის დარიგებისთვის თავს ნულარ შეიწუხებთ.

ლომოურმა შემომხედა და ჭინკები აუთამაშდნენ თვალებში.

– მარია ნახეთ?

გამაცია.

– რატომ მეკითხებით?

– ნუთუ არ გიცდიათ, ამოგეხსნათ მისი როლი იმ ამბავში, თქვენ რომ გარდაგხდათ?

– როლები აკი თქვენ გაანაწილეთ. ჰოდა, თქვენვე გეცოდინებათ.

– მე კი ვიცი, მაგრამ არც თქვენ განყენდათ გცოდნოდათ.

ისევ გამაცია.

მაინც რა კაცია ეს ლომოური!

ცხოველის უტყუარი ალღოთი საფრთხე ვიგრძენი – ვიგრძენი, როგორ შეიკუმშა და დაიძაგრა შიგნით რომელიღაც მკრთალი არსება – ჩემი ნიალის ნაწილი.

– თქვენ რაღას იზამთ, ისევ საკვირაო სკოლის ზედამხედველი იქნებით? – ბანზე ავუგდე სიტყვა ლომოურს, რათა ფარული საფრთხე ამერიდებინა.

– სიეზმანი აქ კიდევაც რომ გაჩერდეს, არა მგონია კვლავ ქველმოქმედების გუნებაზე დადგეს, თანაც, ექიმო, ნახეთ რა ხდება: ქვეყანა ამტუტდა, ქაოსი გვიახლოვდება.

– კაცობრიობის ხსნის პროგრამა როგორიღა იქნება, ინსპექტორო, ვინღა დაგეხმარებათ უკეთესი მერმისისთვის ბრძოლაში? – გავკენწლე.

ლომოურს სახე გაუქვავდა. როგორც ჩანს, ჩემი ნათქვამი გულს მოხვდა.

– ვერაფერს გეტყვით,– თქვა მერე,– ვფიქრობ, ექსპერიმენტებს გავაგრძელებ, თუმცა ზოგი ჯერაც არ დამისრულებია. მარია! – დაიძახა უცებ და ეს სახელი ქვასავით მეძგერა სახეში.

ინსპექტორი ქოხისკენ შებრუნდა და დათვივით იღრიალა:

– მარია!

თვალები დავხუჭე, რათა აღარაფერი დამენახა, მაგრამ ფეხის ხმა შემომესმა და ისევ გავახილე. ინსპექტორი ქოხისკენ მიდიოდა თუ მიაბოტებდა. მინდოდა ისევ თვალი დამეხუჭა, მინდოდა მზერა დამბნელებოდა, მაგრამ ვერ შევძელი.

ლომოურმა ქოხის კარი შეაღო და თავმოდრეკილმა ნაიბურტყუნა:

– მარია, შე წყეულო, არ გესმის?

მერე მე მომიბრუნდა:

– ექიმო, არ გინდათ მარიას გამოემშვიდობოთ? რაც არ უნდა იყოს, თქვენი მეკავშირე ხომ მაინც იყო რაღაც მომენტებში, თუ მეტი არა?

და მან საძაგლად გაიცინა.

ზურგზე ჭიანჭველები შემაცოცდნენ და ხერხემლის გასწვრივ ყინული ჩამოატარეს.

ხელ-ფეხი ჯერ გამიცივდა, მერე დამიდამბლავდა.

ლომოური განზე გადგა და ზღურბლზე თითქმის შიშველი, თმაგაწეწილი მარია გამოჩნდა; ისეთი, მხოლოდ მე რომ მყავდა ნანახი (ან მეგონა, რომ მარტო მე მენახა!) ინტიმურ წუთებში.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა და გმინვაც აღმომხდა.

მარიამ რაღა ქნა?

არც არაფერი.

ერთი ფართოდ გაიღიმა და ინსპექტორს გადახედა, რათა ჩემი მზერა აეცილებინა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ შიშის ან მორიდების გამო ჰქნა ეს – უფრო უსიამოვნო გრძნობის გასაქარწყლებლად, რაკი ლომოურის დაძალებით იძულებული გახდა მე დამნახვებოდა.

ნელა წამოვდექი.

ლომოურმა ჩემი თვალმოუშორებელი, ავი მზერა შეამჩნია, მარიას უბიძგა და ქოხის კარი მიხურა.

– აბა, აბა, ექიმო, მშვიდად! რამე სისულელე არა ჰქნათ!

წინ გადამიდგა და ხელები გაშალა.

– არ გეყურებათ? წამოდით, დავსხდეთ,– ჩემკენ დაიხარა და სახეში ჩამაცქერდა,– მეგონა, ხვდებოდით მაინც, რა ხდებოდა თქვენ გარშემო.

კბილები გავალრჭიალე და მომუშტული მარჯვენა ავწიე.

– ამას აღარაფერი ეშველება, ექიმო,– ლომოური დამრიგებლური, მამაშვილური კილოთი მელაპარაკებოდა, რაც ჭკუას უფრო მაკარგვინებდა. – წყნარად მოვილაპარაკოთ, როგორ დავზავდეთ.

– თქვენ? – სუნთქვა მეკვროდა, სული მეხუთებოდა.

– განა არ გითხარით, ეგ გოგო კახპა რომ იყო? – ლომოურმა მკლავში წამავლო ხელი და მაშინვე არაადამიანური ძალის მოჭერა ვიგრძენი,– თქვენ კი ყველას ასე მიამიტურად ენდობით.

– თქვენ მითვალთვალებდით?

ლომოურმა ხელი მიშვა და წელში გაიმართა.

– აი, მანდ კი სცდებით, პოლიციის ჯაშუში არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა უარს არ ვიტყოდი, თუკი კარგად გადამიხდიდნენ. ერთი სიტყვით, ხვდებით თუ არა, რომ მორალური თვალსაზრისით ეგ ამბავი ფეხებზე მკიდია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სხვა ყველაფერიც ფეხებზე გკიდიათ?

– კარგით ერთი, ექიმო, რა მოგდით! ვაჟკაცი არა ხართ? იცით, რა მაკვირვებდა ყოველთვის თქვენი? ასე მგრძნობიარე რამ გაგხადათ?

– მიპასუხეთ, ყველაფერი ფეხებზე გკიდიათ თუ არა?

ინსპექტორს ნირი არ შეუხრია.

– ეს გოგო ამდენ დავიდარაბად არა ღირს. თავს ტყუილად ინამებთ! – კვლავ მოძღვრის კილოზე განაგრძობდა ლომოური,– აქაურმა ჰაერმა დაგცადათ, თორემ სადმე პეტერბურგში ან თუნდაც ტფილისში ვილაც კახპასთვის ალბათ წარბიც არ შეგიტოკდებოდათ. ხედავთ, რა ჰქნა თქვენმა ევროპულმა რომანტიზმმა? ნერვები მთლად გაგფუჭებიათ, რაკი ამ ამბავს ასე განიცდით.

– მიპასუხეთ, ყველაფერი მართლა ფეხებზე გკიდიათ? – განვაგრძობდი ჩემსას და ქოხისკენ მივიწევდი.

ლომოური ქოხის კარს აეფარა და მოჭრით დამიღრინა:

– თუ სისულელეს არ მოეშვებით, ინანებთ იცოდეთ!

აღარ ვუსმენდი,- კედელს იქით მარიას შარიშური მესმოდა. ალბათ კაბას იცვამდა და უმნიშვნელო ფაჩუნიც კი ხვდებოდა ჩემს ყურთასმენას. გული ლამის დამენრიტა, ჰაერი აღარ მყოფნიდა, ხელები მჯილებად შევკარი და ლომოურს თვალებთან მივუტანე. მესმოდა, როგორ ეხლებოდა კაბა მარიას ტანს და მისი სურვილი ტვინში ზარივით რეკდა.

– უკან დაიწით-მეთქი, ექიმო!

ავაზა აღრინდა ჩემი სულის სიბნელეში.

მარია, მარია!

მისი ნდომა მკლავდა, სულ ერთი იყო, რა იყო და ვინ იყო მარია – ჩემი ნატვრისთვალი; წინ კი ეს ხეპრე კაცი გადამდგომოდა და არ მიშვებდა.

ავაზა მოირკალა, კამარა შეჰკრა და ლომოურს ყელში ეცა.

იმავე წამს თავში დარტყმა ვიგრძენი და თვალთ დამიბნელდა.

გონს რომ მოვეგე, ქოხში იმ ტახტზე ვიწექი, სადაც მე და მარია სიყვარულს ვეძლეოდით. გვერდით დოქით წყალი მედგა. გახურებულ შუბლზე ვიპკურე და გამოვფხიზლდი. თავი მაინც საშინლად მტკიოდა – ალბათ ლომოურმა თავისი ფუთასავით მუშტი ჩამცხო. მისი დარტყმული ხომ ხარსაც მოკლავს, მე კი გადავრჩი.

ჰო, ცოცხალი ვარ!

თუმცა მერჩია, მოვმკვდარიყავი.

ძაღლუმადური ცხოვრებაც გასრულდებოდა.

გაჭირვებით წამოვდექი და უშნოდ გამოჩორკნილ მაგიდაზე ბარათი შევნიშნე.

ლომოურის აცა-ბაცა ნაწერი ვიცანი:

„გგონიათ ინსტინქტმა დაგამარცხათ? ადამიანი მონაა და მონად დარჩება“.

სოფლის ბოლოდან ორთქლმავლის შიშინი მოისმა – ეს ნიშანი იყო, უნდა წავსულიყავი. ქოხს თვალი მოვატარე და უცებ საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი.

თვინიერების მსგავსი გრძნობა – უმნეოთა მხსნელი თუ მშველელი.

მორწმუნე ადამიანის მორჩილება განგების წინაშე.

როგორც იქნა, ეჭვსა და ყოყმანს ბოლო მოეღო და მეც დავმშვიდდი.

რადგან ამქვეყნად ყოველი დაფარული, ერთხელაც იქნება, გაიხსნება.

ქვეყნიერებასაც აეხდება უმეტყველობისა და ქარაგმის ბეჭედი.

ყველაფერი დასრულდა.

ორთქლმავალმა შეჰკივლა – უნდა წავიდე,

მაგრამ საით?

თუკი ყველაფერი მართლა დასრულდა, უკან, წარსულში ვერ დავბრუნდები!

ორთქლმავალმა კიდევ შეჰკივლა.

ქოხიდან გამოვედი, ბაღი გავიარე, მაგრამ დეპოსკენ არ წავსულვარ – ჩემი მზერა თრიალეთის მუქ-ჯაგარა მთებს მიეყინა.

ნუთუ იქ არის წავსაყუდელი?

ნაბიჯს მოვუჩქარე, რათა ორთქლმავლის ძახილი აღარ გამეგონა.

თითქმის მივრბოდი და მეგონა, მთები წამიერად ახლოვდებოდნენ.

* * *

მზე ჯერ მაღლა იდგა. ტყეში სიჩუმე იყო. შარშანდელ ფოთოლზე ფეხი მიცურავდა. მზის ათინათი გაბმულიყო ტოტებში ობობას ქსელივით.

ათინათი მსდევდა – ხან გამომიჩნდებოდა, ხან დამემალებოდა.

მივდივარ, მაგრამ საით?

ამას ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, თუმცა პასუხი ვერ მიპოვნია.

მაინც მივდივარ.

ოდესმე ხომ ვნახავ, სადამდე ვივლი.

თუ ამ გზას ბოლო არ უჩანს?

იქნებ არც მარტოს უნდა მევლო?

ფიქრი ფრედის გადასწვდა.

აი, ვის ეგონა, რომ გზა იცოდა.

სხვა დანარჩენნი, ვინც შემხვედრიან, უგზოდ ვლიდნენ.

მარტო ფრედი გამოერჩა იმათში.

მერე რა, რომ იქნებ ცდებოდა კიდეც გეზის შერჩევისას – დაუღალავად და უშიშრად მიდიოდა. იქნებ ახლაც მიდის, იქნებ წინ მიმიძღვის და მე კი ვერ ვხედავ.

გზა დავკარგე.

ფრედი გზის მაჩვენებელი იყო ცხოვრების ხვეულებში.

შესაძლოა, ის სწორ მიმართულებას არ უჩვენებდა, მაგრამ მოძრაობის სურვილს ხომ მაინც აღვიძებდა.

მე კი ეს სურვილიც დავკარგე.

აი, რად მიზიდავდა ეს ბიჭი.

მარტო სალი გონებით ვერას გავხდი.

გამბედაობა მაკლია.

შიშმა დამიმორჩილა: შემეშინდა, ჩემი უბადრუკი ყოფა არ დავკარგო – ასე თუ ისე კომფორტული ცხოვრება, წარმატებული კარიერა, უპრობლემო არსებობა...

შევყოვნდი დიდ გზაზე, გავიყინე და ქვის ქანდაკს დავემსგავსე.

გზის სანიშნედ ვერ გამოვდგები.

ადამიანური ტრაგედიაც ეგ ყოფილა; ვისაც ძალი შესწევს, ის არ იბრძვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო მონები და ტირანები მიმოდიან გზაზე.

ცხოვრება ჯოჯოხეთია.

ვერ დაემალები.

თუნდაც ცის კიდემდე იარო, თუნდაც ჯურღმულში ჩაძვრე, მზეს ასწვდე, ან შენივე სულის ლაბირინთში ჩაიკარგო.

ეს ყველაფერი ბავშვური თამაშია.

საითაც უნდა წავიდეს ძე შეცთომილი, მისი გზა ადამიანებთან მიდის.

უნდა ვიარო.

ვის მივადგები. ვინ შემივრდომებს:

ღმერთი? ადამიანი? ჩემივე თავი?

სად ვპოვებ ხსნას, შვებას ან სულთქმას?

უნდა ვიარო.

იქნებ საშველიც არაფერი მჭირს და ესეც ჩემი გონების მორიგი ოინია.

რადგან ის დავკარგე, რაც მაბრკოლებდა.

ბორკილი დამცვივდა.

მე კი მეგონა, ეს უმტკივნეულოდ მოხდებოდა.

აქამდე ეს ვერავინ შეძლო.

მეტისმეტად მივენდე გონებას, თუმცა სასაყვედურო არაფერი მაქვს: ორ ცხენზე ერთდროულად ჯდომა შეუძლებელია.

გრძნობა და გონება ვერასოდეს შერიგდებიან.

თუ ვცდები და ჩვენი სულის ასე გაყოფა არ შეიძლება?!

იქნებ მესამე გზაც არსებობს?

უნდა ვიარო.

ჯებისაშვილის სახლიდან არაფერი წამომილია, ისე შევუდექი ტყიან გზას მთებისაკენ. ალალბედზე მივდიოდი, რათა სიარულით ჩემი ნატკენი გული დამეამებინა.

შარშანდელი ხმელი ფოთლით მოფენილი ბილიკი აღმა მიიწევს.

მივალ, მივიბლოტები. ბუჩკნარს და ტოტებს ვეჭიდები.

ტყეში სიმშვიდეა, მარტო რომელიღაც ეული ჩიტი წრიპინებს სადღაც.

მცირე ხნით მეც ვმშვიდდები.

კიდევ კარგი გზა გაგრძელდა, თორემ სავალი რომ გათავდეს, მერე რაღა ვქნა!

ვისთან მივდივარ, ვისთან მივეშურები?

ჯერ არ ვიცი, მაგრამ თვალნათლივ ვხედავ;

გზა შეიცვალა, თითქოს ბილიკს ტყის სიმწვანე შემოეცალა და მე შიშველი მთის წვერისაკენ მივემართები.

მთის წვერზე ნახევრად მორღვეული გალავანია.

ეს სიზმარს ჰგავს, ან ცხად ჩვენებას.

გალავნის შიგნით საყდარია.

ბალღობისას მეგონა, საყდარში ღმერთი ცხოვრობდა.

მოგვიანებით ჩემივე თავს ვხედავდი შიგნით, მერე კი ეს ხატება გაფერმკრთალდა.

ნეტავ, ახლა ვინ დამხვდება იქ?

მივალ, მივიბლოტები.

თითქოს ბალღობას დავუბრუნდი.

გახურებული ქვებისა და ავშნის ნაცნობი სურნელი მცემს.

ვიხრები, მიწას ხელს ვადებ.

მიწა თბილია და ცოცხალივით ფეთქავს.

რა ათბობს დედამიწას?

იქ, სიღრმეში, გამღღვალი ლავა თუხთუხებს, რომელსაც შეუძლია წამში ნაგვლეკოს, თუ მიწის პერანგი შემოიფლითება და მაგმა ზედაპირზე ამოხეთქავს.

მაგრამ მიწა არ ირღვევა.

ის გვათბობს და საზრდოს გვაძლევს.

რა ათბობს დედამიწას?

საიდან იკრებს ძალას?

ეს არავინ იცის.

ასევე ყოფილა ადამიანის სულიც: ჯურღმულში ლავა ფეთქავს, ოღონდ ის მაღლა არ უნდა ამოუშვა.

თუ სული დაკარგე, მკვდარ პლანეტას დაემსგავსები.

მივალ, მივიწევ.

აჰა, მორღვეული გალავანიც, იმის იქით კი ძველი საყდარი...

მაგრამ საყდარი არსად ჩანს.

გაოგნებული ვიხედები აქეთ-იქით.

გალავნის იქით სიცარიელეა.

შიგნით შევდივარ და ცენტრში ვჩერდები.

ისე ვგრძნობ, თითქოს გალავნის ყოველი წერტილიდან უამრავი თვალი მიყურებს და უკვე აღარ ვიცი, ვინა ვარ და რა მინდა.

დავკნინდი, დავილიე.

გარშემო სიცარიელეა.

თითქოს გალავანიც გაქრა და მე უსასრულობაში აღმოვჩნდი.

ოღონდ საათის ქანქარაზე კი აღარ ვკიდივარ, უსხეულო და უწონადო ვიმყოფები სპეტაკ სივრცეში.

მეც არ ვიცი, რა მემართება.

მოვკვდი? გარდავიცვალე?

მე ხომ არ მახსოვს, ოდესმე დავიბადე თუ არა – აკი სამყაროსთან ერთად ვარსებობდი.

ჩემი ცხოვრება ფანტომი იყო, აქეთ-იქით რომ ეხეთქებოდა.

მრავალი ადამიანის სული და სხეული გამოიარა ამ ფანტომმა, სანამ ჩემამდე მოაღწევდა.

ახლა ისევ უნდა დავიძრა.

დავიღალე, ძალიან დავიღალე.

მეზარება სიარული, თვალი მებლიტება.

როცა მეგონა, ნავსაყუდელი ვიპოვნე, მაშინ უნდა მოვცილდე აქაურობას.

რადგან შეჩერება სიკვდილია თურმე.

ადამიანს არ ძალუძს შეჩერდეს.

უნდა დავიძრა.

გაჭირვებით ვდგები და ისევ წინ მივდივარ. ამჯერად ხილვა გაქრა და ნაცნობ ადგილას გავედი – ეს ხომ ფრიდის ნაბანაკარია.

აქ მომიყვანა სულის კარნახმა.

აი მწვანე მოლი და ტყისპირას ნაცნობი მუხა.

ცრუმორწმუნე ხალხს ქსოვილის ფერადი ნაკუწები შეუბამს ხის ტოტებზე.

ვითომ ეს მუხა ნატვრის ხე იყოს.

ნელა ვუახლოვდები, ტანზე ხელებს ვხვევ და სახით ვეკრობი .

ჩუმი შრიალი და ბუბუნი მესმის ხის წიაღიდან.

ხე ცოცხლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ჩავეკარი მუხას, როგორც სატრფოს ან მშობელს.

მრცხვენია, ასე სუსტი რომ გამოვდექი, მაგრამ ხე არ მსაყვედურობს.

მან ხომ უსიტყვოდ მიმილო და მომიალერსა.

ამიტომაც მიყვარს ხეები: არასოდეს გკითხავენ, ვინა ხარ და რა გინდა; უნდა მიხვიდე და შველა სთხოვო.

ადამიანებისგან განსხვავებით ის უანგაროდ გინილადებს სითბოს.

ჰო, ამ წუთას მუხა ჩემი ერთადერთი მეგობარია.

და უფრო კარგად რომ ვიგრძნო მისი სითბო, ხელჯოხს მის ტოტზე ვკიდებ, ხალათს და შარვალს ვიხდი და ხის ძირას ვჯდები.

როგორც ნარმართმა, ჩემი რესპექტაბელობა შევწირე ხეს.

ახლა მინდა მცირე ხნით შევისვენო.

მინდა ხის ძირას ვიჯდე.

ბევრი მჯდარა ასე.

ზოგმა ცხოვრების გზა იპოვა, ზოგი უფრო გაიხლართა გონების ხვანჯებში, მაგრამ ვხვდები, რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე ყოფიერების შუა გზაზე სულის მოთქმა.

უნდა ვიფიქრო.

უნდა ვიფიქრო, რათა ჩემსა და ქვეყნიერებას შორის უფსკრულზე გადაბიჯება შევძლო...

მთაზე ვარ. ხის ქვეშ ვზივარ და ვფხიზლობ.

უფსკრული იმიტომ გაითხარა, რომ ფხიზლად ყოფნა ვერ შევძელი.

სიცარიელესთან ურთიერთობა ვერ შევძელი.

რამდენ ხანს უნდა ვიჯდე?

იქნებ ორი დღე ან ორი საუკუნე?

ათასწლეულები? მილიონი წლები?

ფანტომი კვლავ აიძვრება და ცხოვრების ქარ-ბორბალაში აირევა...

კმარა!

უნდა ვიფხიზლო.

ფართოდ გახელილი თვალებით უნდა შევხედო ქვეყანას, რათა ჩემივე არსებობა შევიცნო.

განა ეს საკმარისია?

არ ვიცი.

მუხა ნელა აშრიალებს ტოტებს და ხის შმაშური ნანასავით ჩამესმის.

გმადლობ, ხეო, რომ შემივრდომე და შემიფარე!

შენ ხარ მართლაც ხე ცხოვრებისა!

მაგრამ მე აღარ მსურს ამაზე ვიფიქრო – თუ ყველაფრისგან განვიძარცვე, ამგვარ პიეტიზმსაც უნდა გამოვეთხოვო, რადგან სიცოცხლის ხე გარეთ არ ხარობს.

სიცოცხლისა და თავისუფლების მცენარე.

ის სულის ნიალში ალმოცენდება, ჩვენი გრძნობების ნვენით ირწყვება და ჩვენი გონების სასუქით ნოყიერდება.

ჩემს სულში ის ჯერ არ ამოსულა.

მარტო ძლივს შესამჩნევ ღივს ვხედავ.

ესეც საკმარისია.

საკმარისია, რომ სამოთხის ბალი ამ პატარა მცენარეზე დაეტიოს.

ეს რომ მოხდეს, უნდა ვიფხიზლო.

ფრედიმ – ჭაობში ამოსულმა ყვავილმა, მასწავლა ქვეყნიერებას ფხიზელი თვალით ვუცქირო.

ახლა მისი ხის ქვეშ ვზივარ და შეუცნობელს ველოდები.

რაც უნდა გადამხდეს, ვიცი, რომ ის მოვა.

ვისაც სახელი არა აქვს.

ვინც ჩვენ გვგავს და ჩვენზე მეტია.

ჩვენივე სულის ნიალიდან სამოთხის მცენარესთან ერთად ამოიზრდება და როცა გულსა და გონებაში ველარ დაეტევა, როცა ჩვენს შინაგან სამყაროს აავსებს და გარეთ გადმოილვრება, მაშინ ვიცნობ მას – სულის მეგობარს, მაცნეს, მახარობელსა თუ ორეულს ჩემსას...

და ვეტყვი: აჰა, მზად ვარ შენს შესახვედრად! ნამოდი და ერთად ვიაროთ!

ასე ვეტყვი.

თუმცა იქნებ არც არაფერი ვუთხრათ ერთმანეთს, იქნებ ნუთით შევჩერდეთ გზის განაპირას და მერე უზრად განვაგრძოთ სვლა ჩვენ-ჩვენი გეზით.

იქნებ ასეც მოხდეს.

მანამდე კი ვზივარ და ველოდები.

ტანჯვამ ნებისყოფა გამომინრთო და ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებს ამ გზას გადავუხვიო.

ეს მტკიცედ შევიგნე.

ამიტომ არც ლოდინის არ მეშინია.

თუ დავმარცხდი?

ამ გზაზე მარცხი არ ხდება – ეს უფრო მოუთმენლობაა.

მოთმინებით უნდა ველოდო.

მეც ვზივარ და ველოდები.

მომდევნო ნამი ნინას არ ჰგავს, ყველაფერი კატასტროფული სისწრაფით ბრუნავს ჩემს შიგნით და ასე მგონია, უწონადობის შეგრძნებით უფსკრულს მივექანები.

თუნდაც ჩავვარდე, აღარ მეშინია.

რადგან ვიცი, რომ სიბნელეში სინათლე იმალება.

სინათლე უნდა დაინახო.

ამისათვის უნდა იფხიზლო.

ლამდება და მუხის ფოთლები კვლავ ნანას დამღუღუნებენ, თითქოს ჩვილი ვიყო, ჯერაც დაუბადებელი, მაგრამ მზერა არასოდეს მქონია ასე მჭრელი და გონება – ასე ნათელი.

უნდა ვიფხიზლო.

---

ფხიზლად ვიჯექი.

სამშაბათს, 26 თებერვალს
„ქორთიარდ მერიოტში"
გაიმართება ნარდგინება კრებულისა
„პოეტების სამეფო.
თბილისი ქართულ პოეზიაში"
დასაწყისი 13 საათზე
თავისუფლების მოედანი 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეზო ესაძე



***

ფიქრო, ფიქრო უნაპიროვ,
ფიქრო უსახელო.
მე შენ როგორ დაგიტირო
გულზე დასაყრელო.

წავიდნენ და მიმატოვეს
გაჰყვნენ ნისლის ფიქრებს.
წლები უხმობს სიმარტოვეს,
ამბობს „დროა, იქნებ?!"

არ გინდივართ? რა ვქნა, წავალ
უკაცური შარით.
გაგეცლები, სადაცაა
ფიქრის გასაყარი.

სადაც ღრუბლებს შადრევნებად
ცვივა ოქროს ფერი.
სად წარსულზე ცრემლით ყვება
სველი ლერწმის ღერი.

აჰა, უკვე დროც მოვიდა,
დე, აღსრულდეს ბარემ.
მტკივა, გარჯით და ვერც ჭკუით
ველარ დაგეხმარე.

ახლა თითონ გავხდი შენი
ტკივილი და ჯავრი,
როს მენგრევა თავზე ჭერი
და მწვავს ცეცხლის ალი.

რით გიშველო, რა ვიფიქრო,
ფიქრო, გასამხელო,..
მე შენ როგორ დაგიტირო
გულზე დასაყრელო.

### სანთელთან ვიყოფ შენზე საფიქრალს

მარტო ყოფნის მარახოშით ნაყრდება სული.
სევდა შენთან კვლავ სიახლოვის
საიმედოდ ავსებს ტიპიკონს.
დაცემული მუხლებზე ხატთან
სანთელთან ვიყოფ შენზე საფიქრალს.

### ც-ს

ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მეუღლევ
სულის მოთქმავ და სიკეთევ ჩემო
თუმც ჭარმაგი ვარ, მაგრამ მე უკვე
ლამის სიბერე რომ დავიჩემო.

გასაკვირველი ყოფილა ციხე
ამა სოფლისა ბალი და ყანა.
როს დავფიქრდები, უკან დავიხევ
კითხვით, როგორ და რამ მომიყვანა?

როგორი იყო. როგორ გავიდა
ის, ყველაფერი რაც უკან იყო
ალტაცებებით, თუ წელკავითა
რაც ღმერთმა მომცა და თან გამიყო

შენთან, ძვირფასო, შენს კეთილ სულთან
ჩემზე რომ მუდამ ასე ზრუნავდა.
ან რა უნდა ვთქვა, რა უნდა ვუთხრა
გამკითხველს ყველა კარგთა და ავთა

როცა მარგუნა მან მე ეს ჯილდო
და შენი თავით დამასაჩუქრა.
თანაც ეს მაშინ, თანაც ეს იმ დროს
როცა სანთელი ლამის ჩამიქრა –

შენ მეინახეს;
ან სად მონახე –
მე თავგასული და აკეცილი.
მეტის ქროლვიდან შეშლილი სახე
გადამთიელი. ღმერთის მეცილე.

სად მიდიოდი. ეძებდი ტანჯვას?
ბილიკის გასწვრივ ქროდნენ იები
და მიეტანე იმ ერთადერთ ჯვარს
დაუჩოქე და თითონ მიები

ვით ბედისწერას, რომელსაც კარგო
ან რომც გაექცე, ვერსად წაუხვალ.
ახლა რა ვუთხრა, მივუსადაგო
შენს დაღლილ სხეულს და
ნაღვლიან თვალს,

რომ მზე დაადგეს სულის ალაზანს
და სიხარულის აფეთქდეს ნალმი
ჩემო ცოლო და ჩემო ალაზა
უკვე გავსულვართ უფონოდ გალმით,..

და მეშინია. ირგვლივ მთებია,
მომკიდე ხელი, არ დამეკარგო
ჩვენ გვეძახიან? ეს რა ხმებია,
თურმე ქორწილი გვქონია კარგო

აჰა, მოდიან, ისმის მაყრული
და თასი ღვინით მოაქვს თამადას
მაგრამ ვაი რომ ნაკერი გულით
ვარ და მოდიან სანახავადა.

კვლავ აირია ცაზე ღრუბელი,
მოიქუფრა და წვიმას აპირებს.
ისევ დამძიმდა ჩვენი უღელი
და ვერ ვასრულებ მე შენაპირებს.

ამტყდარა ჩხუბი. აშლილა კერა,
მისძალებიან ერთურთს მუშტებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პოეზია

და როგორც ციდან მოხსნილი ძერა,
ანაც დამსკდარი ცაში ბუშტები

დაკოდილია ყველა ოცნება,
ყველა იმედი და ფანტაზია.
რადგან ვილაცამ ასე ინება
მოსულა, კარი ჩაურაზია –

მომავლისათვის. ასე, ამჯერად
მაყრები არა, თურმე ჯარია...
და შიშით, სისხლი თუ დაილვარა
და ძმამ ძმის სისხლი ისევ დალია,..

და თუ კვლავ მოსკდა ტანჯვის ლანქერი,
„რა ვქენით?" კითხვამ თუ გაიხარა,..
თუ ისევ მნახავ შენს წინ დარცხვენილს
და გადათელილს მე პაიპარად –

კარებს ვარდებით ნულარ შემოსავ
და სუფრას ნულარ გაუშლი კაცებს.
ნუ გაულიმებ გარეშემოსა
მეც სითამამეს ნულარ დამაკლებ;

მაგრამ შემინდე გარჯა და დაღლა,
შენი ალერსი და ცისარტყელა.
შენი ღიმილის ყველა ნაკვესი
და ოცნებების მთები ამხელა,..

ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მეუღლევ
ჩემო ნარსულო, სიცხადევ ჩემო.
ხანდაზმულობას ჩემსას შეუნდე
ტახტზე ვაგდივარ ნაცემ-ნაგვემი...

კარს ნუ დაკეტავ, რა ხმაურია, –
ერთს გავვარდები და მხარს შევუქცევ...
ახლა სიკვდილი საამურია
თუნდაც ნადირის საჯიჯგნად ვიქცე.

### ოდესღაც უცნობ ქალს, რომელსაც ვეარშიყებოდი დიდი ხნის წინათ

დადექით ზურგით. ნუ შემხედავთ. მე ახალგაზრდა
ვიყავი გუშინ,..
თქვენს უკან ახლა ბერიკაცი დგას,..
გახსოვართ სულ სხვა?
თვალების ელვას იმ წლებისას ძლივს გადაურჩით?
ძვირფასო, მადლობა უთხარით უფალს
რომ არ წამოდით თქვენ ჩემი ქუჩით...

### ფიქრის ჩაძინება

ჩემი სხეულის ყრუ სიბნელეში ვიკარგები და იმას
იქით ღრმა უფსკრულია. აზრი ექოთ ბრუნდება უკან.
ხვალინდელი დღის ტკივილზე იძინებს ფიქრი.

∴

იცლება თასი.
ნალველს ჩემსას
არა აქვს ბოლო.
ეს სიდიადე
წამია მხოლოდ
მამშვიდებს
ქუჩყში გასვრილს.

მიკვდება გული,
ჩაქრა ცეცხლი.
სადღაც, მილმა
შორი გზები
სერავენ ველებს.
როგორც ქვას ხავსი
შეპარვია სიბერე ხელებს.
შეფრქვევია თმას ვერცხლი და
კვლავაც მათოვს ის.

## პირველი შთაბეჭდილება

# ტკივილზე ჩაძინებული გული

რეზო ესაძე...

არის კი სამყაროში რაიმე ისეთი, რის გამოც როგორც კაცს და როგორც ხელოვანს რეზო ესაძეს შეუძლია გულგრილი იყოს... ეჭვი გვეპარება, ვფიქრობთ რომ არა...

რეზო ესაძე გონებაა, რომელიც განუწყვეტლივ თხზავს თბილ, საყვარელ პარადოქსებს, ისე რომ არასოდეს ზარალდება რეალობის განცდა. გასაოცარია მისი ემოციის ინტენსიური სიჭარბე, რაც მთავარია გული, მუდამ მხურვალე და ქარიშხლიანი. ბოლო წლებში მენამულ ჰორიზონტზე ჩამავალ მზესავით ძვირფასი და იმედიანი, მიუხედავად იმისა რომ „ხვალინდელი დღის ტკივილზე იძინებს გული".

მისი ფილმები უცნაური ფერწერაა, ერთდროულად დარდიანი და ხალისიანი. ლექსებიდან კი ძვირფასი ქვებივით შეგიძლია ამოკრიფო ასაკის ესთეტიკა და აღმოსავლურ ნაკეთობასავით ათვალიერო:

**როგორც ქვას ხავსი**
**შეპარვია სიბერე ხელებს.**

შემოქმედისა და პიროვნების განუყოფლობით, ერთგულების უნარითა და ცხოვრების წესით კიდევ ერთხელ იქმნება „სამშობლოს განცდა გასაკვირველი" რეზო ესაძის წინამდებარე პუბლიკაციაშიც:

**რით გიშველო, რა ვიფიქრო,**
**ფიქრო, გასამხელო...**
**მე შენ როგორ დაგიტირო**
**გულზე დასაყრელო.**

ამ განცდით ნებისმიერი კეთილშობილი ადამიანი ცხოვრობს და ცოცხლობს ჩვენს ქვეყანაში დღეს.

**მაკა ჯოხაძე**



მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე პოეტური ტექსტები ერთი შეხედვით გასული საუკუნის 20-იანი წლების დადაისტთა თუ ფუტურისტთა ექსპერიმენტებს ჩამოჰგავს, შოთა ბოსტანაშვილს მათგან განსხვავებით მაინც გამოარჩევს ქართული ენის შესაძლებლობებით აღტაცება და, რაც მთავარია, სიტყვით გამოხატული არსისადმი ე.ი. შინაარსისადმი ღრმა პატივისცემა. იქ და მაშინ მეტი იყო არტისტიზმი და სიტყვით ჟონგლიორობა, აქ და ახლა მეტია აღმოჩენით მოგვრილი სერიოზული გართობა-თრობა და ბავშვური თამაში, რომლითაც ავტორი სიტყვათქმნადობისა თუ შესაძლებლობების უნივერსალურ მღვიმეებში ამოგზაურებს მკითხველს. კონკრეტულად: „ნიადაგ მოხეტიალე წყლის" ემოციური ნაკადებით ისეთი ნამიერ-მოციმციმე კონფიგურაციები იგება, რომ მოულოდნელად ჩამოღვრილი (ჩამოშლილი) ტექსტის ხალისიანი შხეფები ჩვენამდე აღწევს და იჯერებ „წყალი – პოეტია" (სიმბოლისტთა ერთ-ერთი იდეოლოგის ცირეკიძის მინიმალისტური პროზა მახსენდება). ცისქვეშეთში კი არაფერია ახალი და არც არაფერი იცვლება. ნუგეშად ისღა რჩება მხოლოდ რომ აბელკაენის მოდგმასავით ჯერ ისევ ხერხდება ცოდო-მადლის გარჩევა. ამ გარჩევა-გადარჩევას ზოგი თვალს ადევნებს, ზოგი განიცდის... სულხან-საბას ღვთაებრივი გამოსხივებით ჯერ ისევ ენდობიან და ჯერ კიდევ იცლებიან სიტყვის ენერგიითა და მადლით. მათ შორისაა ამ პუბლიკაციის ავტორიც.

შოთა ბოსტანაშვილი

## ალიცა

**ცეცხლი ნაკვერცხალით** გაჩნდა...
**ნაკვერცხალი** კვერცხით დაიბადა...
**ნაკვერცხალი** კვერცხით ვერ დაიბადებოდა,
ვერც **ხ**-ით,
ვერც **ჭ**-ით,
ვერც **ც**-ით,
ვერც **ძ**-ით...
– ვერძით!
**ცეცხლი** ვერძით დაიბადა.
ოქროს ვერძით დაიბადა,
დაიბადა **ცეცხლი** ვერძით, გადაიქცა **არმურად –**
– გადაიქცა ღრუბელად.
ღრუ ბელია **ცეცხლის** სახლი,
ღრუ ბელიარის – **ცეცხლსა** და მახვილს!

ღრუ – სახლია,
ღრუში **ცეცხლია,**
**ცეცხლია** ღრუში,
**ცეცხლია** მრუში,
მრუში – მეძავი,
წმინდა მეძავი.
ცის **ალი – ალიცა.**

## შენ ხარ წყალი, ნიადაგ მოხეტიალე...

**წყალი** პოეტია, – ხან მინისაა, ხან ცისა –
– ღრუბელაშლილი – ცრიატი, ცა – ცა მოხეტიალე, ანუ იალტიალი.
ხან **ცვარია – ნიჟი, ღვაფი – თვალწყალა,** რო გიხარია;
ხან **შხაპუნა,** ხან **ჟუჟუნა,**
***თქორი, თქეში, ფრუტი,***
***ჟღმურტლი და ისხარია;***
ხან კი თავსაც მოიძულებს – სიტყვებს **სეტყვავს** ცოფით:
***კოხი, დელგმა, თავსხმა,***
***წვიმა კოკისპირული,***
***ღლოფო*** და ***ღვარცოფი.***
ალბათ მოაწვა ***ქაოსის*** სევდა, ფიქრი შავი და ავი
და ***წყალს*** მობეზრდა სიცოცხლე, უნდა ***დაიხრჩოს თავი,***
*(**წყალს წყალი შემოეპარა; წყალსაც შეუდგა წყალი;*** რა ქნას და, ***რა წყალს მიეცეს,***
ანდა ***რა წყალში ჩავარდეს,)*** – უნდა ***დაიხრჩოს თავი.***

ბევრი იავდრა, ბევრი იდარდა...
თავზე დაეცა ბრონეულის ბალს,
მოცაკვდა, ***გასისხლმდინარდა,***
ნავიდა ნა, ***ნარმდინარდა,***
***ჯურღმულში*** გაუჩინარდა...
(ვიეთთა ***ჯურღმულიცა წყაროდ*** აღუწერიათ – საბა)

***წყალმა წაიღოს ავი ზმანება–***
– დაწვავს ცეცხლი და ალი,
(ეს სხვა ლაპარაკიდანაა)
ნავმა წაიღო ***წყალი...***

## Babel-ი

მე დავიბადე Babel-ში,
მე ვარ ახალი აბელი.

არც ევფრატი, არც ტიგროსი,
არც იანძი, არც ხუანხე,
(და არც სხვა ხე),
არც ვოლგა, არც ენისეი...
ეი, ეი, გესმის?, არც რა..,
და არც რაინი – არანაირი
მე არ მინა**ხავს.**
**ხავს**მოდებული ბორცვების გარდა.

ეი, ეი, გესმის?, არც რა..,
ნანგრევია ყველაფერი
გადამექცა მტვრად და ნაცრად.
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . – დიახ, რიონიც; თო, რიონიც...
რაო, არაგვი? და ორიონიც
მორბის არაგვი,
მაგრამ არა გვის,
ანუ არ ალგვის ალსაგველს... (განცალკევებით! – ***ალსა გველს*** – მეთქი)
მე ასე მახსოვს – გველს ერქვა ალსა,
ალსასრულებლად ალსასრულისა,
ან/და ახალი დასაწყისისა.

მე ვახსენებ უხსენებელს,
ვარქმევ სახელს უსახელოს,
(თუ სასახელოს) მე ვასახელებ.
მე ვარ ახალი აბელი
და ჩემი საქმე, მამის კვალდაკვალ,
კვლავ სახელების დაძახებაა.
აჰა, დავძახე – ***ხე!*** და გახევდა;
***მინა!*** – განამდა;
***წყალი!*** – გაცეცხლდა;
***ცეცხლი!*** – გაწყრა და
გაუმოწყალდა
***სივრცე!*** – განდროვდა;
და ***დრო!*** – დამდორდა.
რაც დავინახე – ის შევინახე..,
მაგრამ ვილაც, ან რალაც ისევ დამრჩა უსახელოდ.
ვესახელე...
ხმა გამექცა – გაილალა,
სხვა სიტყვაში დაიმალა...

ძალა ისევ მოვიკრიბე,
ავხმიანდი, უნდა მერქო,
მაგრამ ექომ (როგორც წესი, ანალები უნდა ქექოს...)
*თქვა: ქვა... ვა... ა...*
ა, ხმას გავყევი..,

გამოვიარე ყველა Babel-ი,
ან უფრო ჩემმა სულმა იარა...
მტკივა იარა...

გეძებდი ძმაო!,
მოგდევდი კვალდაკვალ
და ჩემი მოთხვა, არა ამაო –
– გიპოვე ძმაო, მელაპარაკე!
ხელს გართმევ ხელდახელ,
გეხვევი მკლავ და მკლავ,
გამოდი, თქვი!

მე ვარ ახალი აბელი.
რაც დამემართა, ალბათ მემართა...

. . . . . . . . . . . . . . . . . .
ასე ნუ!, ასე სისინით
ლაპარაკობდნენ ისინი...
ნულარ **სსსრ**იალებ...
ნუ გინდა ***ქვა,***
ჯობია თ***ქვა***!

კაენი: მას შემდეგ დიდი გავიდა ხანი,
მიპოვა ბევრმა, მომკლა არავინ
და ისე მოხდა, რომ ჩვენც გავმრავლდით,
გამოვიცვალეთ ცხრა პირი კანი
და ავაყვავეთ ის ჩემი ბალჩა,
დავრწყულდით ახალი ჭებით,
***სულის*** ჭა კი, ***სულ ის*** დაგვრჩა...
და მეც ***ახალი კაენი,***
ჩემი, ***ა, ხალიკა ენით*** –
– არ მენუკვე! –
***მუდამ უკვე,***
მეც მოგდევ ***კვალდაკვალ*** *კვალდაკვალკვალდაკვალ...*
***კვლავ და კვლავ*** *კვლავდაკვლავკვლავდაკვლავ...*
***ვკლავ და ვკლავ*** *ვკლავდავკლავვკლავდავკლავ...*

აბელი: მელაპარაკეთ!,
მელაპარაკეთ!
გამოდით!,
ოღონდ ***(თ)ქვით***!..

## ლი და ფიტუ

*მოდერნიზმი ყვავილით დღეგრძელი გამოდგა,*
*პოსტმოდერნიზმი ყვავის ფიტულია*
*და უფრო დღეგრძელი მგონია.*

ჩვენ ყვავი გვყვავს (ვილაცას ჰგავს?!..),
ფიტუ ჰქვია, ლაპარაკობს;
ამავე დროს ფიტულია.
იტყვის ყვავი: ტყის ვიყავი,
ტყიდან მოვტყდი – გავიპარე,
ბუხრის თავზე შემოვჯექი–
–ა(ლ)ვყვავდი, აქ მირჩევნია.
ტყუილს ამბობს, რადგან მის ტყავს,
სანადირო გართობათა,
ტყუბი ტყვია დატყობია.
ტყვე გამოტყდა: ტყეში დარჩა
ჩემი ტყუბი და – ლი ჰქვია.

– დალი ჰქვია? ქალღმერთია?
– არა, არა!..
მისი ძმა ვარ, ის ქალია,
ჩემი დაა ყვავი ლია.
– ყვავილია?
– ვერ გამიგეთ.., ლი – ყვავია.
– რაო, რაო, ის ავია?
– არავითარ შემთხვევაში,
მე რო მომკლეს, თავს იკლავს და
ყვა–ყვას მოსთქვამს,
ტყეში ტყებას მისცემია,
***ყვა!, ყვა!*** – ყვარულს მეუბნება,
მეც ყვარულით მყვარებია.
ლიც თუ მოკლეს ულრან ტყეში
დამთავრდება ***ყვა***–ჩხავილი,
ბუხრის თავზე შემოჯდება
დაა ჩემი ***Artყვავი ლი.***

2007 წელს ნობელის პრემია ლიტერატურაში ინგლისელ მწერალ ქალს, დორის ლესინგს მიენიჭა. ნობელის პრემიის კომიტეტის დასკვნის თანახმად, მისი ნაწარმოებები „აღსავსეა სკეფსისით, ვნებით, ქალური გამოცდილების წინასწარმეტყველური ძალით..."

დორის ლესინგი (ქალიშვილობის გვარია ტეილორი) ირანში, ოფიცერი მამისა და ექთანი დედის ოჯახში დაიბადა 1919 წელს. 1925 წელს, როცა დორისი 6 წლისა იყო, ოჯახი სამუშაოდ როდეზიაში (ზიმბაბვეს ძველი სახელწოდება), ინგლისის ყოფილ კოლონიაში გაგზავნეს. 14 წლის შემდეგ, რაიმე ფორმალური განათლება აღარ მიუღია, მუშაობდა მომვლელად, ტელეფონისტად, ჟურნალისტად... ლესინგი მისი მეორე ქმრის გვარია, რომელსაც პირველის მსგავსად, გასცილდა, ლონდონში დასახლდა და მწერლური ცხოვრება დაიწყო. აპარტეიდის კრიტიკისათვის როდეზიასა და სამხრეთ აფრიკაში შესვლა აკრძალული ჰქონდა.

ჩვენი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი იყო მისი მოთხრობების რუსული თარგმანები; ფემინისტური ლიტერატურის კლასიკად ითვლება მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „ოქროს დღიური".

დაჯილდოებულია ასტურიის პრინცის ესპანური ლიტერატურული პრემიით; სომერსეტ მოემის ბრიტანული პრემიით; გრინცან კავურის იტალიური პრემიით; ალფრედ ტეპფერის (გერმანია) შექსპირული პრემიით;

გთავაზობთ დორის ლესინგის ნობელის ლექციის (სტოკჰოლმში ჩასვლა და მისი წაკითხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა) თარგმანს.

დორის ლესინგი

# არა ნობელის პრემიის მიღების გამო



ღია კარში ვდგავარ. ვხედავ მტვრის ასვეტილ ღრუბლებს იქ, სადაც, როგორც მითხრეს, ჯერ კიდევ გაუჩეხავი ტყეა. გუშინ უთვალავ მილად გადაჭიმულ გადაბუგულ ჯირკებსა და ცეცხლის ნარჩენებში მივაბიჯებდი იქითკენ, სადაც 1956-ში ყველაზე მშვენიერი ტყე იყო, რომელიც კი ოდესმე მინახავს და რომელიც უკვე გაენადგურებინათ. ხალხს ჭამა უნდა. გასათბობად შეშა სჭირდება.

ზიმბაბვეს ჩრდილო-დასავლეთი. ოთხმოციანი წლების დასაწყისი. ვსტუმრობ მეგობარს, რომელიც ადრე ლონდონის სკოლაში ასწავლიდა. ახლა აქაა, რათა ჩვენსავით „აფრიკას დაეხმაროს". მას სათუთი იდეალისტური სული აქვს და რაც აქ, ამ სკოლაში ნახა, მიზეზი გახდა მისი მოკური დეპრესიისა, რომლის უკუგდება ძნელდება ხოლმე. ეს ისეთივე სკოლაა, როგორც – ყველა დანარჩენი, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აშენებული. აქ არის ოთხი, ერთმანეთს მიყოლებული აგურით ნაშენი ოთახი; მტვერი... ერთი, ორი, სამი, ოთხი... ერთ-ერთი ოთახის ნახევარი ბიბლიოთეკას ეთმობა. საკლასო ოთახებში ჰკიდია დაფები, მაგრამ ჩემი მეგობარი ცარცს ჯიბეში ინახავს, რომ არ მოიპარონ. აქ არც ატლასია, არც გლობუსი, არც სახელმძღვანელოები, არც სავარჯიშოთა კრებულები, არც ბურთულიანი კალმები. ბიბლიოთეკაში არ არის წიგნები, რომელთა წაკითხვა ბავშვებს გაეხარდებოდათ. აწყვია ამერიკულ უნივერსიტეტთა ტომეულები, რომელთა აწევაც კი ჭირს. ეს წიგნები თეთრ ბიბლიოთეკებს დაუწუნიათ. აქ ნახავთ დეტექტივებს, წიგნებს, სათაურით „უიქენდი პარიზში" ან „ფელისიტი სიყვარულს პოულობს".[1]

თხა ცდილობს, საზრდოს მიაკვლიოს გადამხმარ ბალახში. დირექტორმა სკოლისთვის გამოყოფილი თანხა მიითვისა და გადააყენეს. ალიძვრება ყველასთვის ნაცნობი, მაგრამ უალრესად კეთილშობილური კონტექსტებით აღსავსე კითხვა: როგორ იქცევიან ასე ყველას თვალწინ?

ჩემს მეგობარს ფული არ გააჩნია, რადგან ყველა, მოსწავლეები თუ მასწავლებლები, მისგან სესხულობენ და ვალს უკან აღარ აბრუნებენ. მოწაფეთა ასაკი 6-დან 26-მდე მერყეობს, რადგან ვინც სწავლა ადრე ვერ მოახერხა, ახლა აპირებს დაკარგულის ანაზღაურებას.

ზოგი მოსწავლე ყოველ დილით, წვიმასა თუ ხვატში, მდინარის გასწვრივ უამრავ მილს გადის. მათ საშინაო დავალების შესრულება არ ძალუძთ, რადგან სოფელში ელექტროენერგია არ არის, ცეცხლის შუქზე კი ბევრს ვერაფერს ისწავლი. გაკვეთილების შემდეგ შინ დაბრუნებულმა გოგონებმა წყალი უნდა მოზიდონ და საჭმელი მოამზადონ, ვიდრე ისევ სკოლაში წავიდოდნენ.

ჩემს მეგობართან ერთად მის ოთახში ვიჯექი. იქაურები მოკრძალებით შემოდიოდნენ და ყველა მათგანი წიგნს ითხოვდა: „ლონდონში რომ ჩახვალთ, გთხოვთ, წიგნები გამოგვიგზავნოთ." ერთი კაცი ამბობდა: „კითხვა გვასწავლეს, მაგრამ წიგნები არ გაგვაჩნია". ყველამ, ვისაც კი შევხვდი, წიგნი მთხოვა. მტვერი იმატებდა. წყალი არავის ყოფნიდა. წყალსატუმბი დაზიანებული იყო და ქალებს წყალი ისევ მდინარიდან უნდა ეზიდათ. მეორე იდეალისტი ინგლისელი მასწავლებელი აქაური სკოლის ნახვის შემდეგ თავს შეუძლოდ გრძნობდა.

სემესტრის ბოლო დღეს თხა დაკლეს, ხორცი წვრილად დაჭრეს და დიდ ქვაბში მოხარშეს.

მე მანამდე წამოვედი, ვიდრე სემესტრის დასასრულს მოხარშული თხის ხორცითა და შვრიის ფაფით აღნიშნავდნენ. უკან გამოვუყევი გადამწვარი ტყის ნარჩენებს.

არა მგონია, ამ სკოლის ბევრმა კურსდამთავრებულმა მიიღოს პრემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს მე უკვე ლონდონის ჩრდილოეთში მდებარე სკოლაში ვარ, ძალიან კარგ სკოლაში, რომლის სახელი ყველამ ვიცით. აქ ბიჭები სწავლობენ.

შენობა კარგია. ბაღიც.

აქ თითქმის ყოველ კვირას სტუმრობენ ცნობილი ადამიანები და ბუნებრივიცაა, რომ ზოგი მოწაფეთა მამა, ნათესავი ან სულაც დედა შეიძლება იყოს. სახელგანთქმულ ადამიანთა სტუმრობა აქ არაფრად მიაჩნიათ.

გონებაში ჩამრჩა ზიმბაბვეს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე მტვრიანი სკოლა. ვუყურებ ამ მშვიდად მომლოდინე სახეებს და ვცდილობ, ლონდონელ მოსწავლეებს გასულ კვირას ზიმბაბვეში ნანახი ვუამბო: ალვუწერო საკლასო ოთახები სახელმძღვანელოების, ატლასის, სავარჯიშოთა კრებულების, ბურთულიანი კალმების გარეშე. ერთი რუკაც კი არ გააჩნიათ; ვუამბო სკოლებზე, სადაც მასწავლებლებს წიგნების გაგზავნას სთხოვენ, რათა ისწავლონ, როგორ ასწავლონ (სულ 18 თუ 19 მოსწავლე იქნება). ვუამბობ ლონდონელ ბიჭებს, რომ იქ ყველა წიგნს თხოულობს: „გთხოვთ, წიგნები გამოგვიგზავნოთ".

ვინც ამ სკოლაში სიტყვას წარმოთქვამს, უნდა იცოდეს, რომ მის წინ მდგომთა სახეებზე ვერაფერს ამოიკითხავს. მსმენელებს არ ესმით, რასაც ეუბნები. მათ გონებას არ ძალუძს იმის წარმოდგენა, რაზეც უყვები: მტვრის ღრუბლებში მდგარ სკოლაზე, სადაც წყალი არავის ყოფნის, სადაც სემესტრის ბოლოს ერთ თხას კლავენ, დიდ ქვაბში ხარშავენ და ასე დღესასწაულობენ. ნუთუ მართლაც ასე ძნელია ამ გაცრეცილი სილატაკის წარმოდგენა?

მე ძალიან ვეცადე. ისინი თავაზიანად გამომემშვიდობნენ.

დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი პრემიის ლაურეატი გახდება.

როცა ყველაფერი დასრულდა, მასწავლებლებს, ჩვეულებრივ, ბიბლიოთეკების შესახებ ვკითხე. და აქ, ამ პრივილეგირებულ სკოლაშიც კი, ის მოვისმინე, რაც ყოველთვის მესმის სკოლებსა და თვით უნივერსიტეტშიც.

„ხომ იცით, როგორც ხდება... ბიჭების უმრავლესობა საერთოდ არ კითხულობს და ბიბლიოთეკა სანახევროდ გამოიყენება".

„ხომ იცით, როგორც ხდება..." დიახ, ვიცით. თითოეულმა ჩვენგანმა იცის.

ჩვენ ფრაგმენტირებულ კულტურაში ვცხოვრობთ, სადაც ამ ათი წლის წინაც კი შეიძლებოდა უდავო ჭეშმარიტებაში შეეჭვება და სადაც ახალგაზრდა, განათლებამიღებულ ადამიანთა უმრავლესობამ არაფერი იცის სამყაროს შესახებ, მათი უმრავლესობა არაფერს კითხულობს, მხოლოდ რომელიღაც სპეციალობაში ერკვევა, ვთქვათ, კომპიუტერში.

რაც თავს გადაგვხდა – კომპიუტერის, ინტერნეტის, ტელევიზიის გასაოცარი გამოგონებანი – ნამდვილი რევოლუცია იყო. და ეს არ გახლდათ პირველი რევოლუცია, რომელთანაც კაცობრიობას ჰქონია საქმე. ბეჭდვის რევოლუციამ, რომელიც უფრო მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ათეული წლებია, შეცვალა ჩვენი გონება და აზროვნების წესი. დაუჯერებელია, რომ ჩვეულებისამებრ უფრო მეტს ველოდით, თუმცა არასოდეს გვიკითხავს: „როგორ იმოქმედა ჩვენზე ბეჭდვის გამოგონებამ?" ხომ არასდროს ვილლებით, საკუთარ თავს რომ ვკითხოთ ხოლმე, როგორ ვართ? აი, ამგვარი მოულლელობით ვიცვლებით ახალ ინტერნეტთან ერთად. ის მთელ თაობებს აცდუნებს და ფიტავს. საკმაოდ გონიერი ადამიანებიც კი აღიარებენ, რომ ინტერნეტს მიეჯაჭვნენ, მთელ დღეებს ატარებენ „ბლოგინგში", „ბლაგინგში"[2] და ა.შ.

ოდესმე ვინმე, სანახევროდ განათლებული, დააფასებს სწავლა-განათლების მნიშვნელობას და ივალდებულებს ლიტერატურის დაცვას. რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ ვიდრე ეს დრო მოვიდოდეს, მავანნი თავს მოიკატუნებენ, ვკითხულობთ, სწავლა-განათლებას პატივს ვცემთო. თუმცა, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, წიგნის კითხვა მხოლოდ მშრომელ ხალხს სწყურია; ამას ადასტურებს მშრომელთა ბიბლიოთეკების, ინსტიტუტების, კოლეჯების არსებობა XVIII-XIX საუკუნეებში.

კითხვა, წიგნები ზოგადი განათლების ნაწილი იყო.

ასაკოვნებმა ახალგაზრდებთან საუბრისას უნდა თქვან, რა დაუჯდათ განათლების მიღება, რადგან ახალგაზრდებმა ამაზე ნაკლები იციან. და თუ ბავშვებს კითხვა არ შეუძლიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ კითხულობენ.

ყველამ ვიცით, რომ ეს სევდიანი ისტორიაა...

მაგრამ არ ვიცით, როდის დამთავრდება.

ჩვენ ვფიქრობთ ერთ ძველ გამონათქვამზე: „ბევრი კითხვა ადამიანს აგიჟებს", და გვავიწყდება, რომ ამ სიგიჟეს ინფორმირებულობა, ისტორია და ცოდნის მრავალი სახეობა ჰქვია.

თუმცა მსოფლიოში ჩვენსავით სხვებიც ცხოვრობენ. არცთუ დიდი ხნის წინათ, მეგობარმა ტელეფონით საუბრისას მითხრა, ზიმბაბვეში ვიყავი, სოფელში, სადაც მე და ჩემს თანამგზავრთ სამი დღე არაფერი გვიჭამია, მაგრამ წიგნებზე ლაპარაკმა, განათლებამ გაგვაძლებინაო.

მე ერთ პატარა ორგანიზაციას მივეკუთვნები, რომელიც სოფლებში წიგნების ჩატანის მიზნით დაფუძნდა. ის ზიმბაბვეს ფესვებთან იყო დაკავშირებული. ამ ორგანიზაციის წევრები (მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინ იყვნენ) ალწერდნენ, რომ სოფლები სავსეა ჭკვიანი ხალხით: გადამდგარი თუ მოქმედი მასწავლებლებით, არდადეგებზე მყოფი ბავშვებით, მოხუცებით.

მე საკუთარი ხარჯით გამოვიკვლიე, თუ რის წაკითხვა სურთ ადამიანებს და შვედური ჯგუფის მსგავსი შედეგი მივიღე, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი: იქაურებსაც ისეთივე ნაწარმოებთა კითხვა სურთ, როგორისაც – ევროპაში, თუკი იქ საერთოდ კითხულობენ რამეს – ყოველგვარი რომანების, სამეცნიერო თუ დეტექტიური პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, შექსპირისა და, ასე ვთქვათ, სარეკომენდაციო წიგნებისა – როგორ გავხსნათ საბანკო ანგარიში და სხვ; მათ გაეგონათ შექსპირი! სოფლის მკვიდრთათვის წიგნების მოძიების პრობლემა ის არის, რომ მათ არ იციან, რომელი მათგანი გამოადგებათ. მაგალითად, სასკოლო ქსელის წიგნი „ქესთერბრიჯის მერი" პოპულარული იმით გახდა, რომ აქ უკვე სმენოდათ მასზე; „ცხოველთა ფერმამ", გასაგებ მიზეზთა გამო, ყველაზე დიდი სიყვარული დაიმსახურა.[3]

ჩვენი პატარა ორგანიზაცია წიგნებს შოულობდა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ კარგი რბილყდიანი წიგნი ერთი თვის ხელფასი ჯდებოდა – ეს მუგაბეს[4] ტერორის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებამდე იყო. ახლა, ინფლაციის გათვალისწინებით, ამას რამდენიმე წლის ჯამაგირი დასჭირდებოდა. წიგნებით სავსე ყუთის შეტანას სოფელში – თანაც, ბენზინის საშინელი ნაკლებობისას – შესაძლოა, ცრემლიც კი მოჰყოლოდა. ბიბლიოთეკას ხით ან აგურით თუ ააშენებდი. ერთ კვირაში იქ შეიქმნა წერა-კითხვის შემსწავლელი კლასები – გაჩნდა ხალხი, რომელთაც შეეძლოთ სწავლება მათთვის, ვისაც ეს არ ძალუძდა. დაფუძნდა სამოქალაქო კლასი. რამდენიმე ბიჭმა ტონგაში მოთხრობაც კი დაწერა. ეს მანამდე არასოდეს მომხდარა. ზიმბაბვეში 7 ძირითადი ენაა და ყოველ მათგანზე მოთხრობა დაიწერა ძალადობაზე, ინცესტზე, მკვლელობებსა და დანაშაულზე...

ჩვენს პატარა ორგანიზაციას ხელს უმართავდა ნორვეგია, შემდეგ – შვედეთი. ამგვარი გულშემატკივრობის გარეშე წიგნებს ვერ შევაგროვებდით. მოთხრობები ზიმბაბვეში გამოიცა. სარეკომენდაციო წიგნები მათ დავგზავნა, ვისაც სჭირდებოდა.

ნათქვამია, ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო, მაგრამ, ვფიქრობ, ზიმბაბვეს ეს არ ესადაგება. უნდა გვახსოვდეს, რომ წიგნების თაყვანისცემა და სიყვარული მუგაბეს რეჟიმის დამსახურება კი არ არის, არამედ მათი, ვინც მუგაბემდე იყო – თეთრების. წიგნებით დაურწყულებლობა საოცარი ფენომენია და ეს ჩანს ყველგან – კენიიდან დაწყებული, კეთილი იმედის კონცხით დამთავრებული. ეს ერთ უჩვეულ ფაქტს უკავშირდება. მე მიმიყვანეს ერთ ჩალით დახურულ წვირიან ფაცხაში. ასეთი სახლებია ყველგან, სადაც კი ლელქაში ან ბალახი იზრდება, ლაფი და კედლების ამოსაყვანი ლატანები მოიპოვება. საქსონური ინგლისია ამის მაგალითი. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ოთხი ოთახი იყო – ერთი კი არა, ოთხი, თანაც წიგნებით სავსე. ჩემს მშობლებს ინგლისიდან აფრიკაში წიგნები არ ჩაჰქონდათ, მაგრამ დედაჩემი ინგლისიდან თავისი შვილებისთვის იწერდა წიგნებით სავსე ყავისფერ ამანათებს, რომლებიც სიხარულით ავსებდნენ ჩემს სიყმაწვილეს. ტალახით ნაშენი სახლი, რომელიც წიგნებით იყო სავსე.

ზოგჯერ წერილებს ვიღებ მათგან, ვინც უსინათლო და უწყლო სოფლებში ცხოვრობს: „მეც მინდა, თქვენსავით მწერალი გავხდე, რათა თქვენნაირი სახლი მქონდეს".

თუმც არის ერთი სიძნელე.

მწერლები უწიგნო სახლებში არ იბადებიან.

გადავათვალიერე თქვენი პრემიის ზოგი მფლობელის ლექციები.

ავიღოთ, მაგალითად, საუცხოო ფამუქი.[5] ის წერს, რომ მამამისს 1500 წიგნი ჰქონდა. მისი ნიჭიერება ჰაერიდან არ ჩამოსულა. ის დიდ ტრადიციას უკავშირდება.

ავიღოთ ვ.ს. ნაიპოლი.[6] ის შენიშნავს, რომ ინდური ვედები თავის ოჯახს ახსენებდა და, როცა ინგლისში დასახლდა, ბრიტანეთის ბიბლიოთეკით სარგებლობდა. ასე რომ, ისიც დიდი ტრადიციის ერთგული იყო.

ავიღოთ ჯონ კუტზეე.[7] ის არამარტო ახლოს იყო დიდ ტრადიციასთან, თვითვე გახლდათ ტრადიცია: ლიტერატურას ასწავლიდა ქეიფთაუნში. და რა სამწუხაროა, რომ მის არცერთ ლექციას არ დავსწრებივარ, რათა ამ მამაც, მშვენიერ, გაბედულ გონებას ესწავლებინა ჩემთვის.

იმისთვის, რომ წერო, ლიტერატურა შექმნა, საჭიროა კავშირი ბიბლიოთეკასთან, წიგნებთან, ტრადიციასთან.

მე მყავს ზიმბაბველი მეგობარი, მწერალი, შავკანიანი – და ეს არსებითია. მან კითხვა ჯემის ქილების იარლიყებით ისწავლა, ხილის კონსერვებს მიკრული იარლიყებით. ის იმ სოფელში ცხოვრობდა, სადაც მე ვიყავი ჩასული. მიწა ქვიშიანია, ხრეშიანი. იზრდება დაბალი მეჩხერი ბუჩქნარი. ცოტა და ღარიბული ქოხები დგას. სკოლა კი ზუსტად ისეთია, როგორიც ზემოთ აღგიწერეთ. ჩემმა მეგობარმა ნაგვის გროვაში იპოვნა ერთი საბავშვო ენციკლოპედია და იმით ასწავლიდა.

დამოუკიდებლობის მიღებისას, 1980 წელს, ზიმბაბვეში კარგი მწერლების ერთი ჯგუფი არსებობდა, ეს იყო მგალობელ ფრინველთა ბუდე. ისინი სამხრეთ როდეზიაში დაიჩეკნენ, თეთრების ბატონობისას – მისიონერთა საუკეთესო სკოლებში. მწერლები ზიმბაბვეში არ დაბადებულან. არც მაშინ, როცა თავისუფლები იყვნენ, არც – მუგაბეს რეჟიმის დროს.

ყველა მწერალმა ძნელი გზა განვლო ლიტერატურამდე. ამ გზაზე ჯემის ქილების იარლიყებიც გამოსადეგია და გადაგდებული ენციკლოპედიაც და ჩვენ ვსაუბრობთ განათლების სტანდარტებს მოწყურებულ ადამიანებზე, რისგანაც ისინი ძალზე დაშორებულნი არიან. ქოხები. ბავშვებით სავსე ფაცხები. ნაჯაფარი დედა. ბრძოლა საკვებისა და ტანსაცმლისათვის.

და მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მწერლები იბადებიან. არის მეორე რამეც, რაც უნდა გვახსოვდეს. ეს იყო ზიმბაბვე, რომელიც ას წელზე ნაკლები ხნის წინათ დაიპყრეს. ამ ხალხის ბებიები და პაპები შესაძლოა ამ ამბების მთხრობელებად გამოგვადგნენ. ზეპირი ტრადიცია. ერთსა თუ ორ თაობაში განფენილი. სხვადასხვა ვერსიები რჩება და გადაეცემა საბეჭდ მანქანებს, წიგნებს. რამხელა მიღწევაა!

ნაგვის გროვას გამოგლეჯილი წიგნები და თეთრი ადამიანების გაცვეთილი სამყარო.

მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ფურცლების კონა (არა ნაბეჭდი – ეს უკვე წიგნია!), რომელსაც ისეთი გამომცემელი უნდა მოუძებნოთ, ფულს რომ გადაგიხდით. მე რამდენიმე ანგარიში მაქვს, რომელიც გამომცემლებმა გამომიგზავნეს აფრიკული ამბების აღწერისათვის. უფრო პრივილეგირებული ადგილებიც კი, როგორიცაა განსხვავებული ტრადიციების ჩრდილოეთ აფრიკა, მწერლისთვის საოცნებო მასალაა.

ახლა მე გიამბობთ ჯერ დაუწერელ წიგნებზე, მწერლებზე, რომელთაც ჯერ არაფერი დაუბეჭდავთ, რადგან იქ გამომცემლები არ არიან. მათი ხმა არავის ესმის.

შეუძლებელია ამ ნიჭიერების, ენერგიის ამ ყამირის ზუსტი შეცნობა და შეფასება.

მაგრამ წიგნის დაბეჭდვას, რომელიც გამომცემელს საჭიროებს, წინ უძღვის დახვეწის, სრულყოფის პროცედურები... გამხნევებაც საჭიროა. ზიმბაბვეში არც ეს არსებობს.

მწერლებს ხშირად ეკითხებიან: „როგორ წერთ? პროცესორით? ელექტროსაბეჭდი მანქანით? ბატის ფრთით? კალმით?" თუმც არსებითი კითხვა ესაა: „მიაკვლიეთ სივრცეს, იმ ცარიელ სივრცეს, რომელიც წერისას გარს უნდა

გერტყათ? სწორედ იმ სივრცეში, რომელსაც აქვს სმენის, ყურადღების ფორმა, ჩნდება თქვენი პერსონაჟების მიერ წარმოთქმული სიტყვები, იდეები, შთაგონება... თუ მწერალმა ხსენებული სივრცე ვერ იპოვნა, ლექსები და მოთხრობები მკვდრად იშობიან.

როცა მწერლები ერთმანეთს ელაპარაკებიან, სწორედ ამ სივრცეს, ამ განსხვავებულ დროს გულისხმობენ: „მიაკვლიე? ჩასჭიდე ხელი?"

გადავხტეთ აშკარად განსხვავებულ ამბავზე. ლონდონში ვართ, ერთ-ერთ დიდ ქალაქში. ახალი მწერალი გამოჩნდა. ცინიკურად ვკითხულობთ: „როგორი მკერდი აქვს? ლამაზია?" თუ მამაკაცია, გვაინტერესებს: „ქარიზმატულია? მომხიბლავი?" ჩვენ ვხუმრობთ, მაგრამ ეს არ არის ხუმრობა.

ამ აღმოჩენას უკვე დაუკრეს ტაში, შესაძლოა დიდი ფულიც მისცეს. ცარიელ ყურებში პაპარაცები ჩაჰბზუიან. დღესასწაულს უმართავენ, მთელს სამყაროში ორთვალით დააბრძანებენ. ჩვენ, ამის შემხედვარე ბებრებს, გვეცოდება ეს ნეოფიტი, რომელმაც არ იცის, რა ხდება სინამდვილეში.

ის, ქალია თუ კაცი, ცამდე აყვანილი და ნასიამოვნებია.

მაგრამ ჰკითხეთ ერთი წლის შემდეგ, როგორ გაიხსენებს ამ ამბავს. მე მომისმენია – „ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება, რაც კი ოდესმე მინახავს". უხვადგამოცემული ახალი მწერლები წერას თავს ანებებენ ან იმას არ წერენ, რასაც ფიქრობენ.

და მაშინ ჩვენ, ბებრებს გვსურს მათი უმანკო სმენის შეკრთობა: „იპოვნეთ თქვენი სივრცე? მხოლოდ თქვენი, ერთადერთი, საკუთარი, აუცილებელი ადგილი, სადაც თქვენივე ხმა დაგელაპარაკებათ, სადაც ოცნებებთ? ო, ჩაეჭიდეთ მას, ხელიდან არ გაგისხლტეთ!"

ამას ერთგვარი განათლება სჭირდება.

ჩემი გონება აღსავსეა აფრიკული მოგონებებით, რომლებითაც შემიძლია სული მოვითქვა და იქით გავიხედო, საითკენაც მსურს. რას იტყვი იმ მზის ჩასვლაზე, ოქროსფერ, ნარინჯისფერ, მენამულ სხივებზე, საღამოობით ცას რომ ეფინება?

რას იტყვი იმ პეპლებზე, ფარვანებსა და ფუტკრებზე, რომლებიც კალაპარის სურნელოვან ბუჩქებს შესევიან? ანდა ზამბეზი გაიხსენე, როცა ის ფერმიხდილი ბალახით მოფენილ ნაპირებს შუა იმღვრევა, მუქი სიმწვანითა და სიკრიალით გარემოსილი... მთელი სამყაროს ჩიტები იმ ნაპირზე იყრიან თავს... სპილოები, ჟირაფები, ლომები და სხვა დანარჩენი – რას არ ნახავ აქ! რას იტყვი ღამის ცაზე, ჯერ კიდევ შეუბღალავ, შავ, მშვენიერ ცაზე, რომელიც მოუსვენარი ვარსკვლავებით ივსება?

თუმცა სხვა რამეც მაგონდება. ახალგაზრდა, ასე თვრამეტიოდ წლის ყმაწვილი, თავის „ბიბლიოთეკაში" დგას. ერთმა ამერიკელმა, როცა მისი ცარიელი ბიბლიოთეკა ნახა, წიგნებით სავსე მთელი ყუთი გამოუგზავნა. ყმაწვილი მოკრძალებით ათვალიერებდა საჩუქარს და წიგნებს პოლიეთილენის პარკებში აწყობდა. „კი, მაგრამ," – ვუთხარით ჩვენ. – განა ეს წიგნები წასაკითხად არ გამოგიგზავნეს?" მან კი მიპასუხა: „არა, დაისვრება და სხვას სადღა ვიშოვნი?"

მან გვთხოვა, ინგლისიდან ისეთი წიგნები გაგვეგზავნა, რომლებითაც ისწავლიდა, თუ როგორ უნდა ესწავლებინა. „მე მხოლოდ საშუალო სკოლის ოთხი კლასი დავამთავრე", და დაუმატა: „მათ არ უსწავლებიათ, როგორ უნდა ვასწავლო".

მე ვნახე იმ სკოლის მასწავლებელი, სადაც არათუ სახელმძღვანელო, ცარცის ნატეხიც კი არ არის – მოუპარავთ – ის კი მაინც ასწავლის 6-დან 18 წლამდე მოწაფეებს, რომლებიც მტვრიან ქვებზე სხედან. ისმის მასწავლებლის წამღერება: „ორჯერ ორი არის..." და ა.შ. ვნახე გოგონა – ოცი წლისა თუ იქნებოდა. არც მას ჰქონდა სახელმძღვანელო, სავარჯიშოთა კრებული, ბურთულიანი კალამი – და მაინც ასწავლიდა ანბანს, მტვერში წკირით გამოჰყავდა ასოები, ვიდრე მზე ჩავიდოდა და ქვიშაზე ყველანაირი კვალი წაიშლებოდა.

აფრიკაში, მესამე სამყაროს ნებისმიერ ქვეყანაში ვამჩნევთ განათლების მიღების წყურვილს. მშობლებს სურთ, მათმა შვილებმა განათლება მიიღონ, რაც მათ სიღარიბისგან თავდაღწევაში დაეხმარებათ და განათლების უპირატესობას აგრძნობინებს, იმ განათლებისა, რომელსაც დღეს დაღუპვა ემუქრება.

მინდა თავი წარმოიდგინოთ სადმე, სამხრეთ აფრიკაში. დგახართ ინდურ დუქანში, მოშიშვლებულ ადგილას. საშინელი გვალვაა. ხალხის რიგია. ძირითადად ქალები; ყველას წყლის ჭურჭელი უჭირავს ხელში. ამ მაღაზიაში შუადღეობით ქალაქიდან წყალი ამოაქვთ. ხალხი ამ წანატრ მადლს ელოდება.

ინდოელი ხელის გულებით დახლს დაყრდნობია. შეჰყურებს შავკანიან ქალს, რომელსაც დახვეული ქაღალდები ჩაუბღუჯავს. ოდესღაც წიგნი უნდა ყოფილიყო.

ის „ანა კარენინას" კითხულობს.

კითხულობს ნელა, სიტყვებს პირს აყოლებს. ძნელი წიგნი ჩანს. ახალგაზრდა ქალია, ბარძაყებზე ორი ბავშვი ჩაბღაუჭებია. ორსულადაა.

ინდოელი დაღვრემილია, რადგან ახალგაზრდა ქალის თავსაბურავი, რომელიც თეთრი უნდა იყოს, მტვერს გაუყვითლებია. მტვერი აყრია მკერდზეც და მკლავებზეც. ინდოელს ხალხის რიგი სულს უმღვრევს. ყველას სწყურია, მას კი სამყოფი წყალი არ გააჩნია. ის გაბრაზებულია, რადგან იცის, რომ მტვრიანი ღრუბლების იქით ხალხი იხოცება. ეს დუქანი მისი ძმისაა, რომელიც ხვატმა ცუდად გახადა და ქალაქში წავიდა.

ინდოელი ცოდნის დამფასებელია. ეკითხება ყმაწვილ ქალს: „რას კითხულობ?"

„რუსეთზეა,"– ამბობს გოგონა.

„იცი, სად არის რუსეთი?" ინდოელმაც არ იცის ზუსტად.

ახალგაზრდა ქალს პირდაპირი მზერა აქვს. მის თვალებში, რომლებიც მტვერს აუწითლებია, ღირსება ისადგურებს. „მე კლასში საუკეთესო ვიყავი. მასწავლებელი ასე ამბობდა. საუკეთესო ვიყავი".

ქალი კითხვას განაგრძობს. გადაწყვეტილი აქვს, ეს თავი დაამთავროს. ინდოელი ბავშვებს დასცქერის, რამდენიმე „ფანტას" დასწვდება, მაგრამ დედა იტყვის: „ფანტა" უფრო მოაწყურებთ."

ინდოელმა იცის, ასე მოქცევა არ შეიძლება, მაგრამ მაინც იხრება, პლასტმასის დიდი კონტეინერიდან წყალს

პლასტმასისავე ორ ტოლჩაში ასხამს და ბავშვებს უნვდის. ის ხედავს, როგორ შესცქერის ქალი თავის შვილებს, რომლებიც რნყულდებიან. ქალს პირი უთრთის. ინდოელი მასაც უნვდის ტოლჩას. იმის ყურება კი აღარ ძალუძს, თუ როგორ სვამს ქალი ნყალს. გულსაკლავი სანახავია მნყურვალი ქალი.

ახლა ქალი თავის ჭურჭელს უნვდის კაცს, რომელსაც ის ნყლით ავსებს.

ყმანვილი ქალი და ბავშვები ისეთი მადლიერებით შესცქერიან... ინდოელი არასოდეს დაბნეულა ასე.

ქალი კვლავ შლის ქაღალდის ხვეულს. ნელა კითხულობს, მაგრამ ეს თავი მოსნონს და ხელმეორედ აყოლებს მზერას.

„ვარენკა, შავ თმაზე თეთრი საბურავით, ბავშვებით გარშემორტყმული, მხიარული და მოკისკისე, ამავე დროს, აღელვებული სასურველი მამაკაცის ნინადადებით, ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა. კოზნიჩევი მისკენ მოდიოდა და აღფრთოვანებულ მზერას ესროდა. უყურებდა მას და იხსენებდა ყველა იმ ნარმტაც სიტყვას, რაც კი მის ბაგეთაგან მოესმინა, ყველა სიკეთეს, რაც მასზე იცოდა და გრძნობა უფრო და უფრო ერეოდა. ეს იყო რაღაც უჩვეულო, რაც ადრეც განეცადა, ოღონდ ძალზე დიდი ხნის ნინათ, ადრეულ სიყმანვილეში. მის გვერდით ყოფნის სიხარული ნაბიჯ-ნაბიჯ იმატებდა და უმაღლეს ნერტილს მაშინ მიაღნია, როცა დიდი სოკო მონყვიტა, ღერო მოატეხა და მის კალათში ჩააგდო. თვალებში ჩახედა, კმაყოფილება შეამჩნია აღელვებულ, შეშინებულ სახეზე, თვითონაც შეცბა და სიჩუმეში აჩუქა ბევრისმთქმელი ღიმილი."

ფურცლების ეს გროვა დახლზე დაცვივდა. აქ იყო ძველი ჟურნალები, გაზეთის ნახევები და ბიკინიანი გოგონას ფოტოები.

დროა, დატოვოს ინდური მაღაზიის სამოთხე და მიბრუნდეს სოფლისკენ, რომელსაც ოთხი მილი აშორებს. დროა. რიგში მდგომი ქალები ხმაურობენ, ბუზღუნებენ. მაგრამ ისევ ინდოელი აყოვნებს. მან იცის, რა გზა უნდა გაიაროს გოგონამ სოფლამდე, მასზე მინებებულ ბავშვებთან ერთად. გოგონას რამდენიმე ნიგნსაც კი აჩუქებდა, რაც ასე ძლიერ მოსნონს, მაგრამ არ ძალუძს იმის დაჯერება, რომ ეს უზარმაზარმუცლიანი ქალის ნამსხვრევი მართლაც გაიგებს ამას.

რაღა მაინცდამაინც „ანა კარენინას" მესამედი დაცვივდა დახლზე, ამ შუა ინდურ მაღაზიაში?

ეს ასე მოხდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთი მაღალი თანამდებობის პირმა, ჩვეულებისამებრ, „ანა კარენინა" შეიძინა ნიგნის მაღაზიაში, სხვადასხვა ზღვებსა და ოკეანეებში გრძელი მოგზაურობის დანყებამდე. თვითმფრინავის ბიზნესკლასის სალონში ჯდება და ნიგნს სამ ნანილად ხევს. თან ირგვლივ იყურება, თანამგზავრებს აცქერდება, იცის, შოკისმომგვრელად, გასაოცრად და, ცოტა არ იყოს, სასეიროდაც რომ გამოიყურება.

როცა ქამარი დაივინროვა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამოაცხადა.

„მე ყოველთვის ასე ვიქცევი, როცა ხანგრძლივი მგზავრობა მინევს. არავის უნდა დიდი, მძიმე ნიგნის თრევა." გამოცემა თხელყდიანი იყო, მაგრამ ეს მართლაც გრძელი ნიგნია. ეს კაცი მიჩვეული იყო, რომ როცა ლაპარაკობდა, ხალხი უსმენდა. „ყოველთვის ასე ვიქცევი მოგზაურობისას,"– გაგვანდო მან. „ამდენი ხანი მგზავრობა საკმაოდ დამღლელია." და მაშინვე გადაშალა „ანა კარენინას" ერთი ნანილი და კითხვა დაინყო. როცა ხალხი მისკენ გამოიხედავდა, იგი მაშინვე აღსარებასავით ამოილუღლუღებდა: „დიახ, ეს ერთადერთი საშუალებაა სამოგზაუროდ". მან იცოდა ეს რომანი, უყვარდა კიდეც და კითხვის ეს ორიგინალური ფორმა სურნელს ჰმატებდა ამ ისედაც სახელმოხვეჭილ ნანარმოებს.

როცა კითხვა დაამთავრა, გაეროს თანამშრომელმა გამცილებელს „ანა კარენინას" ნაკითხული ნანილი უკან, იაფფასიან ადგილას მჯდომ თავის მდივანთან გაატანა. ყველაზე დიდ ინტერესს, კურიოზულობასა და მითქმა-მოთქმას ის ინვევდა, რომ დიდი რუსული რომანი – ნამგზავრი, დასახიჩრებული, მაგრამ ნაკითხული, თვითმფრინავის ბოლოსკენ ინაცვლებდა. საერთოდ, „ანა კარენინას" კითხვის ეს ჭკვიანური მეთოდი შთაბეჭდილებას ახდენს და ალბათ არც არავის დაავინყდება.

ამასობაში ქვევით, ინდურ მაღაზიაში ყმანვილი ქალი დახლს დაყრდნობია, შვილები ქვედაბოლოზე ებღაუჭებიან. ჯინსები აცვია, როგორც თანამედროვე ქალს შეეფერება, მაგრამ ზემოდან მატყლის მძიმე ქვედაბოლო შემოუსალტავს, თავისი ხალხის ტრადიციული ეროვნული სამოსის ნანილი. მის შვილებს ამ სქელ ნაკეცებზე ხელის მოკიდება უფრო უადვილდებათ.

ქალმა მადლიერებით აღსავსე მზერა გაუგზავნა ინდოელს, რომელსაც, გრძნობდა, რომ მოენონა. პატიებაც სთხოვა და მტვრის ასვეტილი ღრუბლებისკენ გადადგა ნაბიჯი. ბავშვებმა პირი დააბჩინეს, რომელიც სასნრაფოდ აევსოთ მტვრით.

ძალიან ძნელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა, ერთი ფეხის მეორისთვის მიყოლება, მტვერში, რომელიც რბილ თვალთმაქც გორაკებად განოლილიყო მის ქუსლებქვეშ.

**მნერალი ბონაპარტი**

ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ დანერილი სატრფიალო მოთხრობის ხელნანერი გვერდი, აუქციონზე ფონტენბლოში 35.000 დოლარად გაიყიდა.

1795 ნელს ნაპოლეონმა დანერა მოთხრობა „კლისონი და ეჟენი". ამ ნანარმოებს საფუძვლად უდევს მომავალი იმპერატორისა და მისი ძმის ცოლისდის – დეზირე კლერის – ურთიერთობის სიუჟეტი. ეს ნაპოლეონის ერთადერთი მხატვრული ნანარმოებია. მის სიცოცხლეში აღნიშნული მოთხრობა არ გამოქვეყნებულა.

შავი პირი კერძო კოლექციაში ინახებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან ძნელი იყო და მძიმე – მაგრამ ის ხომ შეჩვეოდა სიმძიმეს! მისი გონება რომანს დაეპყრო. ფიქრობდა. „ის ქალი ძალიან მგავს, თავისი თეთრი თავსაბურავით, ჩემსავით ბავშვებს უვლის. შემეძლო ის ვყოფილიყავი, ის რუსი გოგონა. კაცს უყვარს იგი და ცოლობას თხოვს (მას მხოლოდ ერთი თავი ჰქონდა წაკითხული). დიახ, კაციც მოვა ჩემთან, წამიყვანს აქედან, ბავშვებთან ერთად, შემიყვარებს და მომივლის ის კაცი."

მიაბიჯებს. წყლის ბიდონი უმძიმებს მხრებს. განსაკუთრებით სიარულისას. ბავშვებს ესმით წყლის მიხლამოხლის ხმა. შუა გზაში ქალი ჩერდება და ბიდონზე ჩამოჯდება. ბავშვები ზლუქუნებენ და ბიდონს ხელებს უთათუნებენ. ის ფიქრობს, რომ ბიდონის გახსნა არ შეიძლება, რადგან უმალვე მტვრით აივსება. სხვა გზა აღარ რჩება, ბიდონი შინ მისვლამდე უნდა გახსნას.

„მოიცადეთ!" – ეუბნება ბავშვებს. „მოიცადეთ!"

მან მხარზე უნდა შეიდგას ბიდონი და გზა განაგრძოს.

ფიქრობს. ჩემმა მასწავლებელმა თქვა, რომ იქ ბიბლიოთეკაა, სუპერმარკეტივით დიდი, წიგნებით სავსე. ახალგაზრდა ქალს ელიმება, როცა მოძრაობს. მტვერი სახეში ეყრება. მე ჭკვიანი ვარ. სკოლაში ყველაზე ჭკვიანი – მან თქვა, ჭკვიანი ხარო. ჩემი შვილები ჩემსავით ჭკვიანები გამოვლენ. მე წავიყვან მათ ბიბლიოთეკაში. იქ უამრავი წიგნია. ისინი წავლენ სკოლაში და მასწავლებლები გახდებიან – ჩემმა მასწავლებელმა მითხრა, რომ მეც შემიძლია მასწავლებლობა. ისინი აქაურობას გაშორდებიან, ფულს იშოვნიან. დიდი ბიბლიოთეკის ახლოს იცხოვრებენ. კარგი ცხოვრებით.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ დამთავრდა რუსული რომანის ერთი ეპიზოდი, იქ, ინდურ მალაზიაში?

კარგი მოთხრობა გამოვიდოდა. შესაძლოა ვინმემ დაწეროს კიდეც.

მივყვები ამ უმანკო გოგონას, რომელსაც ფიქრი წყლით სავსე ბიდონს მხრებზე უმაგრებს. შინ წყალი ბავშვებს უნდა გაუნაწილოს. ცოტას თვითონაც დალევს.

მივყვები მას აფრიკული გვალვის ამ შიშისმომგვრელ მტვერში.

ბევრი ვითოხარიკეთ. ჩვენ ჩვენსავე გაცვეთილ სამყაროში დავრჩით. ვერავინ შეგვედრება ირონიასა და ცინიზმში. ზოგი სიტყვა და იდეა ძნელად იბადება, ვიდრე საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდეს, მაგრამ ჩვენ ძალგვიძს, აღვადგინოთ ზოგიერთი მაინც, რომელთაც თავიანთი პოტენცია დაუკარგავთ.

ჩვენ განძით სავსე სახლი გვაქვს, საგანძური – ლიტერატურა, რომელიც უკან გვიბრუნებს ეგვიპტელებს, ბერძნებს, რომაელებს. ყველა აქაა, ლიტერატურის ეს აულადიდება, რათა ხელმეორედ აღმოაჩინოს ვინმე იღბლიანმა. საგანძური.

წარმოიდგინეთ, ის რომ არ არსებობდეს. რა უძლურები, რა გამოფიტულნი ვიქნებოდით მაშინ.

ჩვენ ვფლობთ ენების, ლექსების, ისტორიების მემკვიდრეობას და ის ერთადერთი არ არის, რაც არასდროს გაუფასურდება. ყოველივე ეს ყოველთვის აქ იქნება.

ჩვენ გვაქვს მთხრობელთა მიერ ნაამბობი ლეგენდების მემკვიდრეობა. ზოგის სახელი ვიცით, ზოგისა – არა. მთხრობელები სულ უფრო და უფრო მიიწევენ უკან, აღმოდებული ტყეებისკენ. ბებერი შამანები ცეკვავენ და მღერიან. ჩვენი მემკვიდრეობა ცეცხლში, მაგიაში, სულიერ სამყაროში იბადება. აი, სად არის დღეს ის დავანებული.

ჰკითხეთ ნებისმიერ თანამედროვე მწერალს და გეტყვით, რომ ყოველთვისაა მომენტი, როცა ცეცხლი ედება. ამას შთაგონებას ვეძახით და ის სულ უფრო მეტად გვეწევა უკან, ჩვენი რასისკენ, ცეცხლისკენ, ყინულისა და ქარიშხლისაკენ, ჩვენთვის და ჩვენი სამყაროსთვის ფორმა რომ მიუცია.

მთხრობელი ყოველი ჩვენგანის სიღრმეში ცხოვრობს. ამბების მთხზველი ყოველთვის ჩვენს გვერდითაა. წარმოვიდგინოთ ჩვენი სამყარო იმ საშინელებით დათრგუნული, ყველა რომ ვხედავთ. წარმოვიდგინოთ ჩვენს ქალაქებს მიშვებული წყლის ნიაღვარი, ადიდებული ზღვა... თუმც მთხრობელიც იქვე იქნება ანუ საკუთარი წარმოსახვა, რომელიც ფორმასაც მოგვცემს, შეგვინახავს, შეგვქმნის – ავად თუ კარგად. ეს ჩვენი მოთხრობა იქნება, ჩვენი ისტორია. მთხრობელი ხელმეორედ აღგვადგენს, დანაწევრებულთ, დაშლილთ, განადგურებულთაც კი. ეს მთხრობელი სიზმრებისა და მითების შემოქმედია, ჩვენი ფენიქსია, სწორედ მისით ვქმნით ყოველსავე საუკეთესოს, სწორედ მაშინ ვართ ყველაზე ნიჭიერნი...

უმანკო გოგო დაქანცული მიაბიჯებს მტვერში. ოცნებობს თავისი შვილების განათლებაზე. ნუთუ გვგონია, რომ მასზე უკეთესები ვართ – ჩვენ, საჭმლით გატიკნილნი, ტანსაცმლით გამოტენილი კარადებით, ფუფუნებით სულშეხუთულნი?

ვფიქრობ, ამას ის გოგონები და ქალები გაარკვევდნენ, რომლებიც ლაპარაკობენ წიგნებსა და განათლებაზე მაშინ, როცა სამი დღე არაფერი უჭამიათ.

თარგმნა
**გია ჯოხაძემ**

**შენიშვნები:**

1. „უიქენდი პარიზში", რობინ სისმანის „ტკბილი სენტიმენტალიზმითა" და გაცვეთილი ლიტერატურული ხერხებით გაჯერებული, რეალობას მოკლებული ნაწარმოები; იმავეს თქმა შეიძლება მარტინ მერედიტის რომანზეც „ფელისიტი სიყვარულს პოულობს".

2. ბლოგი – ა) ცნობები სხვადასხვა თემაზე, რომლებიც დროდადრო განახლდება ხოლმე. აქვეა მკითხველის კომენტარებიც; ბ) ქსელის დღიური, ერთგვარი „ცოცხალი დღიური", ხშირადგანახლებადი პერსონალური საიტი, რომელზეც ქვეყნდება ავტორის კომენტარები;

3. „ქესთერბრიჯის მერი", ინგლისელი პროზაიკოსისა და პოეტის თომას ჰარდის (1840-1928) ნაწარმოები; „ცხოველთა ფერმა", ინგლისელი მწერლისა და პუბლიცისტის, ჯორჯ ორუელის (1903-1950) ნაწარმოები;

4. რობერტ მუგაბე (დაბ. 1924) – 1987 წლიდან ზიმბაბვეს პირველი პრეზიდენტი;

5. ფერით ორხან ფამუქი (დაბ. 1952) – თურქი მწერალი, 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში;

6. ჯონ კუტზეე (დაბ. 1940) – სამხრეთაფრიკელი მწერალი და მთარგმნელი, 2003 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში;

7. ვიდიადჰარ სურაჯპრასად ნაიპოლი (დაბ. 1950) – ინდური წარმოშობის ტრინიდადელი მწერალი, 2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორი დიდი შემოქმედის შეხვედრა

გენიალური კომპოზიტორი, პაბლო პიკასოსთან და ჯორჯ ბალანჩინთან ერთად, ახალი ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, მუსიკის სამყაროში უდიდესი ნოვატორი იგორ სტრავინსკი მსოფლიო პოეზიის იშვიათი მცოდნე და შეუმცდარი დამფასებელი იყო; მრავალრიცხოვან წერილებსა და ინტერვიუებში უზადო ლიტერატურულ გემოვნებას ამჟღავნებდა. იმდენად მკაცრი მომთხოვნი იყო, პოეტები მას ადამიანთა „თითქმის გამქრალ სახეობად" მიაჩნდა, ხოლო დიდი პოეტი უიშვიათეს გამონაკლისად. სწორედ ამ თითებზე ჩამოსათვლელ პოეტებთან (ჟან კოკტო, იეიტსი, ოდენი, ელიოტი) მეგობრობდა იგი და ისინიც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მას უისტენ ოდენთან, რომლის ლექსებსა და ლიბრეტოებზე არაერთი საუცხოო მუსიკალური ნაწარმოები შექმნა. ასევე გულითადად მეგობრობდა იგი ტომას ელიოტთან და როცა ჰკითხეს, რატომ ერთხელაც არ გამოიყენა ასეთი მეგობრის პოეზია, ამაზე მოკვეთილად უპასუხა, მისი სიტყვები მუსიკას არ საჭიროებსო და ამით ყველაფერი თქვა. თუ რამოდენა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ელიოტის შემოქმედებას, იმითაც ჩანს, რომ გარდაცვალებისთანავე საგანგებო მესა მიუძღვნა. პარტიტურა 1965 წლის 17 თებერვალს დაუმთავრებია და ორი თვის თავზე, იმავე წლის 17 აპრილს ეს ნაწარმოები შეუსრულებიათ. თავად თავმდაბლურად აღნიშნა – ბოლო გალობა რამდენადმე რიტუალურია და შესაძლოა იგი პოეტს მოსწონებოდაო.

ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს დააინტერესებს იგორ სტრავინსკის მცირე მოგონება ტომას ელიოტზე და მეოცე საუკუნის ამ ორი დიდი შემოქმედის გულწრფელი ურთიერთგანდობა. ეს მასალა დაბეჭდილია მუსიკათმცოდნე ვიქტორ ვარუნცის მიერ შედგენილ ბრწყინვალე წიგნში „იგორ სტრავინსკი – პუბლიცისტი და თანამოსაუბრე".

გარდა იმისა, ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალი დარგის ულრმეს ცოდნას რომ ავლენს, სტრავინსკის გამოარჩევს იუმორის სრულიად უნიკალური გრძნობა, განსაკუთრებულად მაშინ, როცა იგი თავის ავადმყოფობასა და მკურნალ ექიმებზე ლაღად, კეთილად ხუმრობს. სასურველი იქნებოდა, იგორ სტრავინსკის ინტერვიუებისა და თეორიული წერილების რჩეული ქართულ ენაზეც გამოსულიყო და ეს საქმე ეთავა ქალბატონ ლილი მჭედლიშვილს, რომლის მშვენიერი თარგმანიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" წინამდებარე ნომერში იბეჭდება.

**ემზარ კვიტაიშვილი**

იგორ სტრავინსკი

# სუფრის საუბრები ტომას სტერნზ ელიოტთან

ელიოტს პირველად 1956 წელს, დეკემბრის საღამოს შევხვდი, როდესაც ლონდონში სენტ-მარტინ-ინ-ზეფილდის ეკლესიაში სადირიჟოროდ ჩავედი. „სავოიში" ჩაიზე დავპატიჟე, მაგრამ დანიშნულ დროზე ადრე მივიდა და, რესტორანში რომ შევედი, უკვე იქ მელოდა (მოგვიანებით მითხრა, კონცერტებზე უფრო მაღალი მეჩვენებოდიო. მე კი მისი შთამბეჭდავი აგებულებით, მართალი გითხრათ, გაოცებული დავრჩი – იმ სიმორცხვის, იმ მოკრძალებულობისათვის მისი დიდი, მოუქნელი, ფლეგმატური სხეული მეტისმეტად ტევადი სათავსი მეჩვენა). საუბარი ვერა და ვერ ავაწყვეთ, ისეთი სიჩუმე იყო, ისიც კი ისმოდა, ოფიციანტები ვერცხლეულს როგორ აპრიალებდნენ. ბოლოს ისევ საფირმო სენდვიჩმა გვიშველა, ჩაიმაც (თუმცა უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ვისკიმ). ელიოტი მკვეთრად შეაბრუნებდა თავს მოსაუბრიდან მოსაუბრისაკენ და „ჰმ" ან „დიახს" ნერვულად იტყოდა, ვინაიდან მასზე, ჩანს, არცთუ სასურველ შთაბეჭდილებას ვახდენდით. „ჰმ", „აჰა", „ჰო", „შეიძლება", „მთლად ასე არ არის" – იტყოდა სხვათა შორის, მაგრამ, როცა გარკვევით, გამოკვეთილად წარმოთქვა – ესე იგი, თქვენ მართლაც ასე ფიქრობთო? – ეს ისეთი ტონით ითქვა, კაცს ფიქრის ყოველგვარი ხალისი დაეკარგებოდა. ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნის შემდეგ მცირეოდენი პაუზაც ნათელს ხდიდა, რომ ჩვენი ნათქვამი სრულ უაზრობად იყო აღქმული. ცხადია, რასაც ახლა ვამბობ, დროის პერსპექტივით არის ნასაზრდოები, ამასთან, მოგეხსენებათ, ამა თუ იმ ადამიანის პორტრეტის დახატვისას ერთგვარად შთაბეჭდილების გაძლიერებასაც ცდილობ. გარდა ამისა, დამავიწყდა მეთქვა, რომ ელიოტს თაყვანს ვცემ არა მარტო როგორც პოეტს, როგორც ჯადოქარს, არამედ როგორც ენის ჭეშმარიტ ებგურსაც.

ასე თუ ისე, ბოლოს მაინც გამოგვივიდა საუბარი. რაზე ვსაუბრობდით, რა იყო ჩვენი საუბრის თემა, არ მახსოვს, მაგრამ, ვიცი, რომ ვაგნერსაც შევეხეთ და შექსპირის „ციმბელინზეც" ვისაუბრეთ, ვინაიდან იმ საღამოს „ოლდ-ვიკის" თეატრში სწორედ იმ სპექტაკლს უნდა დავსწრებოდი. ვისაუბრეთ რუდოლფ კასნერზეც (ვისი „დიდების მაძიებლობის შესახებაც" ელიოტმა „კრიტერიონის"[1] ერთ ძველ ნომერში გამოაქვეყნა, ბალეტზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, საცეკვაო ტექნიკის ისეთი შესანიშნავი მცოდნე აღმოჩნდა, ისეთ მრავალფეროვან ინტერესთა ნიჭიერი კრიტიკოსი, რომლის წარმოდგენაც კაცს, უბრალოდ გაგიჭირდება.

ელიოტი თავად ქმნიდა სუინის, ტირეზიას, მოხუცი ოპოსუმის ავტოპორტრეტებს და, დაე, თვითვე განსაჯოს, რომელია მათ შორის უფრო მართალი და უფრო ზუსტი[2] – აბა, რაში გვჭირდება, სათითაოდ ჩამოვთვალოთ და ვარჩიოთ, როგორია იგი „სინამდვილეში" (ლიტერატურული გმირი რომ თვით ავტორია, ამას პრუფროკზე[3] ჩემი უნებური პაროდიაც ამტკიცებს, რომელიც ჩემს გონებაში ელიოტის აღწერის მცდელობისას დაიბადა: „თავაზიანი, თუმცა საკმაოდ მკაცრი, საკმაოდ ნერვული, საკმაოდ დაღლილი, საკმაოდ სერიოზული"). შეიძლება დიდი მსახიობი იყო, შეიძლება მისი სიტყვების უკან სხვა აზრი იმალებოდა, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, ჩემთვის ის „მზამზარეული ნიღბებიც" საკმარისია, თვითონ როგორც უწოდებდა.

ჩემმა მეხსიერებამ კიდევ უკეთ ჩვენი ორი ბოლო შეხვედრა შემოინახა. პირველი შეხვედრა „ლვთაებრივი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის" პირველი დადგმიდან ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით შედგა. ეს მოხდა „ალბერტ-ჰოლში", რომელსაც ელისეს მინდვრების თეატრთან[4] სრულიად არაფერი ჰქონდა საერთო. ელიოტები „ალბერტ-ჰოლთან" იქვე მეზობლად ცხოვრობდნენ და მთხოვეს, ზეიმის შემდეგ მათთან შემევლო (თუმცა ზეიმი საკმაოდ ულიმღამო აღმოჩნდა). კარის ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, წინ აპლოდისმენტებით ელიოტი შემომეგება. მიუხედავად იმისა, კონცერტს „რადიოდანადგარით" უსმენდა (ელიოტს უყვარდა ძველი, დახავსებული გამოთქმები), სულაც არ გასჭირვებია, მშვენივრად შეედარებინა ერთმანეთისათვის ახლანდელი ოვაცია და 1921 წლის ის კანტიკუნტი აპლოდისმენტები, როცა გაბრაზებულ მაყურებელს დემონსტრაციის მოწყობაში[5] ხელი მხოლოდ აღზრდამ შეუშალა.

წინკარში, თაროზე, მისი ზამთრის შლაპა იყო შემოდებული, იქვე იდო სტილისტურად განსხვავებული ჩალის სტეტსონი[6], რომელიც აშკარად ბაჰამის პლაჟებზე ზამთრის დასვენებისთვის გახლდათ განკუთვნილი. ჯერ კიდევ ელიოტის მამის მიერ კატების გამოსახულებებით დამშვენებულ კედლებზე, ერთ ჩარჩოში ჩასმული კოლრიჯის წერილის დედანი და ომის დროს ბი-ბი-სისთვის კოლრიჯის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილი, მომავალი მისის ელიოტის მიერ ნაგვის კალათში ჩაგდებას გადარჩენილი ნარკვევის ტექსტი ეკიდა. სხვა ოთახებში ხელოვნებას ჰენრი მურისა თუ ტერნერის მანერით შესრულებული რასკინის აკვარელი წარმოადგენდა, რასაც ელიოტმა საკმაოდ წარმატებულად „რიგიანი" უწოდა. იყო აგრეთვე ედვარდ ლირის პეიზაჟი, ლუისის ნახატები და იაკობ ეპსტაინის მიერ გამოქანდაკებული ელიოტის თავი. კედლების ჩასწვრივ, თანამედროვე უცნაური ქანდაკებებივით, წიგნების მთელი კოშკები ჩამწკრივებულიყო.



ტომას სტერნზ ელიოტი

თავიდან ჯერ დოლსა და ცხენებზე ვისაუბრეთ (იმ დღეს დოღს ტელევიზორში ვუყურე და ნავაგე ჩემი ფსონი). ელიოტმა – ოდესღაც კალკუტის ტელევიზორში ფსონებს მეც ვდებდი, მაგრამ არასოდეს მომიგიაო. სხვათა შორის, 1948 წელს სტოკჰოლმში არჩევანი ერთ უცნობ ცხენზე – „დედოფალ მერიზე" შევაჩერე (არა ინტუიციის, არამედ პატრიოტული გრძნობის გამო), მაგრამ ფინიშთან ის ყველაზე ბოლოს მივიდა და, ცხადია, წავაგე. მერე ელიოტმა საბჭოთა კავშირის შესახებ, სადაც ამ ამბიდან რამდენიმე თვის წინათ მომიწია გამგზავრება, შთაბეჭდილებების გაზიარება მთხოვა. განსაკუთრებით აინტერესებდა, გამოთქმაში რაიმე ძირეული ცვლილებები ხომ არ შემიმჩნევია. ცოტა ხნის წინათ იგი თურმე ევტუშენკოსაც მოუნახულებია [.....][7]. ელიოტმა შენიშნა, თქვენს მიერ წარმოთქმული ერთ-ერთი „"-თაგანი იმ სანსკრიტულ „"-ს მაგონებს, როგორსაც ინდოელები გამოთქვამდნენ, თუმცა ფსიქოლოგიურად სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებული არ არისო.

ბოლოს თავის საქმეებზე დაიწყო საუბარი. ასე თქვა, ფრენსის ჰერბერტ ბრედლის შესახებ ჩემი სადოქტორო დისერტაცია რომ გადავიკითხე, დავრწმუნდი, ჩემი პროზის სტილზე ბრედლიმ რაოდენ დიდი გავლენა მოახდინა, მასზე დაწერილი ჩემი ახალი ნარკვევის უკეთესი ნაწილით თვით ჰერბერტის ციტატებს წარმოადგენსო. წუხდა, რომ ნარკვევის წერის დროს აუდიტორიას ვერ გრძნობდა, თითქოს არ იცოდა, მისი აუდიტორია ამერიკულ უნივერსიტეტთა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ათასობით ფაკულტეტის სტუდენტები რომ იყვნენ. „ჰერბერტი უდიდესი პოეტია, მცირეთაგან ის ერთ-ერთი, ვინც შემიძლია მრავალჯერ გადავიკითხო. სხვათა შორის, მალარმეც, ალბათ ედვარდ ლირიც", – განაგრძობდა ელიოტი. მერე დაიტრაბახა, 1927 წლის შემდეგ სერიოზული პროზა არაფერი წამიკითხავს, ბოლო რომანი, მგონი, „მილდმარჩი" იყო, თუმცა არა, მეშლება, ეს იყო „მიდლოთიანის გული", რომლის კითხვითაც საავადმყოფოში დიდად ვისიამოვნე... გამოგიტყდებით, ბოლომდე ვერც „ომი და მშვიდობა" დავამთავრე, მაგრამ თავის თავზე კრიტიკოსმა ამგვარ წვრილმანებზე ალბათ არ უნდა ილაპარაკოსო.

რამდენიმე დღის შემდეგ დუბლინში დირიჟორობა მიწევდა და ამ ქალაქის შესახებ ელიოტმა რაღაც გარკვეული ინფორმაცია მომაწოდა. ასე თქვა – „როცა მე იქ ლექციებს ვატარებდი, თითქმის ყოველი ირლანდიელი იმას მეუბნებოდა, ჩემს გარდა არც ერთ სხვა ირლანდიელს არ ენდოო". ისიც დამიდასტურა, რომ უინდჰემ ლუისის „ომებსა და აფეთქებებში" მოყვანილი მისი და ჯოისის შეხვედრის ამბავი სინამდვილეს ემთხვეოდა. ლექციებზე საუბარმა ელიოტს ომისშემდგომ გერმანიაში მგზავრობა გაახსენა, სადაც გოეთეს შესახებ დაწერილ საკუთარ ნარკვევზე ლექციებს კითხულობდა. მეხსიერება, მართალია, ხანდახან მღალატობს, მაგრამ, ის კი კარგად მახსოვს, ელიოტი როგორ ჩიოდა, ოფიციალური მიღებების დროს იუმორის გრძნობას სრულიად მოკლებული ადამიანები ფილოსოფიის ღრმა, ურთულეს საკითხებზე მასთან ერთთავად დისკუსიის გამართვას როგორ ცდილობდნენ. მითხრა, შეამჩნიე თუ არა, როცა ინგლისელები რაიმე სერიოზულს წააწყდებიან, იცინიან, უნდათ თავაზიანები გამოჩნდნენო.

ნინა დღეს ჰემპტონ-კორტში[11] ყოფნის შთაბეჭდილებები მოვუყევი. ვუთხარი, ჩემი აზრით, ჯულიო რომანოს იზაბელა დ'ესტეს პორტრეტი მხოლოდ იმით არის შესანიშნავი, რომ ქალის გადმობურცული ბაგე იმგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს მანდილოსანი კბილებს შიშის მომგვრელად კრეჭდეს მაშინ, როცა ტიციანი თავის ნახატში ამ ქალის ჭკუას წარმოაჩენს-მეთქი. ამის შემდეგ საუბარი ფერარასა და ადგილობრივ კანაფზე გადავიტანეთ, რომლის გაქრობითაც იქაური მცხოვრებლები გვარიანად დაზარალდნენ, თუმცა ამით ისეთ პიროვნებათა ქცევას ვერ ახსნიდი, როგორიც პიერო ლიგორიო, ჯეზუალდო და ბიაჯო როსეტი იყვნენ. ელიოტმა – ფერარაში რატომღაც ბალინჯოებმა დამკბინესო, მაგრამ ამის შემდეგ რა იყო, არაფერი უთქვამს. მე კი გავიფიქრე, ეს ამბავი ალბათ „ერთი ღამის გასათევ" რომელიმე იაფფასიან სასტუმროში მოხდა-მეთქი. მახსოვს, ამ საუბრისას ხშირად სიტყვა „ტრანსპადანსკის"* ხმარობდა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ლექსიკონიდან ჰქონდა ამოღებული და სრულიად შეგნებულად აღდგენილი. ეს სიტყვა, ისევე, როგორც ელიოტის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ლამაზადაც ჟღერდა და აზრსაც ზუსტად, ზედმიწევნით გადმოსცემდა.

იმ საღამოს მისის ელიოტის ქმრისადმი თავდადებამ, მის მიმართ გამოხატულმა სინაზემ, რომელსაც განსაკუთრებით მაშინ ამჟღავნებდა, როცა ქმარი მხარზე თავს დაადებდა ან ხელზე ხელს უჭერდა, გული ძალიან ამიჩუყა. ამ ქალზე ქორწინება, დარწმუნებული ვარ, ელიოტის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი მოვლენა იყო.

შვიდი თვის შემდეგ, თორმეტ დეკემბერს, კიდევ ერთი შეხვედრა ნიუ-იორკში შედგა და ეს შეხვედრა, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა. როცა მათ აღმოსავლეთ 52-ე ქუჩაზე „რივერ-კლაბში" შევუარე, ელიოტს ყელზე კაშნე ჰქონდა მოხვეული, ეცვა პულოვერი და ლურჯი ქაშმირის ზამთრის პალტო, მაშინ, როცა მისის ელიოტი მხოლოდ აბრეშუმის თხელ კაბაში იყო და მანქანაში ჩაჯდომისას ჩიოდა, ამერიკულ სასტუმროებში სიცხისგან ლამის სული მეხუთებაო. აღმოსავლეთ 52-ე ქუჩა ელიოტს ძალიან მოსწონდა, მოსახერხებლად მიაჩნდა. გაეროს შენობის დანახვისას კი ასე თქვა – ეჭვი არ არის, აქ ნამდვილად ანტიევროპული შეთქმულება მზადდებაო.

გარეგნულად ელიოტი არც ისე ჯანმრთელად გამოიყურებოდა, სიარულისას ფეხი ერეოდა და რესტორანში შესვლისას ხელს მბრუნავ კარს ჰკიდებდა. ჰქონდა პროგრესირებადი ავადმყოფობის სხვა ნიშნებიც: სახეზე ნაცრისფერი ედო, ძალიან ხშირად და მძიმედ ახველებდა, ცოტას სვამდა, თავს ლამის საინამდე წახრიდა და პირს თითქმის არაფერს აკარებდა. გაიმართებოდა წელში ორ-სამჯერ და ავირეკლებოდით მის ღია თაფლისფერ თვალებში, რომლიდანაც ისევ ისე ძლიერად გამოანათებდა მისი დიდი ინტელექტის ძალა. ლაპარაკობდა სუსტი, მიმქრალი ხმით, რის გამოც უფრო ძლიერი სახმო აპარატით აღჭურვილი მოსაუბრის ხმა მისას თითქმის ახშობდა. დამნაშავე ამაში მეც ვიყავი, ვინაიდან მაშინაც ბევრს ვლაპარაკობდი, როცა მისი ხმა და ლაპარაკი თითქმის არ ისმოდა.



იგორ სტრავინსკი

თავიდან ერთმანეთს ჯოზეფ კონრადზე გავუზიარეთ აზრები. კონრადი განსაკუთრებით მისი პოლონურ-უკრაინული ფესვების გამო მაინტერესებდა (ბიჭობისას იგი ჩერნიგოვში ცხოვრობდა, მამაჩემი კი იმ ქალაქის მახლობელ სოფელში იყო დაბადებული)[13]. ფრანგული საშუალო ფენის სლავური კულტურული წრიდან, ისე, როგორც მე, ისიც ინგლისურენოვან კულტურულ გარემოში მოხვდა[14]. „კონრადი დიდი სენიორი იყო, – თქვა ელიოტმა, – ყველაზე მნიშვნელოვანი, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია, მაგრამ დაელაპარაკებოდი და მისი იმ მეტყველების გამო, იმის გამო, რომ როგორილაც ხორხისმიერი გამოთქმა ჰქონდა, მაშინვე იმედი გიცრუვდებოდა".

როგორც ჩემ შემთხვევაში-მეთქი? – ვკითხე, რაზეც მიპასუხა, ძნელი არ არის შენი გაგებაო, რაც, მართალი გითხრათ, სულაც არ წარმოადგენდა პასუხს ჩემს კითხვაზე. ეს ის დრო გახლდათ, როცა იგი თავიდან კითხულობდა „ნოსტრომოს", ხოლო „სიჭაბუკე" და „უარყოფითი თვისება" ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებებად მიაჩნდა მათ შორის, თუ ოდესმე რაიმე ამგვარი წაეკითხა.[15]

ლუი მაკნისის უდროო გარდაცვალების გამო დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდა, თუმცა ისიც თქვა, მის მიმართ, მართალია, ყოველთვის თბილად ვიყავი განწყობილი, მაგრამ პირადი შეხვედრის შემდეგ იმედი სრულიად გამიცრუვდაო... როცა სენ-ჟონ პერსის თაობაზე აღნიშნა, მისმა „ხელწერამა და გონებამ" ჩემში დიდი აღტაცება გამოიწვიაო, მაშინვე ის კითხვა გამიჩნდა, ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ მას პერსის ლექსები არ მოსწონდა? თუმცა ამ კითხვის დასმა, მართალი გითხრათ, ვერ გავბედე. რაც შეეხება გიიომ აპოლინერს, მის ხსენებაზე გარკვევით მიმანიშნა, რომ „ალკოჰოლის"[16] მნიშვნელობას აზვიადებდნენ.

როგორც ყოველთვის, ელიოტმა საუბარი ისევ ენაზე წამოიწყო. ასე თქვა (არა, „თქმა" არ შეეძლო, უბრალოდ „მი-

* სიტყვა transpadano-დან (იტალ.) – იმიერი, მილმა მყოფი (სიტყვა-სიტყვით: მდინარე პოს მეორე მხარეს მდებარე)

მანიშნა"): ლოიდების ბანაკში სამსახურის დროს იტალიურად თავისუფლად ვლაპარაკობდი, მაგრამ „ეს იყო იტალიელი დანტეს ენა, სრულიად შეუფერებელი ინსტრუმენტი თანამედროვე საქმიანი ფრაზეოლოგიისათვის" და განაგრძო: იმის გამო, რომ ცოტ-ცოტა რუმინული და ახალი ბერძნულიც ვიცოდი, ბანკის დირექტორს რატომღაც იმ აზრს შთააგონებდა, რომ აუცილებლად პოლონურიც უნდა მცოდნოდა. როცა ვუთხარი, პოლონური არ ვიცი-მეთქი, თითქოს ეს ძალზე უცნაური და გაუგებარი რამ ყოფილიყო, დაჯერება არ უნდოდა – როგორ, კაცმა რუმინული და ახალი ბერძნული იცოდეს და პოლონური არაო?!

ვსვამდი ჯინს, მარტინის (მხოლოდ ელიოტმა შეუკვეთა დაიკირი), პუიი-ფიუმის, ბლანს, არმანიაკს (ელიოტი დრამბიუის სვამდა). არმანიაკ-დრამბიუი რომ უნდა შეესვა, უცებ წელში გაიმართა, მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე სახელით პირველად მომმართა და – ათ წელს კიდევ გვეცოცხლოს! – სადღეგრძელო შემომთავაზა. ის, რომ შესაძლოა ათი წელი კიდე გვეცოცხლა, იმდენად დაუჯერებელი იყო, ბოკლების წკრიალმა არათუ სიხარული მომგვარა, თვითონ სიტყვაც კი გამოთხოვებასავით მეჩვენა. ჩემს მიმართ იმ წუთას, ჩანს, ისეთ სიახლოვეს გრძნობდა, როგორც არასდროს. მერე ღვინისაგან შემთვრალმა პულოვერის გახდა დაიწყო და საყოველთაო განხილვისთვის თავისი ფლანელის კამკამა აჭიმები გამოაჩინა, რითაც ჩვენი „ლე პავილიონის" („ლუქსი", „სიმშვიდე", ჩუკების სქელი წიგნაკები) ხშირი სტუმრების გაოცება გამოიწვია.

ვილაპარაკეთ პრეზიდენტ კენედის მკვლელობაზეც. ელიოტმა – ერთი წლის წინათ თეთრი სახლიდან ორჯერ დამირეკეს ბაჰამზე, ერთხელ ნობელის პრემიის ლაურეატთა პატივსაცემად გამართულ ვახშამზე დამპატიჟეს, მეორედ საერთო მიღებაზე მიმიწვიეს... ვერ წარმოიდგენთ, ზოგჯერ რა საშინელი თავხედობა ხდება, არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ დალასში ერთხელ შერიფის საპატიო მოადგილედაც კი დამნიშნესო... მართალია, ჩემი აზრი ამაზე ხმამაღლა არ გამომითქვამს, მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, დეზებიან ჩექმებსა, უზარმაზარ შლაპასა და მკერდზე შერიფის ვარსკვლავით ელიოტი ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ყოველი ჩვენი შეხვედრისას საუბარი, ამა თუ იმ კუთხით, მისისიპზე გადაგვქონდა. უფრო ხშირად ამ თემას ელიოტი იწყებდა. მდინარე მისისიპის სიყვარული ჩემს გულში (ისე, როგორც სხვა რუსი ბავშვების გულშიაც) მარკ ტვენმა ააგიზგიზა. როცა პირველად ამერიკაში ჩავედი და მატარებლით მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ხშირად მიწევდა მგზავრობა, იმ მდინარის – „უძლიერესი შავი ღმერთის" ყოველი გადაკვეთისას მუდამ ძალიან ვღელავდი... (თუმცა, როგორც ერთხელ ელიოტმა მიმითითა, ღმერთი მისისიპი კი არა, „ჭუჭყიანი მო" – მისურიაო). ელიოტი მომიყვა, სიყმანვილეში, როცა ის მისურის შტატში ცხოვრობდა, ერთ ცივ დილას, მის ოთახში დიასახლისი როგორ შევიდა, ჩაიდანს ცეცხლი როგორ შეუნთო და საწოლის ქვეშიდან თასი როგორ გამოათრია. მერე, ომის დროს, – განაგრძო ელიოტმა, – როცა დუბლინის „ტრინიტი-კოლეჯში" იეიტსის შესახებ ლექციას ვკითხულობდი, იმ სასტუმროს ნომერში, სადაც მე ვცხოვრობდი, ხანშიშესული დამლაგებელი რომ შემოვიდა, ბუხარში ცეცხლი დაანთო და საწოლის ქვეშიდან თასი გამოიღო, ასე მეგონა, ისევ ის პატარა ბიჭი ვიყავი, ისევ იმ შორეულ მისურში ვცხოვრობდით.

იმ დღეს ელიოტი ძალიან საყვარელი და გულისამაჩუყებელი იყო. რესტორნიდან გამოსვლისას პალტოების ასაღებად რომ ვიცდიდით, გავიგონეთ, მეტრდოტელი მეგარდეროზეს როგორ ეუბნებოდა, ახლა აქ თანამედროვეობის უდიდესი პოეტი და უდიდესი თანამედროვე კომპოზიტორი იმყოფებიანო. ამაზე თავი, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენით, მაგრამ მდგომარეობიდან ისევ ჩემმა ცოლმა გამოგვიყვანა – რა თქმა უნდა, ესენი ხომ ყოველთვის ძალიან ცდილობდნენო. – თქვა მან სათანადო ინტონაციით.

თარგმნა
**ლილი მჭედლიშვილმა**

1. „კრიტერიონი" – ელიოტის მიერ 1922-1939 წლებში გამოცემული ჟურნალი (მისი პირველი ნომერი გაიხსნა ელიოტის პოემით – „ბერწი მიწა").

2. სუინი – ელიოტის სატირული ლექსების გმირი („ლექსები", 1920).

3. ტირეზია – ელიოტის ლექსების ციკლის – „პრუფროკი და სხვა დაკვირვებების" გმირი (1917). ამ ციკლში შედის ადრეული ელიოტის საპროგრამო ნაწარმოები – „ჯ. ალფრედ პრუფროკის სიყვარულის სიმღერა".

4. სტრავინსკი იხსენებს ელისეს მინდვრების თეატრს, სადაც შედგა „ღვთაებრივი გაზაფხულის" პრემიერა. ეს პიესა დაიდგა ლონდონში, „ალბერტ-ჰოლში", პრემიერიდან 50 წლის თავზე. ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ის, რომ ახლაც, ისე, როგორც 50 წლის წინათ, დირიჟორობდა 88 წლის პიერ მონტიე, თუმცა ამჯერად პიესის მხოლოდ საკონცერტო შესრულებას. სტრავინსკის მტკიცებით, სწორედ მონტიეს ეკუთვნის „ღვთაებრივი გაზაფხულის" რეაბილიტირება პარიზში 1913 წლის მაისის წარუმატებელი პრემიერის შემდეგ. აქ კომპოზიტორი ეხება პარტიტურის საკონცერტო შესრულებას 1914 წლის აპრილში, როცა მაყურებელი მას აღფრთოვანებული შეხვდა. სტრავინსკი არ მიუთითებს ამ მოვლენის ზუსტ თარიღს, მაგრამ კომენტატორმა შეძლო დაედგინა, რომ პ. მონტიეს დირიჟორობით „ღვთაებრივი გაზაფხულის" ეს საკონცერტო შესრულება შედგა „კაზინო დე პარიში" 1914 წლის 5 აპრილს. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ „ღვთაებრივი გაზაფხულის" რეაბილიტაცია მოხდა ცოტა უფრო ადრე და რაც კიდევ უფრო ყურადსაღებია, მოსკოვსა და პეტერბურგში, კომპოზიტორის სამშობლოში, 1914 წლის 5 და 12 დეკემბერს. ამჯერად ორკესტრს დირიჟორობდა კუსევიცკი (იხ. ა. კუზნეცოვი. რუსული ბეჭდვის სარკე, 1982 წ. №6, გვ. 72-74).

5. ელიოტის ეს სიტყვები, როგორც ჩანს, ეხება „ღვთაებრივი გაზაფხულის" იმ საკონცერტო შესრულებას, რომელიც შედგა 1921 წელს ლონდონში, ი. გუსენსის დირიჟორობით, რასაც სტრავინსკი „ქრონიკაში" იგონებს (გვ. 150).

6. კოვბოის ფართოფარფლებიანი შლაპა.

7. იმ მოგზაურობის დროს ევტუშენკომ სტრავინსკიც მოინახულა. მათ შეხვედრას ესწრებოდა ლ. ლიბმენი და პოეტის ეს ვიზიტი სწორედ მან აღწერა თავის მოგონებებში: „სტრავინსკებმა პოეტი სასტუმრო ოთახში მიიღეს. იმ დროს ბიბლიოთეკაში ვიყავი, მაგრამ იქაც გარკვევით ისმოდა რუსული შეძახილები, რაც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. მესმოდა სტრავინსკის ომახიანი და მისი ცოლის მხიარული ხმა. სტრავინსკები მას ისეთი ენთუზიაზმით პასუხობდნენ, რომლის მსგავსი მათ გვერდით გატარებული მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მსმენია, თვით მათი რუსი მეგობრების

სტუმრობის დროსაც კი. მერე ევტუშენკომ ლექსების კითხვა დაიწყო. ახლა კი თავი ველარ შევიკავე და ჰოლიდან სასტუმრო ოთახში შევიხედე. რა თქმა უნდა, პოეტი საკუთარ ლექსებს კითხულობდა. მისი ხმა დიდი სიმებიანი ორკესტრივით ვიბრირებდა, მასში დებიუსის პიანისიმო და ბეთჰოვენის ფორტისიმო ჟღერდა, ხოლო მათ შორის ვაგნერის, მოცარტისა და სტრავინსკის ჟღერადობის მთელი გამა იყო. ლირიკული ადგილების კითხვისას სავარძელში იჯდა, დრამატულ ადგილებს ფეხზე წამომდგარი დეკლამირებდა. მისის სტრავინსკი წინ წამოწეული იყო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავის დაბადების ოცი წლისთავს ზეიმობსო. თვითონ სტრავინსკი ჯოხს დაყრდნობილი, თითქოს „ო"-ს სათქმელად ტუჩებწინწამოწეული და ყურადღებადქცეული იჯდა და თვალს არ აშორებდა. ჩემთვის კი, ო, რა სამწუხარო იყო, რომ პოეტის არც ერთი სიტყვის შინაარსი არ მესმოდა!" (ლიბმენ, გვ. 305).

8. ელიოტის დისერტაცია – „შემეცნების საგანი და გამოცდილება ფ.გ. ბრედლის ფილოსოფიაში" (1916 წ.) ელიოტს ეს დისერტაცია არ დაუცავს.

9. აღნიშნული რომანები ელიოტს ერთმანეთში ერევა, ვინაიდან ორივე რომანის სახელწოდებაში შედის ინგლისური სიტყვა – middle (შუათანა, შუა, საშუალო) ერთ შემთხვევაში დასახელებულია ჯორჯ ელიოტის რომანი „მიდლმარჩი" (1871-1872) (ჯორჯ ელიოტი მწერალი ქალის მერი ენ ევანსის ლიტერატურული ფსევდონიმია), ხოლო მეორე შემთხვევაში უოლტერ სკოტის რომანი – „შუათანა ლომიანას გული" ანუ „ედინბურგის დილეგი" (1818 წლის რუსულ გამოცემაში იგი ამ მეორე სათაურით არის ცნობილი).

10. იგულისხმება უ. ლუისის ავტობიოგრაფია (ენის წ. ლესტინგ ანდ ომბაზდიერინგ ონდონ, 1969).

11. 1525-1526 წლებში ინგლისში აშენებული ჰენრი მერვეს სასახლე.

12. 1963 წლის 12 დეკემბერი.

13. ჯოზეფ კონრადი დაიბადა ბერდიჩევში, ერთხანს ცხოვრობდა ჩერნიგოვსა და ვოლოგდაში

14. ჯოზეფ კონრადმა მიიღო ინგლისის მოქალაქეობა.

15. ლაპარაკია ჯ. კონრადის რომანზე „ნოსტრომო" (1904) და ორ მოთხრობაზე – „სიჭაბუკე" და „უარყოფითი თვისება" (1917).

16. გიიომ აპოლინერის ლექსების კრებული „ალკოჰოლი" (1913).



ნესტან ფიფია

# სულის პურისათვის

•

## ოთარ ჩხეიძის შეუფარავი რეალიზმი

მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: „ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის". ჭეშმარიტი მწერალი ამ დაკვირვებიდან ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს და ის გზას იკვლევს მკითხველამდე, როცა შემოქმედი სიმართლისა და კალმის ერთგულებით არის მადლცხებული.

დავით გურამიშვილის „მიწის წვენით" ნასაზრდოები „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის" – რეალობის ასახვაა. ეს „ჭირი" არ დაწყებულა XVIII საუკუნეში და არ დამთავრებულა იქვე. „ბრძენი ენამჭევრი" ამეტყველებდა მას ყველა დროში.

XX საუკუნეს ჰყავს „ენამჭევრი ბრძენი და გვაქვს 22 წიგნად შეკრული, წვრილად აღწუსხული ქართლის ჭირი, ალაგ-ალაგ ლხინგარეული. „მატიანე ქართლისა" – „ჩვენი დროის მატიანე, რომელიც დღესაც იწერება" (მაია ჯალიაშვილი).

ამ მატიანის მთავარი პერსონაჟი ჩვენი დროა, ჩვენი დროის ადამიანებითა და პრობლემებით.

რეალიზმი, როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი, „მართლის თქმის" პრინციპიდან (უფრო სწორად, ჰაგიოგრაფიიდან, როცა მწერლის მიზანი „ჭეშმარიტი და უტყუვნელი" აღწერაა) დღემდე სიცოცხლისუნარიანია, როგორც მწერლობის უბერებელი ღერძი. ახალი ეპოქა მას თავის იერს მატებს მხოლოდ, რადგან „რეალიზმი მთავარი შტოა, დანარჩენი – მისი ტოტები" (მიხეილ ჯავახიშვილი). თითოეული ტოტი სინთეზირდება მთავარ შტოსთან „არსებულის სრული გამოყენებით და ახალის ფრთხილი შემოშვებით".

კლასიკურ მემკვიდრეობასთან მტკიცე კავშირითა და ახლის დახვეწით ყალიბდება ნეორეალიზმი, რომლის ლიტერატურული მანიფესტი მოცემულია მიხეილ ჯავახიშვილის წერილში „არიფიონი ანუ სალიტერატურო განცხადება".

„ნეორალიზმს საფუძვლად უდევს იგივე კლასიკური რეალიზმი შემდეგი განმეორებით, დამატებითა და განმარტებით: შესწავლა მახლობელ და შორეულ კულტურული წარსულისა და მისი მხატვრული გამოყენება დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით...

შეგრძნობა და შეგნება ახალი ეპოქის სულისა და მისი მხატვრული ასახვა".

როცა შემოქმედის მადლცხებაზე ვსაუბრობთ, სწორედ ეს იშვიათი გამთლიანება მოიაზრება: „შეგრძნობა" და „შეგნება". „შეგრძნობა" გრძნობადი სამყაროს ანარეკლია, „შეგნებაში" კი გრძნობებთან ერთად ძლიერი გონებაც უნდა მონაწილეობდეს: „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან" (რუსთაველი). არსებითი არის დაწმენდილი გული და სულიწმიდის მადლით შთაგონებული გონება.

ერის სამსახურისთვის ასეთი „შეგრძნობა" და „შეგნება" მოემადლა ილია მართალს (ჭავჭავაძეს). მას უნდა შეესრულებინა საქართველოს ბედის მძებნელის დიდი მისია, უნდა სცოდნოდა ჩვენი ხალხის წარსული, აწმყო, სულიერი წყობა და გონებრივი ავლადიდება. როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავს მართებულად: „ილიას ფანატიკოსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულითა და დაუნდობლობით უნდა გაესინჯა, გაეჩხრიკა, აენონ-დაენონა ყოველივე. ასეც მოიქცა, ანატომის გულგრილობით დადო საოპერაციო სარეცელზე საქართველოს ეროვნული სხეული. არ დაუტოვებია კუნჭულიც კი შეუმოწმებელი და დასვა თავზარდამცემი დიაგნოზი:

ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი,
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი...

დასმული დიაგნოზი „არაფრობის უარყოფაა" – სიზარმაცით, ცრუაქტიურობით, ცრუსაქმიანობით, ბაქიაობით, პირფერობით, ღორმუცელობით რომ ვლინდება და მწერალმა ლუარსაბ თათქარიძის სიმბოლური სახით გვიჩვენა.

„სიზარმაცე მრავალსახიანია; ცრუსაქმიანობა და ცრუაქტიურობაც მისი გამოვლენაა. თათქარიძეების ცხოვრების წესის შედეგი სრული უნაყოფობაა. მათი უშვილობა ყოველგვარ უნაყოფობას გულისხმობს... ილიას აზრით, ყოველი პიროვნების ხსნა მტკიცედ უკავშირდება ღმერთსმიმსგავსებულობის პრობლემას," რადგან ერი პიროვნებას ჰგავს, კეთილი სულის გვერდით ყოველთვის არის თავშეფარებული ბოროტი სულიც. დამონებულ, განვითარების კანონზომიერ გზას მოწყვეტილ ერს ეძალება ბოროტი სული, აალორძინებს ერის მანკიერებას, აქვეითებს ზნეობას. მხილების შედეგი – ზნეობრივი დაკნინებისათვის თვალის გასწორება უნდა იყოს, რაც თავისთავად განაპირობებს ზნესრულობისაკენ სწრაფვას. „ეს რომ მოხდეს, ერმა ყველაფერი უნდა იცოდეს თავისი თავის შესახებ, ხოლო იგი, ვინც ერის სამსახურში ჩამდგარა და მოწოდებად ქვეყნისთვის ლვაწლი მიუჩნევია, პირუთვნელად უნდა ამბობდეს სიმართლეს, რარიგ მძიმეც უნდა იყოს ამ ტვირთის ტარება".

ამ მისიას შეეწირა ილია მართალი.

პირუთვნელი სიმართლით მეტყველებს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. თუ ილია ჭავჭავაძემ თათქარიძეობა, როგორც სენი, პირუთვნელად გამოავლინა, „ჯაყოს ხიზნებით" ჯაყოობის შემაძრწუნებელი სურათი შექმნა მ. ჯავახიშვილმა. „ჯაყოობის ბატონობა ნიშნავს წარსულის გაყიდვას, აწმყოს ტანჯვად გადაქცევას, მომავლის სიბნელესა და გაურკვევლობას," აგრესიული აქტიურობით სიბნელის დამკვიდრებას.

ჯაყო მტაცებლურად სარგებლობს თეიმურაზის „მოუხმარებელი თავისუფლებით" და ეუფლება ყოველივეს.

მიხეილ ჯავახიშვილი გვიჩვენებს, რომ „მოძალადე მიზანთროპს (ჯაყოს) სურს შეინიღბოს, კეთილშობილის სახით მოგვევლინოს. ჯაყო სთხოვს თეიმურაზ ხევისთავს: „მოდი, საქმეს ისე გაგიკეთებდე, რომ ამ პატარა ჯაყოს ხევისთავს დაგარქმევდე, ჰა, რას იტყოდე?" თეიმურაზი თანახმაა.

ჯაყო ხევისთავი ასე შეინიღბება – მიზანთროპი ალტრუიზმით მომავალში და უკვე ველარ გაარჩევ, სად არის კეთილი და სად – ბოროტი. ამიტომაც დაუნდობლად უნდა იქნეს მხილებული ჯაყო და ჯაყოობა".

მხილების ამ მისიას ემსახურება ოთარ ჩხეიძე. მანკიერებას, უბედურებას გამოვლენისთანავე არქმევს სახელს, თუმცა სწორედ ეს წამოუყენეს მას ერთ-ერთ ბრალდებად. „შეშფოთდა მწერალთა კავშირი. გულმოდგინედ ნამზადი ყრილობა მოიწვია და ორი ბრალდება წაუყენა „არტისტულ გადატრიალებასა": I – მოვლენის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და არ შეიძლება რომანის დაწერა ასე მოკლე დროშიო და II – წიგნი კერძო გამომცემლობამ გამოსცაო. აი მწერალთა კავშირი, აი ყრილობა, აი, პრობლემები!"

საბედნიეროდ, მწერალს არასოდეს აბრკოლებდა მძაფრად თუ შედარებით რბილად გამოთქმული წინააღმდეგობები და არც XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები დატოვა ჩვეული „ყურადღების" გარეშე, ასახა ჩვენი დროის „ჭირთა" ხასიათი, პროცესი მისი მოძალებისა. მის ნაწარმოებებში „ჩვენი თანამედროვენიც გვხვდებიან – კარგად ნაცნობნი პრესიდან თუ ტელევიზიიდან, ვინც ქმნის თუ შლის დღევანდელ პოლიტიკას, ეკონომიკას, საზოგადოებრივ ყოფასა და კულტურას.

მწერალი სულის თვალებით ხედავს და ხატავს, მისი ირონია და სატირაც ცრემლგარეულია. აი, რომ იტყვიან სიმწრისგან ეცინებაო..." (მაია ჯალიაშვილი)

შეუფარავი რეალიზმით შთაგონებული პერსონაჟები ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში ქართული კლასიკური ლიტერატურისთვის ცნობილ პერსონაჟებს ენათესავებიან სულიერად, მაგრამ თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი თვისებებით თითქოს განსხვავდებიან კიდეც.

ერთ-ერთი ასეთი სახე არის ლუარსაბი. რომანში „არტისტულ გადატრიალება" ვკითხულობთ: „ესეც ლუარსაბია, სეხნია ღირსეული, სახელი იშვიათი, გაიშვიათებული ილიას შემდგომა, ისე რო გაამასხრა, ისე რო აიგდო, ისე რო ითაკილოს, – ვილა დაარქმევდა?.. დედამ დაარქვა, მაინც დაარქვა, მოსახელე და წამებული მეფე ლუარსაბისა. ეს მაინც აქეთაა, ილიასკენა..."

ნებელობა, უფლისგან ბოძებული, მიიდრიკა უარსობისაკენ... ლუო შეიძლებოდა სიმართლისათვის, ღირებულებებისთვის მებრძოლთა შორის უანგაროდ ჩამდგარიყო, მაგრამ მწერალი გვევლინება ავტორ-მთხრობელის როლში, მთელი ეს მონოლოგი აგებულია ანაქრონიაზე (პროლეფსის-ანალეფსისი), რითაც გვიჩვენებს ლუოს (ლუარსაბის) მანკიერების ძველ ფესვებს („არ ახალია" ქართული სინამდვილისთვის) და ახალ მიზნებს: „ლუარსაბიც რაო, უნაღვლო იყო და მეტი არაფერი".

ამ „უნაღვლოსაც" არეულ ქვეყანაში მიზანი გამოჰკვეთია: „მირაჟია, რაც უნდა იყოს, ღირს რო აქ ჩაჯდეს და ჩაიჯიბოს თბილისი, – მანეთი არ უჭყავის, თბილისი ჩაიჯიბოს, მირაჟია. მტვერია ყველაფერი".

ძმათა დაპირისპირების სურათს ისევ შეაშველებს მწერალი ალუზიურ ფრაზებს. თავის პერსონაჟზე ამბობს: „წალმა უკულმა მოჰქცევია, უკულმა – წალმა" და აგრძელებს: „კახელების ალმა ხნული, ქართლელებმა დალმა ფარცხესო", ალბათ მაშინაც მხარი მოექცათ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუო თბილისელია, მაგრამ გდიდში დამკვიდრდა, იქ შექმნა მესამე ოჯახი, იქაურ თეატრში არტისტობდა; ახლა თბილისისკენ წამოსულს, ახალი მიზნები გადაეშალა: „აღარ დაბრუნდება. მორჩა. იძახონ. სხვები ქვეყანას აწგრევენ. ვის გაუკვირდება...“

ლუო ცხოვრობდა სიმამრის კმაყოფაზე, შვილებს ფხიზელი თითქმის არ ახსოვთ. თბილისიდან წამოსვლის შემდეგ არც დაბრუნებულა, „იქნებ დედამაც ვერ იცნოს“, მაგრამ იცის რა უნდა: „სალონები უნდა დაიპყროს, სამართველოები უნდა დაიპყროს, ადგილი უნდა დაიმკვიდროს წარჩინებულ საზოგადოებაში, უნდა ამაღლდეს“. ამ სურვილით იგი უსწრებს სეხნიას და იძენს თავისი ეპოქის თვისებას.

„არტისტული გადატრიალება“ სეხნიათა შორის მსგავსებას ხაზს უსვამს „უნაღვლობის“, ცრუ აქტიურობის თვალსაზრისით, ხოლო „ბერმუდის სამკუთხედში“ რამდენიმე ფრაზით ნათლად არის წარმოჩენილი დამღუპველი სენი – შემგუებლობა: ილიას ლუარსაბი სიცრუეზე აგებულ ქორწინებას შეეთვისა, საქართველო – რუსეთის ცრუ მეგობრობას.

ილიას ლუარსაბი მოტყუებით დაქორწინებას შეეგუა. შეპირებული მზეთუნახავის ნაცვლად მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ „შუბლზედ ეგ მწერებულაო“ და გაჩუმდა. ზოგადად, თათქარიძეობა ტყუილზე აგებული არსებობაა, ამიტომ არ მოჰყვება ამ მიუღებელ სიცრუეს ადეკვატური რეაქცია; ეს აღშფოთებასა და პროტესტს უნდა იწვევდეს, „მაგრამ თათქარიძეობის პარადოქსი ის არის, რომ ამა თუ იმ პროცესს ლოგიკური შედეგი არ მოსდევს, პირიქით, ალოგიკური რეზულტატია მისთვის ბუნებრივი. ამჯერად ასე მოხდა: პროტესტის მაგიერ სრული კმაყოფილება დაიბადა“. ეროვნულ სულში დაბუდებული ალოგიკური კმაყოფილება იყო საბჭოთა რუსეთის უღელთან შეგუება: „ქორწილი ქორწილია. იქ არ იყო ადგილი პირუმტკიცობისა, მოტყუებაც არ შეიძლებოდა. ის ერთხელ მოხდა, – ერთხელა, ერთხელა, – ერთხელ მოხდა, ლუარსაბი რო მოატყუეს, მაგრამ პო – მაგრამ კიდევ სხვა ვინ გაგიგონია იმათზე ბედნიერი ნყვილი?!.. ვინა?!. ვინა?!. ეგერა დასავლეთი, ეგერ აღმოსავლეთი, ეგერ-ეგერა ეგ მოძალებული და მოუშორებელი ჭირი ჩრდილოეთისა...“

პარალელი ცხადია: XI არმიის ხიშტებით შემდგარი ქორწინებით მოუშორებელი ჭირი დაესენა საქართველოს. „მერე პო აღარც იყო ქართული. რუსული გახლდა. რუსეთისა გახლდა...“ ამ უღლის შემგუებლობის, მონობის ფასად მიღებული აღზევების, რენეგატის ხვედრის სიტკბოებით იყო ნაკვები ეროვნული მთავრობის, პირველი პრეზიდენტის მიმართ ზიზღი და წინააღმდეგობაც.



ოთარ ჩხეიძე

რუსეთის ბატონობის შენობას ზვიად გამსახურდიამ კედლები დაუნგრია. „სხვა ვერაფერი ვერ დააკლო, ანთუ აღარ დააცადეს: აღარა. და დარჩა იგი ხელუხლებელი. დარჩა. და. დარჩა. კედლებიც რო აღარ უნდოდა. ერთ შენობაში რო ვერც დაეტეოდა. ყველგან იყო და ყველგან დარჩა...“ ახალი ლუარსაბები და ახალი ჯაყოები, „ახალ რუსეთს“ – დსთ-ს – მიეტმასნენ.

„და მოსტიროდა ილიაცა: ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“. მოსდევდა, მოსტიროდა და შესძახოდა აღზევებულთა: „ვაი, ჩვენს ხელში ჩვენს საქართველოს!..“ აღზევებულნი ახალი ჯაყოები არიან, ხატებაცვლილნი, მაგრამ ახალ ქურქში იმავე სულით – კეთილშობილების ნიღბით მოვლენილი მიზანთროპები, მომხვეჭელობის, კეთილდღეობის მოპოვების გზაზე მათთვის ადამიანს რომ ღირებულება დაუკარგავს და „ერთგულია მხოლოდ თავის ასგულობაში“ (მ. ჯავახიშვილი, „ბლოკნოტი“).

თითქოს ახალმა სიომ დაჰქროლა: „პრივატიზაციაო. ვინც რას მოასწრებს, ახლა თუ მოასწრებს, მერე უნდა იაროს გუდამშიერმაო...“

საზოგადოებაც ორ მკვეთრად განსხვავებულ ფენად დაიყო: „ბრიალებდა, გრიალებდა შერატონ-მეტეხი-პალასი...“ როგორც კი აცივდებოდა, „აიძაგებოდა თბილისი. შიოდა თბილისსა“. ახალ „რუსეთუმეებს“ ახალი არგუმენტი აქვთ: „როგორ თუ ვაიო. აღარც მამულიო. დერეფანიო. დერეფანში ილიაცაო“. ეს დერეფან-გვირაბი სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკაა, შედეგად კი –

„ილია დერეფანში.
ბნელა ბაადურის ბინაში...“

დახვეწილი მხატვრული ქსოვილია: კრიტიკული რეალიზმი და „შეუფარავი რეალიზმი“ ერთ შემოქმედებით ყალიბში სუნთქვას აძლევენ ახალი ეპოქის ახალი ფორმით გამოხატულ ტკივილებს.

ამ მთლიან ქარგაში ელიფსისია : „ბნელა ბაადურის ბინაში“.

ილიას „ბედნიერი ერის“ ტრაგიზმიდან ახალ „რუსეთუმეებამდე“ გადებულია ბირთვული ფუნქციების ჯგუფი – სხარტად და მიგნებულად. ელიფსისით ხდება გადასვლა, რომელიც მთავარი პერსონაჟის – ბაადურ რიკოთელის მოქმედების ლოგიკას აფიქსირებს.

რიკოთელს თავისი აუდიტორიის შეკრება გადაუწყვეტია დაბნეულ საქართველოში. იგი სულით ილიელია და როცა „ბნელა ილიას დერეფანში“, ბნელა მის ბინაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრიბებიან რიკოთელის ბინაში „სხვანიცა, სხვანიცა, რო არც ეცნობა. ხმა გასულა ქალაქში, მოდიან, მოდიან... რაღას დაიტევს პატარა ბინაი ბაადურისა, მთლად შენობის დერეფნებიც ველარ დაიტევენ. ბნელა დერეფნებში...“

ამ ბნელიდან მისტიკურ ნათელში გადასვლა საოცარი მიგნებით აისახა რომანში.

როცა სახელმწიფოს მეთაური გზად „ბნელ დერეფანს“ ირჩევს, „ერთ ჭირს მოიშორებ, მეორე მოდის, ანთუ იმას რას მოიშორებ???!!! ჭირი პო მოუშორებელია, ერთი თუ აგიტყდა, ერთი თუ შემოგიჩნდა, – მოუშორებელია, მოუშორებელიო“.

სიუჟეტის განვითარებაში გადასვლები, საუბარი შინაგანი თუ გარეგანი თვალთახედვით რომანს პოლიფონიურ ხასიათს ანიჭებს (განსხვავებით „ჰომოფონიურ“ ანუ ყოვლისმცოდნე ავტორის პოზიციით დაწერილ რომანისაგან).

ნარატიული მრავალფეროვნება ნაწარმოებს განსაკუთრებული ძალით მოსავს, ასევე მნიშვნელოვანია მხატვრული სახის შექმნა, მისი გამოძერწვა რეალობიდან. ამ შემოქმედებით სირთულეს საოცარი ოსტატობით გაართვა თავი ოთარ ჩხეიძემ. მისი პერსონაჟები ქართველი ერის ყოველდღიურობიდან, პოლიტიკური ცხოვრების სიმძაფრიდან გადავიდნენ ნაწარმოებებში. არიან სახეები, რომლებიც ისტორიის ფურცლებს შემორჩა ავად თუ კარგად, ხშირ შემთხვევაში, მწერალს ისინი უცვლელად შემოჰყავს თავის სამყაროში, მაგრამ ის არ განიცდება პოლიტიკური სივრციდან გადმოყვანილ პიროვნებად, არამედ მხატვრული სახეა, რომელსაც მეტი შემოქმედებით-შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, ვიდრე ერთ პიროვნებას, თუნდაც დიდ პოლიტიკოსს.

ცოცხალი სახიდან მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელება მწერლისათვის ერთგვარი „საჯილდაო ქვაა“. მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს. თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი სახე უდგია, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა, მაგრამ პორტრეტის დახატვა არა კმარა. მწერალი მას თავისებურად გარდაქმნის, ზოგ რამეს მიუმატებს, ზოგსაც დააკლებს და ისეთ ვინმეს გამოიყვანს, რომელიც კიდეცა ჰგავს დედანს და არცა ჰგავს: ასე იქმნება სინტეტური ტიპი“, რომელმაც მკითხველის სულიერ მღვიძარებას უნდა შეუწყოს ხელი. ამ მისიას მწერლობა შინაგანი თავისუფლებისა და შემოქმედებითი მადლის შეულლებით ალწევს. არანაკლებ მნიშვნელოვანია დროთა გამთლიანება: წარსულს მოწყვეტილი აწმყო ცნობიერებისთვის უნაყოფო საზრდოა, მომავლისთვის – მჭლე ფესვები, ამიტომ ურჩევდა მწერლებს მიხეილ ჯავახიშვილი: „მწერალო, ერთი ხელი წარსულს გაუწოდე, მეორე მყობადს ჩასჭიდე. არცერთი არ გაუშვა, თორემ დაილუპები“.

წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება: ადამიანის არსის წარმოჩენა მისი ბნელი და ნათელი მხარეებით, მხილება მხატვრული სახეებით, რომელიმე ერთი ეპოქის მიგნება და დამსახურება არ არის, ეს ზოგადი ხასიათია მწერლობისა, რადგან „ადამიანის „არსი“ ერთია ყველგან და ყოველთვის, ხოლო „სახე“ მათი – ნაირნაირი“ (გრიგოლ რობაქიძე).

ამ სახეებისა და ვითარების გამოხატვისთვის ოთარ ჩხეიძე ოსტატურად იყენებს ალუზიურ-ირონიულ ფრაზებსაც: „მიეცი ნიჭსა გზა ფართო. მიეცი. მიეცი. თუ ნიჭია რაღა თქმა უნდა. თუ არა შური, თუ არა სიბრძნე; შენდობა არა აქვს შინაურ მღვდელსაო. თბილისური ანდაზაო. ერთმანეთი რო ვერ აუტანიათო. ბაგრატიონები ვერ აიტანეს, ვორონცოვებს ეთაყვანნენო... პრეზიდენტიც არ უნდათ თბილისელი და რაიონებს იხმობს პრეზიდენტი, მიშველეთ, მიხსენით გაავებული თბილისელებისგანაო...“

დისკურსი ერთგვარი თემატური მონაცვლეობით გრძელდება: ჯერ აფორიაქებული ხალხი გამოჩნდა, მერე ერთგული ხალხის მომლოდინე პრეზიდენტი და თითქოს სასხვათაშორისოდ ჩართული მსჯელობა „უამრავ-ერთზე“, „ენდოგენურ შურზე“ XX საუკუნის 90-იან წლებში დამანგრეველ ძალად რომ მსხმოიარობს: „და ეს ერჩივნათ: ოღონდ არავინ გაეშვათ წინა, ოღონდ პირველი თვითონ ყოფილიყვნენ, პირველი, პირველი. უამრავი პირველი. ყველა პირველი. უბედურებაა. პირველი რო ერთი ყოფილა. *როგორ იქნება უამრავი ერთი. ყველა ერთი როგორ იქნება*. გაუჭირდებათ ამისი დამტკიცება მათემატიკოსებსა. ლოგიკოსებსაც გაუჭირდებათ, თუ იმათ შესძლეს, ღმერთი მაინც არ იყაბულებს, ეშმაკი იყაბულებს“.

„ბერმუდის სამკუთხედი“ ძალად მოსული მთავრობის ჟამია... აფორიაქების, „ძმამ მოუდვა ძმასა ყისტის“ ნაყოფია და კვლავ გრძელდება ბრძოლა სავარძლებისთვის: „მსახიობობდნენ, პოლიტიკოსობდნენ რო თანაცა, გადარეულიყვნენ პოლიტიკითა, ოღონდ გაელწიათ პარლამენტში, მთავრობაში გაელწიათ ეგება, ააშენებდნენ ქვეყანასა, ააყვავებდნენ, გაფურჩქნიდნენ, დაასხმევინებდნენ ნაყოფსა უამრავსა, ოქროს ნაყოფს დაასხმევინებდნენ...“

აი, მწერლის ირონია, უფრო მეტყველი, ვიდრე თითოეული სიტყვა ცალ-ცალკე.

ოთარ ჩხეიძის მატიანის მნიშვნელოვანი ნაწილია XX საუკუნის 90-იანი წლების ამსახველი ტრილოგია: „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“, სადაც მწერალმა ეროვნული სულის სტრუქტურის რღვევა ასახა. სტრუქტურადარღვეულ საზოგადოებაში სიკეთის, სიმართლისა და სიყვარულის ჯვარცმა ზოგადი მოვლენა გახდა. ეს საზოგადოების ცნობიერების ავადმყოფობის ისტორიაა. მწერლის ფიქრი კი განუწყვეტლივ დასტრიალებს ადამიანის შინაგან თავისუფლებას.

ოთარ ჩხეიძემ სიტყვასთან საკრალური კავშირით, სიმართლისმოყვარეობისა და მისი ქომაგობის მადლით ყველა დროს გაუძლო, გაექცა „მოთვინიერებული მწერლობის“ ჩარჩოებს, საკუთარი მართალი გზა გაკაფა და არასოდეს გაუწევია ანგარიში პარტიულ-კლასობრივი ინტერესებისთვის.

მწერლის შინაგანი თავისუფლება და აქტიური შემოქმედებითი უნარი არის მყარი დუღაბი მატიანისა, მხატვრული ნაწარმოებებით რომ ქმნიდა, ანატომის გულგრილობით ეძებდა შინაგან მიზეზს გარეგანი ბოროტების ალზევებისა.

სწორედ ამ ღირსებით ოთარ ჩხეიძე „სულის პურის“ ბარაქიანი მომკელია – 22 წიგნად შეკრული მხატვრული მატიანით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ამირხანაშვილი

# მომავალი წარსულის მასალით შენდება

საქართველომ ვერ მოიცალა ილია ჭავჭავაძის იუბილესთვის, ისევე, როგორც ვერ მოიცალა დავით გურამიშვილის იუბილესთვის, ისევე, როგორც ვერ მოიცლის სხვა იუბილეებისთვის და საერთოდაც, ბევრი რამისთვის ვერ მოიცლის და, კაცმა რომ თქვას, სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან მოვიდა სხვა დრო, დავკარგეთ ჩვენი თავი და, რა გასაკვირია, დავკარგეთ საიუბილეო ცნობიერება, რომელიც ბოლო დროს ისედაც მომაბეზრებელ ტვირთად აწვებოდა ჩვენს ცხოვრებას, გვარიანად აწეწილ, გამოშიგნულ, გაყალბებულ ცხოვრებას.

საქართველო უკვე იმხელა გახდა თავისი პრობლემებითა და საზრუნავით, რომ იგი კარგა ხანს ველარ მოიცლის იუბილეებისთვის.

ილია ჭავჭავაძის იუბილე შარშან მისმა სახლ-მუზეუმებმა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა აღნიშნეს, რაც სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა საიუბილეო კრებული, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისიის მხარდაჭერით.

მნიშვნელოვანი ტენდენცია, რასაც კრებული აშკარად მიგვანიშნებს, არის ის, რომ დაწყებულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ახლებური, თანამედროვე თვალთახედვით.

კრებულის რედაქტორი **ირმა რატიანი** წინათქმაში წერს: „განუზომელია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე და, ასევე, განუზომელია ქართველი ერის ვალდებულება წინაშე მისი ხსოვნისა. წინამდებარე საიუბილეო კრებული ამ ვალდებულების პატივის მხოლოდ მცირედი გამოვლინებაა, მოკრძალებული მცდელობა, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩინოს 21-ე საუკუნის ქართული სააზროვნო სივრცის დამოკიდებულება ილიას მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანი ფიგურისადმი. გამომდინარე აქედან, კრებული ვერ და არ შემოიფარგლა ილია ჭავჭავაძის მხოლოდ ლიტერატურული შემოქმედებით, მასში განთავსდა ისტორიულ-ფილოსოფიური, ინტერდისციპლინარული და კულტუროლოგიური ხასიათის წერილები, რომელთა მიზანსაც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ახლებურად კვლევა და შეფასება წარმოადგენს".

რედაქტორის მიერ კრებულის მოკრძალებული შეფასებაც უთუოდ ნაწილია იმ რაციონალისტური თვალსაზრისისა, რითაც გამსჭვალულია მთელი ეს გამოცემა. ქებას ერთნაირად იმსახურებენ რედაქტორიც, სარედაქციო კოლეგიაც (**თინათინ ბოლქვაძე, მაკა ელბაქიძე, გაგა ლომიძე, მარიამ ნინიძე**), ტექნიკური რედაქტორებიც (**სოლომონ ტაბუცაძე, მირანდა ტყეშელაშვილი**), კომპიუტერული უზრუნველმყოფელებიც (**თინათინ დუგლაძე, ზვიად ტყეშელაშვილი**), მხატვარიც (**ნოდარ სუმბაძე**) და, რაღა თქმა უნდა, ავტორებიც, რომელთა გარეშე ასეთ შინაარსიან კრებულს ვერ მივიღებდით.

კრებული იხსნება **ზაზა აბზიანიძის** ესეით, რომელშიც ერთი თვალშისაცემი შტრიხი შეიმჩნევა. არ ვიცი, აქამდე რატომ არ ექცეოდა ყურადღება იაკობ გოგებაშვილის იმ მოსაზრებას, რომლითაც ესეის იწყებს ზაზა აბზიანიძე, შესაძლოა მასში რაღაც უხერხულობას ხედავდნენ ანდა უბრალოდ ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ იაკობი ჭეშმარიტებას ლაღადებს და არის ამ ჭეშმარიტებაში რაღაც უჩვეულო: „იქნებ არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ილიას განსაკუთრებულ ნიჭზე, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის დაცემაზე..."

შეიძლება აქ სხვა აზრიც ამოვიკითხოთ, მაგრამ მთავარი პირდაპირ არის გაცხადებული – ილიას სიდიდე სამშობლოს დაცემამაც განაპირობა. წარმოვიდგინოთ დიდი, გრანდიოზული ილია და პატარა, დაცემული საქართველო. ეს იყო სინამდვილე, ტრაგიკული სინამდვილე, ისეთივე ტრაგიკული, როგორიც არის გალაკტიონის მიერ შემჩნეული ჭეშმარიტება:

**წინამურში რომ მოჰკლეს ილია,**
**მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.**

თუ არ ვცდები, უკვე დაიწყო ილიას ნაკითხვის ფაზა, როცა მისი ლირიკის მენტალურ შინაარსს ნაკლად კი არა, ღირსებად თვლიან. **დავით წერედიანმა** მეორე მხრიდან შეხედა ცნობილ ფაქტს, თუ როგორ მოსწონდა ილიას ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა და აღმოაჩინა, რომ ილია ამ ორ გენიოსში თავის თავს, თავისი პოეზიის მენტალური სტილის გამართლებას ხედავდა.

არატკბილხმოვანი ლექსიც შეიძლება იყოს შედევრი – ამტკიცებს დავით წერედიანი და შემდეგ ილიას ვერსიფიკაციულ ინტუიციაზეც გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებას: ის, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსის „არატკბილხმოვანებას" უმეტესწილად სათქმელის მიზანდასახულობა და შესაბამისი სიტყვიერი ფაქტურა განაპირობებს, აშკარაა, მაგრამ რატომ ურევს პოეტი ერთმანეთში მაღალ და დაბალ შაირებს? იმიტომ, რომ მაღალი და დაბალი შაირი ილიასთვის ერთი და იმავე საზომის სხვადასხვა ვარიაციებია. ეს მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში მოხდა, რომ ისინი ორ დამოუკიდებელ საზომად იქნა მიჩნეული.

ამავე თემას ეხება **თეიმურაზ დოიაშვილიც**, რომელიც სვამს შეკითხვას, რატომ იყენებს ილია ჭავჭავაძე თექვსმეტმარცვლოვან მაღალ შაირს წინაცეზურული რითმებით? იმიტომ, რომ ეს არის პაროდია ჩახრუხაძის „თამარიანზე", პოეტს ძველ სახოტბო ფორმაში ახალი, სატირული საზრისი შეაქვს.

საინტერესოა აგრეთვე თეიმურაზ დოიაშვილის ზოგიერთი დაკვირვება, კერძოდ, ის, რომ „ბედნიერი ერი" ილიას არჩილ მეფის იმ ლექსის გავლენით უნდა დაეწერა, რომელიც პეტრე პირველის ქებას ეძღვნება; საგულისხმოა

ისიც, რომ ამავე „ბედნიერ ერში" გამოყენებული ყოფილა საგუნდო სიმღერის ფორმა.

ილიას ქალაქი არ უყვარდა. რატომ? იმიტომ, რომ იგი ხედავდა ქალაქის იმ ნეგატიურ ხატს, რომელიც ადამიანს ადამიანურ შინაარსს ართმევდა – **მალხაზ ხარბედიას** სტატიიდან „კენჭგადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისთვის".

მყინვარსა და თერგში ილია მარტო გოეთესა და ბაირონის ფიგურებს არ ხედავდა, ზურაბ კიკნაძის აზრით, აქ განზოგადების მეტი ხარისხია – თერგი ისტორიის სიმბოლოა, თერგის ხმა ისტორიის ხმაა, მყინვარი კი ისტორიის გასრულება, მისი ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული.




**თამაზ ვასაძე** განიხილავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოკვეთილი ორგვარი ცნობიერების წესს. პირველი – ეს არის არარაციონალური, ინერტული, მითიურ-პოეტურ ცნობიერებაზე დამყარებული ყოფა, რომლის წარმომადგენელია ლუარსაბ თათქარიძე; მეორე – რაციონალურ, გონებას დანდობილ ცნობიერებაზე დამყარებული ყოფა, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი განასახიერებს. ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის განვითარების გზა ცნობიერების მეორე წესის მიხედვით უნდა წასულიყო, მაგრამ თამაზ ვასაძის სწორი შენიშვნით, ცნობიერების ორივე წესის სიმბიოზი კარგად მოირგო ქართულმა ყოფა-ცხოვრებამ.

**ირმა რატიანი**, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების დროსივრცული მოდელირებისა და ნაწარმოების აღქმის თეორიული საკითხების განხილვის შემდეგ, აანალიზებს ილიას სტილის ერთ ცნობილ თავისებურებას, რომელიც მკითხველისადმი რეგულარულ მიმართვებში გამოიხატება. „იცი, მკითხველო..." მკვლევარის აზრით, ეს ფორმულა უფრო მეტია, ვიდრე პუბლიცისტური ხერხი. ეს არის მკითხველის მიპატიჟება თავისუფალი ინტერპრეტაციის სამყაროში.

ილია ჭავჭავაძე ცხოვრების ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში მხოლოდ პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა. საინტერესო ფაქტია. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ილიამ შექმნა ქართული პუბლიცისტიკის ჟანრი. და საერთოდაც, საინტერესოა, რასაც მარიამ ნინიძე წერს: ზოგადად მე-19 საუკუნის მწერლობაში პუბლიცისტური იდეის განხორციელებას ეხმარება მხატვრული ელემენტები და ასე იბადება ფაქტისა და გამონაგონის შერწყმა, რომელიც შემდეგ სხვაგან სხვა ლიტერატურის საფუძველი გახდა.

**ლადო მინაშვილის** სტატიაში კიდევ ერთხელ ხდება შეჯახება აკაკი წერეთლის ეთნოგრაფიზმის და ილია ჭავჭავაძის ზოგადკაცობრიულ კონცეფციებს შორის.

ვინ არის მართალი ამ დავაში? ისედაც ცხადია, თუ ვინ არის, მაგრამ პასუხის ფორმირება ძნელია, რაღაცნაირად უხერხულია, ამიტომ ჯობს ეს შეკითხვა არ დაისვას, ანდა თუ დაისვა, უპასუხო ისე, როგორც პასუხობს ბატონი ლადოს მიერ მოხმობილი სიტყვები ვახტანგ კოტეტიშვილისა: „ჩვენი ეროვნული კრიტიკა, მიუხედავად გარეგნული ზეიადობისა, შინაგანად მაინც დარცხვენილია და საკაცობრიო მასშტაბით რომელიმე ქართველი მოღვაწის გაზომვა გვეჩოთირება. ილია ჭავჭავაძე ამ მხრივაც ქართველი ადამიანის ახალი ტიპია, რომელმაც გადალახა აზროვნების სიმხდალე და ქართველ ერს ღრმად მოფიქრებული და თამამი სიტყვა გააგონა".

როგორც ყოველთვის, არაორდინარულია **თენგიზ კიკაჩეიშვილი**. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ აკვირდებოდა ილია ბუნებას, მის მრავალფეროვნებას, მოძრაობასა და კანონზომიერებებს და ყოველივე ამასთან პარალელების მეშვეობით როგორ ხსნიდა ცხოვრების ზოგად თუ კონკრეტულ სიტუაციებს.

როგორ ხდება, რომ ლიტერატურის ფუნქციად მამულის იდეის გამოხატვა იქცევა და როგორ იკავებს „მამული" ღვთაებრივი ჭეშმარიტების ადგილს? პასუხი – **ზაალ ანდრონიკაშვილის** სტატიაში „მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან".

ტრადიციული წარმოდგენების გარდასახვა ახლებურ ფორმაში – შეიძლება ასეც განისაზღვროს შინაარსი **გიორგი მაისურაძის** წერილისა, რომელშიც განხილულია თემა: ილია ჭავჭავაძე, როგორც დეტერმინანტული სიმბოლო ქართული კულტურისა და მისი პოეზიის მითო-პოეტური სახეები „მამული", „ქართვლის დედა", „ის, ვისიც არ ითქმის სახელი" და სხვ.

რა იყო ილია ჭავჭავაძის პიროვნული ხასიათის ფუნდამენტური თვისებები? **ლევან დალაქიშვილის** აზრით, ეს თვისებებია მისწრაფება იდეურობისაკენ და ლტოლვა იდეური უკვდავებისკენ.

ისტორიოგრაფიაში არსებობს ასეთი ცნება – ექსტრაპოლაცია, რომელიც ნიშნავს ჩვენი იდეების გადატანას ისტორიულ წარსულში. ექტრაპოლატორების გატაცება ყველა დროსა და ყველა სივრცეში კომიკური ფინალით სრულდებოდა და, სხვათა შორის, ასეა ახლაც.

ამ მიამიტურ ტენდენციას უპირისპირდება ისტორიზმის პრინციპი, რომელსაც ილიაც იცავდა. მისი აზრით, ჭეშმარიტი მეისტორიე, „ვითარცა გამკითხველი", იმ „დროების ქერქში" უნდა ჩაეტიოს, რომელსაც ეხება, და მერე განიკითხოს დროცა და მისი შვილებიც.

**თამაზ ნატროშვილი** ჩვეული სკრუპულოზურობით განიხილავს აღნიშნულ თემას და წერს, რომ ილიას არ სწამდა შელამაზებული, ზიზილ-პიპილებით მორთული, ეგრეთ წოდებული „ადვოკატური ისტორია", მაგრამ როდესაც საქმე ეხებოდა ეროვნულ ფასეულობათა დაცვას, მაშინ ილია მრისხანედ და დიდი გაბედულობით იმაღლებდა ხმას. სწორედ ეს არის ნაციონალიზმი, რომელიც ილიასთან ვლინდება არა როგორც სენტიმენტი ანუ გრძნობა, არამედ როგორც იდეა, სოციალურ-პოლიტიკური და სულაც რელიგიური კონცეფცია.

**მარიამ ჩხარტიშვილი** ეხება სოციოლოგ ე. სმითის ეთნოსიმბოლიზმის თეორიას და გამოყოფს თეზისს იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმის იდეოლოგია ნაციის კულტურაში ჩაღრმავებას მოითხოვს. მკვლევარის აზრით,

ილია ჭავჭავაძე სავსებით ზუსტად თანხვდება ე. სმითის თეორიას, რომლის მიხედვით, ნაციონალიზმის იდეოლოგიის დოქტრინიდან გამომდინარეობს სამი ფუნდამენტური იდეალი – სწრაფვა ეროვნული ავტონომიურობის, ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული თვითმყოფადობისაკენ.

**ზაზა ფირალიშვილი** ილიას პიროვნებას განჭვრეტს იმ ისტორიულ კონტექსტში, რომელიც 1832 წლის აჯანყებამ შექმნა და მას შემდეგ არც შეცვლილა. იგი ამტკიცებს, რომ ხსენებული აჯანყებით საქართველომ რუსეთის იმპერიას დაუდასტურა ერის ისტორიული კაპიტულაციის ფაქტი და ამან განაპირობა კიდეც ჩვენი შემდგომი ისტორიული დამარცხებები და ეს მარცხი დღესაც გრძელდება. ილია შეებრძოლა ისტორიული კაპიტულაციის ანუ კვდომის ინერციას და მას არსებობის, სიცოცხლის ნების დინამიკა დაუპირისპირა, თუმცა კვდომის ინერცია ვერ შეაჩერა. სამაგიეროდ, სააშკარაოზე გამოიტანა ეს პროცესი და შექმნა მისი ალტერნატიული სიმძიმის ცენტრი, რითაც გაკეთდა მნიშვნელოვანი საქმე – სათავე დაედო ჩვენს დაბრუნებას ისტორიაში.

ამავე თემას აანალიზებს **კახა კაციტაძეც**, ოღონდ, ცოტა არ იყოს, პროვოკაციულ დონეზე – ერთმანეთს უპირისპირებს ილიას ეპოქასა და დღევანდელობას და გვთავაზობს ანტითეზის ოთხ პარამეტრს: გლობალიზაციის ტენდენციები, მსოფლიო პოლიტიკური ფონი, რუსეთსა და მის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია, საქართველოს ნინაშე მდგარი ამოცანები. ნიშანდობლივია სტატიის ერთი აბზაცი: „ნეტავ, დღევანდელი გლობალიზაციისათვის ფეხის ასაყოლებელი ისეთი პრობლემები, როგორიცაა საყოველთაო ინტერნეტიზაცია, ენების ცოდნა ან პოსტინდუსტრიული განვითარება, ისე ქმედითად გადაგვეწყვიტა, როგორც ილიამ გადაწყვიტა თავისი ეპოქის წინაშე მდგარი ის პრობლემები, რომელიც გლობალიზაციის პირველმა ტალღამ დააყენა ქართველი ერის წინაშე". საერთოდ, ლირიკული გადახვევები კახა კაციტაძის სტილი არ არის, მაგრამ მოგეხსენებათ, გამონაკლისი არის ის არტეფაქტი, რითაც ფასობს ფილოსოფოსების პუბლიცისტიკა. თორემ ისე, სტატია მტკიცებაა იმისა, რომ ილია არც მეფე იყო, არც წინასწარმეტყველი, არამედ რაღაც სხვა და ალბათ ამ სხვის ძიებაა ის, რომ „ილიაზე საუბარი დღესაც აქტუალურია".

**ჯონ აპდაიკის ესეების მეექვსე კრებული „შესაბამისი განაზრებანი"**

ამერიკული მწერლობისა და ხელოვნებისათვის ღვთის კურთხევა იყო ის რამდენიმე დიდი კრიტიკოსი, დრო და დრო რომ ევლინებოდა ამ ქვეყანას და მათგან მხოლოდ რამდენიმე იყო რომანისტი. ყველაზე გამორჩეული სახელი ედმუნდ უილსონი გახლდათ, რომელსაც რომანისტს ვერ ვუწოდებდით. მეორე, ვისაც უცებ გავიხსენებთ, ჰენრი ჯეიმზი იყო, მაგრამ ის მაინცა და მაინც ამერიკელი არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით ჯონ აპდაიკი რჩება უდიდეს ამერიკელ მწერლად მეოცე საუკუნისა.

„ცხადია, რომ შემიძლია ყველაფერი წავიკითხო ინგლისურად და აზრი ჩამოვაყალიბო მასზე", წერდა „კურდღლის" ავტორი 1975 წელს, როცა განმარტავდა, თუ რატომ შეიცავდა მისი კრიტიკული წერილების მეორე წიგნი ასე დიდი რაოდენობით უცხოურ წიგნებზე შექმნილ ესეებს.

ოცდათორმეტი წლის შემდეგ აპდაიკი ისეთ ენერგიას ამჟღავნებს, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსად უფრო წარმოგვიდგება. წელიწადში რამდენჯერმე „ნიუ იორკ რევიუს" წიგნების მიმოხილვის დახვეწილ ნიმუშებს აწვდის. და სამოცდათხუთმეტი წლის აპდაიკი ამერიკული კრიტიკის რკინის ჯონად რჩება.

**თინათინ ბოლქვაძე** გვიჩვენებს ილია ჭავჭავაძის დაპირისპირებას სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ კათალიკოსის საანბანო პოლიტიკასთან და იმასაც დაგვანახებს, თუ რატომ გაიმარჯვა ილიას არჩევანმა, როცა მან ამოიღო ენისთვის არაბუნებრივი ბგერები და მათი შესატყვისი ასონიშნები.

**გიორგი გაჩეჩილაძის** მორიგი ისტორიულ-სტრატეგიული მიგნება: 1889 წელს ილია ჭავჭავაძე გამოთქვამდა პროგნოზს, რომ ცივილიზაციის მომავალი მეთაური იქნებოდა არა ევროპა, არამედ ამერიკა. ასე რომ, 118 წლის წინათ ჩამოყალიბებულა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის „ამერიკული" სტრატეგია.

**ნონა კუპრეიშვილის** სტატია საგულისხმოა დღევანდელობის თვალსაზრისითაც – აქ არის საქმიანი საუბარი ილიას დროინდელ ქართულ „ბანკოვიადაზე", ფინანსებზე, ვაჭრობაზე და იმაზეც, თუ რა წარმოადგენს უმაღლეს კულტურულ ღირებულებას ერისთვის, – ხელოვნება, ეკონომიკა თუ ორივე ერთად.

გრძელდება **როსტომ ჩხეიძის** მხატვრულ-დოკუმენტური ეპოპეა, რომლის ერთი ეპიზოდი მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის იდეურ კონფლიქტზე ახალი თაობის წარმომადგენლებთან და მათს „საამურ ფსიხოლოგიასთან". ამჯერად ვინ არიან ილიას ოპონენტები? ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე, სოციალისტური ტალღის გლობალისტები, მარქსიზმისა თუ ტოლსტოველობის იდეებით რომ შეიარაღებულან, მსოფლიო მოქალაქეებად რომ მოაქვთ თავი და ყელში ეჩხირებათ ქართული ნაციონალიზმი.

საიუბილეო კრებულს დართული აქვს ილია ჭავჭავაძის რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია და პირთა საძიებელი, რომელიც **შარლოტა კვანტალიანს, ქეთევან ნინიძეს, ქეთევან შენგელიასა** და **ზოია ცხადაიას** შეუდგენიათ მეცნიერ-კონსულტანტების **გიორგი აბაშიძის, მანანა კვაჭანტირაძის** და კოორდინატორ **ნანა ფრუიძის** მონაწილეობით.

ამ მნიშვნელოვან გამოცემას სხვანი და სხვა დრონი ჩემზე უკეთ შეაფასებენ, მაგრამ ერთს ვიტყოდი, ეს მართლაც ახალი გზის დასაწყისია ილიას შესწავლის საქმეში, მაგრამ საკითხავია, რატომ? რა ნიშნით? უპირველეს ყოვლისა, იმ ნიშნით, რომ შემდგენლებსა და ავტორებს კარგად აქვთ გააზრებული უდავო ჭეშმარიტება: მომავალი წარსულის მასალით შენდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ჭუმბურიძე

# ან – სიმართლე, ან – არაფერი

•

## რეჟისორის პორტრეტი დიალოგით და ინტერმედიებით

„რესპონდენტი ყოველთვის ცდილობს, თქვას ის, რაც სურს, ინტერვიუერის პასუხისმგებლობის ხარჯზეც კი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ძალზე გამჭრიახი უნდა იყოს, რათა მიხვდეს, როდის უთხრეს სიმართლე" (გაბრიელ გარსია მარკესი).

• • •

თემურ ჩხეიძეს რომ ესაუბრები, ასეთი გამჭრიახობა არ გჭირდება, რადგან ის ან სიმართლეს ამბობს, ან – არაფერს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მასთან დიალოგი ადვილია. პირიქით: მართალია, სხვისი პასუხისმგებლობის ხარჯზე არაფერს იტყვის, სამაგიეროდ, ხშირ შემთხვევაში, არც გულისნადებს გაგიმხელს. თუ მოგენდობა და „ზედმეტ" გულახდილობას გამოიჩენს, აუცილებლად მოაყოლებს, ამას პრესისთვის არ ვამბობო, და ძალიან „ყვითელი" უნდა იყო, თხოვნა რომ არ შეუსრულო – რეჟისორის იშვიათი პიროვნული კულტურა ამას ძალდაუტანებლად გაიძულებს.

• • •

„ბევრს ჰგონია, ყველას შეუძლია ინტერვიუს აღება, რის შედეგადაც ეს ჟანრი საჯარო სასაკლაოდ იქცა. ორიოდ შეკითხვითა და ჩამწერით შეიარაღებულ ახალგაზრდებს აგზავნიან ინტერვიუს ასაღებად, რათა მომხიბვლელობისა და სითამამის ხარჯზე ისნავლონ ჟურნალისტობა" (გაბრიელ გარსია მარკესი).

• • •

**– თქვენთან თუ მოსულან „ორიოდ შეკითხვითა და ჩამწერით შეიარაღებული" ჟურნალისტები?**

– მოსულან. ერთი ახალგაზრდა მოვიდა სამეფო უბნის თეატრში. მეკითხება, ამ სპექტაკლის გარდა, კიდევ რა დაგიდგამთო. შემდეგ მთხოვა, წარმოდგენის შინაარსი მომეთხრო. ვურჩიე, სპექტაკლი ენახა. ამდენი დრო სად მაქვსო, – შეიცხადა.

**– ამბობენ, პრესის „სიყვითლე" სახადივითაა, თანდათან გაივლისო...**

– ალბათ, მაგრამ ეს „თანდათან" ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ფაქტია, რომ ყვითელმა პრესამ შეჭამა სერიოზული გამოცემები.

**– ეს – საქართველოში. რუსეთშიც ასეა?**

– თითქმის ასეა.

**– თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

– ვფიქრობ, მთავარი პრობლემა გაუნათლებლობაა.

**– და მაინც, იმედი მაქვს, რომ პრესა მხოლოდ საყვედურებს არ იმსახურებს. საბედნიეროდ, იგივე მარკესი დიდ პატივს მიაგებს სერიოზულ ჟურნალისტიკას, ნამდვილ პუბლიცისტიკას ლიტერატურის სფეროს მიაკუთვნებს, ხოლო ჟურნალისტობას მსოფლიოში საუკეთესო ხელობასაც კი უწოდებს, რაც, პირადად, სიამაყით მავსებს. ალბათ, თქვენც ხშირად გქონიათ შეხება ნამდვილ და სერიოზულ ჟურნალისტიკასთან.**

– რა თქმა უნდა, მქონია. თუმცა არც ისე ხშირად. სულ რამდენიმე შემთხვევა მახსენდება, როცა წამიკითხავს საკუთარი ინტერვიუ და მიცნია საკუთარი თავი, მიფიქრია, რომ ეს ნამდვილად მე ვარ, მე ვლაპარაკობ.

**– ერთხელ, ანალოგიურ კონტექსტში მითხარით, ყველას თავისი ტონალობა აქვსო. ალბათ, ახლაც ამასვე გულისხმობთ.**

– ტონალობას და კატეგორიულობის დოზას. ყოველთვის ვცდილობ, რომ საკუთარი აზრი კატეგორიული ფორმით არ გამოვთქვა. გაზეთში კი, ხშირად, პირიქითაა. როგორ ხდება ეს, არ ვიცი.

• • •

მართლაც, ძალიან რთულია დიალოგი თემურ ჩხეიძესთან.

• • •

**– დამკვიდრებული აზრის თანახმად, ძალიან ადვილია, თემურ ჩხეიძეს გული ატკინო. მართლაც ასეა?**

– თქვენც ასე ფიქრობთ?

**– დიახ.**

– მაშინ, მართლაც ასე ყოფილა.

**– ხუმრობა იქით იყოს და ახსნა სერიოზულად მაინტერესებს.**

– იქნებ ახსნაც თქვენვე გეცადათ.

**– კეთილი, შევეცდები: ალბათ, იმიტომ, რომ თავად მაქსიმალურად ცდილობთ, გული არავის ატკინოთ. იქნებ არც ცდილობთ, უბრალოდ, ბუნებრივად გამოგდით, უფრო ზუსტად, თქვენი ბუნებაა ასეთი.**

– დიდი მადლობა.

• • •

თემურ ჩხეიძესთან დიალოგი რთულია იმიტომაც, რომ პოლიტიკაზე საუბარი კატეგორიულად არ სურს – ერთადერთი შემთხვევა, როცა ის კატეგორიულია. ესაუბრო ცნობილ პიროვნებას და არ შეეხო პოლიტიკას, დღეს ეს წარმოუდგენელია. უფრო ზუსტად, წარმოუდგენელია ის, რომ ასეთი ინტერვიუ-დიალოგი აქტუალურად აღიქვან.

თუმცა, თემურ ჩხეიძე ასე სულაც არ ფიქრობს.

• • •

კი, ბატონო, ვისაუბროთ ხელოვნებაზე, ანუ ვიაროთ დინების საწინააღმდეგოდ. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ

თემურ ჩხეიძისთვის აქაც ბევრ რამეს ადევს ტაბუ? – ისევ იმ პრინციპის ძალით, რომ გული არავის უნდა ატკინოს.

* * *

– დიდხანს ვოცნებობდი ფილმის გადაღებაზე. ბოლოსდაბოლოს გადაწყდა და „წარმოებაში ჩაუშვეს". მაგრამ მოულოდნელად მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელად გამგზავნეს და... ის ფილმი სხვამ გადაიღო.

* * *

სასხვათაშორისოდ ნათქვამ ამ სიტყვებს ხელიდან როგორ გავუშვებდი.

* * *

**– რატომ გინდოდათ ფილმის გადაღება?**

– რა ვიცი, მინდოდა.

* * *

ვითომ არ იცის?! უბრალოდ, ასეთი შეკითხვა არ უნდა დაუსვა რეჟისორს, ვისაც ბრწყინვალე სატელევიზიო (ვიდეო) სპექტაკლები დაუდგამს (საკმარისია „ჯაყოს ხიზნები" გავიხსენოთ), ვისაც ძალიან უყვარს ახლო ანუ მსხვილი პლანი, თეატრში კინემატოგრაფიული ხერხების გამოყენება...

მე კი ვკითხე.

პასუხიც შესაბამისი მივიღე.

და მაინც ვაგრძელებ:

**– რას იღებდით?**

– აქვს ამას მნიშვნელობა?

**– რა თქმა უნდა. ძალიან მაინტერესებს.**

– „ბერნარდა ალბას სახლს".

**– მთავარი როლი ვის უნდა ეთამაშა?**

– ამას არ გეტყვით.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ ის როლი სხვამ შეასრულა.

**– და ფიქრობთ, რომ ეწყინება?**

– შესაძლებელია.

**– რატომ უნდა ეწყინოს, თვითონ ხომ კარგად ითამაშა?**

– მაინც არ გეტყვით. სხვათა შორის, მსახიობი არც ის იყო. როცა ამის შესახებ ვუთხარი, წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

**– მითხარით, ვინ იყო?**

– ნინო რამიშვილი.

**– გასაგებია, რატომაც. დარწმუნებული ვარ, ისიც ძალიან საინტერესო იქნებოდა.**

* * *

**– წელან, ყვითელ პრესაზე რომ ვსაუბრობდით, განათლების დეფიციტი ახსენეთ. თეატრის სფეროში რა მდგომარეობაა, ამ თვალსაზრისით. საერთოდ, რამდენად აუცილებელია განათლება რეჟისორისა და მსახიობისთვის?**

– განათლება აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის. რეჟისორისთვის – მით უმეტეს. ის ხომ მაყურებელს საკუთარ ტკივილებზე ესაუბრება.

**– ზოგიერთ რეჟისორზე გამიგონია, განათლება ხელს უშლისო. ეს შესაძლებელია?**



თემურ ჩხეიძე და იოსებ ჭუმბურიძე

– შეუძლებელია. აქ მხოლოდ ის შეიძლება, რომ რეჟისორული პროფესიონალიზმის პრობლემაზე ვისაუბროთ.

**– მაინც ვინ არის და რას აკეთებს რეჟისორი. ამ საკითხზე თქვენგან ურთიერთგამომრიცხავი აზრები მომისმენია. ხან ასე გითქვამთ – რეჟისორი მაქსიმალურად უნდა დაიმალოსო. მაგრამ თქვენი მწარე ირონიაც მახსოვს ზოგიერთ სპექტაკლთან დაკავშირებით – რეჟისორს ახლომახლო თუ გაუვლია, ვერ იფიქრებო. ესეც გითქვამთ, მწერლებს და ჟურნალისტებს რა გენაღვლებათ, როცა მუზა გეწვევათ, მაშინ დაწერთ, მსახიობმა კი რა ქნას, მუზა და განწყობა მაინცდამაინც საღამოს რვა საათზე როგორ „გამოიძახოსო". ნუთუ ყოველ საღამოს მუზაა საჭირო?**

– აი, აქ ბუნებრივად მივადექით პასუხს თქვენს კითხვაზე – ვინ არის და რას აკეთებს რეჟისორი? რეჟისორი აგებს ლიანდაგს, რომელზეც მსახიობმა ყოველ საღამოს თავისუფლად და ბუნებრივად უნდა გაიაროს. რამდენად კარგად დაგებული და ასევე კარგად დამალული და უხილავი იქნება ეს „ლიანდაგი", ამის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ რეჟისორის პროფესიონალიზმზე.

**– გასაგებია. უკან მიმაქვს ჩემი შეხედულება „ურთიერთგამომრიცხავი აზრების" შესახებ.**

– გმადლობთ.

* * *

რეჟისორი მაყურებელს საკუთარ ტკივილებზე ესაუბრებაო. როცა ამას „გუშინდელნის", „ჯაყოს ხიზნების" და „პაკი აძბას" დამდგმელი ამბობს, ადვილი შესაძლებელია, ჰკითხო: ნუთუ ამ სპექტაკლებში საკუთარ ტკივილებზე გვიამბობდით?! ეს ხომ ჩვენი საერთო ეროვნული ტკივილებია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ კარგი (ბედი ჩემი!), რომ არ ვკითხე. წარმომიდგენია, რა ირონიას და სარკაზმს დავიმსახურებდი.

* * *

დიახ, თემურ ჩხეიძისთვის უცხო არ არის ირონია და სარკაზმი, ოღონდ კეთილშობილური და ინტელიგენტური, ისევე, როგორც მისთვის საერთოდ ორგანულად დამახასიათებელი იუმორი.

მას, როგორც ჭეშმარიტ ინტელიგენტს, თვითირონიაც ორგანულად ახასიათებს.

* * *

... ერთხელ, ტელევიზორს ვუცქერით. აჩვენებენ ფრაგმენტს ფილმისა, რომელშიც ის მონაწილეობს. კადრში მისი გმირი გემრიელ კერძს შეექცევა.

ამ ეპიზოდის გახმოვანებისას, სინამდვილეში, ლელვს ვჭამდი. – მითხრა ბატონმა თემურმა.

– რას? – ვთხოვე დაზუსტება, რადგან მომეჩვენა, რომ კარგად ვერ გავიგონე.

– ლელვს. თქვენ რა გაიგონეთ – ნეხვი? ნეხვი მაშინ ვჭამე, როცა ვითამაშე.

* * *

მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელად რომ მივიდა, პირველად, „ჰაკი აძბას" დადგმას შეუდგა. რეპეტიციები (მქონდა ბედნიერება, რამდენიმეს დავსწრებოდი), თავიდან, ცოტა მძიმედ მიმდინარეობდა. რეჟისორის ორიგინალურ ხელწერას, მის ღრმა აზროვნებას ალღო ყველამ ერთბაშად ვერ აუღო. განსაკუთრებით უფროსი თაობის მსახიობებს უჭირდათ.

მახსოვს, ერთ მათგანზე მითხრა: „სცენაზე რომ ვუყურებ, ვფიქრობ, დღეს მოვკლა თუ ორშაბათისთვის გადავდო".

ესეც მახსოვს:

„ჰაკი აძბას" საანონსო აფიშები გამოაკრეს.

თემურ ჩხეიძემ, იმ დღეს, რეპეტიცია ასე დაიწყო: „აფიშას რომ შევხედე, გულმა რეჩხი მიყო".

**– ეს იმიტომ, რომ მარჯანიშვილის თეატრში (ხელმძღვანელის რანგში) პირველ სპექტაკლს დგამდით, თუ ახლაც ასე გემართებათ?**

– ახლაც ასე მემართება.

**– სანკტ-პეტერბურგშიც?**

– სანკტ-პეტერბურგშიც.

* * *

თემურ ჩხეიძე დღეს სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ხუმრობაა? – ქართველი რეჟისორი რუსეთის ყველაზე სახელგანთქმული დრამატული თეატრის ხელმძღვანელი!

ქართველობას ძალიან გაუჭირდა ამ ფაქტთან შეგუება.

რამდენი ქართველი ხელოვანი მოღვაწეობს საზღვარგარეთ და ეს არავის აშფოთებს. თემურ ჩხეიძის სხვაგან ყოფნას კი დღემდე ვერ შეგუებიან.

სწორედ იმიტომ, რომ თემურ ჩხეიძეა.

თუმცა ერთხელ, თავად რეჟისორმა ეჭვიანი კითხვა დაგვისვა:

– თქვენ რა გაწუხებთ – ის, რომ თბილისში არ ვარ, თუ ის, რომ რუსეთში ვარ?

ეჭვი უსაფუძვლოა, კითხვა – ლოგიკური.

საქმე „გუშინდელნის", „ჰაკი აძბას" და „ჯაყოს ხიზნების" დამდგმელს ეხება.

ჩვენ ლოგიკურად უნდა ვღელავდეთ, რეჟისორს კი ჩვენი ღელვა უნდა ახარებდეს.

* * *

აქ, ჩვენთან, საქართველოში, არაერთხელ მინახავს გულნატკენი თემურ ჩხეიძე. მსახიობები არცთუ იშვიათად სტკენდნენ გულს რეჟისორს, რომელსაც მსახიობი განსაკუთრებით უყვარს. თუმცა ასეთ გამოთქმას თვითონ არასოდეს ეთანხმება:

– აბა, სხვა რეჟისორებს ვინ (რა) უყვართ – ფრინველები?

მაგრამ ეს მის თავმდაბლობას უნდა მივაწეროთ.

* * *

აქაური გულისტკენანი „შინაურის შეუნდობლობით" აიხსნება. მაინტერესებს, „იქ" როგორ არის. გულს იქაც სტკენენ? ერთი სული მაქვს, ვკითხო, მაგრამ ვხვდები, რომ უაზრობაა – სულ ერთია, არაფერს მეტყვის. არა, ამას მეტყვის (არაერთხელ უთქვამს): „ზოგჯერ, უნებურად, თვითონაც ვტკენ გულს მსახიობებს. ყველა მათგანს უნდა როლი, თამაში. ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. მათაც უნდა გავუგოთ".

საერთოდ კი, მსახიობებზე სიამოვნებით ლაპარაკობს.

მერედა, როგორი არტისტების დასს ხელმძღვანელობს! მარტო ალისა ფრეინდლიხი რად ღირს! იცოდით, რომ ბებია ქართველი ჰყავდა? თემურ ჩხეიძისგან გავიგე. სხვას არც დავუჯერებდი – ტრადიციული ქართული ჭორი მეგონებოდა.

– მართლაც, განსაცვიფრებელი მსახიობია. თან ოდნავადაც არ გაგრძნობინებს, რომ ვარსკვლავია. ამჟამად დოსტოევსკის „ბიძიას სიზმარს" ვდგამ. მთავარ როლს თამაშობს.

**– ოლეგ ბასილაშვილზე რას იტყვით?**

– ბრწყინვალე არტისტია. ამასთანავე, მოსიარულე ენციკლოპედიაა. უდიდესი ავტორიტეტი აქვს. ყველაფერს მას ეკითხებიან, მათ შორის რუსული სალიტერატურო ენის ნორმებთან და თავისებურებებთან დაკავშირებით.

* * *

მაგრამ ჩვენ ისევ ჩვენი თეატრი, ჩვენი მსახიობები ვიკითხოთ.

თემურ ჩხეიძეს ხომ აქ ჰყავს გამორჩეულად საყვარელი არტისტები, რომლებთანაც ყოველთვის დიდი გატაცებით მუშაობს.

ის ხშირად ამბობს, არსად წავსულვარო და, არსებითად, ასეც არის: ქართული თეატრის დღევანდელ რეპერტუარში მისი ხუთი სპექტაკლი: მარჯანიშვილში – „ანტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონე", „არტი" და „სასიყვარულო ბარათები", საოპერო სცენაზე – ლეონკავალოს „ჯამბაზები", სოხუმის თეატრში (სამეფო უბნის სცენაზე) – „ზღვა, რომელიც შორია". ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხაზგასასმელია: აფხაზეთის პრობლემას სპექტაკლი მიუძღვნა სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე რეჟისორმა, მაშინ, როცა აქ, თბილისში მომუშავენი ამ თემას ახლოსაც არ გაჰკარებიან.

ეს თავისთავად მრავლისმთქმელია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სპექტაკლის მაღალმხატვრულობაა, თუმცა ოპონენტები რეჟისორს მაინც გამოუჩნდნენ.

**– ამ სპექტაკლის მიმართ ორი პრეტენზია გამოითქმის.**

– საინტერესოა. აქამდე მხოლოდ ერთი ვიცოდი.

**– ალბათ ის, რომ აფხაზი პერსონაჟი ჯაბნის ქართველს.**

– მეორე რომელია?

**– ის, რომ სპექტაკლი რუსულ ენაზეა.**

– ნუთუ ძნელი მისახვედრია, რატომ?! ამ შემთხვევაში, ჩემი მიზანი იყო სრული სიმართლე და დოკუმენტურობა. ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ხომ რუსულად ელაპარაკებოდნენ. თუმცა, სპექტაკლში არის სცენები, როცა ქართველი ქართულად ეკითხება, აფხაზი კი რუსულად უპასუხებს.

**– მგონი გაბრაზდით. თუ შეიძლება, პირველ პრეტენზიას დავუბრუნდეთ.**

– ასე მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან აფხაზი უფრო მეტს ლაპარაკობს. ეს შეგნებული სვლაა. სჯობს, მან თქვას ყველაფერი, რაც აწუხებს, რისი თქმაც სურს, რომ შემდეგ ჩვენი შეცდომები უკეთ დავინახოთ და გავაანალიზოთ.შეცდომა რომ ბლომად მოგვივიდა, ეს ხომ უდავოა.

* * *

თემურ ჩხეიძეს ადვილად შეუძლია ინტელიგენტური სიმშვიდით მოისმინოს (და გაითვალისწინოს კიდეც) საფუძვლიანი შენიშვნა, მაგრამ ასევე ადვილად სტკენს გულს უსაფუძვლო პრეტენზიები.

**– „ოტელო" რომ დადგით, ზოგიერთები ამბობდნენ, სპექტაკლი უფრო იაგოზეაო. რით ახსნიდით ამას?**

– ერთადერთი მიზეზით: ოთარ მეღვინეთუხუცესისგან არავის გაჰკვირვებია ოტელოს როლის კარგად შესრულება. ნოდარ მგალობლიშვილისგან კი გაუკვირდათ უარყოფითი როლის კარგად თამაში, მეტიც, საერთოდ თამაში. ამ მსახიობს ხომ სულ ახალი შესრულებული ჰქონდა თეიმურაზ ხევისთავის როლი, სადაც ლამის ქრისტეს ჰგავდა. სხვაზე რა ვთქვა, როცა თვით ქალბატონი ვერიკო მეუბნებოდა, რას აკეთებ, ნოდარ მგალობლიშვილი ბრწყინვალე არტისტია, მაგრამ იაგოს როგორ ათამაშებო.

**– არადა, სწორედ იმიტომ ათამაშეთ, რომ „იაგოს არ ჰგავდა"...**

– სწორედ ამიტომ. ოტელო რომ ასე ადვილად უჯერებს, შემთხვევითი ხომ არ არის. თუ ბოროტება სახეზე ეწერება, მაშინ ლოგიკურად დაიბადება კითხვა: ოტელო იდიოტი ხომ არ არის, როგორ ვერ ხვდება, რომ ატყუებენ? საქმეც ის არის, რომ ასეთი სახით და თვალებით ითამაშო იაგო.

**– მართლაც, განსაცვიფრებელია, დღეს თეიმურაზ ხევისთავი ითამაშო, ხვალ კი – იაგო. ასეთივე განცვიფრება მეუფლებოდა, როცა ოთარ მეღვინეთუხუცესს ერთ საღამოს ოტელოს როლში ვხედავდი, მეორე დღეს კი – „პროვინციულ ამბავში" – მკვეთრად სახასიათო როლში. სწორედ ასეთი გარდასახვაა მაღალი ნიჭიერებისა და ოსტატობის გამოვლინება.**

– სავსებით გეთანხმებით.

* * *

**– აქამდე, სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობის მიუხედავად, ქართულ სცენაზე, სეზონში ერთ-ორ სპექტაკლს მაინც დგამდით. მას შემდეგ, რაც დიდი დრამატული თეატრის ხელმძღვანელი გახდით, ალბათ, ამის შესაძლებლობა აღარ გექნებათ.**

– ცხადია, აღარ მექნება.

**– და თქვენ გინდათ, რომ ეს არ გვაღელვებდეს?**

დუმილი.

* * *

... ის მაინც დადგამს!

კვირას, 17 თებერვალს

ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში"
გაიმართება შეხვედრა

**გაგა ნახუცრიშვილთან**
და მისი ლექსების ახალი კრებულის
პრეზენტაცია

*დასაწყისი 15 საათზე*
ფურცელაძის 10

კვირას, 24 თებერვალს

ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში"
გაიმართება საუბარი

**მარინა ჩიტაშვილთან**

„ქალი და მამაკაცი"

*დასაწყისი 15 საათზე*
ფურცელაძის 10

გუსტავ ფლობერი

# საყოველთაოდ მიღებული აზრების ლექსიკონი

**ნუთი** – ადამიანები ვერ ხვდებიან, რა ხანგრძლივია ერთი ნუთი.

**სამხრეთელები** – ყველანი პოეტები არიან.

**მანდოლინა** – აუცილებელია ესპანელი ქალების შესაცდენად.

**ლეიბი** – რაც უფრო მაგარია, მით უფრო ჰიგიენურია.

**ზღვის ავადმყოფობა** – თუ მასზე არ იფიქრებთ, არც დაგემართებათ.

**მამელუქები** – აღმოსავლეთის (ეგვიპტე) ძველი ხალხი.

**მაქსიმა** – არასოდეს ახალი არ არის, მაგრამ დამამშვიდებელია.

**ნესვი** – მშვენიერი სასაუბრო თემაა მაგიდასთან. ნეტავ რა არის, ხილი თუ ბოსტნეული? ინგლისელები დესერტზე მიირთმევენ, რაც მეტად გასაოცარია.

**მისიონერები** – ყველა მათგანი შეჭამეს ან ჯვარს აცვეს.

**მინისტრი** – ადამიანური დიდების ბოლო ზღვარი.

**მეთოდი** – არაფრის მაქნისია.

**ურჩხულები** – აღარ გვხვდებიან.

**ულვაში** – კაცს მხედრულ იერს ანიჭებს.

**მუსიკოსი** – ჭეშმარიტი მუსიკოსის თვისებაა არ შექმნას არანაირი მუსიკა, არ დაუკრას არც ერთ ინსტრუმენტზე და ეზიზღებოდეს ვირტუოზები.

**ნისქვილი** – პეიზაჟში კარგად ჯდება.

**მოლუსკები** – ძნელად მოსანელებელია.

**მეტამორფოზა** – სასაცილოდ აიგდეთ ის დრო, როდესაც მისი სჯეროდათ. ოვიდიუსის გამოგონილია.

**მათემატიკა** – ფიტავს გულს.

**წამებულები** – ყველა პირველი ქრისტიანი წამებული იყო.

**მეტაფორები** – სტილში ყოველთვის გადამეტებული რაოდენობითაა.

**მათხოვრობა** – სულ ამბობენ, რომ უნდა აკრძალონ, მაგრამ დღემდე არსებობს.

**მედიცინა** – თუ არაფერი განუხებთ, დასცინეთ.

**ჯაშუშები** – ძირითადად პოლიციიდან არიან.

**მოზაიკა** – შექმნის საიდუმლო დაკარგულია.

**კოლო** – უფრო საშიშია, ვიდრე ნებისმიერი მტაცებელი მხეცი.

**მონოპოლია** – რაც შეგიძლიათ დაგმეთ.

**მესაჟი** – უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე „წერილი".

**მეფისტოფელური** – ითქმება ყველა სიმწრის ღიმილზე.

**ოჯახი** – მოწიწებით მოიხსენიეთ.

**მატერიალიზმი** – წარმოთქვით ეს სიტყვა სიძულვილით და თითოეული მარცვალი მკვეთრად გამოყავით.

**წყევლა** – ძირითადად მამა იძლევა.

**მეხსიერება** – ყოველთვის იწუწუნეთ საკუთარ მეხსიერებაზე. შეგიძლიათ, თავმოწონების მიზნით, ისიც კი თქვათ, რომ მეხსიერება საერთოდ არ გაქვთ; მაგრამ თუ ვინმე გეტყვით, რომ სალი განსჯის უნარი არ გაგაჩნიათ, გაამფთრდით და ღრიალი მორთეთ.

**ნერვების დაავადება** – გამოიხატება სახის მანჭვაგრეხით.

**მეტალურგია** – ძალიან მაგარი რამაა.

**მედალი** – მხოლოდ ანტიკურ ეპოქაში აკეთებდნენ.

**ადრე ადგომა** – ზნეობაზე მიუთითებს. თუ ღამის 4 საათზე წვებით და 8-ზე დგებით, ზარმაცი ხართ; ხოლო თუ საღამოს 9-ზე წვებით და დილით 5-ზე დგებით, ეს უკვე სიყოჩაღის ნიშანია.

**ზღვა** – უძიროა. განასახიერებს უსასრულობას. იწვევს ზეაწეულ ფიქრებს. ზღვის პირას აუცილებლად იქონიეთ ჭოგრიტი. როდესაც უმზერთ, გამუდმებით იძახეთ: „რამდენი წყალია! ღმერთო ჩემო, რამდენი წყალია!"

**ლაკონიზმი** – ენა, რომელზეც აღარ ლაპარაკობენ.

**ლანგუსტი** – დედალი ომარი.

**ცოცხალი ენები** – საფრანგეთის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ფრანგებმა უცხო ენები ცუდად იციან.

**რძე** – ხამანწკების გამხსნელი საშუალება. იზიდავს გველებს. ათეთრებს კანს. პარიზელი ქალები ყოველ დილით რძის აბაზანებს იღებენ.

**დაფნის გვირგვინოსნები** – გვიფრთხობენ ძილს და მოსვენებას.

**კურდღელი** – სძინავს თვალღიას.

**ლაგუნა** – ქალაქი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

**ლეთარგიული ძილით შეპყრობილნი** – ყოფილან ისეთებიც, რომლებსაც წლების განმავლობაში სძინებიათ.

**ტბა** – ტბაზე ნავით სეირნობისას აუცილებლად გვერდით უნდა გყავდეთ ქალი.

**ლანცეტი** – ჯიბეში უნდა გედოთ, მაგრამ გამოყენებისა უნდა გეშინოდეთ.

**სინათლე** – როდესაც სანთელს ანთებენ, უნდა წამოიძახოთ: „იქმენინ ნათელი!" (იატ ლუხ!)

**თავისუფალი გაცვლა** – კომერციაში საქონლის ჩანოლის მიზეზი.

**გარყვნილება** – მხოლოდ დიდ ქალაქებში არსებობს.

**ლიგის ნევრები** – ლიბერალიზმის მაუწყებელნი საფრანგეთში

**ლიტრე*** – მისი სახელის გაგონებაზე დამცინავად აღნიშნეთ: „ეს ის ბატონია, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ მაიმუნების შთამომავლები ვართ".

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა" №2, 3

* ემილ ლიტრე (1801-1881) – ფრანგი ფილოსოფოს-პოზიტივისტი, თავისი ეპოქის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი, ავტორი „ფრანგული ენის ლექსიკონისა".

**პასკვილი** – აღარ წერენ.

**ლიე** – ერთ ლიეს უფრო სწრაფად გაივლი, ვიდრე 4 კმ-ს.

**ფუფუნება** – ღუპავს სახელმწიფოებს.

**მთვარე** – გვავსებს მელანქოლიით. ვინ იცის, შეიძლება მასზე ადამიანები ცხოვრობენ?!

**ლორდი** – მდიდარი ინგლისელი.

**წიგნი** – რა შინაარსისაც არ უნდა იყოს, ყოველთვის ძალიან გრძელია.

**ლიტერატურა** – უსაქმურების საქმიანობა.

**ლუი XVI*** – ყოველთვის მოიხსენიეთ შემდეგი სიტყვებით: „ის უბედური მონარქი!"

**ისამანი** – სასიამოვნო დასანახია, რადგან ზაფხულის დადგომას გვამცნობს.

**თავისუფლება** – ოო, თავისუფლებავ! რამდენი ბოროტებაა ამქვეყნად შენი სახელით ჩადენილი! ჩვენ გაგვაჩნია ყველა ის თავისუფლება, რაც კი აუცილებელია. თავისუფლება ლიცენზია არ არის (კონსერვატორის ფრაზა).

**ფანჩატური** – სიამეთა ადგილი ბაღში.

**კიპსეკი**** – უნდა იდოს მაგიდაზე მისაღებ ოთახში.

**ყურანი** – მუჰამედის წიგნი, სადაც მხოლოდ ქალებზე ლაპარაკი.

**იაპონია** – იქ ყველაფერი ფაიფურისაა

**ებრაელი** – ისრაელის ძე. ყველა ებრაელი სათვალეების გამყიდველია.

**ინგლისური ბაღები** – უფრო ბუნებრივი იერი აქვთ ვიდრე ფრანგულ ყაიდაზე გაკრეჭილ ბაღებს.

**ეჭვიანობა** – წინ უნდა უსწრებდეს სიტყვა „ზღვარგადასული". საშინელი თვისებაა. გადაბმული წარბები ეჭვიანობის ნიშანია.

**ლერწამი** – ყველა ჯოხი ლერწმისაა.

**სამართალი** – მასზე ფიქრით თავს ნუ შეიწუხებთ.

**ქალიშვილი** – წარმოთქვით ეს სიტყვა მორცხვად. ყველა ახალგაზრდა ქალიშვილი ფერმკრთალი, სუსტი და უმანკოა. მოარიდეთ ისინი ყველანაირ წიგნს, მუზეუმებს, თეატრებს და განსაკუთრებით ზოოლოგიურ ბაღში მაიმუნების ვოლიერებს.

**ახალგაზრდა კაცი** – ყველა ლაზღანდარაა. ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს. თუ ეს ასე არ არის, უნდა გაგიკვირდეთ.

**ჟოკეი-კლუბი** – მისი წევრები თავქარიანი, მდიდარი ყმაწვილები არიან. „ჟოკეი კლუბის" მაგივრად შეგიძლიათ უბრალოდ თქვათ „ჟოკეი"; ეს უფრო მოდურია და თანაც, გარშემომყოფებს ეგონებათ, რომ თქვენც კლუბის წევრი ხართ.

**ჟოკეი** – შეიბრალეთ ჟოკეების მოდგმა.

**ნაფიცი მსაჯულები** – ყველანაირად ეცადეთ, რომ მათ შემადგენლობაში მოხვდეთ.

**პირველი ღამის უფლება** – არ დაიჯეროთ მისი არსებობა.

* ლუი XVI – საფრანგეთის მეფე 1771-1793 წწ. ბრალად დასდეს ერის ღალატი და სიკვდილით დასაჯეს.

** კიპსეკი – წიგნი-ალბომი, რომლის საჩუქრად მირთმევაც მოდაში იყო რომანტიზმის ეპოქაში.

**ხელშუბი** – გამოყენება თუ იცით, ერთ კარგ თოფს სჯობია.

**იანსენიზმი** – არავინ იცის რა არის, მაგრამ მასზე ლაპარაკი კარგ ტონად ითვლება.

**სათამაშოები** – ყოველთვის შემეცნებით-სამაცნიერო ხასიათისა უნდა იყოს.

**დღე** – არსებობს მამაკაცთა დღე, ნვერის დღე, მედიცინის დღე და ა.შ. არსებობს აგრეთვე ქალთა დღეები, რომლებსაც ქალები თვის გარკვეულ დღეებში კრიტიკულს უწოდებენ.

**თამაში** – აღშფოთდით ამ საბედისწერო გატაცებაზე ლაპარაკისას.

**გაზეთები** – გაზეთების გარეშე ვერ ძლებთ, მაგრამ მაინც უნდა ლანძღოთ. მათი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში შეუფასებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფიგარო". სერიოზული გამოცემებია: „ორი სამყაროს ჟურნალი", „ეკონომისტი", „დებატები". მისაღებ ოთახში მაგიდაზე ყოველთვის უნდა გეყაროთ ამ გაზეთების ერთი-ორი ნომერი. მაგრამ სანამ დაყრიდეთ, ფურცლების გაჭრა არ დაგავიწყდეთ. რამდენიმე აბზაცის წითელი ფანქრით აღნიშვნაც კარგ ეფექტს იძლევა. დილაობით წაიკითხეთ ერთი სტატია ამ სერიოზული გაზეთებიდან და საღამოს, საზოგადოებაში იმდენი უნდა მოახერხოთ, რომ საუბარი დილით შესწავლილ თემაზე ჩამოაგდოთ და თქვენი ცოდნით თავი გამოიჩინოთ.

**ჯონ ბული** – როდესაც არ იციან ინგლისელის სახელი, მას ჯონ ბულს უწოდებენ.

**ინოვაცია** – ყოველთვის სახიფათოა.

**შეყვანა** – უხამსი სიტყვაა.

**სიზანტე** – ახასიათებს ცხელ ქვეყნებს.

**იტალია** – ქორწინების შემდეგ სასწრაფოდ უნდა მოინახულოთ; თუმცა იმედგაცრუება გელით, რადგან არც ისეთი ლამაზია, როგორც ამბობენ.

**თრობა** – წინ უძღვის სიტყვა „შლეგური".

**იტალიელები** – ყველანი მუსიკოსები და მოღალატეები არიან.

**ინკოგნიტო** – უფლისწულების სამოგზაურო კოსტუმი.

**პოეტური შთაგონება** – მისი გამომწვევი მიზეზებია: ზღვის ხედი, სიყვარული, ქალი და სხვ.

**დაპყრობა** – იწვევს ცრემლებს.

**განათლება** – ისე დაიჭირეთ თავი, თითქოს დიდი განათლება გაქვთ მიღებული. უბრალო ადამიანებს სულაც არ სჭირდებათ იგი თავის სარჩენად.

**ინტრიგა** – ყველაფერზე წაგიყვანს.

**უმანკოება** – დამახასიათებელი ნიშანია თავდაჭერილობა.

**ხანძარი** – საინტერესო სანახაობა.

**იდეოლოგები** – ყველა ჟურნალისტი იდეოლოგია.

**იმპორტი** – კომერციის მღრღნელი ჭია.

**ილიადა** – მერე ყოველთვის „ოდისეა" მოჰყვება.

**სულელები** – ადამიანები, რომლებიც თქვენსავით არ ფიქრობენ.

**ამორალურობა** – სათანადოდ წარმოთქმული ეს სიტყვა ალამაღლებს მის მთქმელს.

**ხატება** – ყოველთვის მრავლადაა პოეზიაში.

**იმპრესარიო** – სახელოვნებო სიტყვა, რაც ნიშნავს „დირექტორს". ნინ უძლვის სიტყვა „მარჯვე".

**დაბეჭდილი** – ყველაფერი დაბეჭდილი უნდა დაიჯეროთ. წარმოგიდგენიათ რა არის თქვენს გვარს რომ დაბეჭდილს იხილავთ?! არიან ისეთებიც, რომლებიც ამის გამო დანაშაულსაც კი სჩადიან.

**იმპერიალისტები** – პატიოსანი, ზრდილობიანი, მშვიდობიანი და გამორჩეული ხალხია.

**გაურკვეველი ნაწერი** – ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი ზუსტად ასეთი უნდა იყოს. ყოველი ხელმოწერაც, რა თქმა უნდა, გაურკვეველი უნდა იყოს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იმდენი კორესპონდენცია მოგდით, აღარ იცით სად წაიღოთ.

**იმპერატრიცები** – ყველა ლამაზია.

**კერპთაყვანისმცემლები** – კანიბალები არიან.

**იდეალი** – უსარგებლო რამაა.

**შეურაცხყოფა** – სისხლით უნდა მოიბანოს.

**დატბორილი მიწები** – მიზეზი ყოველთვის ლუარაა.

**ინკვიზიცია** – არც იმდენი დაუშავებია, რამდენსაც აბრალებენ.

**დასაფლავება** – ხშირად ნაჩქარევია. მოყევით ცხედრების ისტორიები, რომლებიც შიმშილის მოსაკლავად ხელებს იჭამდნენ

**სლოკინი** – რომ გადაგიაროთ, ან გასაღები უნდა ჩაგარტყან ზურგში, ან უნდა შეგაშინონ.

**ჰომეროსი** – არასოდეს არსებობდა. ცნობილია დამახასიათებელი სიცილით.

**ნარნერა** – ყოველთვის ლურსმულია.

**ჰიპოკრატე** – მისი ციტირება ყოველთვის ლათინურად უნდა მოახდინოთ, რადგან ბერძნულად წერდა. გამონაკლისია ერთი ფრაზა: „ჰიპოკრატე ამბობს „დიახ", მაგრამ გალიენი* ამბობს „არა".

**ებრაული** – რაც გაუგებარია, ყველაფერი ებრაულია.

**თიაქარი** – ყველას აქვს, მაგრამ არ იციან.

**ანრი III, ანრი IV** – ამ მეფეების ხსენებისას არ დაგავიწყდეთ შემდეგი სიტყვების თქმა: „ყველა ანრი უბედური იყო"

**მერცხლები** – მოიხსენიეთ მხოლოდ როგორც გაზაფხულის მახარობლები. რადგან არავინ იცის, საიდან დაბრუნდნენ, თქვით, რომ ისინი შორეული ნაპირებიდან მობრძანდნენ.

**ჰამაკი** – განკუთვნილია კრეოლებისთვის. ესაჭიროება ბალიში. თავი დააჯერეთ, რომ მასში უკეთესად გრძნობთ თავს, ვიდრე საკუთარ საწოლში.

**ჰერმაფროდიტი** – იწვევს არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას. მაინც უნდა შეეცადოთ ნახოთ როგორია.

**ქაშაყი** – ჰოლანდიის ავლადიდება.

**იორლა ცხენი** – შუა საუკუნეების თეთრი ცხოველი, რომლის ჯიშიც აღარ არსებობს.

**ზამთარი** – ყოველი ზამთარი განსაკუთრებით ცივია. ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე წელიწადის სხვა დროები.

**ბედნიერი** – ბედნიერი ადამიანის შესახებ თუ ლაპარაკობთ, უნდა თქვათ: „ქუდბედიანი დაიბადა". გამოთქმის მნიშვნელობა თუ არ იცით, არა უშავს: დარწმუნებული იყავით, რომ არც თანამოსაუბრეს ეცოდინება.

**ჰარამხანა** – დედლებს შორის მოსიარულე მამალი შეადარეთ ჰარამხანაში მოსეირნე სულთანს. კოლეჯის მოსწავლეთა ოცნება.

**არფა** – გამოსცემს ზეციურ კეთილხმოვანებას. გრავიურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მასზე დაკვრა მხოლოდ ნანგრევებზე ან ჩანჩქერის პირას შეიძლება. კარგად წარმოაჩენს მკლავს და ხელს.

**დაკრძალვა** – გარდაცვლილზე თქვით: „წარმოგიდგენიათ, სულ რაღაც ერთი კვირის წინ ერთად ვისადილეთ!" თუ გენერალზეა ლაპარაკი, დაკრძალვაა, თუ სწავლულზე – დასაფლავება.

**ანტრაქტი** – ყოველთვის ძალიან გრძელია.

**გალოფობი*** – ეს გამოთქმა გამოიყენეთ გერმანელ ჟურნალისტებზე ლაპარაკისას.

**დახვრეტა** – ერთადერთი საშუალება პარიზელების გასაჩუმებლად.

**იმპერია** – „იმპერია, ეს არის მშვიდობა!" (ნაპოლეონ III)

**ერა** (რევოლუციების) – სულ იწყება, რადგან ყოველი ახალი მმართველი მის დასრულებას გვპირდება.

**უცხოური** – მოიწონეთ ყველაფერი უცხოური. ეს თქვენი ლიბერალური აზროვნების მაჩვენებელი იქნება. ყოველივე არაფრანგულის ძაგება პატრიოტიზმის ნიშანია.

**დეიციდი**** – სასტიკად დაგმეთ, მაგრამ თავსაც ნუ მოიკლავთ: ეს დანაშაული არცთუ ისე ხშირია.

**ეგოიზმი** – სხვათა ეგოიზმზე იწუწუნეთ, საკუთარს კი ვითომ ვერ ამჩნევთ.

**გამონაკლისი** – თქვით, რომ განამტკიცებს წესს, მაგრამ როგორ განამტკიცებს, ამის ახსნას მაინც ნუ გარისკავთ.

**სხვენი** – რა კარგი გამოსაყენებელია 20 წლის ასაკში!

**გენია** – არაფერია ალსაფრთოვანებელი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნევროზია.

**ჯენტლმენი** – აღარ არსებობს.

**ბავშვები** – იყავით მათ მიმართ ნაზი და ალერსიანი, თუ საზოგადოებაში ხართ.

**ჭადრაკი** – სამხედრო ტაქტიკის თვალსაჩინოება. ყველა ცნობილი კაპიტანი დიდი მოჭადრაკეც იყო. თამაშისთვის ძალზედ სერიოზულია, მეცნიერებამდე კი ბევრი უკლია.

ფრანგულიდან თარგმნა
**თინა ლარიბაშვილმა**

---

* გალიენი – დიდი მეცნიერი; ცხოვრობდა ჰიპოკრატეს ეპოქაში. მათი აზრები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ორი მეცნიერული ხედვის დაპირისპირების გამოსახატავად დამკვიდრდა გამოთქმა: „ჰიპოკრატე ამბობს „დიახ", მაგრამ გალიენი ამბობს „არა".

* გალოფობი – ყოველივე ფრანგულის მოძულე.

** დეიციდი – ღმერთის მკვლელობა, იესო ქრისტეს ჯვარცმა.

რიტა ბაინდურაშვილი

# მისი და ჩვენი... მიხეილ თუმანიშვილი

დრო იყო ასეთი – უსახური და ერთფეროვანი.

თავისუფლება კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებში მოქცეულიყო, ხოლო სიმართლე ქვეტექსტებსა და სიმბოლოებში იკითხებოდა. ჯერ კიდევ გვახსოვს სტრიქონებს შორის გაპარებული მართალი სიტყვის გემო – მრავალწერტილებითა და პაუზებით...

მაგრამ იმ დროშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ პირნათელნი ყოფილიყვნენ ღვთისა და ერის წინაშე.



მიხეილ თუმანიშვილი ერთი მათგანი გახლდათ.

როდესაც გიორგი ტოვსტონოგოვის სკოლაგამოვლილი ახალგაზრდა რეჟისორი რუსთაველის თეატრში მივიდა, თეატრი უკვე შემოქმედებითი კრიზისის წინაშე იდგა, თუმცა კვლავაც წარმატებით იდგმებოდა „ოტელო", „დიდი ხელმწიფე"... პარტიული იდეოლოგები ხელოვანთაგან საბჭოური იდეალების პროპაგანდასა და დამკვიდრებას მოითხოვდნენ, თეატრს კი ზემოქმედების განსაკუთრებული ძალა აქვს. სხვა რეჟისორების მსგავსად, ამ უსიამოვნო რეალობის წინაშე მიხეილ თუმანიშვილიც დადგა, მაგრამ თავს მოხვეული იდეოლოგია და თემები რევოლუციაზე, ბელადებზე, ჩაგრული ხალხების ბრძოლაზე, რა თქმა უნდა, საკმარის და საჭირო სულიერ განცდებსა და შთაგონებებს ვერ აღძრავდა მასში. ამიტომაც იყო, რომ მისი პირველი სპექტაკლები რუსთაველის სცენაზე – „მარადმწვანე ქედები", „დაუვიწყარი 1919"– ჩავარდა. როგორც მაშინ წერდნენ: „მაყურებლამდე მიტანილი იყო აზრი, მაგრამ ეს აზრი არ აღელვებდა მას, არ აღვიძებდა სურვილს – ემოქმედა, ჩაბმულიყო ცხოვრების სინამდვილეში"...

მაგრამ თუმანიშვილი ნიჭიერი იყო და თანაც ახალგაზრდა. ამიტომაც ეყო გამბედაობა და ყოველგვარი პარტიული იდეოლოგიისაგან დამოუკიდებელი გზა აირჩია, თავისი გზა – ჭეშმარიტად შემოქმედებითი და სულისმიერი... მის გვერდით ამ დროს საუკეთესო მსახიობთა მთელი კრებული იყო – ეროსი მანჯგალაძე, მედეა ჩახავა, კოტე მახარაძე, გიორგი გეგეჭკორი, გურამ სალარაძე... რომელთაც სჭირდებოდათ ლიდერი – რეჟისორი, „თავდაჯერებული წინამძღოლი და ამ ლიდერად გადაიქცა მიხეილ თუმანიშვილი"...

• • •

როდესაც მანანა ტურიაშვილის „მიხეილ თუმანიშვილის ძიებები კინომსახიობთა თეატრში" წასაკითხად გადმოვიღე, დარწმუნებული ვიყავი, რომ წიგნი გარკვეული მკითხველისათვის, თეატრალებისათვის იყო განკუთვნილი, თუმცა არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვისაც, რიგითი მკითხველისა და მაყურებლისათვის.

სტრიქონებს შორის იმდენი სითბო და სიყვარულია ჩაღვრილი, თანაც ყოველგვარი ხოტბისა და ქება-დიდების გარეშე...

ამ სითბოთი და სიყვარულით გამოირჩევა წიგნი, სიყვარულით – ჭეშმარიტად დიდი ხელოვანისადმი.

„მიხეილ თუმანიშვილი იდუმალებით მოცული პიროვნება იყო. ეს ნიჭი მას განგებისგან ებოძა. იდუმალებაა, როცა ატარებ იმ ნიღაბს, რომელიც მხოლოდ შენთვისაა ნაცნობი, დანარჩენებისათვის კი შენ უამრავი ხარ, ისეთი, როგორიც მათ წარმოუდგენიხარ. დასის ყველა წევრისთვის თუმანიშვილი იყო მხოლოდ „მისი".

ალბათ, ძნელია ასეთ ადამიანზე წერა, ან იქნებ ძნელიც და ადვილიც... ადვილი იმიტომ, რომ როგორც ყველას, შენც „შენი" თუმანიშვილი გყავს, რომელზეც დაუსრულებლად შეგიძლია ლაპარაკი, – შენეული ხედვით, განცდებითა და ემოციებით... მაგრამ ძნელი იმიტომ, რომ მასზე წერ, საზოგადოდ წერ, ყველასათვის. ამიტომ მხოლოდ „შენი" თუმანიშვილი საკმარისი არ არის, იგი ყველამ უნდა დაინახოს, შეიცნოს სწორედ ისეთი მრავალმხრივი და თავისებური, როგორიც სინამდვილეში იყო.

გარეშე თვალისათვის „მუდამ მოწესრიგებული, ინტელიგენტი რეჟისორი... თავის აზრს და შეხედულებებს არავის ანდობდა ცარიელი სცენისა და ცარიელი ფურცლის გარდა. ცარიელ სცენაზე ცხოვრებისეულ მოდელებს თხზავდა, ცარიელ ფურცელზე კი – თავისი გამუდმებული აზროვნების შედეგებს". ეს აზროვნება თეატრით იწყებოდა და მთავრდებოდა თეატრით. თეატრი მისთვის თანამოაზრეთა გუნდი იყო, სადაც ლიდერი რეჟისორი და მსახიობები ერთად ქმნიდნენ, ბადებდნენ და ხვეწდნენ ამა თუ იმ სცენიურ სახესა და ეპიზოდს. მისი რეპეტიციები, ვარჯიშები, ნიმუში იყო სწორედ ამგვარი ერთობლივი მუშაობისა, როცა რეჟისორის მიერ შეთავაზებულს მსახიობი თავად უმატებდა, ავსებდა, თავისებურად სრულყოფდა და საბოლოოდ იმ სახეს აძლევდა, რომელიც შემდეგ დაუვიწყარი ხდებოდა მაყურებლისათვის.

„მე ავტორი ვარ ჩემი შეთხზული სპექტაკლების, თქვენ კი, მსახიობები თქვენი შეთხზული როლების ავტორები უნდა იყოთ. თუ ამ პრინციპს არ დავიცავთ, სპექტაკლი არ გამოგვივა" – ეუბნებოდა თავის შეგირდებს და ასე იქმნებოდა „ესმერალდა", „საქმე", „დონ ჟუანი", „ბაკულას ღორები", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ზაფხულის ღამის სიზმარი" და სხვა; ასე იხვეწებოდნენ გენიალური მასწავლებლის არაჩვეულებრივი დასის წევრები და შეუდარებელ პროფესიონალებად ყალიბდებოდნენ.

თვითონაც ბევრს სწავლობდა მათგან. საერთოდაც, მთელი მისი შემოქმედება ძიება იყო, თავის თავისა თუ ახლის ძიება. ამიტომ წამოვიდა რუსთაველის თეატრიდან, ამიტომ შექმნა ახალი, საკუთარი, ექსპერიმენტული თეატრი, რომელიც ახალი გმირების, სახეებისა და სახელების სამჭედლო უნდა გამხდარიყო. აქ, კინომსახიობთა თეატრში, უნდა განხორციელებულიყო მისი მთავარი შემოქმედებითი პრინციპები, მეთოდები... „მივედი სახლში, ჩემს კარებს მივადექი, გასაღები ამოვიღე და უცებ ვიფიქრე, რომ ჯერ კიდევ გუშინ მეჩვენებოდა – ჯიბეში მიდევს-მეთქი გასაღები, რომელსაც მრავალი წელი ვეძებდი, გასაღები ახალი სარეპეტიციო მეთოდიკისა. მე მაშინ უცებ მო-

მეჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს გავიგე თუ როგორ უნდა მუშაობა და ბედნიერი ვიყავი ამის შეგრძნებით. რა გულუბრყვილობაა, გასაღები ჯიბეში მედო, მაგრამ უკვე არა მქონდა კარი, რომელსაც მისით გავაღებდი... და მე გადავწყვიტე ჩემს ბავშვებთან ერთად ამეშენებინა თეატრი, რომ არსებულიყო კარი, რომელსაც ჩემი გასაღები მოერგებოდა და ჩვენ გადავწყვიტეთ თეატრის „თამაში". ეს იყო მე-11 აუდიტორიის თეატრი" – წერდა რეჟისორი თავის დღიურებში და მართლაც „ააშენა" თეატრი, სადაც იგი კვლავაც ლიდერი იყო და სტუდენტებს თავისი თეატრალური ესთეტიკით ზრდიდა. მისი თეატრი ტაძარს დაემსგავსა – რიტუალებით, ალსარებით. ზიარებითა და თაფლის სანთლებით, სადაც ზნეობასა და ჰუმანიზმს ქადაგებდნენ. ამ ტაძარს შემომატებულები ფიცსა სდებდნენ, რომ დაიცავდნენ თეატრის მორალურ-ეთიკურ ნორმებს, მისი ცხოვრების შინაგანაწესს, ლიდერის მიერ დაკანონებულსა და ყველა წევრისგან აღიარებულს. თუმანიშვილს სწამდა, რომ სანამ ეს წესები იქნებოდა დაცული, მანამდე მათ ერთობასა და თანამოაზრეობას ვერაფერი დაარღვევდა.

წიგნში მოტანილია ფრაგმენტები თეატრის დღიურებიდან, რომელსაც დასის წევრები მორიგეობით ავსებდნენ, ჩანაწერები თეატრალური რიტუალების, ფიცის დადებისა თუ რიგითი რეპეტიციების, ვარჯიშების შესახებ, საიდანაც ნათლად და საინტერესოდ იკითხება მასწავლებლისა და მისი შეგირდების სულიერი თანაზიარობა.

ეს თანაზიარობა გაგრძელდა ბოლომდე, მის გარდაცვალებამდე და სანიმუშო იყო ყველასათვის, სანიმუშოა დღესაც...

„ცხოვრებაში მან მზე აირჩია, სითბო და სიმშვიდე... თავისი შემოქმედებით ის ადამიანებს ეუბნებოდა: – აიხედე და დაინახე მზე... და დაემორჩილე ერთადერთ კანონს – ზნეობას!" – წერს ავტორი.

ეს მზე ანათებს დღესაც... ისევე მხურვალედ და კაშკაშით, როგორც მაშინ, იმ უსახურ და ერთფეროვან დროში...

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

# „კრიტიკა" კრიტიკის ზღვარზე

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ჟურნალ **„კრიტიკის"** მეორე ნომრის განხილვა გაიმართა.

ინსტიტუტის დირექტორის, ქალბატონ **ირმა რატიანის** თქმით ეს ნომერი სრულიად განახლებულია ვიზუალურადაც და შინაარსობრივადაც. შეცვლილია მისი მიმართულება და ახალ რუბრიკებსაც სთავაზობს მკითხველს.

განხილვაზე ჟურნალის რედაქტორმა **მანანა კვაჭანტირაძემ** ვრცლად ისაუბრა ამ ახალი ნომრის შესახებ და აღნიშნა, რომ „კრიტიკა" ცდილობს შეავსოს ის თავისუფალი ნიშა, რომელიც 1995 წლის შემდეგ ცარიელი დარჩა ამავე დასახელების ალმანახის დახურვის გამო.

განახლებული „კრიტიკა" შემოისაზღვრა დროის არეალით და მკითხველს გააცნობს 90-იანი წლების შემდგომ პროცესებს ლიტერატურულ სივრცეში.

– მეორე ნომერში, – თქვა მან, – დავამატეთ (და ეს პრინციპული სიახლე მგონია) ჩვენი კულტურული სივრცის კიდევ ერთი სფერო – სახელოვნებო სეგმენტი, რომელიც ორი სტატიით არის წარმოდგენილი – კინოს შესახებ წერს ლელა ოჩიაური, თანამედროვე არქიტექტურას კი ქეთი ჯიშიაშვილი მიმოიხილავს.

ალბათ შენიშნავდით, რომ ამ ნომერში შედარებით ნაკლებია ესეი და მეტია სამეცნიერო ტიპის წერილები. ესეც მიზნობრივად გაკეთდა, რადგან ჟურნალი ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით გამოდის, რაც მას უნდა ეტყობოდეს.

ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, რომ ჟურნალის მთავარი პრინციპი მხოლოდ ნამდვილი ლიტერატურის სამსახურია და „კრიტიკა" შეეცდება ფეხდაფეხ მიჰყვეს თანამედროვე მწერლობაში მიმდინარე პროცესებს.

ჟურნალის განხილვას საინტერესო დისკუსიაც მოჰყვა. გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ გამოსვლებიდან:

**თამაზ ვასაძე:**

– „ალმანახი „კრიტიკა" თავისუფალი აზრის შემცველი გამოცემა იყო და თავის დროზე ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ცოცხალი ლიტერატურული პროცესი სერიოზული რეფლექსიის საგანი ყოფილიყო.

დღესდღეობით კი, კიდევ უფრო მეტად საჭიროა ასეთი ჟურნალის არსებობა, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა საუკეთესო პერიოდი ლიტერატურისათვის ნამდვილად არ არის. ამიტომაც „კრიტიკის" გამოცემა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მგონია. ლიტერატურული პროცესების ანალიზისათვის „კრიტიკა" უნდა იყოს კრიტიკული. ამის ცდები ჟურნალის მეორე ნომერში ნამდვილად არის. ის გვთავაზობს სტატიებს, რომელშიც კონცეპტუალური პრობლემებია წამოჭრილი. პირველ რიგში გამოვყოფდი **ივანე ამირხანაშვილის** სტატიას, რომელიც, ჩემი აზრით, ძალზე მართალი, პირდაპირი და კვალიფიციურია, თანაც ისე ეფექტურად არის დაწერილი, რომ ბევრი ფრაზა თავისთავად გამახსოვრდება. მაგალითად: „ქართული პოეზია ჰგავს ადრე მოკაშკაშე ნათურის გადამწვარ ვოლფრამს"; ან: „ის არის მშვენივრად აწყობილი კარგი აპარატი, რომელიც არ მუშაობს, უბრალოდ გამორთულია".

კონცეპტუალური შინარსისაა **ნუგზარ მუზაშვილის** წერილი, რომელშიც საუბარია კრიტიკის არსებობის შესაძლებლობებზე ზოგადად და საქართველოში. გამოკვეთილია ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი.

ძალზე საინტერესოა **ემზარ კვიტაშვილის** სტატია დავით წერედიანის შესახებ. ეს არის კვალიფიციური, ემოციური, ლიტერატურული გრძნობებით განმსჭვალული, სადად და გამჭვირვალედ დაწერილი წერილი.

გამოვარჩევდი, აგრეთვე **ინგა მილორავას** სტატიას, რომელშიც წამოჭრილია კრიტიკის პრობლემები – არსებობენ თუ არა ხელშეუხებელი მწერლები და შეუძლია თუ არა კრიტიკოსს ყველაზე გამოთქვას საკუთარი აზრი.

საინტერესოა **ლელა ოჩიაურის** და **ქეთი ჯიშიაშვილის** სტატიებიც.

ერთ-ერთი თემა, რომელიც თავს იჩენს ამ ჟურნალის ფურცლებზე, პოსტმოდერნიზმია. ძალიან მომეწონა **ლალი ავალიანის** პუბლიკაცია, რომელშიც პოსტმოდერნიზმთან მიმართება ოპტიმალურია.

უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკა არის შეფასება – ფასეულობების პოვნა, გამოკვეთა და წინა პლანზე წამოწევა. ეს ყველაფერი კარგად არის მოცემული ამ სტატიებში".



**ლევან ბრეგაძე:**

„– შემეცნებითად ძალზე კარგი ნომერია. ბევრი რამ ვისწავლე კიდეც. მაგალითად, **მანანა კვატაიას** სტატიიდან პირველად გავიგე, რომ არსებობდა უცხოელი ავტორის წიგნი რობაქიძეზე. ეს მასალა კარგად და საინტერესოდ არის მოწვდილი.

ახლა ისეთი ვითარებაა, ძალზე პოპულარული ხდება ჟანრი „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ". ეს დრომ მოიტანა – მკითხველის ინტერესი ასეთი ლიტერატურის მიმართ უფრო დიდია, ვიდრე პოეზიის და პროზის მიმართ, რადგან მოთხოვნა ლექსზე ან რომანზე, საერთოდ, ახალ ტექსტებზე კი არა, მათ მიწოდებაზეა. ამიტომ, ჩემი დაკვირვებით, განსაკუთრებულად გაიზარდა ინტერესი ორი ისეთი ჟანრის მიმართ, მანამდე მარგინალურად რომ ითვლებოდა – განაპირა პოზიციებიდან წინა პლანზე გადმოინაცვლა ლიტერატურამ ლიტერატურის შესახებ და თარგმანმა.

ჩემი აზრით, 60-იანი წლებიდან ქართული სალიტერატურო კრიტიკა არათუ ჩამოუვარდებოდა პოეზიას ან პროზას, არამედ ხშირად უსწრებდა კიდეც მას, რაც მწერლების გაღიზიანებას იწვევდა. აკაკი ბაქრაძეს, რეზო თვარაძეს, გურამ ასათიანს და სხვებს თავის დროზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებრივ აზრზე, ვიდრე მწერლებს.

რაც შეეხება დღევანდელობას, კრიტიკამ ეს ტრადიციები უნდა გააგრძელოს. ერთია, რომ დღეს კრიტიკოსმა ფრაზის კონსტრუირება ისწავლა. მაგალითად: საკუთარი ფრაზა აქვს **თამაზ ვასაძეს, როსტომ ჩხეიძეს, ნუგზარ მუზაშვილს... ვანო ამირხანაშვილი** პირდაპირ ოსტატია პარადოქსული ფრაზებისა.

მეორე, რაც შეინიშნება, არის ის, რომ ინტრიგა შევიდა კრიტიკულ წერილში. თუმცა ამ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიებში ინტრიგა ნაკლებია. მოკრძალება და მორიდება შეინიშნება, შენიშვნა ძალზე ცოტაა. აი, მაგალითად, როცა **ინგა მილორავა** წერს ლაშა ბულაძის შესახებ, მას კრიტიკული შენიშვნებისთვის სერიოზული საბაბი აქვს, მაგრამ ამას ძალზე მორიდებულად აკეთებს. ასე არ შეიძლება. მერწმუნეთ, შესაძლოა მწერალმა არ დაგიჯეროთ, მაგრამ პატივს გცემთ რომ ურჩიეთ. ოღონდ ეს ყველაფერი არგუმენტირებულად და პრინციპულად უნდა უთხრათ მას.

ან როცა **მირანდა ტყეშელაშვილი** წერს ბესიკ ხარანაულის შესახებ, არ შეიძლება გვერდი აუარო მის ახალ რომანს, რომელიც ბილწსიტყვაობით არის სავსე.

საერთოდ, კრიტიკა ის დარგია, რომელშიც სხვა სფეროებისგან განსხვავებით, აშკარად ჩანს ხოლმე განათლების დეფიციტიც. **დავით ჩიხლაძის** სტატიაში დასაწყისშივე გაიჟღერებს ფრაზა: „სტრუქტურალიზმი პოეზიაში", რაც პირადად მე ნამდვილად არ ვიცი, რას ნიშნავს.

**ლალი ავალიანი** აკა მორჩილაძის ნაწარმოებს მიმოიხილავს და მსჯელობს პოსტმოდერნიზმის შესახებ. მოდით, შევთანხმდეთ, რომ განსაზღვრება – თითქოს პოსტმოდერნიზმს ახასიათებს ირონიულ-ნიჰილისტური დამცინავი ირონია – იყო შეცდომა.

ერთი ამერიკელი ავტორი (გვარს ვერ ვიხსენებ) წერს: პოსტმოდერნიზმის ირონია არავის მიმართ დაცინვას არ ისახავს მიზნადო. ეს არის მაკორექტირებელი ირონია ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის მიმართ.

რაც შეეხება მწერლობაში მოძალებულ ბილწსიტყვაობას, ასეთი თხზულებები ყოველთვის იყო, მაგრამ ისინი, როგორც წესი, მარგინალურ ტექსტებად რჩებოდა".

**ნონა კუპრეიშვილი:**

– „ახლა მახსენდება ძალზე კარგი დიალოგი **ჯემალ ქარჩხაძესა** და **როსტომ ჩხეიძეს** შორის, თავის დროზე „ცისკარში" რომ დაიბეჭდა. ბატონი როსტომი ეკითხება მას:

– ამ აღრეული კრიტერიუმების დროს რა უნდა გააკეთოს კრიტიკამო?

ჯემალ ქარჩხაძის პასუხი კი მარტივი, სადა და პროფესიონალურია:

– კრიტიკამ ისევე უნდა აღადგინოს მწერლობა, როგორც დანგრეული ქალაქი.

ყველა საკითხზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ **ნუგზარ მუზაშვილის** წერილს ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებ. იცით, თავის დროზე ჩვენთანაც რომ გამართულიყო ისეთი განხილვები, რუს ლიტერატურათმცოდნეებს რომ ჰქონდათ დეკონსტრუქტივიზმის გარშემო, იქნებ თქვენ დღეს არც დაგჭირებოდათ პოსტმოდერნიზმის ირონიის ხასიათსა და არსზე საუბარი, ბატონო ლევან. არადა, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს – სწორად დამკვიდრდეს ჩვენს სივრცეში ესა თუ ის მოვლენა. სწორედ ეს იგრძნობა **ნუგზარ მუზაშვილის** ნააზრევში და მის წერილებში, აქ, მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, არასოდეს არის სრული უსასოობა, რადგან ის ფასეულობებზე ორიენტირებული კრიტიკოსია.

როცა 70-იანი წლების კრიტიკას ვეცნობოდი, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო თუ როგორ გადადიოდა კრიტიკა ნაციონალურ ნარატივში. ამიტომ დღეს საუბარი იმაზე, რომ ეს ყველაფერი სერვილიზმზე ორიენტირებული ფსევდოკრიტიკა იყო, ნაჩქარევი დასკვნები მგონია.

ბატონი **ლევან ბრეგაძის** აზრის გავრცობას ვცდილობ – კრიტიკოსის ფრაზა ძალზე მნიშვნელოვანიაო, – რომ ამბობს. იმ ადამიანებმა მართლაც ყველაფერი გააკეთეს იმი-

სათვის, რომ აქამდე მოვსულიყავით, შემთხვევითი არ არის, რომ აკაკი ბაქრაძე ფიქრობდა დაეწერა თავისი ცნობილი ნაშრომის მეორე ნაწილი, რომლისთვისაც „გადარჩენა" უნდა დაერქმია.

მაშინ მართლაც ბრძოლა იყო გადარჩენისათვის... და ამაში კრიტიკამ თავისი როლი შეასრულა".

**რევაზ სირაძე:**

„– ერთ რამეს მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება: დღეს კრიტიკაში დომინირებს ესეი. ახლა ძიებების და გარდატეხების დროა, რომელიც საჭიროებს დიალოგს, განსჯას, აზრების შეჯერებას. ესეი თავისი მელანქოლიზმით, ფარდობითობით ძალზე ალბათობრივია – ლიტერატურულ ფაქტებს არ აქვს მნიშვნელობა. კრიტიკა კი თავისი არსით არის შეფასება.

რასაკვირველია, სურვილი სურვილად რჩება, რომ შენიშვნები იყოს და კრიტიკა გახდეს კრიტიკული, მაგრამ თავისთავად პოზიტიურის დაჩემებაც ხომ უკვე შენიშვნებია რაღაცის მიმართ.

ცხადია, მე არ ვამართლებ ვინმეს, მაგრამ ამ ისედაც დაძაბულ ვითარებაში ზედმეტი არ გამოვიდეს ამდენი შენიშვნები. მე მომხრე ვარ იყოს „სიხარული სიკეთით", ოღონდ ამ ძარღვს ჩავლება, უნარი სჭირდება, აი ისე – უმშვენიერესი ფრაზა რომ გვაქვს ძველ ქართულში: „სულითა მხოლოდ საცნაურ არს".

**მანანა კვაჭანტირაძე:**

„– ერთი რამ მინდა შევნიშნო ბატონი ლევან ბრეგაძის მოსაზრების შესახებ (ბატონი რეზოც გამოეხმაურა მას ნაწილობრივ): საქმე ის არის, რომ ავტორები ძალიან მგრძნობიარენი არიან კრიტიკის მიმართ. ისინი ისედაც სტრიქონებს შუა კითხულობენ და ამიტომ მგონია, რომ არ არის საჭირო პირდაპირ და უხეშად ვუთხრათ მათ ჩვენი სათქმელი".

**ლევან ბრეგაძე:**

„– გააჩნია რა პრეტენზიები აქვს მწერალს. დათო ბარბაქაძის საიტი რომ ნახოთ, იქ ისეთი ამბავი ხდება, გეგონება რუსთაველი იყოს".

**მანანა კვაჭანტირაძე:**

„– გეთანხმებით, ბატონო ლევან, კონკრეტულ შემთხვევებში უნდა ჩაუკეტო კიდევაც ავტორს გზა მწერლობისკენ".

**ლევან ბრეგაძე:**

„– საშინელებაა, მაგალითად, ის, რომ თუ მანამდე ბესიკ ხარანაულთან ბილწსიტყვაობა არ შეინიშნებოდა, ახლა თვითონაც აჰყვა ამ დინებას და მისი ახალი რომანი თავიდან ბოლომდე ჩეჩმის სუნით არის გაჟღენთილი".

**მანანა კვაჭანტირაძე:**

„– ვერ დაგეთანხმებით, თავიდან ბოლომდე არა! ჩემი აზრით, ამ რომანზე ასეთი ტონით საუბარი არ შეიძლება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კრიტიკული წერილის ავტორი ახალგაზრდაა და სერიოზულ თემას შეეჭიდა".

**ინგა მილორავა:**

„– როგორ იტყვის სათქმელს კრიტიკოსი, ეს მისი უფლებაა, მისი დამოკიდებულებაა. არა მგონია ყველაფრის პირში მიხლა იყოს საჭირო. ნუ გადავაქცევთ კრიტიკას ბოროტებად და საშიშროებად".

**ლევან ბრეგაძე:**

„– ბოროტება არ ჰქვია ამას. გამოდის, რომ ბელინსკიც ბოროტი ყოფილა, ილიაც, ედგარ პოც..."

**მანანა კვაჭანტირაძე:**

„– თქვენ დიდი სახელები ჩამოთვალეთ, ბატონო ლევან. ისინი ბოროტებასაც იტანენ და სიკეთესაც".

**ინგა მილორავა:**

„– იმათ ისეთი პოზიცია ჰქონდათ, ისეთი სტილი... მრავალფეროვნებაა საჭირო და ყველამ ისე უნდა წეროს, როგორც სურს. კრიტიკოსს ნება უნდა ჰქონდეს"...

**ლევან ბრეგაძე:**

„– ნება არა, ყნოსვაზეა ლაპარაკი..."

**მანანა კვაჭანტირაძე:**

„– დაე, ყველამ ისე წეროს, როგორც სურს, ბოლოსდაბოლოს ლიტერატურა გათავისუფლდა ჩარჩოებიდან და თქვენ კრიტიკას უწესებთ ჩარჩოებს?"

**ლევან ბრეგაძე:**

„– თქვენ ვერ გამიგეთ. მე იმას ვამბობ, რომ ასეთი სახის კრიტიკა ჩაჭედილია ჩარჩოებში. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. კრიტიკა არის ნანარმოები ნაწარმოებზე, რომელშიც საჭიროა ინტრიგა. როცა სათქმელის პირდაპირ თქმაზე ვსაუბრობ, უხეშობას და პირში მიხლას კი არა, პრინციპულობას ვგულისხმობ".

**ნანა მრევლიშვილი:**

„– ბილწსიტყვაობის შესახებ მინდა ვთქვა:

როცა ასეთი ტენდენცია შეინიშნება, კრიტიკა მართლაც პრინციპული უნდა იყოს. ბესიკ ხარანაულთან დაკავშირებით აბსოლუტურად გეთანხმებით, ბატონო ლევან".

**მაია ნინიძე:**

„– ჩემი აზრით, ნებისმიერი მწერალი ორიენტირებულია მკითხველზე. კრიტიკოსიც მკითხველია, არ არსებობს მწერალმა კრიტიკოსის შენიშვნა სადღაც, ოდესღაც არ გაითვალისწინოს. ჩვენი დამოკიდებულება თანამედროვე მწერლებისადმი კორექტული უნდა იყოს, მაგრამ სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას. შესაძლოა ჩვენი პირადი დამოკიდებულებებიც, ანუ ესეისტიკა უფრო მეტად იყოს ამაში ჩართული, მაგრამ ალბათ როდესაც კლასიკოსთა შემოქმედებას განვიხილავთ (ეს თქვენი ჟურნალის კომპეტენციაში არ შედის), იქ კრიტიკა უფრო მეცნიერული და არგუმენტირებული უნდა იყოს. ზღვარი უნდა არსებობდეს. მთლიანად ესეისტიკაში, ზოგადად ლიტერატურული პროცესების კვლევაში ვერ გადავეშვებით, ესეც არ იქნება სწორი".

**ირმა რატიანი:**

„– ვეთანხმები თქვენს მიერ გამოთქმული აზრების დიდ ნაწილს. თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისადმი მართლაც მეტი შენიშვნა უნდა გვქონდეს. კრიტიკა უნდა იყოს საფუძვლიანი, არგუმენტირებული და პროფესიული ეთიკის ფარგლებით დაცული. სათქმელი მწერლებს ბოლომდე უნდა ვუთხრათ.

და კიდევ:

კარგი იქნება თუ ასეთი განხილვებისას მოვიწვევთ ხოლმე იმ ავტორებს, რომელთა შესახებაც გამოქვეყნდება კრიტიკული წერილები.

ამ საინტერესო დისკუსიიდან გამომდინარეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჟურნალი შედგა. მას აქვს თავისი კონცეფცია და ის მართლაც შეძლებს თავისი ნიშის დაკავებას თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კორნელია ჰაიზე-ერნსტი დაიბადა 1952 წელს ქვემო რაინზე, ქალაქ კემპენში. მიილო უმაღლესი განათლება, ისწავლა პედაგოგიკა და ისტორია. მუშაობდა მასწავლებლად. რამდენიმე წლის შემდეგ მასწავლებლობას თავი დაანება. სწორედ ამ დროს დაიწყო წერა. 1996 წელს საკუთარ გამომცემლობაში გამოაქვეყნა პირველი კრიმინალური მოთხრობა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ მიილო შემოთავაზება კიოლნის ერთ-ერთი ცნობილი, ემონსის გამომცემლობიდან, რომელმაც კრიმინალური ჟანრის მოთხრობათა ანთოლოგია გამოსცა. მასში შესულია კორნელია ჰაიზე-ერნსტის რამდენიმე მოთხრობა, მათ შორის, „შურისძიება ტკბილია". ემონსის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ასევე მისი ბოლო ორი რომანი: „დედა სხვანაირად კლავს" და „მცირეოდენი მკვლელობა".

კორნელია ჰაიზე-ერნსტი

# შურისძიება ტკბილია

„გეფიცები, მოვკლავ". სიბრაზისგან გაფითრებული სახით ჩაშტერებოდა მარა ტისენი ქურას, რომელთანაც დეიდამისი ელსბეტი იდგა და ქვაბს მდორედ ურევდა. თითქმის 80 წლის დეიდა სწრაფად ველარ მუშაობდა.

„ახ, ჩემო გოგონა", ამოიოხრა მან და მონითალო სითხე თეფშზე დაასხა.

მას ჭრელი და ტანზე ვიწროდ მომდგარი ნეილონის ხალათი ეცვა, საიდანაც მსხვილი მუხლისთავები უჩანდა. მძიმედ გაიარა პატარა სახლის სამზარეულო და პირამდე ავსებული თეფში მარას წინ დაუდგა.

„ჯერ ეს სუპი ჭამე და მერე სხვა თვალით შეხედავ ამ ქვეყანას". სანუგეშოდ თავის დისშვილს ხელი ხელზე გადაუსვა და მიეფერა.

მარამ უთქმელად გასწია თეფში. მისი სიბრაზე მთელ სხეულს მოსდებოდა.

„ეს წვნიანი მხოლოდ შენთვის მოვამზადე. გემრიელია და თანაც ყველაფერი ჩემს ბაღშია მოკრეფილი. ხომ გიყვარს სტაფილოს სუპი?"

ელისაბედ ჰოლშმიდტი, რომელსაც ყველა დეიდა ელსბეტს ეძახდა, კვნესით და მძიმედ დაეშვა სკამის ნაპირზე, რათა დასიებული ფეხები იატაკზე დგომისგან დაესვენებინა. ვინაიდან ამ სკამისთვის ძალზედ პატარა იყო, მიმოათვალიერა ოთახი, რათა ფეხების დასაწყობად პატარა ტაბურეტი ეპოვა. საერთოდ, ელსბეტი პატარა და ბურთივით ჩამრგვალებული გახლდათ, მაგრამ თავისი რბილი ხასიათის გამო უყვარდათ არამარტო ბავშვებს, არამედ უფროსებსაც. ადრე დიდი მკერდი ჰქონდა, მაგრამ რაც ასაკმა და ბუნებამ დაუტოვეს, ახლაც კი მშვენივრად შეეძლო ბავშვს თავი ჩაერგო მასში.

მაგრამ მარა უკვე ბავშვი აღარ გახლდათ, არამედ ზრდადასრულებული ქალი, რომელიც ორმოცს უახლოვდებოდა და, როგორც დეიდამ დაადგინა, სულაც არ იყო ბედნიერი თავისი ქორწინებით.

დეიდა ელსბეტმა, როგორც ქვემო რაინზე დაბადებულმა და გაზრდილმა, კარგად იცოდა, რა უშველიდა ამ უბედურებას: მეუღლის კარგად გამოკვება გემრიელი კერძებით, რადგან საჭმელი სულსა და ხორცს ადუღაბებს.

„იქნებ ბუტერბროდი გირჩევნია? ან კიდევ ქიშმიშიანი ფუნთუშა კარაქით და ყველით? არც ეს გინდა? ასე არ შეიძლება, საშინლად გამოიყურები". მოხუცი შეშფოთებით ათვალიერებდა დისშვილის ფიგურას. „თანდათან უფრო ხდები".

მარა სულაც არ ფიქრობდა ასე. პირიქით, დეიდასავით სულ უფრო და უფრო სუქდებოდა. განერვიულებულმა ნამიერად დახუჭა თვალები. ნეტა დეიდა ცოტა ხნით მაინც გაჩუმდებოდესო, ფიქრობდა.

„ყავა ხომ არ მოვადუღო?"

ამ წუთში მარას კუჭი ყავას მართლაც რომ ვერ აიტანდა.

„ჩაი დავლიოთ", ყურადღება გადაიტანა მარამ, რათა დეიდასგან მოსვენება ჰქონოდა.

დეიდას სიხარულისგან თვალები გაუფართოვდა. ფინჯან ჩაის რა სჯობს! ისევ ქურასთან მივიდა და საქმეს შეუდგა. ასე სწრაფად მოთმინებიდან ვერაფერი გამოიყვანდა, მარას მუქარაც კი.

ძვირფას დისშვილს გამოუტანა კარგად შენახული, ვარდებით მოხატული ფინჯანი, ნამდვილი საუნჯე და დედის მოსაგონარი.

ჩაიდნიდან წვეთები გადმოვიდა. ელსბეტმა პატარა გუბე ხელით მოამშრალა და შემდეგ შეაწმინდა თავის არცთუ ისე სუფთა წინსაფარს.

მარა გონებით სულ სხვაგან იყო, არც შეუმჩნევია, დეიდა რას აკეთებდა. იგი მიშტერებოდა ვახდენდონკის წმინდა მიხაელის ეკლესიის კოშკის საათს. ოთხი საათი სრულდებოდა. სადაცაა, გამჭოლი ხმით დაჰკრავდა საათი, რომელიც ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ რეკავდა, ყოველ სრულ საათზე კი იმის მიხედვით, რომელი საათიც შესრულდებოდა.

დეიდა იშვიათად აქცევდა ყურადღებას ზარების რეკვას. ეს მისი ცხოვრების ნაწილი იყო, ისე როგორც კვირაობით ეკლესიაში სიარული ან მეზობლებთან ერთად შეკრება.

მარა უსმენდა მერიის შენობის თავზე მოთავსებული ზარების რეკვას, რომელსაც გამყივანი ხმა ჰქონდა და ყურს საკმაოდ უსიამოვნოდ ხვდებოდა. ქალაქის ისტორიულ ნაწილს ეს სულაც არ უხდებოდა და დაახლოებით თვალში მუშტის ჩარტყმას უდრიდა. ამასთან შედარებით კი უკეთესი მოსასმენი იყო ქვემო რაინისთვის დამახასიათებელი მელოდიები.

ეკლესიის კოშკის ზარების ხმა გადაჰფარა საათის რეკვამ, რომელმაც ოთხჯერ ჩამოჰკრა.

მარა ფიქრებიდან გამოერკვა, შეისუნთქა სამზარეულოში დატრიალებული მაცდუნებელი სუნი და, ამავე დროს ჩახუთული ჰაერი. მისი ბავშვობის დროიდან აქ არაფერი შეცვლილა: 60-იანი წლების სამზარეულოს

პლასტმასის კარადები სულაც არ უხდებოდა კარგად მოვლილ ხის ბუფეტს. ასევე წლებს გაუძლო ძველმა დივანმა, სამზარეულოს მაგიდამ და მის წინ მდგომმა ოთხმა სკამმა.

დივანზე ლამაზად იყო დაწყობილი სამი მოქარგული ბალიში. მათ ზემოთ ეკიდა კედლის საათი, რომელიც ოთხი ზარის შემდეგ დადუმდა. გაყვითლებულ შპალერს ამშვენებდა უამრავი შავ-თეთრი ფოტოსურათი, მოსაგონარი იმ საყვარელი ადამიანებისა, რომლებიც უკვე იმქვეყნად წასულიყვნენ. მაგალითად, ბებია, მამიდა ან კიდევ ბიძია ფრიდელი. როგორც დეიდა ელსბეტი ამბობდა, ის იყო მისი ძალიან დიდი, დიდი სიყვარული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მეგობრებსა და მეზობლებს თანდათან ჩამოშორდა და განმარტოვდა.

„მოვკლავ იმ ნაძირალას", თქვა მარამ და თავი უკან გადასწია.

„ეს უკვე რამდენჯერმე თქვი", შენიშნა დეიდამ.

„ამჯერად ნათქვამს ნამდვილად შევასრულებ". მარამ აღგზნებულმა გადაატრიალა საქორწინო ბეჭედი.

„ჯერ ეს ჩაი დალიე, მერე მართლაც სხვანაირად შეხედავ ამ ცხოვრებას", გაიმეორა დეიდამ ღიმილით. სახეზე მზის სხივები ეცემოდა და კიდევ უფრო გასწითლებოდა.

ელსბეტს ყველანაირი ვითარების შესაფერისი ჩაი და პრობლემების უნიკალური გადაჭრის უნარი ჰქონდა. შეიძლება ახალგაზრდული ცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მოეპოვებინა. გარდა ამისა, არც ისეთი სულელი იყო.

მისი რჩევები ძალიან უბრალო კი იყო, მაგრამ კეთილი გულით ნარჩევი.

მარამ ფრთხილად აილო პირამდე გავსებული ფინჯანი და სული შეუბერა. ფრთხილად მოსვა ცხელი ჩაი. სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

„რა არის ეს? რა ამბავია? მთელი საშაქრე შიგ ჩაუშვი?"

„ესაა ჩემი საგანგებო ჩაი, სხვადასხვა მცენარეების ნარევი ბლომად შაქარყინულით. კუჭზე კარგად მოქმედებს და მისი საშუალებით თავში უკეთესი აზრები მოდის". ელსბეტი ისევ მძიმედ დაეშვა სკამზე. დიდხანს ფეხზე დგომა ცუდად მოქმედებდა. „ტკბილმა მწარე უნდა განდევნოს".

„შენ ცდები, ძვირფასო. აქ საუბარია არა განდევნაზე, არამედ მოშორებაზე".

„ახ, გოგონავ", კვლავ ამოიოხრა დეიდამ და გვერდზე მიაბრუნა კულულებიანი თავი.

„მე ვიცი, რისი თქმაც გინდა. შენი ბოლო რჩევები კარგად გავითვალისწინე: ბევრი ვიფიქრე ჩემი განზრახვის შესახებ და თანაც არა ერთი, არამედ რამდენიმე დღე. ამიტომ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა".

დეიდა კარგად დააკვირდა მარას. ის მართლაც შეცვლილიყო. ქმრის პირველი ღალატის შემდეგ დეიდასთან რომ მიირბინა, ცრემლად იღვრებოდა; ასევე ტიროდა მეორე ღალატის შემდეგ ჯერ ხელახალი იმედგაცრუების და მერე კი სიბრაზის გამო. ეს იყო ორი წლის წინათ. ახლა მარა აღარ ტიროდა, არამედ ტკბილ შურისძიებას გეგმავდა. ანუ, უნარი შესწევდა, საკუთარი შეცდომებიდან ესწავლა.

„რა გაქვს განზრახული?"

„მისი მოკვლა".

ელსბეტმა გაიღიმა, თავი გვერდზე გადასწია და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. შემდეგ ფინჯანს ორივე ხელი მოჰკიდა, თითქოს სტაფილოს ფხეკისგან გაყვითლებული ხელების გათბობა სურდა და დუმილით ჩააშტერდა ზემოთ მიმავალ ორთქლს.

რამდენიმე წუთი მხოლოდ კედლის საათის წიკწიკი და გარეთ მოთამაშე ბავშვების ხმა ისმოდა.

„რატომ არ გაეყრები?", ფრთხილად შეაპარა ელსბეტმა.

„რაო, გავეყარო?" წამოიძახა მარამ, თითქოს გაყრაზე ფიქრით ღრუბლებიდან მიწაზე დაეშვა. „იმის შემდეგ, რაც მოხდა? ამას შენ ვერ გაიგებ, რადგან თქვენ ბედნიერი ცოლქმრობა გქონდათ. რომ გავეყარო, დავრჩები ცარიელ-ტარიელი". მარა შეეცადა, შურისძიების ღიმილი დაეფარა. „როცა დავქვრივდები, მხოლოდ მაშინ ვიქნები ფინანსურად უზრუნველყოფილი".

„კი, მაგრამ, შენ ხომ ყოველთვის მუშაობდი და შემოსავალიც კარგი გქონდა. გარდა ამისა, მემკვიდრეობიდანაც ხომ გერგო რაღაც".

„ჰაჰაჰა", მარამ კარგად გამოკვეთა თითოეული ბგერა. შურისძიების ღიმილი გამქრალიყო. „იმ ნაძირალისთვის რომ არ მიმეცა მინდობილობა... მთელი ფული სასმელსა და ქალებში გაფლანგა. მთელი ჩემი ფული გაქრა, უკვალოდ გაქრა".

მარამ კარგად გამოკვეთა ბოლო წინადადება. როცა დეიდამისის გამკიცხავ მზერას წააწყდა, ხმას დაუწია. სულ დაავიწყდა, რომ დეიდას ხმამაღალი ტონი არ უყვარდა.

რადგან ძველ სახლებს საკმაოდ თხელი ფანჯრები ჰქონდათ, ხმადაბალი საუბარი უკეთესი იქნებოდა. მართალია, მეზობლები მას ვერ ხედავდნენ, მაგრამ ხომ ესმოდათ მისი.

ელსბეტმა გაიცინა. მარას მშობლებმა უწყოდნენ, რას მოუტანდა მათ ქალიშვილს ეს ქორწინება და თავიდანვე გააფრთხილეს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გოგონა საერთოდ არ ზრუნავდა ფინანსურ მხარეზე, დიდ სისულელედ მიაჩნდათ.

„იცი, ყველაზე უსირცხვილოდ რა მიმაჩნია? ყოველთვის მინდოდა, რომ შვილები მყოლოდა, ეს შენც კარგად იცი. მაგრამ მისი სიყვარულის გამო უარი ვთქვი შვილებზე. რაღაც მიზეზი ყოველთვის ჰქონდა. ჯერ მისი განათლება იყო მნიშვნელოვანი, მერე კარიერა უნდა შეექმნა, ბოლოს ცხოვრების მშვენიერებით ტკბობა მოინდომა, ახლა კი დაბერდა საამისოდ".

ელსბეტის მზერა არ შეიცავდა საყვედურებს. მას კარგად ესმოდა დისწულის.

„სხვანაირად რომ ვთქვათ, არ უნდა, ჩემთან შვილები ჰყავდეს. ასაკი თავისას შვრება და დრო თავისას მოჭამს. მთელი ჩემი ფული დახარჯა და უკვე ერთი წელია, სხვა ჰყავს. გველი, რომელიც მუდმივად სოლარიუმში დადის". მარა აფრქვევდა ბრაზსა და შურს. თვითონ წითური თმა და თეთრი, ჭორფლიანი სახე ჰქონდა. მისი მგრძნობიარე კანი, სამწუხაროდ, მზეს ვერ იტანდა.

დეიდა ელსბეტი შეეცადა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ შინაგან დაძაბულობას მაინც ვერ მალავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ის არ იკმარა, რომ მომატყუა და სხვასთან მილალატა. ამას გარდა, თავის საყვარელს ბინა უყიდა! წარმოიდგინე, ბინა - და ისიც, ჩემი ფულით!“ მარამ ისევ აუწია ხმას.

„ძალიან ვწუხვარ, ჩემო გოგონა“.

„ვფიქრობ, ჯერ იმ ხნისა არა ვარ, რომ არ შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება“. უცბად სახე შეეცვალა და ქედმაღლურად გაიცინა. „მივუხვდი ცბიერებას და გავიგე, სად დამალა და რაში ჩადო ის ფული. მაგ ნაძირალამ პასუხი უნდა აგოს ყველაფერზე“.

„კი, მაგრამ...“

„არავითარი მაგრამ. იმედია, გახსოვს, ერთხელ რა მითხარი: როცა ფულს ეხება საქმე, იქ მეგობრობა დამთავრებულია“.

როგორც ყოფილ ბუღალტერს, ელსბეტს შეეძლო ფულის კარგად მოხმარება და ეკონომიურად ხარჯვა. მარასადმი მიცემული რჩევა გაახსენდა, მაგრამ მას მკვლელობა გულში არც გაუვლია. მან ჩაფიქრებულმა გადააქნია თავი. ოჰ, რა დაუდეგარია დღევანდელი ახალგაზრდობა!



მხატვარი კარლო ფაჩულია

„მაინც რა გაქვს განზრახული? - ჰკითხა დისწულს ფრთხილად.

„მისი მონამვლა. ეს ყველაზე იოლი საქმეა“.

„ჰოო“, შენიშნა ელსბეტმა და, როგორც ჩანს, აზრი მოეწონა. სხეულით წინ გადაიწია და თანხმობის ნიშნად ტუჩები მოპრუწა.

„ცუდად არ ჟღერს. რით აპირებ მის მონამვლას?“

„ვირთხის შხამით“.

რადგან დეიდა წყნარად იჯდა, მარა თავისმა განზრახვამ დააეჭვა.

„თუ ფიქრობ, რომ 65-ით ვცადო?“

„ო, მე მგონია, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს. ვირთხის შხამი იქნება თუ 65, მაგრამ“...

„მაგრამ რა?“

„სად აპირებ ვირთხის შხამის შოვნას? რა თქმა უნდა, შეგიძლია აფთიაქში იყიდო. მაგრამ ამას გაიგებს აფთიაქის გამგე ან გამყიდველი. ფრთხილად იყავი, არ დაგინახოს რომელიმე მყიდველმა, რომელიც იმ დროს აფთიაქში იქნება“. ელსბეტმა გაფრთხილების ნიშნად თითი ასწია. „ხომ იცი სოფლის ამბავი, ატყდება ჭორაობა“.

„ჩვენთან, კემპენში რომ ვიყიდო?“

„როგორ ფიქრობ, იქაურ აფთიაქში არ დაგისვამენ სულელურ შეკითხვებს? აფთიაქარი შენს სახეს დააკვირდება, ეჭვი არ შეგეპაროს. შეიძლება პირადობის მოწმობაც კი მოგთხოვონ. დღესდღეობით ყველგან სიფრთხილეს იჩენენ. მე შენს ადგილზე ფრთხილად ვიქნებოდი. იოლადაც რომ იყიდო, როგორ აპირებ მის გამოყენებას?“

„ვფიქრობ, ყველაფერს აჯობებს, საყვარელ დესერტში, შოკოლადის ან ვანილის პუდინგში ჩავუყარო“.

„რას იზამ, მწარე გემოსი რომ აღმოჩნდეს? წარმოიდგინე, პუდინგის გემო არ მოეწონოს და ბოლომდე არ შეჭამოს. ან კიდევ წონაში დაკლება მოინდომოს და პუდინგი თქვენს კატას შეაჭამოს“.

„ეგ რწყილიანი“, თქვა მარამ. „უკან დასდევს ყველა კატას, როგორც მისი პატრონი ყველა ქალს“. მერე, როგორც ჩანს, მასში ცხოველთა სიყვარულმა გაიღვიძა. „ლუდში ჩავუყრი“.

„რა ვიცი“, თქვა ყოყმანით ელსბეტმა. „თუ შხამს მწარე გემო ექნება, მაშინვე მიხვდება“.

„დარწმუნებული ხარ, რომ მწარე გემო აქვს?“

„წარმოდგენა არა მაქვს, როგორი გემოსია“. ბოდიშის მოხდით აიჩეჩა მოხუცმა მხრები.

„გემოს გასაგებად მე ხომ არ გავსინჯავ! გარდა ამისა, აფთიაქარსაც ვერ ვკითხავ“.

„ხედავ, შვილო, სულაც არაა იოლი, ადამიანის მონამვლა“.

„მაშინ თოფით მოვკლავ“.

ისევ მოპრუწა ტუჩები ელსბეტმა და თანხმობის ნიშნად სხეული წინ გადასწია. „ჰოო“, თქვა ჩაფიქრებით. „ეს არის მკვლელობის ძალიან უჩვეულო სახეობა“.

მარას ნამიერად გაუელვა თავში, დეიდა ხომ არ დამცინისო. არა, ამას დეიდა ელსბეტი არ იზამდა.

„რა გაქვს სროლის საწინააღმდეგო?“

„არაფერი, გარდა იმისა, რომ საშინელი ხმა აქვს და ასევე საშინელ ხვრელებს ტოვებს სხეულზე. თუ ბედმა გიმტყუნა, ლაქები დააჩნდება შენს ლამაზ ხალიჩას. მაგრამ შენ ნუ გეშინია, ლაქებს ამოვიყვანთ“.

„მაშინ ბუნებაში ვესვრი. ახლა ნადირობის დროა და თვალში მოსახვედრიც არ იქნება“.

„კი, მაგრამ თოფი გაქვს?“, დაინტერესდა ელსბეტი.

„არა. ისე მე უფრო პატარა იარაღზე ვიფიქრე. რევოლვერი, მაგალითად. კარგად ჩაეტევა ხელჩანთაში. დიდს ხელჩანთაში ვერ ჩაატევ, თვალში მოსახვედრია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მესმის. სად აპირებ რევოლვერის ყიდვას? და საერთოდ, გაქვს იარაღის ტარების უფლება? რამდენადაც ვიცი, ეს აუცილებელია".

„ტარების უფლება? არა, მაგრამ იქნებ სადმე ქუჩაში ვიშოვო".

„ახ, შვილო". დეიდა ელსბეტი ახლა კი ნამდვილად აღშფოთდა. „ჩვენ ქვემო რაინზე ვცხოვრობთ და არა ამერიკაში, სადაც ნარამარა იარაღს ისვრიან. ქუჩაში უცხო ადამიანს ხომ არ გამოელაპარაკები ამასთან დაკავშირებით? თანაც ისეთს, რომელსაც საერთოდ არ იცნობ. ახალგაზრდა ქალს ეს ნამდვილად არ შეეფერება".

„დამშვიდდი, დეიდა. უცხო ადამიანს ქუჩაში ნამდვილად არ გამოველაპარაკები. შენ მართალი ხარ, მართლაც არ შემეფერება. სადმე ბარში ვიკითხავ, დიუსელდორფში ან დუისბურგში. ასე ნამდვილად გამოვა. ფილმებში აჩვენებენ ხოლმე იარაღით ვაჭრობას".

ელსბეტი ვერც ამ იდეას დაუჭერდა მხარს. „რას იზამ, ასეთ ბარში იმ ტიპებმა ლამაზ თავში რომ ჩაგარტყან, ან ფული ნაგართვან და ან კიდევ შენი თავი შეიხს მიჰყიდონ. მართალია მოხუცი ვარ, მაგრამ", ელსბეტმა ეს სიტყვები კარგად გამოკვეთა და საჩვენებელი თითი ასწია, „კარგად ვიცი, ქვეყანაზე რა ხდება".

„მოიცა, რა, ახლა კი ნამდვილად აჭარბებ".

„კარგი, ვთქვათ, იშოვე იარაღი. წარმოიდგინე, მთლად სუფთა არაა, ხომ ასე ჰქვია ჟარგონზე, და ამ იარაღით უკვე იქნა ადამიანი მოკლული. ახლა წარმოიდგინე კიდევ, პოლიციამაც დაიწყო თითების ანაბეჭდების გამოძიება. ასეთი რამეები გამეგება. როგორ ფიქრობ, ყოველ პარასკევს დეტექტიურ ფილმებს რომ ვუყურებ... ასეთმა ფილმებმა ბევრი რამ მასწავლა". დეიდა ელსბეტმა ამაყად გამოამჟღავნა თავისი ცოდნა. „გიფიქრია იმაზე, რა მოხდება, კრიმინალურმა პოლიციამ ჩატარებული გამოძიების საფუძველზე რომ დაადგინოს, არსებობს თუ არა კავშირი უცხო მოკლულსა და შენს მოკლულ ქმარს შორის? რომ ორივე ერთი და იმავე იარაღით იქნა მოკლული? მაშინ დაისჯები იმ მკვლელობის გულისთვისაც, რომელიც არ ჩაგიდენია. მე შენს ადგილზე სულაც არ მესიამოვნებოდა, რომ სხვის მაგივრად ჩამსვან ციხეში".

მარა დაეჭვდა თავის განზრახვაში და ნაჭუჭში შეძვრა.

„დეიდა ელსბეტ", თქვა ყოყმანით. „მე მგონია, შენ მართალი ხარ. „ასეთი იარაღი შეიძლება მანამ გამიხდეს მწარედ სანანებელი, სანამ გავისროდე". მან ჩაის ფინჯანი ხელში აიღო. ყოველი ყლუპის შემდეგ ჩაი უფრო ნაკლებად ტკბილი ეჩვენებოდა.

ელსბეტმა შეამჩნია დისწულში მომხდარი ცვლილება და კმაყოფილი სახე მიიღო.

„არც თავის ჩამოხრჩობის იმიტაცია გამოვა", დაადგინა მარამ და თავი გადააქნია. „ეგ ნაძირალა ძალიან დიდია და ჩემთვის მძიმე. მარყუჟს ვერ გავუყრი. თავისი ნებით კი ამას არ იზამს". სიბრაზეც ისევ წამოუარა და მწარედ შენიშნა: „საამისოდ სიცოცხლე ძალიან უყვარს... და თავისი გველი სოლარიუმიდან".

დეიდა ელსბეტმა შუბლი შეიჭმუხნა. მკვლელობის სახეობები ნელ-ნელა იკლებდა.

„ელსბეტ, მოვიფიქრე!" აღელვებისგან მარა აცქმუტდა. „დანას გავუყრი ელვასავით სწრაფად, ისე, რომ ძარღვი არ ამიტოკდება. საამისოდ არც ერთ ჩემს სამზარეულოს დანას არ გამოვიყენებ, რადგან პოლიცია პირველ რიგში იმათ შეამოწმებს. ამიტომ მჭრელ დანას ვიყიდი ისეთ ქალაქში, სადაც კაციშვილი არ მიცნობს. კარგა ხანი უნდა გავიდეს, რომ გამყიდველს ჩემი სახე არ დაამახსოვრდეს".

ელსბეტი მშვიდად აკვირდებოდა, რა ენერგიული შემართებით გეგმავდა მისი დისწული მკვლელობას და მდუმარებით უსმენდა.

„შემდეგ შევარჩევ იდეალურ დროს, მაგალითად, როცა ეგ ნაძირალა აბაზანაში ჩაწვება. მას უყვარს აბაზანაში წოლა ლუდითა და მყრალი სიგარით. საერთოდ რომ არ ელოდება, იმ დროს ჩავარტყამ დანას". მარამ შვებით ამოისუნთქა. „აბაზანის იდეა მართლაც გენიალურია", დაადგინა სიხარულით. „მერე იმის საწუხარი არ იქნება, სისხლის წვეთები თუ დააჩნდება ხალიჩას".

„სად წაიღებ იარაღს, რომლითაც დანაშაული იქნა ჩადენილი?"

„დანას მდინარე ნირსში ჩავაგდებ. მაგაზე თევზებმა იზრუნონ".

„ტანსაცმელს რაღას უზამ? მას ხომ სისხლის წვეთები დააჩნდება?"

„არა, არ ექნება. ტანზე არაფერი მეცმევა, ისევე, როგორც იმ დროს, როცა ის ვაჟბატონი ლუდსა და სიგარას ითხოვს". უცბად მარა შეჩერდა. „იმედია, უნდობლობა არ გაუჩნდება. წარმოდგენა არა აქვს, რომ მე მისი გველისა და ჩემი ფულით ნაყიდი ბინის შესახებ ვიცი. ყოველთვის ისე მოაქვს თავი, თითქოს ბედნიერი ცოლქმრობა გვქონდეს. მაგ იმედით იყოს, როცა მივასაკლავებ".

„სცენები ხომ არ გაგიმართავს იმ ქალთან ურთიერთობის გამო?"

„არა, რა თქმა უნდა, არა. სხვა დანარჩენ ქალებთან ურთიერთობის გამო რაც სცენები გავუმართე, მაინც არაფერი მოიტანა. გარდა ამისა, შენ მირჩიე, სხვა გზა მეძებნა".

დეიდა ელსბეტმა გაიღიმა. დისშვილი ასეთი გაბედული ჯერ არ ენახა.

„ხვალვე ვიყიდით სამზარეულოს დანას და ნეკნს".

„ნეკნი? კი, მაგრამ რისთვის გვჭირდება ნეკნი?"

„იმისთვის, რომ მანამდე ივარჯიშო", თვალების პაჭუნით მიუგო დეიდამ.

„შენი აზრით, ჯერ ხორცის ნაჭერს უნდა ჩავარტყა?"

„ჰმ, შეიძლება ასე ითქვას".

„ეს... ასეთი რამ ხომ არასოდეს გამიკეთებია".

„ახლა ბოლომდე უნდა მიჰყვე ამ საქმეს".

მარა ფიქრებს მიეცა.

„ელსბეტ?"

„ბატონო!"

„რა ვქნა, პირველივე ჩარტყმაზე რომ"... უცბად ენა დაება. „აი, იმდენჯერ, სანამ... ხომ მიხვდი, რასაც ვგულისხმობ?"

მარამ ცხვირი ღრმად ჩაჰყო ფინჯანში. მარტო ამაზე ფიქრისას ხდებოდა ცუდად. „ხომ არ სჯობს, ვინმეს დავავალო?"

„ისეთს, მერე მთელი ცხოვრება შანტაჟს რომ გიწყობდეს? არა, არა, დაივიწყე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარას არაქათი გამოელია. თავი მაღლა ასწია. „საერთოდ არ შემწევს იმის უნარი, ისე მოვკლა ეგ ნაძირალა, რომ ციხეში არ მოვხვდე. მე მგონია, თავს დავანებებ ამაზე ფიქრს".

დეიდა ელსბეტმა შვებით ამოისუნთქა. მან თავიდანვე იცოდა, რომ კარგად იმოქმედებდა მცენარეების ნახარში, რომელსაც აქამდე არაერთი სასწაული მოუხდენია.

„ხედავ, გოგონა, ასეთია ცხოვრება... ჯერ დალიე და მერე უკეთესად იაზროვნებ".

„დეიდა, ჩემს ადგილზე შენ როგორ მოიქცეოდი?"

„მე?"

ელსბეტს გაუკვირდა, რომ დისწულმა აზრის გამოთქმა სთხოვა. ასეთი გადაწყვეტილება არც ისე იოლია და თანაც კარგად აწონ-დაწონა სჭირდება.

მოხუცი უცბად გამოცოცხლდა, გაქრა მისი ფლეგმატურობა. ელვისებური სისწრაფით მიიწია ფეხების დასადები ტაბურეტი, ნაქარგი ბალიში ზურგს უკან შემოიდო და სკამზე მოხერხებულად მოთავსდა.

მარამ ფინჯანი ჩაი მიაწოდა, მოხუცმა კი ფარული მზერა გააპარა თავისი ფრიდელის ფოტოსურათისკენ, რომელიც დივანის ზემოთ ეკიდა.

მარას ეს მზერა არ გამოჰპარვია. დეიდა ელსბეტს კიდევ უყვარდა ქმარი, რომელიც ადრე დაჰკარგა.

„მოკლედ, დუმილი უმაღლესი მცნებაა". ელსბეტს დედოფალივით ამაყად ეჭირა თავი. „თუ გაჩუმება არ შეგიძლია, მაშინ სჯობს, ახლავე თავი დაანებო. არავის მოუყვე შენი განზრახვის შესახებ, ყველაზე ნაკლებ კი საუკეთესო მეგობარს".

მარამ გაოცებით შეხედა დეიდას. მისგან ასეთ პასუხს არ მოელოდა.

„უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ საიდუმლო 50 წლის განმავლობაში შეინახო და ეგ წლები მარტოდ გაატარო, ანუ აღარასოდეს დაქორწინდე. მაგრამ თუკი კიდევ დაქორწინდები, შენი მეორე ქმარი ოდესმე შეგეკითხება პირველის შესახებ. შეიძლება რაღაცაში ეჭვი შეეპაროს და შეკითხვები იმდენ ხანს გიმეოროს, სანამ რაღაცა წამოგცდებოდეს. შეიძლება ერთ დღესაც ჩხუბი მოგივიდეთ ერთმანეთში და შენ სიბრაზისგან დაიყვირო: ეს რომ ჩაიდინო, ის დაგემართება, რაც ჩემს პირველ ქმარსო... ჰმ, ამით ყველაფერი გათავდება".

მარას გაოცებისგან ენა ჩაუვარდა. „კი, მაგრამ", როგორც იქნა, ამოღერღა ცოტა ხნის შემდეგ, „რატომ მაინცდამაინც 50 წელი"?

„უბრალოდ, მკვლელობიდან 50 წლის შემდეგ ხელს ვერავინ გახლებს".

„ორმოცდაათი კი არა, ოცდაათი".

ამჯერად ელსბეტი დარჩა გაოცებული. „დარწმუნებული ხარ?"

„კი, ეს დანამდვილებით ვიცი. დავუბრუნდეთ თემას, ამის შემდეგ რას იზამდი?" ელსბეტმა წინსაფრიდან ძაფის წიწკნა დაიწყო, შემდეგ კი მშვიდად გაიღიმა.

„აჩუქე შენს ქმარს სასიამოვნო ნუთები".

„რა, თავი მოვიკლა?"

„რა თქმა უნდა, არა. მაგას ვინ ამბობს?" ელსბეტმა თვალები მოჭუტა. მის ღიმილში სიმშვიდე იგრძნობოდა. „წადი მაღაზიაში, სადაც ყველა გიცნობს და ქმარს საჩუქარი უყიდე".

„რა ვქნა?" მარას ცოტაღა აკლდა ყვირილამდე.

„იყიდე რაიმე განსაკუთრებული, რასაც შემდგომ სიამოვნებით მოიგონებ. გარდა ამისა, ძვირი უნდა იყოს, საკმაოდ ძვირი. გამყიდველს რჩევა ჰკითხე. სხვათა შორის მოუყევი, რა მიზეზით ყიდულობ ამ საჩუქარს". დეიდა ელსბეტი ჩაფიქრდა და წინსაფარს კიდევ ამოაგლიჯა ძაფი. „საამისოდ გამყიდველი ქალები უფრო გამოდგებიან. მათ რომანტიკის უკეთ შეგრძნების უნარი აქვთ, ვიდრე კაცებს. მოუყევი, რომ ეს საჩუქარი პირველი კოცნის ან სულაც პირველი პაემანის სამახსოვროდ გინდა. ელსბეტი ოცნებებმა გაიტაცა. „მოსაგონრად იმისა, რომ მუხლმოყრილმა გთხოვა ცოლობა. მოყევი ისიც, რა გითხრა მან და რომელი კაბა გეცვა მაშინ".

„რა სისულელეა!" გაცხარდა მარა. „კაციშვილი არ იხსენებს ასეთ რაღაცებს".

„გოგონა", გაკიცხა დეიდამ დისწული. „სჯობს რაიმე ამაღელვებელი და რომანტიკული, თუნდაც უგემოვნო ამბის შეთხზვა. ქორწინების წლისთავს ყველა აღნიშნავს, რაც მოსაწყენია. გამყიდველი შემდგომ ამას აუცილებლად გაიხსენებს. გარდა ამისა, მოუყევი ყველას, სულ ერთია, აინტერესებს თუ არა, რა ბედნიერები და შეყვარებულები ხართ ამდენი ხნის ცოლ-ქმარი."

„ჯოჯოხეთური თვრამეტი წელი".

„კარგი... მაინც მოყევი თვრამეტი წლის ჰარმონიულ ოჯახურ ცხოვრებაზე ".

„გამაგებინე რისთვისაა ეს სისულელეები საჭირო?" მარამ დეიდას უნდობლად შეხედა. იფიქრა, იმედია, გულმავიწყობა არ ეწყებაო.

„თან სულ იღიმე, არ დაგავიწყდეს: აუცილებელია ღიმილი და მორიდებულობა".

„ვერაფერი გავიგე. იმ ნაძირალას საჩუქრები ვუყიდო? და თანაც ყველას მოვუყვე, რა ბედნიერები ვართ? ჯანდაბას ვიზამ. მაგ ნაძირალას სულს ამოვაძრობ".

„ნელ-ნელა მივყვეთ", თქვა დეიდა ელსბეტმა. „მკვლელობის სახეობას ცალკე შევეხებით".

„მაშინ გამაგებინე, გეთაყვა, რას ნიშნავს ყოველივე ეს".

„მარტივად რომ ვთქვათ, პოლიციას თუ რამე მოხვდა თვალში, დამატებით გამოძიებას დაიწყებს. კარგია, როცა მეგობრები, მეზობლები ან ნაცნობები დაამოწმებენ, რამდენად კარგად უგებდით ერთმანეთს და რა ბედნიერები იყავით ერთად". დეიდა ელსბეტმა თავი გვერდზე გადასწია და ირონიულად აღნიშნა: „რომელი შეყვარებული ქალი მოჰკლავს ქმარს?"

მარა გაოგნებული უცქერდა დეიდას. ის უფრო ჭკვიანი ყოფილა, ვიდრე მარას ეგონა. თანაც როგორი იჯდა: ვერცხლისწყალივით მკვირცხლი და მოძრავი. მისი სიტყვები თანდათან დინამიური ხდებოდა. უცბად ათი წლით მაინც გაახალგაზრდავდა.

„რას მირჩევ, ეგ ნაძირალა როგორ", მარამ წაიბორძიკა და ტონი შეიცვალა: შხამიანი ენა უცებ დაუტკბა. „როგორ მოვიშორო თავიდან ჩემი კარგი, საყვარელი, მექალთანე ქმარი?"

ელსბეტს აქაც შემონახული ჰქონდა რჩევა-დარიგებები: „ეს, რა თქმა უნდა, მის ჩვეულებებზეა დამოკიდებული. თუ იღებს სიცოცხლისთვის საჭირო წამლებს, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ რამდენიმე კაფსულა გამოგადგება. მიეცი დიდი დოზა და შეურიე გლუკოზა. თუ გული აწუხებს, მაშინ ისე იმოქმედე, რომ სტრესი გაუჩნდეს და ინფარქტი დაემართოს. თუ უყვარს ელექტრომოწყობილობათა შეკეთება, შეაქე, განსაკუთრებით იმ დროს, როცა შტეფსელთან ექნება საქმე. იზრუნე, რათა ამ დროს შემთხვევით ჩაირთოს დენი".

ელსბეტი, როგორც ჩანს, ტკბებოდა იმით, რომ მის ასაკში ვინმეს წაადგებოდა მისი რჩევა-დარიგებები. მარას გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში რამდენი უბედურება ხდება. ფანტასტიკურია! რამდენი საშუალება ყოფილა! მას რატომ არაფერი მოუვიდა აზრად?

„კარგია, როცა გრიგალის დროს სახურავიდან კრამიტი ვარდება და სახლში წვიმის წყალი ჩამოდის", განაგრძობდა ელსბეტი. „ასეთ რამეებში შენც შეგიძლია ცოტათი ხელი შეაშველო. თხევადი საპონიც ფეხსაცმლის ლანჩაზე უბედურ შემთხვევას გამოიწვევს, განსაკუთრებით, როცა ვინმე გამოუცდელი ადის სახლის სახურავზე. ახ, იმდენნაირი უბედური შემთხვევა არსებობს!"

რაც მეტ მაგალითს იშველიებდა ელსბეტი, მით უფრო უფართოვდებოდა მარას თვალები.

„შენ ისეთი ლამაზი ქვრივი იქნები. როგორც მე მაშინ". ელსბეტმა თვალები დახუჭა და ამოიოხრა.

ფიქრებში გართულ ელსბეტს თვალწინ ედგა თავისი ფრიდელი, რომელიც 22 წლის წინათ დაასაფლავა ვახტენდონკის პატარა სასაფლაოზე, წმინდა სებასტიანის ეკლესიის შესასვლელთან.

მას მოაგონდა დაკრძალვის პროცესია, თითქოს გუშინ ყოფილიყოს. სოფლის შუაგულში თითოეულ მცხოვრებს ჰყავდა მეზობელი. ქუჩის იქითა მხარეს სამი ოჯახი ცხოვრობდა. ეკლესიის ყველაზე ახლოს მაცხოვრებელს გარდაცვალების შემთხვევაში სხვებისთვის უნდა გაეგებინებინა. მაშინ ჰაინი იყო მისი მეზობელი. დადიოდა კარდაკარ და ყველაფერს აგვარებდა.

მის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები სალოცავად ეკლესიაში შეგროვდნენ. შემდეგ კი ლოცვები წაიკითხეს.

სამი დღის შემდეგ უახლოესმა მეზობლებმა კუბო წაიღეს საბოლოო განსასვენებლისკენ. პროცესიას მიჰყვებოდნენ უახლოესი ნათესავები, მეგობრები და მეზობლები. სხვადასხვა საძმოს წევრებმაც კი გააცილეს ცხოვრების უკანასკნელ გზაზე და თავიანთი დროშები დააფინეს ღია საფლავს.

მართლაც რა კარგი იყო ფრიდელის დაკრძალვის ცერემონიალი! რამდენმა ყვავილმა და გვირგვინმა მოიყარა თავი! ღმერთო, რამდენი ყვავილი იყო!

რაც მეტი დრო გადიოდა დაკრძალვიდან, მით უფრო მეტ ნეტარებას განიცდიდა ელსბეტი ამ მოგონებებთან დაკავშირებით.

„ხო, მართლა, დეიდა ელსბეტ, რით გარდაიცვალა ბიძია ფრიდელი?"

„ახ", მთელი გულით ამოიოხრა დეიდამ და ნინსაფრის ჭმუჭნა დაიწყო. „ეს დიდი ტრაგედია იყო, უბედური შემთხვევა მოუვიდა". მის სახეს სევდა კი დაეტყო, მაგრამ თვალები უციმციმებდა. „მაშინ მღებავად მუშაობდა. ერთ დღესაც ხარაჩოდან გადმოვარდა, რომელიც მხოლოდ ხუთი მეტრი სიმაღლის იყო. წარმოიდგინე, ხუთი მეტრი. მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა. მაშინვე გარდაიცვალა".

„მისი სიკვდილი ძალიან განიცადე, არა?"

„ჰო, ძალიან". ელსბეტმა ისევ ამოიოხრა. პატარა შესვენების შემდეგ წინსაფრის ტილოს ხელი დაუსვა. „ჩემი ფრიდელი ისეთი მხიარული ხასიათისა იყო, როგორც რაინის მხარის ხალხს სჩვევია: უყვარდა სიცოცხლე, ლუდის ბარში სიარული და ტანადი ქალები". მწუხარებით მხრები აიჩეჩა. „ჩემი გაკეთებული ვალერიანის ჩაი კი თენთავდა, მას. ამით სიფრთხილე იკლებდა. ამის შემდეგ დაუცურდა ფეხი. თანაც რა ცუდი ამინდი იყო იმ დღეს".

**გერმანულიდან თარგმნა**
**ირმა ქიმერიძემ**

## პრაღაში საბავშვო წიგნების საჯარო კითხვა გაიმართა

„ჩეხეთი უკითხავს ბავშვებს" – ამ სახელწოდებით პრაღაში საბავშვო წიგნების საჯარო კითხვა გაიმართა.

ჩეხეთის დედაქალაქში, წმინდა ანას მეასაუკუნეების ტაძარში, ცნობილი პოლიტიკოსები, კულტურისა და სპორტის მოღვაწენი მონაცვლეობით უკითხავდნენ ბავშვებით სავსე დარბაზს მათთვის საყვარელ წიგნებს. ღონისძიება, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა, რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა გახსნა.

„ღონისძიების მიზანია – მივაპყროთ მშობელთა ყურადღება, შეაყვარონ შვილებს კითხვა, – გვაცნობეს პრაღის მერიის კულტურის სამმართველოში, – განსაკუთრებით საჭიროა კეთილი ზღაპრები, ბავშვებს წარმოსახვას რომ ულრმავებს, განუმარტავს სიკეთისა და ბოროტების არსს, ასწავლის ადამიანური მორალის ნორმებს".

საჯარო კითხვის მონაწილე მწერლებმა საკუთარი საბავშვო ნაწარმოებები გააცნეს ბავშვებს. ვაცლავ ჰაველმა წაიკითხა ნაწყვეტი თავისი ზღაპრიდან „ჯუჯები".

ექსპერტთა აზრით, პატარები ცდილობენ დიდებს და პირველ რიგში მშობლებს მიბაძონ, ყველაფერში მათ დაემსგავსონ. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ კითხვის სიყვარული ბავშვებს განსაკუთრებულად იოლად უფროსი თაობისაგან გადაეცემათ. აუცილებელია, რომ სკოლამდელ მოზარდს ოჯახის რომელიმე წევრმა ყოველდღიურად არანაკლებ 20 წუთისა უკითხოს. ეს გახლავთ ენისა და ლიტერატურის უკეთ შესწავლის მომავალ წარმატებათა საწინდარი.

ჩეხეთის რესპუბლიკა გეგმავს საბავშვო ლიტერატურის საჯარო კითხვის ღონისძიება, სულ ცოტა, ყოველწლიურად ჩაატაროს. პრაღის გარდა ამ წამოწყებას, რომელიც უკვე ტრადიციადაა ქცეული საფრანგეთში, ესპანეთსა და პოლონეთში, წელს შეუერთდნენ ქალაქები ბრნო (სამხრეთ მორავია) და ოსტრავა (ჩრდილოეთ მორავია).

## თქვენი რაა, რომ ამშვენებთ

დრამატული დილემის წინაშე იდგა ცნობილი სტატისტიკოსი ბ-ნი ვაჩე მამულაშვილი. ფეხბურთი უყვარდა გიჟივით და ასევე გიჟივით სძულდა საბჭოთა კავშირი – ყველაზე დიდი ანტიქართველის ხელით შექმნილი ურჩხული. არადა, სამი ქართველი ვარსკვლავი ბრწყინავდა სსრკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში: მესხი, მეტრეველი, ჩოხელი. გაგიჟებით უყვარდა ბ-ნ ვაჩეს სამივე და რა უნდა ექნა, რა უნდა ელონა? გულს უკლავდა იმათი კარგი თამაში წითელ დროშებქვეშ, მაგრამ ქართველი ფეხბურთელის ცუდ თამაშს როგორ ინატრებდა, თუნდაც ქაჯისა და ეშმაკის დროშებქვეშ ეთამაშათ.

როდესაც სახელგანთქმულმა არგენტინელმა მწვრთნელმა ელენიო ერერამ გამორჩევით შეაქო „რუსეთის ნაკრების ორი ქართული ფრთა" (დიახ, მშვენივრად მოეხსენებოდა მესხისა და მეტრეველის ქართველობა), რომელ ქართველს არ აუჩქროლდებოდა გული ამის გაგონებაზე? ანდა თვით პელემ რომ ბრძანა: დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში – მიშა მესხიო, რომელ ქართველს არ აევსებოდა გული სიამაყით? და ბ-ნი ვაჩე მამულაშვილი თვალს უსწორებდა ტრაგიკულ სინამდვილეს: საბჭოთა ნაკრებში რომ არ ეთამაშათ, ვინ ნახავდა ამათ თამაშს და ვინ გაიგებდა ამათ სახელს? ვერავინ...

და მაინც ის დრო ერჩივნა ბ-ნ ვაჩეს, როდესაც საბჭოთა ნაკრებში ქართველი კაცის ჭაჭანება არ იყო. ალტაცებით ხვდებოდა რუსების ყოველ მარცხს. ერთხელაც ერთმა უტვინომ ჰკითხა, გუშინ ჩვენებმა რა ქნესო? (მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა შვედეთში). ვინ ჩვენებმაო? – მილიონვატიანი განცვიფრება აენთო პირზე ბ-ნ ვაჩეს. ჩვენებმა, ჩვენმა ნაკრებმაო – არა ცხრებოდა უტვინო. მაშინ კი იფეთქა მუდამ თავდაჭერილმა ბ-ნმა ვაჩემ: რა ჩვენები ეგენი არიან, მაგათი კარგიო... (თავის სიცოცხლეში პირველად და, ალბათ, უკანასკნელად შელახა უწმაწურობით თავისი ოქროს პირი ოქროპირად შერაცხულმა სტატისტიკოსმა).

ახლა კი ბრწყინვალე ქართული ტრიო მტკიცედ დამკვიდრებულიყო საბჭოთა ნაკრებში და ბ-ნი ვაჩე, როგორც მოგახსენეთ, ორ ცეცხლშუა ცოცხლად იწვოდა.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იდეოლოგიამ სძლია ფეხბურთის ტრფობას. ჰოდა, ფრთები გაშალა ბ-ნმა ვაჩემ.

მელაკუდასავით შეიპარებოდა ხოლმე დინამოელთა დილმის საწვრთნელ ბაზაზე, დაიმარტოხელებდა მიხეილ მესხს, გივი ჩოხელსა და ზაურ მეტრეველს (ბ-ნი ვაჩე გაიძახოდა: წყეულმა რუსებმა შეარქვეს „სლავა", დაბადების მოწმობაში „ზაური" უწერიაო), დაიმარტოხელებდა და ბორმანქანის დარად უბურღავდა ტვინს: რუსების გულისათვის რომ ღვრით ქართულ ოფლსა და სისხლს, თქვენი რაა, რომ ამშვენებთ თქვენს დამღუპველს ჩრდილოეთსაო?

თბილისის „დინამოს" რუსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევით მოჰკრა ყური ბ-ნი ვაჩეს მგზნებარე მონოლოგს და სასტიკად აღშფოთდა (სხვათა შორის, ბ-ნი ვაჩე თავგამოდებით ამტკიცებდა: ეგა სინამდვილეში გაბრო ქაჩალაიძე არისო. ბავშვობაში ლეკებს გაუტაციათ თუშეთიდან და რუსეთში გაუყიდიათო. იცის, ვისი გორისაც არი, მაგრამ კრემლის შიშით ხმას ვერ იღებსო. სასტუმროში რომ ბრუნდება, თავის ნომერში ჩაიკეტება, ერთ ბოთლ ქიპიტაურს დაიდგამს, ფანდურს ააჩხაკუნებს და ღიღინებს: რუსი ვარ, მაგრამ კარგი ვარო).

სწორედ ეს თქვენი მოწონებული კაჩალინი, სამოცდაოთხში სსრკ ჩემპიონობა რომ აალებინა თბილისის „დინამოს", შეედავებოდა ბ-ნ ვაჩეს. თავაზიანად შეახსენებდა: ილიას „ოსმალეთი" უწერია, ყველა გამოცემაში ეგრეა, ეს „ჩრდილოეთი" ნეტავი საიდან მოიტანეთო? ბ-ნი ვაჩე დამაჯერებელ პასუხსა სცემდა: „ოსმალეთი" ოდენ ნაბეჭდ ტექსტებში გვხვდება, ყველა ხელნაწერში კი „ჩრდილოეთი" იკითხებაო. მისივე სიტყვით, ამგვარი კონიექტურა გამომცემლებს ლავრენტი ბერიამ უკარნახა.

რალას გაანწყობდა კაჩალინი, სისხლისმსმელი ბერიას მზაკვრობა საკუთარ ტყავზეც გამოეცადა – როდესაც მოსკოვის „დინამოში" თამაშობდა მცველად, ამ გუნდის ფეხბურთელებს, მათი შეფ-კურატორის ბერიას განკარგულებით, მატჩის წინ არყის სმა აკრძალული ჰქონდათ.

მაინც არ ნებდებოდა კაჩალინი ბ-ნ ვაჩეს. საოცარი ერუდიცია გამოამჟღავნა და კვლავ თავაზიანად შეახსენა ოპონენტს: განა ილია არ იყო, „ასის წლის წინათ" რომ დაწერა და ათასჯერ ნანატრი მშვიდობის მომტან რუსის ჯარს ხოტბა შეასხაო?

ბ-ნმა ვაჩემ ოსტატურად მოიგერია კაჩალინის მიერ დარტყმული „მკვდარი ბურთი" – ეგ სტატია ბერიამ დააწერინაო.

მაშ რატომღა მოკლეს ჩეკისტებმა წიწამურშიო? – უკვირდა კაჩალინს.

ბ-ნი ვაჩე მორცხვად პასუხობდა: აგრე ვიცით ქართველებმა, დილით კაცს ვადღეგრძელებთ და საღამოს ტყვიით შუბლს ვუხვრეტთო.

კვლავინდებურად მოუწოდებდა ქართულ ტრიოს: საბჭოთა ნაკრების კარში ერთი ავტოგოლი მაინც გაიტანეთ და თქვენი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაშიო.

იმათ ოჯახობებს ნეტავი რა პასუხს სცემდა? დეკაბრისტთა ცოლებივით ციმბირში გაჰყოლოდნენ ქმრებს და ხეტყის დამზადებაში განაფულიყვნენ?

თავად თავი ქუდში ჰქონდა, ძირმომპალი ხელისუფლება „ნაისპუგზე" ჰყავდა აყვანილი. საბჭოთა საქართველოს მესვეურებმა საკმაოდ ახალგაზრდა კაცს პერსონალური პენსია გაუშანსეს (საკავშირო მნიშვნელობისა!) და ხალხთა მეგობრობის ორდენიც გაუჩალიჩეს.

ყელგამოწევით ევედრებოდნენ: ოღონდ გაჩუმდი, არავის გააგებინო, რომ კაპიტალიზმი სჯობია სოციალიზმს და დანარჩენი ჩვენზე იყოსო...

## შახნაზაროვი და ჰოლივუდი

ამგვარ ფინალს კაციშვილი ვერ წარმოიდგენდა, ეს რა მოუფიქრებია კარენ შახნაზაროვს თავისი ფილმის ფინალად! ამ ფილმს ჰქვია „ამერიკელი შვილი" და მოგვითხრობს საკმაოდ ჩვეულებრივ ამბავს; დიახ, თითქმის ყველაფერი ჩვეულებრივია, გარდა არაჩვეულებრივი ფინალისა.

ფილმის მთავარი გმირი გახლავთ მოსკოველი „ლაბუხი" (თამაშობს ვლადიმერ მაშკოვი), რომელსაც ჰყავდა პირმშვენიერი ცოლი (მარია ფედოსეევა-შუკშინა). ერთ მშვენიერ დღეს ამ პირმშვენიერმა ცოლმა ხელი დაავლო თავის მცირეწლოვან შვილს, ცოლად გაჰყვა ამერიკელ მილიონერს და შეერთებულ შტატებში გადასახლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოზაიკა

ცოტა ხნის შემდეგ ეს ჩვენი ლაბუხი შვილის საძებნელად ჩადის ამერიკაში, არაფერი გაეგება ინგლისურისა, მიადგება თავის ძველ ძმაკაცს (არმენ ჯიგარხანიანი), ტაქსისტად რომ მუშაობს სან-ფრანცისკოში და მისი დახმარებით მიაკვლევს თავის დაკარგულ შვილს, სახელად ანიუტას (ამერიკულად „ენ" ჰქვია და ამერიკელი გოგონა ასრულებს მის როლს).

სკოლის ეზოში ლაბუხი შორიდან უყურებს შვილს. შვიდი თუ რვა წლის ანიუტა იგრძნობს უცნობის დაჟინებულ მზერას. დააკვირდება და იცნობს დაკარგულ მამიკოს. გამოექანება და ჩაეხუტება. მაგრამ ერთმანეთისა არაფერი ესმით. შვილს აღარ ახსოვს დედაენა. მამა ჩააცივდება: „ბაბუშკა" მაინც არ გახსოვსო? თქვენ წარმოიდგინეთ, „ბაბუშკა" ხსომებია.



კარენ შახნაზაროვი

სკოლიდან სასწრაფოდ ურეკავენ გაამერიკელებულ დედას. მოვარდება და ქმარყოფილს მოსალაპარაკებლად იბარებს რესტორანში, სადაც თავის ახალ ქმარს გააცნობს. მერე ძლივნად მიართმევს ჯინსის შარვალს. ლაბუხმა უკვე იცის, რომ ამერიკაში მანდილოსნებს განუსაზღვრელი უფლებები აქვთ. ქუჩაში ავხორცული მზერა რომ სტყორცნო ქალს, თუნდაც ასი წლისას, მყისვე ციხეში გიკრავენ თავს. აქ რუსეთი კი არ არის ძმობილო, რომ აილო და ეს ძლევნი სახეში თხლიშო ცოლყოფილს. ამიტომაც მოუბოდიშებს, ბოლო ხანებში მოვიკეთე და ამ ზომის შარვალი ვიწრო მექნებაო.

ლაპარაკს შეჰყვებიან და ლაბუხი პირში მიახლის ცოლყოფილს, შე ბოზო, შენაო... უმალვე სტოვებს რესტორანს. როდესაც მილიონერის სრა-სასახლეს მიადგება, წინ პოლიცია გადაუდგება. თურმე 15 ფუტზე ახლოს ვერ მიეკარება ვერც შვილსა და ვერც იქაურობას.

ანიუტას დაუმახსოვრებია ჯიგარხანიანის ტაქსის ნომერი და მიაგნებს მამიკოს. სამშობლოში წაყვანას სთხოვს (რა თქმა უნდა, ესეც დაუჯერებელი გახლავთ, მაგრამ ფინალთან რას მოვა!). ანიუტა უხსნის, თვითმფრინავით ვერ მოხერხდება, შეგვიპყრობენო; მექსიკაში უნდა ჩავიდეთ და იქიდან გავფრინდეთო.

ინყება ფათერაკიანი თავგადასავლები. ანიუტა თმას შეიკრეჭს, მერე ძველმანებს იყიდის „სეკონდ-ჰენდში". მანანნალებად გამოეწყობიან და მექსიკისკენ მინანწალებენ. მაგრამ საბოლოოდ მაინც პოლიციაში ამოყოფენ თავს.

ბავშვის გატაცებისთვის მოსკოველ ლაბუხს ემუქრება ოთხნლიანი პატიმრობა. ცოლყოფილი შესთავაზებს გარიგებას – გამოგიხსნით, თუკი მშობლის უფლებებზე უარს განაცხადებო.

ლაბუხი ოთხწლიან პატიმრობას ამჯობინებს.

... ტუსაღები მუშაობენ მინდორში. ამ დროს ცაში გამოჩნდება ვერტმფრენი. ისე საეჭვოდ დასტრიალებს თავზე მინდორს, რომ იდიოტიც კი მიხვდება, აქ უნდა დაეშვასო. მართლაც ასე ხდება. ვერტმფრენის საჭეს უზის, არც მეტი და არც ნაკლები, შვიდი თუ რვა წლის ანიუტა!!!

მამას შეიპატიჟებს ვერტმფრენში და აფრინდებიან. შვიდი თუ რვა წლის ანიუტა ვერტმფრენს მიაქროლებს პირდაპირ მოსკოვისაკენ, თავის სანატრელ „ბაბუშკასთან"!

დიდიან-პატარიანად რომ დარაზმულიყვნენ ჰოლივუდში და ათასი წელი ეფიქრათ, ესოდენ ჰოლივუდურ ფინალს ვერასგზით ვერ მოიფიქრებდნენ.

ასე დაუქოჩა კარენ შახნაზაროვმა ჰოლივუდს – მთელი მსოფლიოს პირველ მეზღაპრეს.

**P.S.** როგორც ავი ენები ამბობენ, უსამა ბენ ლადენს გასანადგურებელ ობიექტთა სიაში თავდაპირველად „პენტაგონის" ნაცვლად ენერა „ჰოლივუდი" (კაცობრიობისათვის ჰოლივუდი უფრო საშიშია, ვიდრე პენტაგონიო), მაგრამ სასიკვდილოდ განწირულმა პილოტებმა გადაათქმევინეს – უჰოლივუდო სამოთხეში რა გაგვაძლებინებსო!

## ქრონიკა

27 იანვარს ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში" გაიმართა დავით ჩიხლაძის რომანის „FEMINIWE/FEMINIE"-ს პრეზენტაცია და, შესაბამისად, დრო მისი პოეზიის მოსმენასაც დაეთმო.

დავით ჩიხლაძე მრავალმხრივი მოღვაწეა, იგი არის პოეტი, პერფორმანსარტისტი, ლიტერატურისა და ხელოვნების კრიტიკოსი. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აქვეყნებს წერილებს თანამედროვე ქართულ ხელოვნებაზე, ასევე დასავლური ექსპერიმენტული ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე. ამჟამად მოღვაწეობს ამერიკაში.

საღამოს დავით ჩიხლაძის მეგობრები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელნი დაესწრნენ. ქალბატონმა ლელა შუბითიძემ, რომელმაც მრავალი ლამაზი შეხვედრა წარმართა ამ მყუდრო კულტურულ ცენტრში, აღნიშნა: „ყველა დროს აქვს თავისი ენა და ფორმები, დათო ისეთ პოეზიას გვთავაზობს, რომელიც ამ დროს მიესადაგება, მისი პოეზია გამოირჩევა უცნაურობით, შეიძლება ითქვას, რომ ავანგარდულია, იგი თავის სათქმელს მხოლოდ ამგვარად გადმოსცემს და ნუ გავკიცხავთ მას".

პოეტმა ომარ თურმანაულმა დასძინა: „დათო არის უცნაური მოვლენა ქართული პოეზიისთვის. მტკივნეულია ფასეულობების გადაფასება, რამაც დაგვაბნია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეზია დაიკარგა. დათოს ლექსებს რომ ვკითხულობ, მგონია, რომ ეს არის ნაგვისგან შექმნილი კონტრასტები, მაგრამ მე ვთვლი, რომ მისი შემოქმედება ერთადერთი მოვლენაა ქართულ პოეზიაში, მე სხვა სტილის პოეზიით ვარ გაზრდილი და, დათო არ გამინაწყენდება, მის ლექსებს ამგვარი შეფასება რომ მივეცი".

დავით ჩიხლაძის პოეზია შეიძლება ითქვას, რომ გლობალურია, – ესეც აღინიშნა ამ საღამოზე – იგი სწორედ იმას ამბობს, რაც ჩვენს სამყაროში და თითოეული ჩვენგანის ირგვლივ ხდება, მისი ლექსები სხვადასხვა სოციალური გარემოდანაა მოჭრილი და საბოლოოდ ერთიანდება და ისეთი სახით გვევლინება, როგორიც არის.

ეს კარგად დაინახა საღამოზე მსმენელმაც, როდესაც ავტორი კითხულობდა საკუთარ პოეტურ ნიმუშებს.

# ესტაფეტა: პრაღა – თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ქვეყანა, ერთი წელიწადი,
ორმოცდათორმეტი კვირა
და ორმოცდათორმეტი
თვალთახედვა.

საქართველო რადიო "თავისუ-
ფლების" დღიურებში.
ცნობილი სახეების ჩანაწერები
თითო კვირა თითო ავტორის
დღიურებისთვის.

დღიურებად აკინძული უკვე
ორი (2006, 2007) წელიწადი!







პროექტის ავტორი:
**დავით კაკაბაძე.**

შემდგენლები:
**თამარ ჩიქოვანი,**
**დავით კაკაბაძე , მარინა ვაშაყმაძე.**

კონცეფცია და დიზაინი:
**პაატა ნაცვლიშვილი.**

რედაქტორი:
**ცისანა ნიკოლაიშვილი.**

პროდიუსერები:
**გიორგი შავლაყაძე , ლუკა გოცირიძე.**

**პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა.**

მეოხი: **თიბისი ბანკი.**

ორივე წიგნს ერთვის კომპაქტდისკი
კრებულში შესული 52-ვე დღიურის
ფრაგმენტებით.

ცოცხალი მატიანე გრძელდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუსხიანი დღე (ქვათისხევი)

კარლო ფაჩულია